

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კომპიუტერული ბუღალტრული
აღრიცხვა

2013

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მ. თევდორაძე, ნ. ლოლაშვილი

პომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

სახელმძღვანელო

2013

გ. თევზორაპი, 6. ლოლაშვილი,

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

მოცემული სახელმძღვანელო ეძღვნება კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლებისა და ბუღალტრულ აღრიცხვაში კომპიუტერის გამოყენების საკითხების განხილვას. აგრეთვე კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამების შესწავლას.

მოცემულ სახელმძღვანელოში განხილულია: ბუღალტრული აღრიცხვის საგანი და მეთოდი; აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა; მოყვანილია როგორც პირველადი დოკუმენტების, ასევე შემაჯამებელი რეგისტრების, საბოლოო/საანგარიშგებო დოკუმენტებისა და საგადასახადო დოკუმენტების ფორმები და მათი შევსების პერიოდისაც; აღწერილია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა ფულადი საშუალებებისა და მომარაგების, წარმოებისა და რეალიზაციის, მოთხოვნების, ინვესტიციების, ვალდებულებებისა და კაპიტალის აღრიცხვა.

სახელმძღვანელოში მოყვანილია ისეთი საკითხები როგორიცაა ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამების ზოგადი დახასიათება; ბუღალტრული ინფორმაციული სისტემების სტრუქტურის შემუშავებისა და მათი დაპროექტების საკითხები; ელექტრონული კომერციისა და ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენების საკითხები.

მოცემული სასწავლო სახელმძღვანელო განკუთვნილია სტუდენტების, მაგსიტრანტებისა და დოქტორანტებისათვის, ასევე იმ პირთათვის, ვინც დაინტერესებულია კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვის საკითხების შესწავლით.

რეცენზენტები:

სარჩევი

სარჩევი -----	4
შესავალი -----	6
1. ბუღალტრული აღრიცხვის საგანი -----	8
1.1. აღრიცხვის ისტორია -----	8
1.2. აღრიცხვის სახეობები -----	8
1.3. ბუღალტრული აღრიცხვის საგანი -----	9
2. ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი -----	13
2.1. ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდის არსი -----	13
2.2. დოკუმენტირება -----	13
2.3. ინვენტარიზაცია -----	13
2.4. შეფასება -----	14
2.5. კალკულირება -----	14
2.6. ბალანსი, ანგარიში, ანგარიშთა გეგმა, ორმაგი ჩანაწერი -----	15
2.7. ამოცანები: ბალანსის შედგენა -----	18
3. ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა -----	19
3.1. ანგარიშთა გეგმა -----	19
3.2. ანგარიშთა გეგმის აღწერა -----	23
3.3. ამოცანები: გატარებები, ბალანსის შედგენა -----	33
4. ოპერაციებისა და ანგარიშების დახასიათება -----	34
4.1. ბალანსის ცვლილებები -----	34
4.2. კაპიტალი და მოგება. მოგების, შემოსავალების, ხარჯების ანგარიშები -----	35
4.3. ამოცანები: გატარებები, მოგება/ზარალის ანგარიში, ბალანსის შედგენა -----	36
5. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპები: I - V პრინციპები -----	37
6. დოკუმენტაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში -----	38
6.1. პირველადი დოკუმენტები -----	38
6.1.1. სალაროს შემოსავლის ორდერი -----	38
6.1.2. სალაროს გასავლის ორდერი -----	39
6.1.3. საგადასახადო დავალება -----	40
6.1.4. საგადასახადო მოთხოვნა -----	41
6.1.5. სავალუტო დავალება -----	42
6.1.6. ანგარიშ-ფაქტურა -----	42
6.1.7. გასავლის ფაქტურა -----	42
6.2. ამოცანები: პირველადი დოკუმენტები -----	47
7. სააღრიცხვო რეგისტრები -----	48
7.1. წიგნი -----	48
7.2. ბარათები -----	48
7.3. თავისუფალი ფურცლები – უწყისები -----	48
8. ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების სახეობები -----	50
8.1. მემორიალურ-ორდერული ფორმა -----	50
8.2. სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვის წიგნი -----	51
8.3. უურნალ-ორდერული ფორმა -----	51
9. ფულადი საშუალებების აღრიცხვა და ანგარიშსწორება -----	53
9.1. ანგარიშსწორება ხელფასის სახით -----	53
9.2. სალაროს ოპერაციები -----	54
9.3. ანგარიშსწორება ანგარიშგალდებულ პირებთან -----	56
9.4. ორგანიზაციის ანგარიშსწორების ანგარიში -----	58
9.5. ამოცანები: ხელფასის გატარებები, ნადდი და უნადდო ანგარიშსწორება -----	63
10. მომარაგების, წარმოებისა და რეალიზაციის პროცესების აღრიცხვა -----	64
10.1. ძირითადი საშუალებები და მათი ცვეთა -----	64
10.2. არამატერიალური აქტივები -----	67
10.3. იჯარა -----	69
10.4. მატერიალური საშუალებების – მასალის, პროდუქციის, საქონლის, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების აღრიცხვა -----	72

10.5. შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვა	77
10.6. ამოცანები: ცვეთის დარიცხვა; რეალიზებული საქონლის თვითდირებულება	85
11. მოთხოვნების აღრიცხვა	86
12. ინვესტიციების აღრიცხვა	91
12.1. ინვესტიციების ზოგადი დახასიათება	91
12.2. ინვესტიციების რეპლასიფიკაცია	92
13. ვალდებულებები და კაპიტალი. რეზერვები	93
13.1. ზოგადი დახასიათება	93
13.2. ჩვეულებრივი აქციები	94
13.3. პრივატიზაციებული აქციები	94
13.4. გაუნაწილებელი მოგება და დივიდენდები	94
13.5. დივიდენდების სახეობები	95
13.6. შეფარდება მოზიდულ და საკუთარ კაპიტალს შორის	95
13.7. კონსოლიდირებული ბალანსი	96
13.8. რეზერვები	96
14. საანგარიშგებო დოკუმენტაცია: ბალანსი, ანგარიში მოგება-ზარალის შესახებ, ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი	97
14.1. ბალანსი	97
14.2. ანგარიში მოგება-ზარალის შესახებ	97
14.3. ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი	98
15. საგადასახადო დოკუმენტაცია	105
15.1. საშემოსავლო გადასახადი	105
15.2. დამატებითი დირებულების გადასახადი (დღგ) და აქციზი	105
15.3. ქონების გადასახადი	106
15.4. მოგების გადასახადი	106
15.5. სხვა გადასახადები	106
15.6. აუდიტი	106
16. საწარმოს საქმიანობის შეფასება	134
17. ბუღალტრული კომპიუტერული პროგრამების დახასიათება	138
17.1. ხელითა და კომპიუტერით ჩანაწერების ტიპიური წარმოება	138
17.2. საინფ. ტექნოლოგიების გამოყენება ფინანსური ინფორმაციის დამუშავებაში	139
18. ბუღალტრული ინფორმაციული სისტემების ადგილის და როლის დახასიათება	145
19. ბუღალტრული ინფორმაციული სისტემების კლასიფიკაცია	148
19.1. ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაციული სისტემების სახეობები	148
19.2. მცირე საწარმოს ბუღალტრული სისტემის დახასიათება	150
19.3. დიდი და საშუალო ზომის საწარმოების ბუღალტრული სისტემების დახასიათება	150
19.4. სავაჭრო ქსელის კომპიუტერული ინფორმაციული სისტემების დახასიათება	152
20. ელექტრონული კომერცია და ინტერნეტ-ტექნოლოგია	156
21. ბუღალტრების ავტომატიზირებული სამუშაო ადგილები და კორპორაციული სისტემები	157
21.1. ბუღალტრების ავტომატიზირებული საუშაო ადგილების შექმნა	157
21.2. კორპორაციული ინფორმაციული სისტემები	158
22. ეკონომიკური ინფორმაციული სისტემების სტრუქტურა	161
22.1. ეკონომიკური ინფორმაციული სისტემის შემადგენელი ნაწილები	161
22.2. ინფორმაციული უზრუნველყოფა	163
22.3. პროგრამული უზრუნველყოფა	164
23. ეკონომიკური ინფორმაციული სისტემების დაპროექტება	166
23.1. ინფორმაციული სისტემების დაპროექტების ძირითადი პრინციპები	166
23.2. დაპროექტების ტექნიკური დანართები	167
23.3. ეკონ.ინფორმაციული სისტემის სასიცოცხლო ციკლი	170
23.4. სასიცოცხლო ციკლის სტადიებზე სამუშაოების შემადგენლობა და შინაარსი	171
23.5. ეკ.ინფორმაციული სისტემის მომხმარებლებისა და დამპროექტებლების ურთიერთქმედება	174
23.6. ინფორმაციული სისტემების დაპროექტების მეთოდები	175
23.7. ინფორმაციული სისტემების დაპროექტების საშუალებები (ინსტრუმენტები)	177
23.8 დაპრექტების CASE-ტექნოლოგია	179

შესავალი

ცნობილია, რომ არსებობს ბუდალტრული აღრიცხვის წარმოების სხვადასხვა მეთოდები. ერთ-ერთ და დღეისათვის ყველაზე გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენს ბუდალტრული აღრიცხვის წარმოება კომპიუტერის საშუალებით, ანუ კომპიუტერული ბუდალტრული აღრიცხვა. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ბუდალტრის მუშაობა წარმოუდგენელია კომპიუტერის გამოყენების გარეშე.

შესაძლებელია ბუდალტრული აღრიცხვის სახვადასხვა სახის რეალიზაცია კომპიუტერის გამოყენებით. ეს შეიძლება იყოს უშუალოდ საწარმოს მიერ საკუთარი ძალებით დამუშავებული პროგრამული პროდუქტი ან ცნობილ საოფისე სისტემაში (როგორიც არის Microsoft Excel) აგებული ბუდალტრული აღრიცხვის სისტემა, აგრეთვე შესაძლებელია პროგრამული უზრუნველყოფის სფეროში სხვა მომუშავე კომპანიის მიერ დამუშავებული მხა პროგრამული პროდუქტის გამოყენება.

ყველა შემთხვევაში, იმისათვის, რომ ვაწარმოოთ ბუდალტრული აღრიცხვა კომპიუტერის საშუალებით, აუცილებელია ორი სახის ცოდნის გაერთიანება: ბუდალტრული აღრიცხვის და კომპიუტერზე ბუდალტრული აღრიცხვის ცოდნა.

სასწავლო სახელმძღვანელო „კომპიუტერული ბუდალტრული აღრიცხვა“ განკუთვნილია კომპიუტერული ბუდალტრული აღრიცხვის საფუძვლების, ბუდალტრულ აღრიცხვაში კომპიუტერის გამოყენების და კომპიუტერული ბუდალტრული აღრიცხვის წარმოების, ასევე კომპიუტერული ბუდალტრული აღრიცხვის ინფორმაციული სისტემების საკითხების შესასწავლად.

მოცემული სახელმძღვანელო შედგება შესავლისა და 23 თავისაგან

პირველ თავში განხილულია აღრიცხვის ისტორია, სახეობები და ბუდალტრული აღრიცხვის საგნის განმარტებები.

მეორე თავში დახასიათებულია ბუდალტრული აღრიცხვის მეთოდი.

მესამე თავში აღწერილია ბუდალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა.

მეოთხე თავში დახასიათებულია კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების, მოგების ანგარიშები და მათთან მუშაობა. მეხუთე თავში განხილულია ბუდალტრული აღრიცხვის პირველი ხეთი პრინციპი.

მეექვსე თავში მოყვანილია პირველადი დოკუმენტები, მეშვიდე თავში - საადრიცხვო რეგისტრები, ხოლო მერვე თავში - ბუდალტრული აღრიცხვის წარმოების სახეობები.

მეცხრე და მეათე თავებში დახასიათებულია ფულადი საშუალებებისა და მომარაგების, წარმოებისა და რეალიზაციის აღრიცხვა შესაბამისად.

მეთერთმეტე, მეთორმეტე და მეცამეტე თავებში დახასიათებულია მოთხოვნების, ინვესტიციების, ვალდებულებებისა და კაპიტალის აღრიცხვა.

მეთოთხმეტე თავში მოყვანილია საანაგარშგებო დოკუმენტაცია, ხოლო მეთხუთმეტე თავში - საგადასახადო დოკუმენტაცია.

მეთექვსმეტე თავში აღწერილია საწარმოს საქმიანობის შეფასების საკითხები.

მეჩვიდმეტე თავში განხილულია ბუდალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამების დახასიათება.

მეთვრამეტე თავში მოცემულია ბუდალტრული ინფორმაციული სისტემების ადგილის და როლის დახასიათება, ხოლო მეცხრამეტე თავში - მათი კლასიფიკაცია.

მეოცე თავში განხილულია ელექტრონული კომერციისა და ინტერნეტ-გვერდების გამოყენების საკითხები. ოცდამეერთე თავში მოყვანილია ბუდალტრების ავტომატიზირებული სამუშაო ადგილების შექმნისა და კორპორაციული ინფორმაციული სისტემების გამოყენების საკითხები.

ოცდამეორე და ოცდამესამე თავებში დახასიათებულია ეკონომიკური ინფორმაციული სისტემების სტრუქტურის შემუშავებისა და მათი დაპროექტების საკითხები.

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

მოცემული სასწავლო სახელმძღვანელი განკუთვნილია "ეკონომიკურ ინფორმატიკის" სპეციალობის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის, მისი გამოყენება აგრეთვე შესაძლებელია სხვა სპეციალობების სტუდენტებისათვის.

1. ბუღალტრული აღრიცხვის საგანი

1.1. აღრიცხვის ისტორია

აღრიცხვის აუცილებლობა წარმოიშვა იმ უხსოვარი დროიდან, როდესაც ადამიანს გამოუჩნდა დათვლის აუცილებლობა. სხვა სიტყვებით, მას თავდაპირველად სჭირდებოდა ოჯახის წევრების დათვლა, იმ ცხოველებისა და პირუტყვის დათვლა, რომელიც ჰყავდა. მიწათმოქმედების დაწყებისას მას დასჭირდა მიწის გაზომვა და ნაკვეთების დათვლა. ადამიანი თავიდან თვლის დროს იყენებდა თითებს. აქედან წარმოიშვა ათობითი ათვლის სისტემა. ზოგ შემთხვევებში იყენებდნენ აგრეთვე ოცობით და სამოცობით აღრიცხვის სისტემას. ამ უკანასკნელის გავლენა გამოიხატება დროის აღრიცხვაში - წუთში არის 60 წამი, საათში - 60 წუთი.

აღმოჩნდა, რომ მარტო დათვლა საკმარისი არ იყო. საჭირო იყო დათვლილი რაოდენობის დაფიქსირება. ამ მიზნით თავიდან იყენებდნენ ხის ნაფოტებს ან ქვის ნატეხებს, რომლებზედაც ტოვებდნენ შესაბამისი რაოდენობის ხაზებს. ამ მეოდეს აგრეთვე იყენებდნენ ციფრების ჩასაწერად. შემდგომ საჭირო გახდა დათვლილი საგნების შინაარსის ასახვა - ამან გამოიწვია იეროგლიფების გამოგონება. შემდგომ დაიწყეს ისეთი ნიშნების გამოყენება, როგორიცაა მარცვალი და ბგერა. მოგვიანებით, კი ამას მოჰყვა დამწერლობის შექმნა.

ყოველივე აქედან გამომდინარე, უნდა ავდნიშნოთ, რომ აღრიცხვის აუცილებლობამ გამოიწვია დამწერლობის შექმნა, რომელმაც მოგვიტანა მსოფლიო ლიტერატურის შესანიშნავი ნაწარმოებები.

აღრიცხვასთან ერთად ადამიანმა შემოიღო ციფრები. ჩვენ ვიცით, თუ რა ძალა გააჩნია ციფრებს. კომპიუტერში მთელი ინფორმაცია წარმოდგენილია ციფრების სახით - ტექსტები, გამოსახულება, ფერები, ხმა და ა.შ.

გარდა ამისა, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღრიცხვის დამსახურებაა ისეთი მეცნიერებების წარმოშობა, როგორიც არის ასტრონომია, გეომეტრია, ალგებრა, მათემატიკა და სხვა ზუსტი მეცნიერებები.

საბუღალტრო აღრიცხვის თეორია ჩამოყალიბდა XV საუკუნეში. ამ პერიოდიდან შემორჩენილია აგრეთვე ტერმინები: ბალანსი, კალკულაცია, დებეტი, კრედიტი, და ა.შ. ერთ-ერთი პირველი წიგნი საბუღალტრო აღრიცხვაში დაწერილია გამოჩენილი იტალიელი მათემატიკოსის ლუკა პასოლის მიერ, რომელმაც შექმნა ტრაქტატი „ციფრების შესახებ“. ზუსტად მის ერთ-ერთ ნაწილში აღწერილია ორმაგი ბუღალტერიის წარმოების მეთოდი, რომელიც დღესაც გამოიყენება.

1.2. აღრიცხვის სახეობები

განიხილავენ აღრიცხვის შემდეგ სახეობებს: სტატისტიკური, ოპერატიული და საბუღალტრო. ეს აღრიცხვის სამი სახეობა მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული და ერთმანეთს ავსებს, მაგრამ თითოეულ მათგანს აქვს თავისი სპეციფიკა და გამოყენების სფერო.

სტატისტიკური აღრიცხვის ჩატარებაში დაინტერესებულია თვითონ სახელმწიფო. ის დაკავშირებულია მასიურ მოვლენებთან, რომლებიც ასახული უნდა იყოს სახელმწიფოს მასშტაბში. ამ აღრიცხვის შედეგებს სახელმწიფო იყენებს თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური საქმიანობის მიმართულების შემუშავების დროს. სტატისტიკური აღრიცხვის გამოყენება დაიწყეს სახელმწიფოს შექმნასთან ერთად. ჯერ კიდევ მონათმფლობელურ სახელმწიფოებში ტარგებოდა სამუშაოები მოსახლეობის, მიწების, ინვენტარის, საქონლის და ა.შ. აღრიცხვის მიზნით. იგივე

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

შეიძლება ითქვას ფეოდალიზმის და კაპიტალიზმის ეპოქაზეც. სტატისტიკა დღეისათვის არის სერიოზული მეცნიერება და ეკონომიკური საქმიანობის სფერო. სახელმწიფოს ფარგლებში ფუნქციონირებს სპეციალური სტატისტიკური დაწესებულებები, რომლებიც აგროვებენ და ამჟამავებენ სტატისტიკურ მონაცემებს.

ოპერატორი აღრიცხვა გამოიყენება ორგანიზაცია-დაწესებულებებში მისი უწყვეტი ფუნქციონირების ორგანიზების მიზნით. აქ აღრიცხავენ: მარაგებს, წარმოების მოთხოვნილებებს, წარმოებულ პროდუქციას, მუშახელს და ა.შ.

საბუღალტრო აღრიცხვა მოიცავს ორგანიზაციის მთელ სამეურნეო საქმიანობას. ის ხასიათდება სხვა აღრიცხვებთან შედარებით ისეთი სპეციფიკური თვისებებით, როგორიც არის:

- უწყვეტობა,
- მთლიანობა (საბუღალტრო აღრიცხვა ასახავს საწარმოს ყველა სამეურნეო ოპერაციას),
- დოკუმენტირებადობა,
- ფულად ერთეულებში ასახვა (საბუღალტრო აღრიცხვაში აისახება მხოლოდ ის, რასაც აქვს ფულადი გაზომვა),
- სპეციფიკური მეთოდების გამოყენება (ანგარიშები, ორმაგი ჩანაწერი, ბალანსი).

1.3. ბუღალტრული აღრიცხვის საგანი


არსებობს ბუღალტრული აღრიცხვის საგნის რამდენიმე განმარტება.

პირველი და ყველაზე მარტივი განმარტება გვეუბნება, რომ ბუღალტრული აღრიცხვის საგანს წარმოადგენს ნებისმიერი ტიპის საწარმო ორგანიზაციის საფინანსო - სამეურნეო საქმიანობა, რომელიც აისახება არსებული კანონმდებლობის საფუძველზე.

მეორე განმარტების მიხედვით - ბუღალტრული აღრიცხვის საგანს წარმოადგენს საწარმო ოპერაციები და ოპერაციები.

განიხილავენ 3 ძირითად საწარმოო პროცესს: მომარაგების, წარმოებისა და რეალიზაციის. ეს სამი პროცესი (სურ.1.1) ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, ისინი პრაკტიკულად არ არსებობენ უერთმანეთოდ. მაგრამ, აქ მაინც შეიძლება გამოიყოს ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი – წარმოების პროცესი, ვინაიდან წარმოებაში ფორმირდება პროდუქციის თვითდირებულება და, შესაბამისად, მოგება, რომელიც იბეგრება მოგების გადასახადით, რასაც აკონტროლებული საგადასახადო ორგანოები.

თავის მხრივ, უნდა ითქვას, რომ პროცესები შედგება უფრო მცირე ეტაპებისაგან, მათ უწოდებენ ოპერაციებს. მაგალითად, მომარაგების პროცესი შედგება შემდეგი ოპერაციებისაგან: მომწოდებელთან ხელშეკრულების დადება, სატრანსპორტო ორგანიზაციასთან ხელშეკრულების დადება, მასალის მოტანა მომწოდებლისგან სატრანსპორტო საშუალების მეშვეობით, მასალის საწყობში მოთავსება. იგივე შეიძლება ითქვას სხვა პროცესებზეც. სწორედ ეს ოპერაციები აისახება საბუღალტრო აღრიცხვაში.



სურ.11

მესამე განმარტების მიხედვით – ბუღალტრული აღრიცხვის საგანს წარმოადგენს სამეურნეო საშუალებები ანუ აქტივი და მათი წარმოქმნის წყაროები ანუ პასივი.

საშუალებებში (აქტივებში) გულისხმობები იმ შრომის იარაღებს ანუ მატერიალურ ფასეულობებს, რომლებიც გააჩნია საწარმოს.

იმისათვის, რომ შრომის იარაღი ჩაითვალოს საწარმოოს საშუალებად, ის უნდა:
1. წარმოადგენდეს ფასეულობას საწარმოსათვის, 2. ექვემდებარებოდეს მის კონტროლს და 3. გააჩნდეს გარკვეული ღირებულება საწარმოსათვის, ანუ იყოს შეძენილი გარკვეული ფასით.

შეგვიძლია გამოვყოთ: საბრუნავი საშუალებები, ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები.

საბრუნავ საშუალებებებში ძირითადად განიხილავენ ისეთ საშუალებებს, რომელთა ღირებულება ნომინალზე ნაკლებია და რომლებიც გამოიყენება დროის მოკლე პერიოდში (ერთ წლამდე), მაგალითად, ფული, ნედლეული, მასალები, საწვავი, სათადარიგო ნაწილები, ნახევარფაბრიკატები, მზა პროდუქცია, ფასიანი ქაღალდები, მიღებული თამასუქები, ღებიტორული დავალიანება ანუ მოთხოვნები (როდესაც ვიდაცას ჩვენი მართებს), წინასწარ გარკვეული ხარჯები და ა.შ.

ფულადი საშუალებები შეიძლება იყოს ორგანიზაციის სალაროში და ბანკში.

მასალა და ნედლეული აგრეთვე იყოფა ძირითად და დამხმარე მასალად. ძირითად მასალას უწოდებენ ისეთ მასალას, რომელიც წარმოადგენს წარმოებული პროდუქციის მატერიალურ საფუძველს, ხოლო დამხმარე მასალებს გამოიყენებენ იმისათვის, რომ პროდუქციას მიანიჭონ გარკვეული თვისებები (მაგალითად, მაგიდისათვის ძირითადი მასალა არის ხე, დამხმარე კი - ლაქი).

დაუმთავრებელი წარმოება წარმოადგენს პროდუქციის დამუშავების და ჯერჯერობით დაუმთავრებელ პროცესს. მასზე უკვე დახარჯულია გარკვეული მასალა, ნედლეული, სათადარიგო ნაწილები და შრომა. აქედან დაუმთავრებელი წარმოების ღირებულება წარმოადგენს მასზე დახარჯული საშუალებების ღირებულებას.

ფასიან ქაღალდებში შეგვიძლია ჩამოვთვალოთ აქციები, ობლიგაციები, თამასუქები, რომლებიც ადასტურებენ ფულის ჩადებას სხვის წარმოებაში და იძლევიან პროცენტებისა და დივიდენდების მიღების უფლებას.

ღებიტორული დავალიანება წარმოიშვება მაშინ, როდესაც ორგანიზაცია ვინმეს გაუწევს მომსახურებას ან მიაწვდის საქონელს და არ მიიღებს შესაბამის თანხას.

შეგვიძლია დავამატოთ, რომ ზოგი საბრუნავი საშუალებები შეიძლება იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი, მაგალითად ღებიტორული დავალიანება შეიძლება იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი, ფასიანი ქაღალდები შეიძლება გვქონდეს მოკლევადიანი და გრძელვადიანი, თამასუქიც შეიძლება იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი. კიდევ ერთხელ ავღნიშნოთ, რომ მოკლევადიანში გულისხმობები ერთ წლამდე ვადას.

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

ძირითად საშუალებებში გულისხმობენ ისეთ საშუალებებს, რომელთაც გააჩნია ნომინალზე უფრო მაღალი ღირებულება და რომლებიც გამოიყენება დროის ხანგრძლივ პერიოდში (ერთ წელზე მეტი). მაგალითად, მიწა, ბუნებრივი რესურსები, შენობები, ნაგებობები, დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები, კომპიუტერები, ინვესტიციები და ა.შ.

ძირითადი საშუალებები მონაწილეობენ რამდენიმე საწარმოო პროცესში და თანაბათან გადააქვთ თავისი ღირებულება გამოშვებულ პროდუქციაზე. ღირებულების ასეთ გადატანას უწოდებენ ცვეთას (ამორტიზაციას). ამ დროს ძირითადი საშუალებების ფიზიკური ფორმა რჩება უცვლელი. ამორტიზირებული ღირებულება პროდუქციის გაყიდვის შემდეგ ხდება ფულადი საშუალებების წყარო, რომელიც მოგვიანებით გამოიყენება გაცვეთილი ძირითადი საშუალებების აღსაღენად. ძირითადი აქტივების ჯგუფში აგრეთვე განიხილავენ გრძელვადიან ფინანსურ დაბანდებებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი აქტივები მიეკუთვნებიან მატერიალურ აქტივებს. მაგრამ, ასევე არსებობს კ.წ. არამატერიალური აქტივები, რომლებიც მიეკუთვნება ინტელექტუალური ან ზოგადი საკუთრების სფეროს. აქ განიხილავენ: ფირმის ან საფირმო ნიშნის ფასს, პატენტებს, ლიცენზიებს, ტექნოლოგიურ რეცეპტებს, ნოუ-ჰაუს, გუდვილს და ა.შ.

გუდვილი არის საქმიანი კავშირების პირობითი ღირებულება. ეს ღირებულება წარმოიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთი კომპანია ყიდულობს მეორეს და იხდის ფასს, რომელიც აღემატება შეძენილი კომპანიის საშუალებების ღირებულებას.

შეგვიძლია ჩავატაროთ აგრეთვე აქტივების სხვა კლასიფიკაცია – მოკლევადიანი, გრძელვადიანი აქტივები და არამატერიალური აქტივები. მოკლევადიან აქტივებში განიხილავენ იმ აქტივებს, რომელთა მოქმედების პერიოდი არ აღემატება 1 წელს, ხოლო გრძელვადიანი აქტივები გამოიყენება 1 წელზე მეტი ვადით.

ყოველივე ზემოსსენებული საშუალებები უნდა იყოს შეძენილი. ამისათვის საჭიროა ორგანიზაციას გააჩნდეს წყაროები, ანუ პასივი. რა წარმოადგენს სამეურნეო საშუალებების წყაროს? აქ განიხილავენ ვალდებულებებს და კაპიტალს.

ვალდებულებებში გულისხმობენ კრედიტორულ დავალიანებას (როდესაც ჩვენ ვიდაცის გვმართებს). ფაქტიურად შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ვალდებულებები არის მოზიდული წყარო. არსებობს სხვადასხვა ტიპის კრედიტორული დავალიანება – ბიუჯეტის (სახელმწიფოს) წინაშე, მუშა-მოსამსახურების წინაშე (მაგალითად ხელფასის სახით), სხვა ორგანიზაციების წინაშე. აქვე შეგვიძლია დაგამატოთ სესხები (კრედიტები ბანკებისაგან და სესხები სხვა ტიპის ორგანიზაციებისაგან). უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციის მიმართ მოთხოვნების დაკმაყოფილების დროს კრედიტორებს გააჩნიათ უპირატესობა მფლობელებთან მიმართებაში. ვალდებულება აგრეთვე შეიძლება იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი.

ასევე აღსანიშნავია, რომ საბრუნავი საშუალებები და მოკლევადიანი ვალდებულებები ასახავენ საწარმოს შესაძლებლობას დაფაროს თავისი მიმდინარე (მოკლევადიანი) დავალიანება. ამ შესაძლებლობის დახასიათების მიზნით შემოღებულია კ.წ. მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი, რომელიც უდრის საბრუნავი საშუალებებისა და მოკლევადიანი ვალდებულებების შეფარდებას.

საბრუნავი საშუალებები

= მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი
მოკლევადიანი ვალდებულებები

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

საწარმო ითვლება კრედიტუნარიანად, თუ მისი მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2-ზე მეტია.

კაპიტალი არის აქტივის საკუთარი წეარო. კაპიტალში იგულისხმება ის თანხა, რომელიც უნდა დაიდოს ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციის შექმნის დროს. საერთოდ განიხილავენ კერძო საკუთრების ორგანიზაციის სამ მირითად ტიპს: ინდივიდუალური მეწარმე (შემოკლებით ი.მ.), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შ.პ.ს.) და სააქციო საზოგადოება (ს.ს.) ან კორპორაცია (რამდენიმე სააქციო საზოგადოების გაერთიანება). თუ ორგანიზაცია სააქციო ტიპისაა - ჩვენ გვაქვს საქმე სააქციო კაპიტალთან. მისი შევსება ხდება აქციების გაყიდვით. კიდევ არსებობს სხვა ტიპის კაპიტალი: სარეზერვო და საემისიო. სარეზერვო კაპიტალი იქმნება მოგებიდან, და მას იყენებენ ორგანიზაციისათვის მძიმე პერიოდში. საემისიო კაპიტალი კი იქმნება საბანკო ტიპის ორგანიზაციებში და წარმოადგენს აქციების გაყიდვით შემოსული თანხისა და აქციების ღირებულების სხვაობას.

წყაროებში არ უნდა გამოგვრჩეს აგრეთვე გაუნაწილებელი მოგება - ეს არის კაპიტალის საკუთარი წეარო. მოგება წარმოიშვება საწარმოს ეფექტური ფუნქციონირების შედეგად, ხოლო გაუნაწილებელი მოგება რჩება საწარმოს, როდესაც ის მოგებიდან გადაიხდის ყველა გადასახადს და გასცემს დივიდენდებს.

აქტივისა და პასივის ცხრილები

ცხრილი 1.1.

აქტივი	პასივი
მოკლევადიანი	გალდებულებები: მოკლევადიანი გრძელბადიანი
გრძელვადიანი	კაპიტალი მოგება
არამატერიალური აქტივები	

ცხრილი 1.2.

აქტივი	პასივი
<u>საბრუნავი საშუალებები:</u> მოკლევადიანი: ფული, სასაქონლო მატერიალური მარაგი, მოკლევადიანი ინვესტიციები, მოკლევადიანი მოთხოვნები (დებიტორული დავალიანება)	<u>გალდებულებები:</u> მოკლევადიანი: სესხები, კრედიტები, სახელმწიფოსთან, სხვა ორგანიზაციებთან, მუშა-მოსამსახურებთან
გრძელვადიანი: გრძელვადიანი მოთხოვნები, გრძელვადიანი ინვესტიციები,	გრძელვადიანი: სესხები, კრედიტები სხვა ორგანიზაციებთან, სახელმწიფოსთან
<u>ძირითადი საშუალებები:</u> მიწა, შენობა, დანდგარები, სატრანსპორტო საშუალებები...	<u>კაპიტალი:</u> საწესდებო, სარეზერვო
<u>არამატერიალური აქტივები:</u> პატენტები, ლიცენზიები, გუდვილი...	<u>მოგება</u>

2. ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი

2.1. ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდის არსი

როგორც ჩვენ უკვე ავღნიშნეთ ადრე, ბუღალტერია, მსგავსად ადამიანის საქმიანობების სხვა სფეროებისა, იყენებს გარკვეულ მეთოდებს. ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი მოიცავს ისეთ სპეციფიურ ხერხებს, როგორიც არის:

1. დოკუმენტირება,
 2. ინვენტარიზაცია,
 3. შეფასება,
 4. კალკულაცია,
 5. ბალანსი, ანგარიში, ანგარიშთა გეგმა, ორმაგი ჩანაწერი.
- განვიხილოთ თითოეული მათგანი.

2.2. დოკუმენტირება

დოკუმენტი არის რაიმე ოპერაციის შესრულების წერილობითი დასტური. იგი უნდა იყოს შევსებული არსებული წესების გათვალისწინებით. თუ დოკუმენტი შევსებულია სწორად, მას აქვს იურიდიული ძალა.

განიხილავთ სხვდასხვა ტიპის დოკუმენტებს:

1. პირველადი დოკუმენტები;
2. დამაჯამებელი-სააღრიცხვო დოკუმენტები ანუ რეგისტრები;
3. საბოლოო ანუ საანგარიშგებო (ბალანსის ტიპის) ფორმები.

ბუღალტრულ აღრიცხვაში ყველა ჩანაწერი ხორციელდება პირველადი დოკუმენტების საფუძველზე. მათი მონაცემები გადაიტანება სააღრიცხვო რეგისტრებში, იქ ხდება მონაცემთა სისტემატიზაცია. საანგარიშო პერიოდის ბოლოს სააღრიცხვო რეგისტრების საფუძველზე ხორციელდება საწარმოს ანგარიშის შედგენა.

ბუღალტრული აღრიცხვა მკაცრად დოკუმენტირებულია, ანუ თითოეულ ოპერაციას შეესაბამება თავისი დოკუმენტი.

2.3. ინვენტარიზაცია

ცნობილია, რომ მთელი მატერიალური ფასეულობები, რომელიც გააჩნია დაწესებულებას, ორგანიზაციას, უნდა იყოს და არის კიდევაც ასახული ბუღალტრულ დოკუმენტაციაში. მაგრამ თვითონ მატერიალური ფასეულობები, ვინაიდან ისინი გამოიყენება ორგანიზაცია-დაწესებულების მიერ, განიცდიან ცვლილებებს: ფუჭდებიან, მოდიან უვარებისობაში, იკარგებიან და ა.შ. იმისათვის, რომ ბუღალტრულ დოკუმენტაციაში მონაცემები შეესაბამებოდეს მატერიალურ ფასეულობათა რეალურ მდგრამარებას, ორგანიზაცია-დაწესებულებაში პერიოდულად ტარდება ინვენტარიზაცია. ინვენტარიზაციის ჩასატარებლად ორგანიზაციაში იქმნება სპეციალური კომისია, რომელშიც სხვა წევრებთან ერთად უნდა შედიოდეს მატერიალურ ფასეულობებზე პასუხისმგებელი პირი. მატერიალურად პასუხისმგებელი პირი არის ის პირი, რომელსაც ეკისრება სრული პასუხისმგებლობა მატერიალურ ფასეულობებზე, მათ შენახვასა და გამოყენებაზე. ორგანიზაციაში შეიძლება იყოს რამდენიმე მატერიალურად პასუხისმგებელი პირი. უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელი და მთავარი ბუღალტერი მხოლოდ ნაწილობრივ არიან

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

პასუხისმგებელნი, ისინი უქმნიან პირობებს ბუღალტერიას სწორი მუშაობისათვის. დაწესებულების სალაროს ფუნქციონირებაზე კი სრული მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება მოლარეს.

ინვენტარიზაცია, ჩვეულებრივ, წელიწადში ერთხელ ტარდება. მაგრამ არსებობს შემთხვევები, როდესაც ტარდება რიგგარეშე ინვენტარიზაცია, ასეთებია, მაგალითად: მატერიალურად პასუხისმგებელი პირის შეცვლა, სტიქიური უბედურება, ხანძარი, ქურდობა და ა.შ. ინვენტარიზაციას ატარებს სპეციალურად შექმნილი კომისია.

2.4. შეფასება

როგორც უმავ ავღნიშნეთ, მთელი მატერიალური ფასეულობები, რა სახისაც არ უნდა იყოს ისინი, აისახება თავისი ფულადი დირებულებით. ამ შემთხვევაში ხშირად საჭიროა განისაზღვროს მატერიალური ფასეულობის დირებულება. ამ მიზნით აწარმოებენ შეფასებას. შეფასების დროს წარმოიშვება მრავალი პრობლემა. ამ პრობლემების გადასაჭრელად არსებობს გარკვეული წესები და რეკომენდაციები.

მაგალითად, ძირითადი საშუალებები ფასდება მათი პირვანდელი დირებულებით, რომელშიც შედის შეძენის დირებულება (დამატებული დირებულების გადასახადის ჩათვლით) და მიწოდების ხარჯები. პირვანდელ დირებულებას უნდა გამოაკლდეს ცვეთა, და მივიღებთ ნარჩენ დირებულებას, რომელიც რეალურად აფასებს ძირითადი საშუალების მდგომარეობას. ანალოგიურად განისაზღვრება არამატერიალური აქტივების დირებულება.

მასალის ფასი აგრეთვე განისაზღვრება მისი შეძენის, მიწოდების, საწყობში მოთავსებისა და სხვა ხარჯების ჯამით.

2.5. კალკულაცია

პროდუქციის გამოშვების დროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანებს მომენტს წარმოადგენს ხარჯების სწორი აღრიცხვა, ანუ გამოშვებული პროდუქციის თვითდირებულების დათვლა. საქმე ის არის რომ, პროდუქცია იყიდება საბაზრო ფასად, აქედან გამომდინარე საწარმოო თვითდირებულება განსაზღვრავს ორგანიზაციის მოგებას პროდუქციის რეალიზაციის შედეგად. მოგებას აქვთ დიდი მნიშვნელობა ორგანიზაციის ფუნქციონირების ზრდაში. მოგება, თავის მხრივ, იძეგრება მოგების გადასახადით, რაც მკაცრად მოწმდება შემოსავლების სამსახურის მიერ.

კალკულაციის დროს უნდა განისაზღვროს დანახარჯები. დანახარჯები შეიძლება იყოს პირდაპირი და ირიბი. პირდაპირი დანახარჯები პირდაპირ შედის კალკულაციაში. ეს არის ძირითად წარმოებაში ჩართული მუშა-მოსამსახურების ხელფასი, მასალა და ა.შ.

ირიბ დანახარჯებში გულისხმობები იმ დანახარჯებს, რომლებიც მიეკუთვნება მთელ წარმოებას, ეს არის ამორტიზაციის ანარიცხები, რემონტის დანახარჯები, ადმინისტრაციის ხელფასი და ა.შ. ეს დანახარჯები გროვდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში და შემდეგ ნაწილდება გამოშვებული პროდუქციის მიხედვით.

2.6. ბალანსი, ანგარიში, ანგარიშთა გეგმა, ორმაგი ჩანაწერი

ბალანსი

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ნებისმიერ ორგანიზაციას გააჩნია აქტივები და პასივები, ანუ სამეურნეო საშუალებები და მათი წარმოქმნის წყაროები, სხვანაირად პასივი წარმოადგენს ვალდებულებებსა და კაპიტალს. მთავარი კი ის არის, რომ საშუალებების ჯამი მათი ფულადი დირებულებით უნდა იყოს ვალდებულებებისა და კაპიტალის დირებულების ტოლი. ამ ტოლობას უწოდებენ ბალანსს.

შეიძლება ითქვას, რომ ეს არის პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში.

ფიზიკურად ბალანსი არის ფურცელი, რომელსაც გააჩნია ორი მხარე: მარცხენა - აქტივი და მარჯვენა - პასივი. მარცხენა მხარეს განლაგებულია ყველა საშუალება, ხოლო მარჯვენა მხარეს კი - ყველა ვალდებულება და კაპიტალი (ცხრილი 2.1).


ცხრილი 2.1.

აქტივი	თანხა	პასივი	თანხა
.
.
.
ჯამი:	...	ჯამი:	...

ანგარიშები

ანგარიში - არის ის იარაღი, რომლის საშუალებითაც აისახება ორგანიზაციის განკარგულებაში მყოფი მატერიალური ფასეულობები - საშუალებები და მათი წარმოქმნის წყაროები.

ანგარიში გამოისახება როგორც დიდი ლათინური T (სურ. 2.1). მას გააჩნია ორი მხარე - მარცხენა და მარჯვენა. მარცხენა მხარეს უწოდებენ დებეტს, ხოლო მარჯვენას - კრედიტს. ანგარიშს შეიძლება პქონდეს საწყისი ნაშთი, ბრუნვა (როდესაც მასზე აისახება ცვლილებები), და საბოლოო ნაშთი.



სურ. 2.1.

არსებობს ორი ძირითადი ტიპის ანგარიში: აქტიური და პასიური.

აქტიურ ანგარიშებზე აისახება საშუალებები. აქტიურ ანგარიშებს საწყისი ნაშთი აქვთ დებეტის მხარეს. ოპერაციები, რომლებიც ზრდიან ანგარიშის მნიშვნელობას, ტარდება დებეტის მხარეს, ოპერაციები, რომლებიც ამცირებენ ანგარიშის მნიშვნელობას ტარდება კრედიტის მხარეს (სურ. 2.2). შემდეგ უნდა იქნას დათვლილი ბრუნვა დებეტით, ბრუნვა კრედიტით და განოუგანილ იქნას საბოლოო ნაშთი, რომელიც უდრის:

საწყისი ნაშთი + ბრუნვა დებეტით - ბრუნვა კრედიტით

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

დებეტი	კრედიტი
<u>საწყისი ნაშთი</u>	
+ ოპერაცია, რომელიც ზრდის ანგარიშის მნიშვნელობას	- ოპერაცია, რომელიც ამცირებს ანგარიშის მნიშვნელობას
+	-
+	-
-----	-----
ბრუნვა დებეტით	ბრუნვა კრედიტით
-----	-----
საბოლოო სალდო	

სურ. 2.2.

პასაიურ ანგარიშებზე აისახება საშუალებების წარმოქმნის წყაროები, ანუ, ვალდებულებები და კაპიტალი. პასაიურ ანგარიშებს საწყისი ნაშთი გააჩნიათ კრედიტის მხარეს. ოპერაციები, რომლებიც ზრდიან ანგარიშის მნიშვნელობას ტარდება კრედიტის მხარეს, ოპერაციები, რომლებიც ამცირებენ ანგარიშის მნიშვნელობას ტარდება დებეტის მხარეს. შემდეგ უნდა იყოს დათვლილი ბრუნვა კრედიტით, ბრუნვა დებეტით (სურ.2.3.). ამის შემდეგ უნდა გამოყვანილ იქნას საბოლოო ნაშთი, რომელიც უდრის:

საწყისი ნაშთი + ბრუნვა კრედიტით - ბრუნვა დებეტით

დებეტი	კრედიტი
	<u>საწყისი ნაშთი</u>
- ოპერაცია, რომელიც ამცირებს ანგარიშის მნიშვნელობას	+ ოპერაცია, რომელიც ზრდის ანგარიშის მნიშვნელობას
-	+
-	+
-----	-----
ბრუნვა დებეტით	ბრუნვა კრედიტით
-----	-----
	საბოლოო სალდო

სურ. 2.3.

უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ასევე ანგარიშების კლასიფიკაცია იმ დეტალიზაციის მიხედვით, რომელსაც ისინი ასახავენ. აქ განიხილავ სინთეზურ და ანალიზურ ანგარიშებს. სინთეზური ანგარიშები ასახავენ მხოლოდ საბოლოო თანხებს და არანაირ ინფორმაციას არ მოიცავენ დეტალებში, თუ რა დგას ციფრების უკან. ანალიზურ ანგარიშებზე კი დაწვრილებით ჩანს, თუ რა დგას ამ თანხის უკან, მისი შემადგენელი კომპონენტები. მაგალითად, სინთეზურ ანგარიშზე "მასალები" ნაჩვენები იქნება მხოლოდ მასალების ჯამური დირებულება, ანალიზურ ანგარიშზე - კი გამოჩნდება მთელი მასალების ჩამონათვალი თავისი დირებულების მითითებით.

გარდა ამისა შეგვიძლია დავამატოთ, რომ არსებობს ე.წ. მუდმივი და დროებითი აგარიშები. მუდმივ ანგარიშებში შეგვიძლია ჩამოვთვალოთ საშუალებები, ვალდებულებები და კაპიტალი. დროებით ანგარიშებში უნდა მივუთითოთ შემოსავალის, გასავლის და მოგების ანგარიშები.

ანგარიშთა გეგმა


როგორც უპვე ავღნიშნეთ, არსებობს განსხვავებული ანგარიშები საშუალებების და მათი წარმოქმნის წყაროების ასახვისათვის, უფრო მეტიც, სხვადასხვა საშუალებები და წყაროები აისახება სხვადასხვა ანგარიშებზე. ერთიანობაში ეს ანგარიშები ქმნიან ანგარიშთა გეგმას.

ანგარიშთა გეგმაში თითოეულ ანგარიშს გააჩნია თავისი ნომერი და დასახელება.

თავის მხრივ ანგარიშები გაერთიანებილია ჯგუფებში, ჯგუფები კი განაყოფებში. ანგარიშის ნომერი მიუთითებს განაყოფისა და ჯგუფის ნომერს.

ორმაგი ჩაწერა

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ნებისმიერი ბუდალტრული ოპერაცია მოიცავს ორ მოვლენას, მაგალითად, ბანკიდან სალაროში თანხის გადატანის დროს მცირდება ბანკის მონაცემები და ამავე მნიშვნელობით იზრდება სალაროს თანხა. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ოპერაცია ბუდალტრულ დოკუმენტებში უნდა აისახოს ერთდროულად ორ ანგარიშზე. თან, როგორც ჩანს მაგალითიდან, ერთ ანგარიშზე აუცილებლად დებეტის მხარეს, მეორეზე კი - კრედიტის მხარეს (სურ.2.4.). ასეთ ჩაწერას უწოდებენ ორმაგ ჩაწერას, ან ორმაგ გატარებას, ხოლო ანგარიშების დაკავშირებას ერთი ოპერაციის საშუალებით - ანგარიშთა კორესპონდენციას. არსებობს მარტივი ორმაგი ჩაწერა, როდესაც ერთმანეთს უკავშირდება მხოლოდ ორი ანგარიში, და არსებობოს რთული ორმაგი ჩაწერა, როდესაც ოპერაციაში მონაწილეობს ორზე მეტი ანგარიში.



სურ.2.4.

2.7. ამოცანები: ბალანსის შედგენა

ამოცანა №2.1.

შეადგინეთ ბალანსი შემდეგი მონაცემების მიხედვით:

- ფულადი საშუალებები – 25 550ლ
- დებიტორული დავალიანება – 13 000ლ
- შენობები – 20 000ლ
- ამორტიზაციის სარჯები – 5 050ლ
- ინვესტიციები – 2 500ლ
- კრედიტორული დავალიანება – 10 000ლ
- გრძელვალიანი დავალიანების მიმდინარე ნაწილი – 5 000ლ
- კაპიტალი – 40 000ლ
- გრძელვალიანი გალდებულებები – 11 100

ამოცანა №2.2.

საწარმოს მიმდინარე დღისთვის გააჩნია შემდეგი მონაცემები, იპოვეთ X:

- საბანკო ანგარიშები – 10 000 ლ
- სალაროში – 3 000 ლ
- დავალიანება მომწოდებელთან – 4 000 ლ
- საქონელი – 1 500 ლ
- საწესდებო კაპიტალი – 20 000 ლ
- მიწა – 12 500 ლ
- ამორტიზაციის სარჯები – 1 500 ლ
- მოკლევადანი სესხი – 3 500 ლ
- გასანალდებელი თამასუქი – 5 000 ლ
- მზა პროდუქცია – X

ამოცანა №2.3.

შეადგინეთ ბალანსი შემდეგი მონაცემების მიხედვით:

- ფულადი საშუალებები – 25 255ლ
- ფასიანი ქაღალდები – 15 000ლ
- მოგების გადასახადი – 20 000ლ
- მატერიალური სასაქონლო საშუალებები – 50 000ლ
- წინასწარ გაწეული სარჯები – 10 000ლ
- გრძელვალიანი დავალიანების მიმდინარე ნაწილი – 5 000ლ
- მიწა – 40 000ლ
- ამორტიზაციის სარჯები – 5 000ლ
- შენობები – 20 000ლ
- ინვესტიციები – 7 745
- გუდვილი – 10 500
- კრედიტორული დავალიანება – 40 500ლ
- ბანკის კრედიტი – 35 000ლ
- გასანალდებელი თამასუქები (გრძელვად) – 40 000ლ
- ჩვეულებრივი აქციები – 20 099
- გაუნაწილებელი მოგება – 22 901

3. ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა

3.1. ანგარიშთა გეგმა

ცხრილში 3.1. წარმოდგენილია ბუღალტრული ანგარიშთა გეგმა, რომელიც შესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს.

ცხრილი 3.1.

აძლივები 1000 მიმდინარე აქტივები	
1100 ნაღდი ფული საღაროში	
1110	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში
1120	ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში
1200 ფული საბანკო ანგარიშზე	
1210	ეროვნული ვალუტა რეზივენტ ბანკში
1220	უცხოური ვალუტა რეზივენტ ბანკში
1230	უცხოური ვალუტა არარეზივენტ ბანკში
1290	ფული სხვა საბანკო ანგარიშებზე
1300 მოკლევადიანი ინვესტიციები	
1310	მოკლევადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში
1320	მოკლევადიანი ინვესტიციები სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში
1330	გრძელვადიანი ინვესტიციების მიმდინარე ნაწილი
1390	სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები
1400 მოკლევადიანი მოთხოვნები	
1410	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან
1415	საეჭვო მოთხოვნების კორუქცია
1420	მოთხოვნები მეცავშირე საწარმოს მიმართ
1430	მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ
1440	მოთხოვნები ხელმძღვანელებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიმართ
1450	მოთხოვნები პარტნიორებზე გაცემული სესხიდან
1460	კაპიტალის შევსებაზე პარტნიორების გრძელვადიანი მოთხოვნის მიმდინარე ნაწილი
1470	გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი
1480	მომწოდებელზე გადახდილი ავანსები
1490	სვა მოკლევადიანი მოთხოვნები
1500 მოკლევადიანი სათამასუქო მოთხოვნები	
1510	მიღებული მოკლევადიანი თამასუქები
1520	მიღებული გრძელვადიანი თამასუქების მიმდინარე ნაწილი
1600 სასაქონლო-მატერიალური მარაგი	
1610	საქონელი
1620	ნედლეული და მასალა
1630	დაუმთავრებელი წარმოება
1640	შზა პროდუქცია
1690	სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი
1700 წინასწარ გაწეული სარჯები	
1710	წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება
1720	წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა
1790	სხვა წინასწარ გაწეული სარჯები

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

	1800 დარიცხული მოთხოვნები
1810	მისაღები დივიდენდები
1820	მისაღები პროცენტები
1890	სხვა დარიცხული მოთხოვნები
	1900 სხვა მიმდინარე აქტივები
1910	1900 სხვა მიმდინარე აქტივები
	2000 გრძელვადიანი აქტივები
	2100 ძირითადი საშუალებები
2110	მიწის ნაკვეთი
2120	დაუმთავრებელი მშენებლობა
2130	შენობები
2140	ნაგებობები
2150	მანქანა-დანადგარები
2160	ოფისის აღჭურვილობა
2170	ავეჯი და სხვა ინვენტარი
2180	სატრანსპორტო საშუალებები
2190	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა
	2200 ძირითადი საშუალებების ცვეთა
2230	შენობის ცვეთა
2340	ნაგებობების ცვეთა
2250	მანქანა-დანადგარების ცვეთა
2260	ოფისის აღჭურვილობის ცვეთა
2270	ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა
2280	სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა
2290	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის ცვეთა
	2300 გრძლევადიანი მოთხოვნები
2310	მიღებული გრძელვადიანი თამასუქები
2320	ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები
2330	მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე
2340	გადავადებული საგადასახადო აქტივი
2390	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები
	2400 გრძელვადიანი ინვესტიციები
2410	გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში
2420	გრძელვადიანი ინვესტიციები სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში
2430	მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში
2490	სხვა გრძელვადიანი ინვესტიციები
	2500 არამატერიალური აქტივები
2510	ლიცენზიები
2520	კონცესიები
2530	პატენტები
2540	გუდვილი
2590	სხვა არამატერიალური აქტივები
	2600 არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია
2610	ლიცენზიების ამორტიზაცია
2620	კონცესიების ამორტიზაცია
2630	პატენტების ამორტიზაცია
2640	გუდვილის ამორტიზაცია

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

2690	სხვა არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია
	გალდებულებები
	3000 მიმდინარე გალდებულებები
3100 მოკლევადიანი გალდებულებები	
3110	მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი გალდებულებები
3120	მიღებული ავანსები
3130	გადასახდელი ხელფასები
3140	როიალტი
3150	საკომისიო გადასახდელები
3160	გალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე
3170	გალდებულებები მეკავშირე საწარმოების წინაშე
3190	სხვა მოკლევადიანი გალდებულებები
	3200 მოკლევადიანი სესხები
3210	მოკლევადიანი სესხები
3220	სესხები პარტნიორებისაგან
3230	გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი
	3300 საგადასახადო გალდებულებები
3310	გადასახდელი მოგების გადასახადი
3320	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი
3330	გადასახდელი დღგ
3340	გადახდილი დღგ
3350	გადასახდელი აქციზი
3360	გადასახდელი აქციზი
3370	სოციალური გადასახადი
3390	სხვა საგადასახადო გალდებულებები
	3400 დარიცხული გალდებულებები
3410	გადასახდელი პროცენტები
3420	გადასახდელი დივიდენდები
3430	გალდებულება საგარანტიო მომსახურებაზე
3490	სხვა დარიცხული გალდებულებები
	4000 გრძელვადიანი გალდებულებები
	4100 გრძელვადიანი სასესხო გალდებულებები
4110	გასანაღდებელი ობლოგაციები
4120	გასანაღდებელი თამასუქები
4130	გალდებულებები ფინანსურ იჯარაზე
4140	გრძელვადიანი სესხები
4190	სხვა გრძელვადიანი სასესხო გალდებულებები
	4200 გადაფადებული გადასახადები და სხვა გრძელვადიანი გალდებულებები
4210	გადაფადებული მოგების გადასახადი
4220	სხვა გრძელვადიანი გალდებულებები
	4300 ანარიცხები
4310	საპენსიო უზრუნველყოფის ანარიცხები
4320	სხვა ანარიცხები
	4400 გადაფადებული შემოსავალი
4410	გადაფადებული შემოსავალი

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

	გაპიტალი 5000 საკუთარი კაპიტალი
	5100 საწესდებო კაპიტალი
5110	ჩვეულებრივი აქციები
5120	პრივატული აქციები
5130	გამოსყიდული საკუთარი აქციები
5140	საემისიო კაპიტალი
5150	საწესდებო კაპიტალი შპს-ზი
	5200 პარტნიორთა კაპიტალი (შეზღუდული ქონებრივი პასუხისმგებლობის არმქონებაზე)
5210	პარტნიორთა კაპიტალი
	5300 მოგება/ზარალი
5310	გაუნაწილებელი მოგება
5320	გაუფარავი ზარალი
5330	საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი
	5400 რეზერვები და დაფინანსება
5410	სარეზერვო კაპიტალი
5420	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი
5430	ინვესტიციების გადაფასების რეზერვი
5490	სხვა რეზერვები და დაფინანსება
	6000 საოპერაციო შემოსავლები
	6100 საოპერაციო შემოსავლები
6110	შემოსავალი რეალიზაციიდან
6120	გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა
6190	სხვა საოპერაციო შემოსავლები
	7000 საოპერაციო ხარჯები
	7100 რეალიზაბული პროდუქციის თვითღირებულება (პროდუქციის მწარმოებელ და მომსახურების სფეროს საწარმოებისათვის)
7110	ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა
7120	პირდაპირი ხელფასი
7130	სოციალური დანარიცხები პირდაპირ ხელფასზე
7140	დამსახურე მასალების დანახარჯები/შეძენა
7150	არაპირდაპირი ხელფასი
7160	სოციალური დანარიცხები არაპირდაპირ ხელფასზე
7170	ცვეთა და ამორტიზაცია
7180	სოციალური დანარიცხები არაპირდაპირ ხელფასზე
7185	სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება
7190	სხვა საოპერაციო ხარჯები
	7200 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (საგაჭრო საწარმოებისათვის)
7210	გაყიდული/შეძენილი საქონელი
7220	შეძენილი საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა
7290	სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება
	7300 მიწოდების ხარჯები
7310	რეკლამის ხარჯები
7320	შრომის ანაზღაურება და საკომისიო გასამრჯელო
7330	შრომის ანაზღაურებაზე დანარიცხები
7340	ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

7390	მიწოდების სხვა ხარჯები
7400 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	
7410	შრომის ანაზღაურება
7415	სოციალური დანარიცხები
7420	საიჯარო ქირა
7425	საოფისე ინვენტარი
7430	კომუნიკაციის ხარჯები
7435	დაზღვება
7440	რემონტი
7445	კომპიუტერის ხარჯები
7450	საკონსულტაციო ხარჯები
7455	ცვეთა და ამორტიზაცია
7460	საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები
7465	სხვა საგადასახადო ხარჯი
7490	სხვა საერთო ხარჯი
8000 არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები	
8100 არასაოპერაციო შემოსავლები	
8110	საპროცენტო შემოსავლები
8120	დიფიდენდები
8130	არასაოპერაციო მოგება
8190	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი
8200 არასაოპერაციო ხარჯი	
8210	საპროცენტო ხარჯი
8220	არასაოპერაციო ზარალი
8290	სხვა არასაოპერაციო ხარჯები
9000 განსაკუთრებული და სხვა შემოსავლები და ხარჯები	
9100 განსაკუთრებული შემოსავლები და ხარჯები	
9110	განსაკუთრებული შემოსავალი
9120	განსაკუთრებული ხარჯი
9200 სხვა ხარჯები	
9210	მოგების გადასახადი

3.2. ანგარიშთა გეგმის აღწერა

თანამედროვე ანგარიშთა გეგმა შედგება ორი დიდი ნაწილისაგან: აქტივი და პასივი (ვალდებულებები და კაპიტალი). აქტივების ნაწილში შედის ორი განაყოფი: მიმდინარე აქტივები და გრძელვადიანი აქტივები. ვალდებულებების ნაწილში შედის შემდეგი განაყოფები: მიმდინარე ვალდებულებები, გრძელვადიანი ვალდებულებები, კაპიტალში კი - საკუთარი კაპიტალი. ცალკე შეგვიძლია დავასახელოთ შემდეგი განაყოფები: საოპერაციო შემოსავლები, საოპერაციო ხარჯები, არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები, განსაკუთრებული და სხვა შემოსავლები და ხარჯები.

თავის მხრივ, განაყოფებში შედის ანგარიშების ჯგუფები. ჯგუფი ფაქტიურად წარმოადგენს სინთეზურ ანგარიშს. ჯგუფებში კი არის ანალიზური ანგარიშები.

თითოეული ანგარიშის ნომერი არის ოთხნიშნა: პირველი ციფრი არის განაყოფის ნომერი, მეორე არის ჯგუფის ნომერი, მესამე და მეოთხე - ანგარიშის ნომერი ამ ჯგუფში.

განვიხილოთ ანგარიშები.

პირველ განაყოფში “1000 - მიმდინარე აქტივები” შედის ანგარიშთა ცხრა ჯგუფი:

- 1100 – ნაღდი ფული სალაროში
- 1200 – ფული საბანკო ანგარიშზე
- 1300 – მოკლევადიანი ინვესტიციები
- 1400 – მოკლევადიანი მოთხოვნები
- 1500 – მოკლევადიანი სათამასუქო მოთხოვნები
- 1600 - სასაქონლო-მატერიალური მარაგი
- 1700 - წინასწარ გაწეული ხარჯები
- 1800 - დარიცხული მოთხოვნები
- 1900 – სხვა მიმდინარე აქტივები

“1100 – ნაღდი ფული სალაროში” – აქ აისახება ის თანხა, რომელიც გააჩნია საწარმოო-ორგანიზაციას თავის სალაროში, აგრეთვე სალაროში თანხის შემოსვლა და გასვლა. ჯგუფში შედის ორი ანგარიში:

“1110 – ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში”

“1120 – ნაღდი ფული უცხოური ვალუტაში” - უცხოური ვალუტა აისახება ეროვნულ ვალუტაში არსებული კურსით.

“1200 – ფული საბანკო ანგარიშზე” – ამ ჯგუფში აღირიცხება ის თანხები, რომელიც გააჩნია ორგანიზაციას საბანკო ანგარიშზე, აგრეთვე ამ ანგარიშზე აისახება ამ თანხების მოძრაობა. ჯგუფში შედის 4 ანგარიში:

“1210 – ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში” – გამოიყენება

ადგილობრივ ბანკებში ეროვნული ვალუტის აღსარიცხავად

“1220 – უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში” –

გამოიყენება ადგილობრივ ბანკებში უცხოური ვალუტის აღსარიცხავად

“1230 – უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში”

“1290 – ფული სხვა საბანკო ანგარიშებზე”

“1300 – მოკლევადიანი ინვესტიციები” – გამოიყენება იმ ინვესტიციების აღსარიცხავად, რომელთა საწარმოში გაჩერება გათვალისწინებულია ერთ წელზე ნაკლები ვადით. ამ ანგარიშზე აღირიცხება საწარმოთა ფასიანი ქაღალდები, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები და გრძელვადიანი ინვესტიციების ის ნაწილი, რომელთა გასხვისება გათვალისწინებულია საანგარიშო პერიოდის მომდევნო წელს:

“1310 - მოკლევადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში”

“1320 – მოკლევადიანი ინვესტიციები სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში”

“1330 – გრძელვადიანი ინვესტიციების მიმდინარე ნაწილი”

“1390 – სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები”

“1400 – მოკლევადიანი მოთხოვნები” – ამ ანგარიშებზე აისახება ის დებიტორული დავალიანება, რომელთა განაღდება გათვალისწინებულია ერთ წლამდე პერიოდში:

“1410 – მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურეობიდან” - გამოიყენება საწარმოდან მყიდველებისათვის საქონლის მიწოდებასა და მომსახურეობის გაწევასთან დაკავშირებით წარმოშობილ

დებიტორულ დავალიანებაში მომხდარი ცვლილებების აღსარიცხავად

“1415 – საეჭვო მოთხოვნების კორექტირება” – ყველა დებიტორული დავალიანების ამოღება შეუძლებელია, ამიტომაც აუცილებელია საეჭვო

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

- მოთხოვნებისათვის გაიხსნას ცალკე ანაგრიში, რომელიც არეგულირებს ბალანსში მოთხოვნების გადასატან ნაშთს
- “1420 - მოთხოვნები მოკავშირე საწარმოს მიმართ” - გამოიყენება მეგავშირე საწარმოებთან ანგარიშსწორებათა აღსარიცხავად
- “1430 - მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ” - გამოიყენება საწარმოს მუშაკების (გარდა ხელმძღვანელებისა და დამფუძნებლებისა) მიმართ წარმოშობილი დებიტორული დავალიანების აღსარიცხავად
- “1440 - მოთხოვნები ხელმძღვანელებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიმართ” - გამოიყენება საწარმოს ხელმძღვანელებისათვის ერთ წლამდე ვადით გაცემული სესხების აღსარიცხავად
- “1450 - მოთხოვნები პარტნიორებზე გაცემული სესხებიდან” - გამოიყენება საწარმოს დამფუძნებლებისათვის ერთ წლამდე ვადით გაცემული სესხების აღსარიცხავად
- “1460- კაპიტალის შევსებაზე პარტნიორების გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი” - განკუთვნილია საწარმოს პარტნიორების მიერ საწესდებო კაპიტალის შევსებასთან დაკავშირებული ნაკისრი გალდებულებების იმ ნაწილის აღსარიცხავად, რომელიც პარტნიორმა უნდა დაფაროს ერთი წლის განმავლობაში
- “1470 - გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი” - ის გრძელვადიანი მოთხოვნები, რომელთა გადახდის ბოლო ვადა ექცევა საანგარიშო პერიოდში, გადატანილ უნდა იქნას აღნიშნულ ანგარიშზე
- “1480 - მომწოდებელზე გადახდილი ავანსები” - განკუთვნილია მომწოდებლისათვის ავანსად გადახდილი თანხების აღსარიცხავად
- “1490 - სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები”
- “1500 - მოკლევადიანი სათამასუქო მოთხოვნები” - განკუთვნილია მუიდველების, დამკვეთებისა და სხვა დებიტორების მიმართ წარმოშობილი ისეთი მოთხოვნების აღსარიცხავად, რომელიც უზრუნველყოფილია თამასუქებით:
- “1510 - მიღებული მოკლევადიანი თამასუქები”
- “1520 - მიღებული გრძელვადიანი თამასუქების მიმდინარე ნაწილი”
- “1600 - სასაქონლო-მატერიალური მარაგი” - განკუთვნილია მატერიალური მარაგისა და დაუმთავრებელი წარმოების აღსარიცხავად:
- “1610 - საქონელი”
- “1620 - ნედლეული და მასალები”
- “1630 - დაუმთავრებელი წარმოება”
- “1640 - მზა პროდუქცია”
- “1690 - სხვა სასაქონლო - მატერიალური მარაგი”
- “1700 - წინასწარ გაწეული ხარჯები” - განკუთვნილია მომავალ პერიოდში მისადები ეკონომიკური სარგებლისათვის გაწეული გასავლების აღსარიცხავად. მას შეიძლება გააჩნდეს შემდეგი ანგარიშები:
- “1710 - წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება”
- “1720 - წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა”
- “1730 - სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები”
- “1800 - დარიცხული მოთხოვნები” - განკუთვნილია პროცენტებისა და დივიდენდების სახით წარმოშობილი მოთხოვნების აღსარიცხავად
- “1810 - მისადები დივიდენდები”
- “1820 - სხვა დარიცხული მოთხოვნები”

“1900 – სხვა მიმდინარე აქტივები”

მეორე განაყოფში ”2000 – გრძელვადიანი აქტივები” შედის ანგარიშების აქტივები:

- 2100 – ძირითადი საშუალებები
- 2200 - ძირითადი საშუალებების ცვეთა
- 2300 – გრძელვადიანი მოთხოვნები
- 2400 – გრძლევადიანი ინვესტიციები
- 2500 – არამატერიალური აქტივები
- 2600 – არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია

“2100 – ძირითადი საშუალებები” – განკუთვნილია იმ მატერიალური საშუალებების აღსარიცხვად, რომლის მომსახურების ვადა ერთ წელს აღემატება. ამ სინთეზურ ანგარიშს ესხნება შემდეგი ქვეანგარიშები:

- “2110 – მიწის ნაკვეთები”
- “2120 – დაუმთავრებელი მშენებლობა”
- “2130 – შენობები”
- “2140 – ნაგებობები”
- “2150 – მანქანა-დანადგარები”
- “2160 – ოფისის აღჭურვილობა”
- “2170 – ავეჯი და სხვა ინვენტარი”
- “2180 – სატრანსპორტო საშუალებები”
- “2190 – იჯარით აღებული ქონების კეთილ მოწყობა”

”2200 - ძირითადი საშუალებების ცვეთა” – განკუთვნილია ძირითადი საშუალებების ცვეთის აღსარიცხვად. ცვეთა ერიცხება სააღრიცხვო მიზნებიდან გამომდინარე საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით დადგენილი რომელიმე ნებადართული მეთოდის გამოყენებით. ეს ანგარიში ემსახურება ძირითადი საშუალებების საბალანსო დირექტულების დადგენას. ამიტომაც აქ იხსნება ძირითადი საშუალებების თითოეული ანგარიშისათვის ცალკე ქვეანგარიში:

- “2230 – შენობის ცვეთა”
- “2240 – ნაგებობების ცვეთა”
- “2250 – მანქანა-დანადგარების ცვეთა”
- “2260 – ოფისისი აღჭურვილობის ცვეთა”
- “2270 – ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა”
- “2280 – სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა”
- “2290 – იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის ცვეთა”

”2300 – გრძელვადიანი მოთხოვნები” - განკუთვნილია იმ მოთხოვნების აღსარიცხვად, რომელთა განაღდება გათვალისწინებულია ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ ცოტა ერთი წლის შემდეგ. ასეთი მოთხოვნები შეიძლება დაკავშირებული იყოს გრძელვადიანი კრედიტით საქონლის გაყიდვასთან, სავალო ვალდებულებების მიღებასთან, ქონების ფინანსური იჯარით გაცემასთან და ა.შ. გრძელვადიანი მოთხოვნები, რომელთა განაღდება მოხდება ბალანსის შედგენის თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში, საანგარიშგებო წლის ბოლომდე გადატანილ უნდა იქნას მოკლევადიანი მოთხოვნების ანგარიშზე:

- “2310 – მიღებული გრძელვადიანი თამასუქები”
- “2320 – ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები”
- “2330 – მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე”
- “2340 – გადავადებული საგადასახადო აქტივი”

“2390 – სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები“

“2400 – გრძელვადიანი ინვესტიციები” - განკუთვნილია სხვა მეურნე სუბიექტის კაპიტალში ხანგრძილივი ვადით (ერთ წელზე მეტი) დაბანდებული თანხების აღსარიცხავად. ინვესტიცია შეიძლება განხორციელებული იყოს ობლიგაციების, აქციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენის გზით, შპს-ში წილობრივი მონაწილეობით ან სხვა ფორმით. ამ ანგარიშს ეხსნება შემდეგი ანალიზური ანგარიშები:

“2410 – გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში“

“2420 – გრძელვადიანი ინვესტიციები სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში“

“2430 – მონაწილეობა სხვა საზოგადოებებში“

“2490 – სხვა გრძელვადიანი ინვესტიციები“

“2500 – არამატერიალური აქტივები” - განკუთვნილია კონცესიების, პატენტების, სავაჭრო ნიშნების, გუდვილის და სხვა არამატერიალური აქტივების აღსარიცხავად. არამატერიალური აქტივები შეიძლება კლასიფიცირებულ იქნას შემდეგ ანგარიშებად:

“2510 – ლიცენზიები“

“2520 – კონცესიები“

“2530 – პატენტები“

“2540 – გუდვილი“

“2590 – სხვა არამატერიალური აქტივები“

“2600 – არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია” - განკუთვნილია არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის გზით შემცირებული ღირებულების დასაგროვებლად. მოცემული სითხეზე ანგარიშისათვის იხსნება ქვეანგარიშები არამატერიალური აქტივების ანგარიშების შესაბამისად.

“2610 – ლიცენზიების ამორტიზაცია“

“2620 – კონცესიების ამორტიზაცია“

“2630 – პატენტების ამორტიზაცია“

“2640 – გუდვილის ამორტიზაცია“

“2690 – სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია“

ანგარიშთა გეგმის მეორე ნაწილი “გაღდებულებები” იწყება შემდეგი განაყოფით: **“3000 მიმდინარე გაღდებულებები”** - ამ განაყოფში არის ანგარიშების ოთხი ჯგუფი, ესენია:

3100 – მოკლევადიანი გაღდებულებები

3200 - მოკლევადიანი სესხები

3300 – საგადასახადო გაღდებულებები

3400 – დარიცხული გაღდებულებები

”3100 – მოკლევადიანი გაღდებულებები” - განკუთვნილია იმ მოკლევადიანი გაღდებულებების აღსარიცხავად, რომელიც დაკავშირებულია საწარმოსათვის მოწოდებული საქონლის, მასალების და სხვა აქტივების ღირებულების, ასევე საწარმოსათვის გაწეული მომსახურების ან საწარმოში დახარჯული შრომის ანაზღაურებასთან. აღნიშნული გაღდებულება წარმოშვება სახელშეკრულებო პირობებიდან და როგორც წესი, განსხვავებული ბუნების მატარებლები არიან. აქ იხსნება შემდეგი ანგარიშები:

“3110 – მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი გაღდებულებები“

“3120 – მიღებული ავანსები“

- “3130 – გადასახდელი ხელფასი“
- “3140 – როიალტი“
- “3150 – საკომისიო გადასახდელები“
- “3160 – ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე“
- “3170 – ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების წინაშე“
- “3190 – სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები“

“3200 – მოკლევადიანი სესხები“ - განკუთვნილია საწარმოს იმ სასესხო ვალდებულებების აღსარიცხავად, რომელთა გადახდა უნდა მოხდეს სესხის მიღებიდან ერთ წლამდე ვადაში. მოცემულ ანგარიშზე აგრეთვე აღირიცხება გრძელვადიანი სესხის ის ნაწილი, რომელიც უნდა დაიფაროს ბალანსის შედგენის თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში. მოცემულ სინთეზურ ანგარიშს ეხსნება ანგარიშები:

- “3210 – მოკლევადიანი სესხები“
- “3220 – სესხები პარტნიორებისაგან“
- “3230 – გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი“

“3300 – საგადასახადო ვალდებულებები“ - განკუთვნილია საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადების აღსარიცხავად. არაპირდაპირი გადასახადების (აქციზი, დღგ) აღრიცხვის მიზნით მოცემული ანგარიშების შემადგენლობაში ცალკე გამოყოფილია აქტიური ანგარიშები მოწოდებასთან დაკავშირებით გადახდილ და ბიუჯეტობაზე ურთიერთობაში ჩასათვლელ გადასახადებისათვის. აქ გვაქვს შემდეგი ანგარიშები:

- “3310 – გადასახდელი მოგების გადასახადი“
- “3320 – გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი“
- “3330 – გადასახდელი დღგ“
- “3340 – გადახდილი დღგ“
- “3350 – გადასახდელი აქციზი“
- “3360 – გადახდილი აქციზი“
- “3370 – სოციალური გადასახადი“
- “3390 – სხვა საგადასახადო ვალდებულებები“

“3400 – დარიცხული ვალდებულებები“ - განკუთვნილია შესაბამისობისა და დარიცხვის პრინციპის მოთხოვნათა შესაბამისად საწარმოს მიერ აღიარებული ვალდებულებების აღსარიცხავად. ეს ხარჯები შეიძლება დაკავშირებული იყოს ხარჯების ზრდასთან ან გაუნაწილებელი მოგების შემცირებასთან. აქ იხსნება შემდეგი ანგარიშები:

- “3410 – გადასახდელი პროცენტი“
- “3420 – გადასახდელი დივიდენდი“
- “3430 – ვალდებულება საგარანტიო მომსახურებაზე“
- “3490 – სხვა დარიცხული ვალდებულებები“

შემდეგი განაყოფია “4000 – გრძელვადიანი ვალდებულებები”. აქ გაგვაჩნია ანგარიშთა 4 ჯგუფი:

4100 – გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები
4200 – გადავადებული გადასახადები და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები
4300 – ანარიცხები
4400 – გადავადებული შემოსავლები

“4100 – გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები“ - განკუთვნილია საწარმოს მიერ ერთ წელზე მეტი ვადით აღებული სასესხო ვალდებულებების აღსარიცხავად. იგი

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

ითვალისწინებს ფასიანი ქაღალდების მოსალოდნელ მიმოქცევას, აქ იხსნება შემდეგი ანგარიშები:

- “4110 – გასანაღდებელი ობლიგაციები”
- “4120 – გასანაღდებელი თამასუქები”
- “4130 – ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე”
- “4140 – გრძელვადიანი სესხები”
- “4190 – სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები”

“4200 – გადავადებული გადასახადები და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები” - უმთავრესად ეს ანგარიში უკავშირდება ხარჯებისა და შემოსავლების აღიარებისადმი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და საგადასახადო კოდექსის განსხვავებულ მიღობას. კერძოდ, მოგების გადასახადი ერიცხება საწარმოს მიერ არჩეული სააღრიცხვო პოლიტიკით გამოთვლილ მოგებას. მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში თუ საგადასახადო მიზნებისათვის დარიცხული ცვეთა და ამორტიზაცია მეტი აღმოჩნდება ფინანსური ანგარიშების მიზნებით დარიცხულზე, მაშინ საგადასახადო ხარჯი მეტი იქნება ვიდრე საგადასახადო ვალდებულება, რომელიც მომავალ პერიოდში დროებითი სხვაობის გაწონასწორების მიზნით საგადასახადო ვალდებულებად იქცევა. სწორედ დროებითი სხვაობით გამოწვეული საგადასახადო ვალდებულება უნდა იქნას გადავადებული. ამ მიზნით იხსნება შემდეგი ანგარიშები:

- “4210 – გადავადებული მოგების გადასახადი”
- “4220 – სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები”

“4300 – ანარიცხები” – განკუთვნილია მომავალ პერიოდში მოსალოდნელი ისეთი გასავლების აღსარიცხვად, რომელთა წარმოშობის საფუძველი საანგარიშგებო პერიოდში არსებობდა. ანარიცხები კეთდება საწარმოს მუშაკთა საპენსიო უზრუნველყოფის, ძირითად საშუალებათა რემონტის ან სხვა გრძელვადიანი მიზნებისათვის. ანარიცხები იქმნება დარიცხვის მეთოდისა და წინდახედულობის პრინციპის მოთხოვნათა გათვალისწინებით. აქ იხსნება შემდეგი ანგარიშები:

- “4310 – საპენსიო უზრუნველყოფის ანარიცხები”
- “4320 – სხვა ანარიცხები”

შემდეგი განაყოფი არის “5000 – საკუთარი კაპიტალი”: ამ განაყოფში არის ანგარიშების 4 ჯგუფი:

- 5100 – საწესდებო კაპიტალი
- 5200 – პარტნიორთა კაპიტალი
- 5300 – მოგება/ზარალი
- 5400 – რეზერვები და დაფინანსება

“5100 – საწესდებო კაპიტალი” - განკუთვნილია შეზღუდული ქონებრივი პასუხისმგებლობის საზოგადოების (სს, შპს) საწესდებო კაპიტალის აღსარიცხვად. სს-ში განსხვავებული სახის აქციების არსებობის გამო აქ იხსნება შემდეგი ანგარიშები:

“5110 – ჩვეულებრივი აქციები” – აქ აღირიცხება საწარმოს მიერ გამოშვებული (აქციონერთა ხელთარსებული) ჩვეულებრივი აქციები ნომინალური ღირებულებით

“5120 – პრივილიგირებული აქციები” – განკუთვნილია პრივილიგირებულია აქციების აღსარიცხვად ნომინალური ღირებულებით

“5130 – გამოსყიდული საკუთარი აქციები” – აქ აღირიცხევა საწარმოს მიერ გამოსყიდული საკუთარი აქციები შექმნის ღირებულებით

“5140 – საემისიო კაპიტალი” – განკუთვნილია პირველად ბაზარზე აქციების გაყიდვისას ნომინალურ ღირებულებასა და გასაყიდ ფასს შორის სხვაობის აღსარიცხვად. როგორც წესი, აქციები პირველად ბაზარზე იყიდება ნომინალური ღირებულებით ან მასზე მეტი ღირებულებით. ეს მეტობა არ ექვემდებარება

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

აქციონერებს შორის განაწილებას და გამოიყენება აქციების მეორად ბაზარზე გაყიდვის შემდეგ მიღებული ზარალის დასაფარავად
“5150 – საწესდებო კაპიტალი შპს-ში”

“5200 – პარტნიორთა კაპიტალი (შეზღუდული პასუხისმგებლობის არმქონე საზოგადოება)” – ეს სინთეზური ანგარიში განკუთვნილია იმ საწარმოთა პარტნიორების საკუთარი კაპიტალის მოძრაობის აღსარიცხავად, რომელთაც შეზღუდული ქონებრივი პასუხისმგებლობა არ გააჩნიათ (ინდივიდუალური საწარმო, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება), აქ ისხება მხოლოდ ერთი ანგარიში, ვინაიდან ამ საზოგადოებებს არ გააჩნიათ რეზერვებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშები:

“5210 – პარტნიორთა კაპიტალი“

“5300 – მოგება/ზარალი” – განკუთვნილია საწარმოში მირებული მოგების (ზარალის) აღსარიცხავად. მოცემულ ანგარიშში გროვდება მონაცემები როგორც მიმდინარე წლის ფინანსურ შედეგზე, ასევე გასულ წლებში მიღებულ გაუნაწილებელ მოგებაზე და დაუფარავ ზარალზე. შესაბამისად, აქ გვაქვს შემდეგი ანგარიშები:

“5310 – გაუნაწილებელი მოგება” – გამოიყენება საწარმოში მიღებული მოგების იმ ნაწილის აღსარიცხავად, რომელიც ბალანსის შედგენის თარიღისათვის გამოიყენებული არ არის,

“5320 – დაუფარავი ზარალი” – განკუთვნილია მიღებული ზარალისა და მისი მომდევნო პერიოდში დაფარვის აღსარიცხავად,

“5330 – საანგარიშებო პერიოდის მოგება/ზარალი” – გამოიყენება საანგარიშო პერიოდის ფინანსური შედეგის (მოგება ან ზარალი) დასადგენად. იგი დროებითა.

“5400 – რეზერვები და დაფინანსება” – განკუთვნილია საწარმოში შექმნილი რეზერვებისა და მიღებული მიზნობრივი დაფინანსების აღსარიცხავად. აქ გაგვაჩნია შემდეგი ანგარიშები:

“5410 – სარეზერვო კაპიტალი” – ეს ანგარიში უზრუნველყოფს საწარმოში გარკვეული მიზნით შექმნილი რეზერვის აღრიცხვას. რეზერვის შევსებისათვის ორი წყარო არსებობს – შემოსავალი დაბეგვრამდე და წმინდა მოგება.

“5420 – ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი” – განკუთვნილია გადაფასების შედეგების აღსარიცხვად

“5430 – ინვესტიციების – გადაფასების რეზერვი”

“5490 – სხვა რეზერვები და დაფინანსება“

ბალანსის შემდეგი განაყოფია “6000 – საოპერაციო შემოსავლები” – აქ განიხილავენ ერთ სინთეზურ ანგარიშს:

6100 – საოპერაციო შემოსავლები

“6100 – საოპერაციო შემოსავლები” - განკუთვნილია სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების აღსარიცხავად. იგი გამოიყენება მზა პროდუქციისა და საქონლის გაყიდვიდან, სამუშაოს შესრულებიდან და მომსახურეობის გაწევიდან მიღებული შემოსავლების აღსარიცხავად

“6100 – საოპერაციო შემოსავლები“

“6110 – შემოსავალი რეალიზაციიდან“

“6120 – გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა“

“6190 – სხვა საოპერაციო შემოსავლები“

შემდეგი განაყოფი არის “7000 – საოპერაციო ხარჯები” – მასში არის 4 სინთეზური ანგარიში:

- 7100 - რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება
- 7200 - რეალიზებული საქონლის თვითღირებულება
- 7300 - მიწოდების ხარჯები
- 7400 - საერთო და აღმინისტრაციული ხარჯები

“7100 – რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (პროდუქციის მწარმოებელ და მომსახურეობის სფეროს საწარმოებისათვის)” – განკუთვნილია ხარჯების აღსარიცხავად მწარმოებელ საწარმოებებში

- “7110 – ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა“
- “7120 – პირდაპირი ხელფასი“
- “7130 – სოციალური დანარიცხები პირდაპირ ხელფასზე“
- “7140 – დამხმარე მასალების დანახარჯები/შეძენა“
- “7150 – არაპირდაპირი ხელფასი“
- “7160 – სოციალური დანარიცხები არაპირდაპირ ხელფასზე“
- “7170 – ცვეთა და ამორტიზაცია“
- “7180 – რემონტის დანახარჯები“
- “7185 – სასაქონლო მატერიალური მარაგის კორექტირება“
- “7190 – სხვა საოპერაციო ხარჯები“

“7200 – რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (საგაჭრო საწარმოებისათვოს)” – განკუთვნილია რეალიზებული საქონლის თვითღირებულების აღსარიცხავად. სინთეზურ ანგარიშს ეხსნება შემდეგი ქვეანგარიშები:

- “7210 – გაყიდული/შეძენილი საქონელი“
- “7220 – შეძენილი საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა“
- “7290 – სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება“

“7300 – მიწოდების ხარჯები” – განკუთვნილია პროდუქციისა და საქონლის რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების აღსარიცხავად. აქ არის შემდეგი ანგარიშები:

- “7310 – რეკლამის ხარჯები“
- “7320 – შრომის ანაზღაურება და საკომისიო გასამრჯელო“
- “7330 – შრომის ანაზღაურებაზე დანარიცხები“
- “7340 – ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები“
- “7390 – მიწოდების სხვა ხარჯები“

“7400 – აღმინისტრაციული და სხვა ხარჯები” – განკუთვნილია იმ დანახარჯების აღსარიცხავად, რომელიც შესული არ არის მზა პროდუქციისა და რეალიზებული საქონლის თვითღირებულებაში. ესენია საწარმოს მმართველობასთან დაკავშირებული დანახარჯები. იგი მოიცავს აღმინისტრაციის ხელფასს თავისი დანარიცხებით, საერთო დანიშნულების ძირითადი საშუალებების ცვეთას და რემონტის დანახარჯებს, არამატერიალური აქტივების ცვეთას, ტელესაკომუნიკაციო მომსახურების დანახარჯებს, იურიდიული, აუდიტორული, საკონსულტაციო და სხვა მომსახურების დანახარჯებს, საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებულ და სხვა დანახარჯებს. ამ სინთეზურ ანგარიშს ეხსნება შემდეგი ქვეანგარიშები:

- “7410 – შრომის ანაზღაურება“
- “7415 – სოციალური დანარიცხები“

- “7420 – საიჯარო ქირა“
- “7425 – საოფისე ინვენტარი“
- “7430 – კომუნიკაციის ხარჯები“
- “7435 – დაზღვევა“
- “7440 – რემონტი“
- “7445 – კომპიუტერის ხარჯები“
- “7450 - საკონსულტაციო ხარჯები“
- “7455 – ცვეთა და ამორტიზაცია“
- “7460 – საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები“
- “7465 – სხვა საგადასახადო ხარჯი“
- “7490 – სხვა საერთო ხარჯი“

შემდეგ მოდის განაყოფი “8000 – არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები”: აქ გაგვაჩნია შემდეგი სინთეზური ანგარიშები:

- 8100 – არასაოპერაციო შემოსავლები
- 8200 – არასაოპერაციო ხარჯები

“8100 – არასაოპერაციო შემოსავლები” - - განკუთვნილია საწარმოს არასაოპერაციო ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების აღსარიცხავად. ამ ანგარიშს ეხსნება შემდეგი ანგარიშები:

- “8110 – საპროცენტო შემოსავალი” – პროცენტის აღიარება მათზე სამართლებლივი უფლების წარმოშობის დღიდან, ე.ი. მათ ფაქტიურ მიღებამდე.
- “8120 – დივიდენდები” – დივიდენდის აღიარება მასზე სამართლებლივი უფლების წარმოშობის დღიდან, ე.ი. მის ფაქტიურ მიღებამდე.
- “8130 – არასაოპერაციო მოგება” – ეს ანგარიში აღრიცხავს იმ ფინანსურ შედეგს, რომელიც ფაქტიურად გამოვლენილი იქნება სამეურნეო წლის განმავლობაში არასამეწარმეო საქმიანობის შედეგად, მაგ. საწარმოს ძირითადი საშუალებების გაყიდვა, უცხოური ვალუტით განორციელებული ოპერაციით მოგების მიღება, საიჯარო შემოსავლები და ა.შ.
- “8190 – სხვა არასაოპერაციო შემოსავალი”

“8200 – არასაოპერაციო ხარჯები” – განკუთვნილია არასამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების აღსარიცხავად. ანგარიშს ეხსნება ანგარიშები:

- “8210 – საპროცენტო ხარჯები”
- “8220 – არასაოპერაციო ზარალი”
- “8290 – სხვა არასაოპერაციო ხარჯები”

ბოლო განაყოფი ანგარიშთა გეგმაში არის “9000 – განსაკუთრებული და სხვა შემოსავლები და ხარჯები” – აქ გაგვაჩნია შემდეგი სინთეზური ანგარიშები:

- 9100 - განსაკუთრებული შემოსავლები და ხარჯები
- 9200 – სხვა ხარჯები

“9100 - განსაკუთრებული შემოსავლები და ხარჯები” – განკუთვნილია იმ სამეურნეო მოვლენების ფინანსური შედეგების აღსარიცხავად, რომელიც უჩვეულოა თავისი ბუნებით და იშვიათად შეიძლება მოხდეს. ასეთ მოვლენათა რიგს მიეკუთვნება აქტივების კონფისკაცია, ექსპროპრიაცია, მიწისძვრა ან სხვა სტიქიური უბედურება.

- “9110 – განსაკუთრებული შემოსავლები”
- “9120 – განსაკუთრებული ხარჯები”

“9200 – სხვა სარჯები” – განკუთვნილია მოგებიდან გადასახადის სარჯის აღსარიცხვად. მისი ოდენობა განისაზღვრება საწარმოს წმინდა შემოსავლიდან საგადასახადო კოდექსით დადგენილი მოგების გადასახადის ტარიფიდან გამომდინარე, აქ არის ანგარიში:

“9210 – მოგების გადასახადი”

3.3. ამოცანები: გატარებები, ბალანსის შედგენა

ამოცანა №3.1.

გაატარეთ შემდეგი ოპერაციები და შეადგინეთ საბოლოო ბალანსი.

- დამფუძნებლისაგან მიღებულია საწესდებო კაპიტალი - 5000 ლარი
- აღებულ იქნა საბანკო კრედიტი - 10000 ლარი, თანხა შეტანილია საბანკო ანგარიშზე
- შეძენილ იქნა საქონელი - 4000ლ. თანხა გადახდილია მთლიანად უნაღდო ანგარიშწორებით
- 2000 ლარის საქონელს გაუკეთდა რეალიზაცია 6000 ლარად, მყიდველმა გადაიხადა 3500 ლარი ნაღდი ფული, ხოლო დანარჩენი 2500 ლარის აიღო ვალდებულება, რომ დაფარავდა თანხას 30 დღეში,
- კომპანიამ შეიძინა ავტომანქანა 7000 ლარად. კომპანიამ გადაიხადა 2000 ლარი ნაღდი ფულით, ხოლო დანარჩენი 5000 ლარის შესაბამისად გასცა თამასუქი
- ფირმის დირექტორმა მოხსნა ფირმის ანგარიშიდან 1000 ლარი საკუთარი მიზნებისათვის, რაც უნდა დააბრუნოს 10 დღეში

ამოცანა №3.2.

ორგანიზაციას გააჩნია შემდეგი მონაცემები:

- საბანკო ანგარიშზე – 50 000 ლ
- საწესდებო კაპიტალი – 100 000 ლ
- შენობა – 30 000 ლ
- ნაღდი ფული სალაროში – 25 000 ლ
- მოთხოვნა პერსონალის მიმართ – 1 500 ლ
- ავტომანქანა – 12 500 ლ
- გასანალდებელი თამასუქი – 20 000 ლ
- გადასახდელი პროცენტები – 3 500 ლ
- გრძელვადიანი სესხი – 7 000 ლ
- მზა პროდუქცია – 11 500 ლ

გაატარეთ შემდეგი ოპერაციები და შეადგინეთ საბოლოო ბალანსი:

- შეძენილია მედლეული 5 000 ლარის და საქონელი 7 000 ლარის. თანხა გადარიცხულია საბანკო ანგარიშიდან.
- შეძენილია მიწის ნაკვეთი 20 000 ლარად, რაზედაც გაცემულია თამასუქი.
- რეალიზებულია 5 500 ლარის პროდუქცია 10 000 ლარად. 2 000 შემოვიდა ნაღდი ფულით, 5 000 გადმორიცხულია საბანკო ანგარიშზე, დანარჩენის მყიდველმა გასცა თამასუქი.
- გაცემულია პერსონალზე ავანსი 300 ლარი ნაღდი ფულით.
- შეძენილია სადაზღვევო პოლისი 3 000 ლარად. თანხა დაფარულია ნაღდი ფულით.

4. ოპერაციებისა და ანგარიშების დახასიათება

4.1. ბალანსის ცვლილებები

საშუალებების, ვალდებულებებისა და კაპიტალის მოცულობა საწარმოს საქმიანობიდან გამომდინარე დღითიდღე იცვლება. ამიტომაც იცვლება ის თანხები, რომელიც ასახულია ბალანსში.

ტრანსაქცია არის ის ოპერაცია, რომელიც აისახება ბუღალტრულ ჩანაწერებში. ტრანსაქციის ჩაწერას უწოდებენ გატარებას. ნებისმიერი ტრანსაქცია იწვევს სულ ცოტა ორ ცვლილებას ანგარიშებზე (ორმაგი ჩაწერა). მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ რა ცვლილებებიც არ უნდა მოხდეს ანგარიშებზე, არ ირდვევა ბალანსის ძირითადი განტოლება:

$$\text{საშუალებები} = \text{ვალდებულებები} + \text{კაპიტალი}.$$

არსებობს 4 ძირითადი ტიპი ტრანსაქციებისა, რომლებიც ახდენენ გავლენას ბალანსის ცვლილებზე შემდეგნაირად:

- I. ტრანსაქცია მოიცავს მხოლოდ აქტიურ ანგარიშებს, და იწვევს ერთის შემცირებას, მეორის – ზრდას, ამ შემთხვევაში ბალანსის ჯამის მნიშვნელობა არ იცვლება;
- II. ტრანსაქცია მოიცავს მხოლოდ პასიურ ანგარიშებს, იწვევს ერთის ზრდას, მეორის – შემცირებას, ამ შემთხვევაში ბალანსის ჯამის მნიშვნელობა აგრეთვე არ იცვლება;
- III. ტრანსაქცია მოიცავს აქტიურ და პასიურ ანგარიშებს, იწვევს ორივეს ზრდას, ბალანსის ჯამის მნიშვნელობა იზრდება ოპერაციის თანხის მნიშვნელობით;
- IV. ტრანსაქცია მოიცავს აქტიურ და პასიურ ანგარიშებს და იწვევს ორივეს შემცირებას. ბალანსის ჯამის მნიშვნელობა მცირდება ოპერაციის თანხის მნიშვნელობით.

ტრანსაქციების მაგალითები:

1. ანგარიშსწორების ანგარიშიდან გამოტანილია და სალაროში შეტანილია თანხა
2. მიღებული მოკლევადიანი კრედიტი გადატანილია გრძელვადიანი კრედიტის მუხლში
3. ბანკის კრედიტის აღება
4. საბანკო ანგარიშიდან ბანკის კრედიტის შემცირება

4.2. კაპიტალი და მოგება. მოგების, შემოსავალების, ხარჯების ანგარიშები

როგორც ჩვენ უკვე ავღნიშნეთ, მოგება არის კაპიტალის ზრდის წყარო. მოგების მიღების წერო, თავის მხრივ, არის შემოსავალი, რომელიც მიღებულია გარკვეულ პერიოდში. შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებულია გარკვეული ხარჯები, რომლებიც ამცირებენ მოგებას. აქედან, მოგება გარკვეულ პერიოდში უდრის “ამ პერიოდის შემოსავალი – ხარჯი”. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ შემოსავალი არის კაპიტალის ზრდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ხოლო ხარჯი არის კაპიტალის შემცირება ამავე პერიოდში. შემოსავალი წარმოიშვება პროდუქციის რეალიზაციის შედეგად, ხოლო ხარჯი წარმოადგენს ამ პროდუქციის თვითღირებულებას.

როგორც ჩვენ გვახსოვს, კაპიტალი აისახება პასიურ ანგარიშზე, მისი ზრდა წარმოებს კრედიტის მხარეს, ხოლო შემცირება – დებეტის მხარეს, აქედან გამომდინარე შემოსავლის ანგარიშზე ზრდის ოპერაციები უნდა აისახოს კრედიტის მხარეს, ხოლო ხარჯის ანგარიშზე – დებეტის მხარეს.

შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშები, სხვა ანგრაიშებისგან განსხვავებით, არის დროებითი, ვინაიდან მოგების გაანგარიშების მიზნით ხდება მათი გადაწერა მოგება/ზარალის ანგარიშზე, რასაც უწოდებენ ანგარიშის დახურვის პროცესს. ამ მიზნით შემოსავლების ანგარიშზე კრედიტის მხარეს მყოფ მნიშვნელობას იმეორებენ დებეტის მხარეს, რაც ანულებს ანგარიშს, და იგივე მნიშვნელობას წერენ მოგება/ზარალის ანგარიშის კრედიტის მხარეს (ეს შესაბამება ორმაგ ჩანაწერს) - I გატარება. მსგავს ოპერაციას აწარმოებენ გასავლის ანგარიშზე – ამ ანგარიშზე დებეტის მხარეს მყოფ ნაშთს იმეორებენ კრედიტის მხარეს, რითაც ანულებენ ანგარიშს და იგივე თანხა ტარდება მოგება/ზარალის აგარიშის დებეტში – II გატარება. ნაშთი, რომელიც მიღება მოგება/ზარალის ანგარიშზე კრედიტის მხარეს წარმოადგენს შესაბამისი პერიოდის მოგებას. ვინაიდან მოგება გამოიწვევს გაუნაწილებელი მოგების ზრდას, ეს ანგარიში აგრეთვე უნდა დაიხუროს გაუნაწილებებლი მოგების ანგარიშზე ნაშთის გადაწერით. მაგრამ თავდაპირველად მას უნდა მოაკლდეს გადასახდელი მოგების გადასახადი, შემდეგ მოგებიდან შეიძლება გარკვეული ოპერაციების ჩატარება, მაგალითად დივიდენდების გაცემა, და ამის მერე მოგების ანგარიში იხურება გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე ნაშთის გადაწერით და მოგება/ზარალის ანგარიშის განულებით. თუ ნაშთი დარჩა მოგება/ზარალის ანგარიშის დებეტის მხარეს, მაშინ საწარმოს გააჩნია ზარალი.

4.3. ამოცანები: გატარებები, მოგება/ზარალის ანგარიში, ბალანსის შედგენა

ამოცანა №4.1.

გაატარეთ შემდეგი ოპერაციები; საბოლოო ბალანსის შედგენამდე მოახდინეთ მოგება/ზარალის ანგარიშის ფორმირება.

1. კომპანიის დამფუძნებლებმა შეიტანეს საწესდებო კაპიტალი – 10 000ლ
2. კომპანიამ აიღო სესხი ნაღდი ფულით – 5000ლ, რაზედაც გასცა თამასუქი
3. კომპანიამ შეიძინა საქონელი – 2000ლ ნაღდი ფულით
4. კომპანიამ გაუკეთა რეალიზაცია 200 ლარის საქონელს 300 ლარად, რომელიც შემოვიდა ნაღდი ფულის სახით
5. კომპანიამ შეიძინა 2000 ლარის საქონელი, რაზედაც აიღო ვალდებულება, რომ აღნიშნულ თანხას გადაიხდიდა 30 დღეში
6. კომპანიამ გაუკეთა რეალიზაცია 500 ლარის საქონელს 800 ლარად, თანხა მიღებულია უნაღდო ანგარიშწორებით
7. კომპანიამ გაუკეთა რეალიზაცია 600 ლარის საქონელს 900 ლარად, თანხა მიღებულ იქნება 10 დღის განმავლობაში
8. კომპანიამ შეიძინა სადაზღვევო პოლისი – 200 ლარად ნაღდი ფულით
9. კომპანიამ შეიძინა 2 მიწის ნაკვეთი საერთო ღირებულებით – 10 000 ლ. აქედან: 2000 ლარი გადაიხადა ნაღდი ფულით, ხოლო დანარჩენი 8000 ლარის – აიღო ვალდებულება 3 წლით

ამოცანა №4.2.

ორგანიზაციას გააჩნია შემდეგი მონაცემები:

- საბანკო ანგარიშები – 30 000 ლ
- სალაროში – 13 000 ლ
- დავალიანება პერსონალის წინაშე – 11 000 ლ
- ნედლეული – 4 500 ლ
- საწესდებო კაპიტალი – 40 000 ლ
- მანქანა-დანადგარები – 12 500 ლ
- რემონტის ხარჯები – 3 750 ლ
- გრძელვადიანი ვალდებულება – 10 050 ლ
- სარეზერვო კაპიტალი – 15 000 ლ
- მზა პროდუქცია – 12 300 ლ

გაატარეთ შემდეგი ოპერაციები საბოლოო ბალანსის შედგენამდე მოახდინეთ მოგება/ზარალის ანგარიშის ფორმირება.

1. რეალიზებულია 8 000 ლარის პროდუქცია 13 500 ლარად. 3 500 შემოვიდა ნაღდი ფულით, დანარჩენი დაიფარება 6 თვეში.
2. შეძენილია მიწის ნაკვეთი 17 000 ლარად. 7 000 დაფარულია უნაღდო ანგარიშწორებით, დანარჩენის გაიცა თამასუქი.
3. გაიცა ავანსი თანამშრომელზე 200 ლარი ნაღდი ფულით.
4. დაღდი ფულით დაფარულია რემონტის ხარჯები 2000 ლარი.
5. გაიყიდა 7 500 ლარის მანქანა-დანადგარები, 2 500 შემოვიდა ნაღდი ფულით, დანარჩენით მყიდველმა დაფარა ფირმის გრძელვადიანი ვალდებულების ნაწილი.
6. შეძენილია ნამქანა-დანადგარები 2000 ლარი, თანხა დაიფარება 10 დღეში.

5. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპები: I - V პრინციპები

საბუღალტრო საქმიანობა ეყრდნობა 9 ძირითად პრინციპს. განვიხილოთ პირველი ხუთი პრინციპი.

I. ორმხრივობის პრინციპი. აღნიშნული პრინციპი ნიშნავს, რომ საშუალებები = ვალდებულებები + კაპიტალი.
ეს პრინციპი ფაქტიურად ასახავს ბალანსის შინაარსს.

II. ფულადი გაზომვის პრინციპი. როგორც ჩვენ უკვე ავლიშნეთ, ყველაფერი: საშუალებები, კაპიტალი, ვალდებულებები - საბუღალტრო დოკუმენტაციებში აისახება მათი ღირებულების სახით. სხვანაირად, საბუღალტრო ჩანაწერებში აისახება მხოლოდ ის, რასაც გააჩნია ფულადი გამოსახვა.

III. საწარმოს ავტონომურობის პრინციპი. აქ იგულისხმება ის ფაქტი, რომ საწარმოს მფლობელის ანგარიშები განცალკევებული უნდა იყოს უშუალოდ საწარმოს ანგარიშებისაგან.

IV. უწყვეტობის პრინციპი. საბუღალტრო აღრიცხვა ეყრდნობა იმ დებულებას, რომ საწარმო შექმნის შემდეგ უწყვეტად იმუშავებს განუსაზღვრელი პერიოდის განმავლობაში.

V. თვითდირებულების პრინციპი. საშუალებები ბუღალტრულ ანგარიშებზე აისახება მათი თვითდირებულებით და არა საბაზო ფასით. თუ საშუალება გამოშვებულია თვითონ ორგანიზაციის მიერ, მაშინ მისი თვითდირებულება უდრის დამზადების თვითდირებულებას, თუ საშუალება შეძენილია, მაშინ მისი შეძენის ფასი არის საშუალების თვითდირებულება.

6. დოკუმენტაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში

6.1. პირველადი დოკუმენტები

როგორც ჩვენ უკვე ავღნიშნეთ, ბუღალტერი თავის საქმიანობაში იყენებს სხვადასხვა დოკუმენტებს: პირველად, სააღრიცხვო რეგისტრებს და საბოლოო დოკუმენტებს.

პირველადი დოკუმენტები არის საწყისი მთელი ბუღალტრული აღრიცხვისა. ისინი ივსება ან ოპერაციის მსვლელობის დროს ან მისი დასრულებისთანავე. ყველა პირველად დოკუმენტს აქვს თავისი ფორმა და შევსების წესი, დამტკიცებული ფინანსთა სამინისტროს მიერ. დოკუმენტში უნდა იყოს შეტანილი მთელი სავალდებულო ინფორმაცია (რეგისტრები).

დოკუმენტის ინფორმაციაში შედის: დოკუმენტის ნომერი, შევსების თარიღი, ოპერაციის მოკლე შინაარსი, თანხა სიტყვებით და ციფრებით, ოპერაციის ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირების გვარები და მათი ხელმოწერები, ორგანიზაციის დასახელება, თუ საჭიროა საბანკო რეგისტრები, ბეჭდი და ა.შ.

განიხილავენ შემდეგი ტიპის პირველად დოკუმენტებს: სალაროს შემოსავლის ორდერი, სალაროს გასავლის ორდერი, საგადასახადო დავალება, საგადასახადო მოთხოვნა (დღისათვის მისი გამოყენება შეზღუდულია), სავალუტო დავალება, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, გასავლის ფაქტურა, შემოსავლის ფაქტურა, მივლინების ბლანკი და მინდობილობა.

ფულად პირველად დოკუმენტში (სალაროსა და ბანკის) დაუშვებელია შეცდომები და მათი შესწორება. თუ დოკუმენტი შევსებულია შეცდომით ის უნდა განადგურდეს და შეივსეს ხელახლა. დანარჩენ პირველად დოკუმენტებში შეცდომები შეიძლება გასწორდეს აკურატულად. ძევლ მონაცემებს უნდა გადაესვას ხაზი ისე, რომ ჩანდეს არასწორი ჩანაწერი, ხოლო ზევით უნდა დაიწეროს ახალი მონაცემები. შესწორების შემტანმა პირმა შესწორების სიზუსტე უნდა დაადასტუროს ხელმოწერით.

6.1.1. სალაროს შემოსავლის ორდერი

აღნიშნული დოკუმენტი გამოიყენება ორგანიზაციის სალაროში თანხის შეტანის დროს (სურ.6.1.).

სალაროს შემოსავლის ორდერი ივსება შემდეგი მონაცემებით: ორგანიზაციის დასახელება, შემოსავლის ორდერის ნომერი (ეს ნომერი ენიჭება შემოსავლის ორდერების რეგისტრაციის ჟურნალში გატარების დროს), შევსების თარიღი, მაკორესპონდენტებელი ანგარიში (რა მიზეზით შედის ფული სალაროში - რეალიზაციის შედეგად, ბანკიდან, ზედმეტი თანხის დაბრუნება და ა.შ.), თანხა ციფრებით, იმ პირის გვარი და სახელი ვისაც შეაქვს ფული სალაროში, საფუძვლის მერე იწერება თანხა სიტყვიერად, ოპერაციის დამადასტურებელი საბუთი, ბოლოს ხელი უნდა მოაწეროს ბუღალტერმა და მოლარემ.

სალაროს შემოსავლის ორდერს აქვს ყუა. აღნიშნული ყუა ივსება ისევე როგორც ორდერი. ყუაზე უნდა დაერტყას ბეჭედი მითითებულ ადგილზე, ისე რომ მოხდეს გამყოფი ხაზის შუაში. ყუა ოპერაციის ჩატარებისთანავე მოიხევა და გადაეცემა ფულის შემომტან პირს. წესით მეორე მხარეს მას უნდა დაესვას სპეციალური შტამპელი "გადახდილია", რომელიც დაადასტურებს ჩატარებულ ოპერაციას.

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

საწარმო ორგანიზაცია

მდსქ-ს ქოდის მიხედვით

0308001 1

ფორმა № ქო-1

დამტკიცებულია საქართველოს
ფინანსთა სამინისტროს მიერ

სალაროს
შემოსავლის ორდერი №

რიცხვი	თვე

20_ წ.

	მაკორესპონდირ ანგარიში სუბანგარიში	ანალიტიკური აღრიცხვის ქოდი	თანხა	მიზნობრივი დანიშნულების ქოდი

აღებულ იქნას _____
საფუძველი: _____

დანართი სიტყვიერა ლარი თეთრი

საწარმო, ორგანიზაცია

ძვითარი

შემოსავლის ორდერის № _____

მიღებულია _____

საფუძველი _____

“ ” ლარი თეთრი
20 წ.

ბ. პ.

მთ. ბუღალტერი

მოლარე

სურ. 6.1. სალაროს შემოსავლის ორდერი

6.1.2. სალაროს გასავლის ორდერი

სალაროს გასავლის ორდერი ივსება ორგანიზაციის სალაროდან თანხის გატანის დროს (სურ.6.2.).

სალაროს გასავლის ორდერში ივსება შემდეგი მონაცემები: ორგანიზაციის დასახელება, ორდერის ნომერი (რომელიც ენიჭება ორდერების უურნალში გატარებისას), ორდერის შევსების თარიღი, მაკორესპონდენტებული ანგარიში, თანხა ციფრებით, პირის გვარი, ვისაც გააქვს თანხა, საფუძველი, რის გამოც გააქვს თანხა (მასალის შეძენა, საკანცელარიო ნივთების შეძენა, ხელფასი, მომწოდებლისთვის თანხის გადაცემა და ა. შ.), თანხა სიტყვიერად, დანართი. ამის შემდეგ სალაროს გასავლის ორდერზე ხელს აწერს ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ბუღალტერი, ის პირი ვისაც გააქვს თანხა, რომელიც გარდა ამისა სიტყვებით წერს გასატან თანხას. მოლარე თანხის გაცემის დროს წერს თანხის გამტანი პირის პირადობის დამადასტურებელი საბუთის მონაცემებს. ბოლოს ხელს აწერს მოლარე. ამ ორდერზე საბოლოოდ ოთხი ხელმოწერა უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში გატანილი თანხა ითვლება დანაკლისად.

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

საწარმო, ორგანიზაცია

ფორმა № სთ-2

0308002

მდსსქ-ს კოდის მიხედვით

სალაროს გასავლის ორგერი

დოკუმენტის ნომერი	შედგენის თარიღი		მაკორესპონდირებული ანგარიში სუბანგარიში	ანალიზური აღრიცხვის ქოდი	თანხა	მიზნობრივი დანიშნულებ ის კოდი	

გაიცეს _____ გვარი, ს.მ.მ.

საფუძველი:

სიტყვიერად ლარი თეთრი

დანართი

ხელმძღვანელი

მთავარი ბუღალტერი

მიიღო სიტყვიერად ლარი თეთრი

“ ” 20 წ. ხელმოწერა

დასახელება, ნომერი, თარიღი და დოკუმენტის გაცემის ადგილი

მიმღები პიროვნების დამადასტურებელი

გასცა მოლარემ

სურ.6.2. სალაროს გასავლის ორგერი

6.1.3. საგადასახადო დავალება

აღნიშნული პირველადი დოკუმენტი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენი ორგანიზაცია თავის ანგარიშსწორების ანგარიშიდან გადაურიცხავს ფულს სხვა ორგანიზაციას მის ანგარიშსწორების ანგარიშზე (სურ.6.3.).

თითოეულ ორგანიზაციას შეიძლება ჰქონდეს თავისი ანგარიშსწორების ანგარიში ნებისმიერ ბანკში. თვით ამ ბანკს, კი თავის მხრივ აქვს ეროვნულ ბანკში საკორესპონდენტო ანგარიში, რომელთაც იყენებენ ბანკთაშორისი თბერაციების შესასრულებლად. საგადასახადო დავალება ივსება შემდეგნაირად: ცენტრალურ ოკუთხედში (ზევით) ისმევა ნომერი და შემდეგ შევსების თარიღი. ამის მერე უნდა იყოს მითითებული გადამხდელი და მიმღები.

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

<p style="text-align: center;">საგადასახადო დავალება № თარიღი</p>																															
<table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse;"> <tr> <td style="width: 50%;">გადამხდელის დასახელება</td> <td style="width: 50%; text-align: right;">ანგარიში (დებეტი)</td> <td style="width: 50%; text-align: right;">თანხა 0.00</td> </tr> <tr> <td>გადამხდელის ბანკი</td> <td>ბანკის ქოდი</td> <td></td> </tr> <tr> <td>გადასახადის გადამხდელის დასახელება</td> <td colspan="2"></td> </tr> <tr> <td>გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ქოდი</td> <td style="text-align: right;">საბიუჯეტო შემთხვევის სახაზირ ქოდი</td> <td></td> </tr> <tr> <td>მიმღების დასახელება</td> <td colspan="2"></td> </tr> <tr> <td>მიმღების ბანკი</td> <td style="text-align: right;">ანგარიში (ქრედიტი)</td> <td style="text-align: right;">ბანკის ქოდი</td> </tr> <tr> <td>გადახდის დანოშაულება</td> <td colspan="2"></td> </tr> <tr> <td>დამატებითი ინფორმაცია</td> <td colspan="2"></td> </tr> <tr> <td>ხელმოწერები</td> <td colspan="2" style="text-align: center; vertical-align: middle;"></td> </tr> <tr> <td colspan="3"></td> </tr> </table>		გადამხდელის დასახელება	ანგარიში (დებეტი)	თანხა 0.00	გადამხდელის ბანკი	ბანკის ქოდი		გადასახადის გადამხდელის დასახელება			გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ქოდი	საბიუჯეტო შემთხვევის სახაზირ ქოდი		მიმღების დასახელება			მიმღების ბანკი	ანგარიში (ქრედიტი)	ბანკის ქოდი	გადახდის დანოშაულება			დამატებითი ინფორმაცია			ხელმოწერები					
გადამხდელის დასახელება	ანგარიში (დებეტი)	თანხა 0.00																													
გადამხდელის ბანკი	ბანკის ქოდი																														
გადასახადის გადამხდელის დასახელება																															
გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ქოდი	საბიუჯეტო შემთხვევის სახაზირ ქოდი																														
მიმღების დასახელება																															
მიმღების ბანკი	ანგარიში (ქრედიტი)	ბანკის ქოდი																													
გადახდის დანოშაულება																															
დამატებითი ინფორმაცია																															
ხელმოწერები																															
თანხა სიტყვებით		თანხა სიტყვებით																													
ბანკის აღნიშვნები:		ბანკის აღნიშვნები:																													
ბანკის შეძლების თარიღი		ბანკის შეძლების თარიღი																													
დამატებითი ინფორმაცია		დამატებითი ინფორმაცია																													
ხელმოწერა:		ხელმოწერა:																													

სურ. 6.3. საგადასახადო დავალება

საგადასახადო დავალებაში, თუ ჩვენ გადავრიცხავთ თანხას, გადამხდელი - არის ჩვენი ორგანიზაცია და მიმღები კი სხვა ორგანიზაციაა. გადამხდელისთვის და მიმღებისთვის უნდა იყოს მითითებული ორგანიზაციის კოდი (რომელიც ენიჭება შემოსავლების სამსახურის მიერ), ორგანიზაციის დასახელება, ორგანიზაციის ბანკი, ქალაქი, ბანკის კოდი, ორგანიზაციის ანგარიშსწორების ანგარიში., შემდეგ იწერება თანხა სიტყვიერად, ოპერაციის მოკლე აღწერა, თარიღი და ზედა მარჯვენა კუთხეში იწერება თანხა ციფრებით. საგადასახადო დავალება ივსება ოთხ ეგზემპლიარად: ერთი - ოპერაციის შესრულებისას ბანკის მიერ უბრუნდება ორგანიზაციას, მეორე - მიდის მიმღებთან, ხოლო დანარჩენ ეგზემპლიარებს კი იტოვებენ შესაბამისი ბანკები (მესამე ეგზემპლიარი ორგანიზაციის ბანკში, ხოლო მეოთხე - ერთვნულ ბანკში). პირველ ეგზემპლიარზე ისმევა კლიენტის ანუ ორგანიზაციის პირველი და მეორე პირის ხელმოწერები (პირველი პირი - ორგანიზაციის ხელმძღვანელი, მეორე პირი - მთავარი ბუღალტერი ან ბუღალტერი). ხელმოწერები უნდა იყოს ზუსტად ისეთი, როგორც ნოტარიუსის მიერ დამტკიცებული ფაქსიმილიებია ბანკისათვის. პირველ ეგზემპლიარზე ისმევა ორგანიზაციის ბეჭედი.

6.14. საგადასახადო მოთხოვნა

საგადასახადო მოთხოვნის საშუალებით ორგანიზაცია ბანკს აძლევს დავალებას, რომ სხვა ორგანიზაციის ანგარიშიდან გადმორიცხოს თანხა თავის ანგარიშზე დღეისათვის აღნიშნულ დოკუმენტს გამოიყენებენ შეზღუდული ტიპის ორგანიზაციები, კერძოდ სადაზღვევო ორგანიზაციები.

საგადასახადო მოთხოვნა ივსება ისეთივე წესებით, როგორც საგადასახოდო დავალება, ოდონდ ერთი განსხვავებით, რომ გადამხდელი არის უკვე სხვა ორგანიზაცია, მიმღები კი ჩვენი ორგანიზაციაა. გარდა ამისა საგადასახადო მოთხოვნაში უნდა იყოს მითითებული იმ სამუშაოების, მომსახურების, მასალების სრული ჩამონათვალი, რომელთა მიწოდების ან გაწვევის გამოც ჩვენ ვითხოვთ ფულს.

6.1.5. საგალუტო დავალება

საგალუტო დავალება გამოიყენება ვალუტაში თანხის გადარიცხვის მიზნით. ამ პირველად დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს: გადამხდელი ორგანიზაცია (მისი დასახელება, ბანკის დასახელება, ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი), მიმღები ორგანიზაცია - ბენეფიციარი (ბენეფიციარის დასახელება, ბენეფიციარის ბანკის დასახელება, ანგარიშსწორების ნომერი), არსებობის შემთხვევაში აგრეთვე მიუთითებენ შუამავალ ბანკს. ასევე ბანკები გაერთიანებულია საერთაშორისო საბანკო სისტემაში, რომელშიც მათ მითითებული აქვთ სპეციალური კოდი, მაშინ უნდა იყოს მითითებული ის კოდი, რომელსაც SWIFT -კოდს უწოდებენ. (სურ.6.4.)

6.1.6. სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა

სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა - არის პირველადი დოკუმენტები, რომლებიც ივსება და გამოიყენება ყიდვა-გაყიდვის ოპერაციის დროს.

სასაქონლო ზედნადებში ზედა ნაწილში უნდა იყოს მითითებული - ნომერი და შევსების თარიღი. შემდეგ ივსება გამყიდველი და მყიდველი. თითოეული მათგანისათვის უნდა იყოს მითითებული - ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი.

სასაქონლო ზედნადების ქვედა მარცხენა ნაწილში მიუთითებენ იმ სამუშაოების, მომსახურების ან საქონლის ჩმონათვალს, რომელიც არის ყიდვა-გაყიდვის ობიექტი. დასახელება უნდა იყოს მითითებული პრეისკურანტის მიხედვით. თითოეული ობიექტისათვის უნდა მივუთითოთ დასახელება, ზომის ერთეული, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო თანხა. თუ მითითებულია რამდენიმე სახეობა, სიის ბოლოს უნდა იყოს მითითებული ჯამური დირებულება. სასაქონლო ზედნადების ქვედა მარჯვენა ნაწილი ივსება მხოლოს საქონლის დისტრიბუციის წესით მიწოდებისას. ამ შემთხვევაში უნდა მითითებულ იქნას მიწოდების თარიღი და დრო, ასევე მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირების ვინაობა და მათი პირადი ნომრები.

სასაქონლო ზედნადებზე ხელს აწერს ოპერაციაზე პასუხისმგებელი პირი როგორც გამყიდველის მხრიდან ასევე მყიდველის მხრიდან და ისმევა ბეჭედი (სურ.6.5.).

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (სურ. 6.6.), როგორც უკვე ავღნიშნეთ, ასევე გამოიყენება ყიდვა-გაყიდვების ოპერაციების დროს, ოდონდ მხოლოდ იმ საწარმოების მიერ, რომლებიც არიან დღგ-ს გდამხდელები. ამ ანგაროშ-ფაქტურის გაფორმება ხდება შემოსავლების სამსახურის დეკლარირების ელექტრონულ სისტემაში.

6.1.7. გასავლის ფაქტურა

გასავლის ფაქტურა ივსება სასაწყობო ოპერაციის შესრულების დროს. მასში უნდა იყოს მითითებული საქონლის გამცემი ორგანიზაციის დასახელება, იმ ორგანიზაციის დასახელება, რომელზედაც გაიცემა საქონელი და შუამავალი პირი, ვისი მეშვეობითაც სრულდება ეს ოპერაცია.

გასავლის ფაქტურაში აგრეთვე უნდა იყოს მითითებული იმ საქონლის სია, რომლის გაცემაც ხდება საწყობიდან. უნდა იყოს მითითებული დასახელება, ზომის ერთეული, ერთეულის დირებულება, რაოდენობა, საბოლოო დირებულება. გასავლის ფაქტურის ბოლოში მიუთითებენ ჯამურ დირებულებას. (სურ. 6.7.)

არსებობს აგრეთვე შემდეგი პირველადი დოკუმენტები: მინდობილობა, მივლინების ბარათი, შემოსავლის ფაქტურა.

ქომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

თარიღი
DATE

საგადატო დაგალება №

Payment order

50A Paying organization ბადამხდელი ორგანიზაცია Identification code of the paying organization ბადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი Amount /in figure and words/ თანხა /ციფრით და სიტყვიერად/ Beneficiary /name and address/ 59 მიმღები /დასახლება და მისამართი/ Account number of beneficiary 59 მიმღების ანგარის ნომერი Bank of beneficiary /name and address/ 57A მიმღების ბანკი /დასახლება და მისამართი/ SWIFT code (Bank of beneficiary) Banc Account 56 შპაგაცალი ბანკი /დასახლება და მისამართი/ Intermediate Bank /name and address/ 56 შპაგაცალი ბანკის SWIFT კოდი SWIFT code (Intermediate bank) 70 ბადამხდელი დანოჭელება Details of payment Please debit the amount from our account N Please debit all transfer charges from our account N
--

ორგანიზაციის ხელმძღვანელი
Manager of the company

ბ.ბ./stamp

მთავარი ბუღალტერი
Chief accountant

სურ. 6.4. სავალუტო დაგალება

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0021175673
2	29/07/2012	3
	თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	11:06:10 დრო (სათი, წუთი)
4	ავთანდილ დავლიანიძე	31001005329 გამოიცვლის (გამგზავნის) დასახელება, ან სახელი და საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი
5	შპს წეროვანი	436032437 მყიდველის (მიმღების) დასახელება, ან სახელი და საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი
6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირებით
7	ქ. მცხეთა აღმაშენებლის ქ.#108 ტრანსპორტირების დაწესების ადგილი (მისამართი)	
8	მცხეთის რ-ნი სოფ.წეროვანი ტრანსპორტირების დასატულების ადგილი (მისამართი)	
9	საავტომობილო ტრანსპორტირების სახე	10 PMP801 სატრანსპორტო სამუშაოების სახელმწიფო ნომერი X მისამართი
11	სატრანსპორტო სამუშაოების მძღოლის პირადი ნომერი	01017020397 12 გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი 0

თამას ლარჯები

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	საკანალიზაციო მილი 50*2000 Berke Plastik 2.2 მმ	00058	ცალი	3.0000	4.0000	12.0000
2	საკანალიზაციო მილი 50*1000 Berke Plastik 2.2 მმ	30107	ცალი	1.0000	2.5000	2.5000
3	ემალი პფ-115 ლამაზი- 2,7კგ	09538	ცალი	3.0000	12.0000	36.0000
4	გამსნელი Arma Cellulozik Thinner Ext. 12.კგ	10017	ლიტრი	2.0000	4.0000	8.0000
5	ლილვაკი ველიური 15 სმ+6 მმ ტარით	00282	ცალი	2.0000	2.5000	5.0000
6	ფუნჯი შპალიერისთვის 30*110 მმ	10115	ცალი	1.0000	6.0000	6.0000
7	ზუმფარა №60	10154	მეტრი	1.0000	4.0000	4.0000
8	ფუნჯი მრგვალი 40	10099	ცალი	2.0000	3.0000	6.0000
9	ლურსმანი 10სმ-იანი	50056	კგ	9.0000	2.5000	22.5000
10	სახრახნისი დიდი	50199	ცალი	2.0000	2.0000	4.0000

13	132 - ას ოცდათორმეტი ლარი და წული თეთრი მიწოდებული საქონლის მთლიანი თამას (კოფერით და სიტყვიერად)
14	გამოიცვლის (გამგზავნის)/საქონლის ჩანარებაზე უფლებამოსილი პირი (მანამდებრი, სახელი და გვარი)
15	მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თამამდებრი, სახელი და გვარი)
16	ხელმისწერა

17	ხელმისწერა		
18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	29/07/2012	11:51:59

19	შენიშვნა: * დღგ-ს გადამზღვდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამზღვდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით ამობეჭვდების თარიღი 27/08/2012, 17:00:18
----	---

სურ.6.5. ელექტრონული სასაქონლო ზედნადები

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

შემოსავლების სამსახური

დანართი N5

დამტკიცებულია

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

14.02.2005 წ. N84 წლის ბრძანებით

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა

1 N 3270104

გა-01 სერია

9
8
7
6
5
4
3
2
1

2	თებერვალი	2012
---	-----------	------

3	05	მარტი	2012
---	----	-------	------

თამაშების გამზირებულების პერიოდი
(თვე სიტყვიერად, წელი)

გამოწერის თარიღი
(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

4	გამყიდველი
---	------------

5	მყიდველი
---	----------

4.1	2	1	1	3	8	0	8	3	3		
-----	---	---	---	---	---	---	---	---	---	--	--

5.1	2	2	0	0	1	2	2	7	9		
-----	---	---	---	---	---	---	---	---	---	--	--

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

4.2	შპს კავკასუს ონლაინი
-----	----------------------

5.2	შპს ვაზი-98
-----	-------------

დასახელება (სახელი, გვარი)

დასახელება (სახელი, გვარი)

საქონლის (მომსახურების) დასახელება	ზომის ერთეული	მიწოდებული საქონლის რაოდენობა	საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციის ჩათვლით	მათ შორის	
				დღგ-ს თანხა	აქციის-ს თანხა
1	2	3	4	5	6
GeLink (2232722) მომსახურება	სხვა	0,00	66,75	10,18	0,00
სულ			66,75	10,18	0,00

6	7
---	---

საქონლის ზედნადების N

თარიღი

შენიშვნა: პირველი ეტაპის მიზანი - მყიდველის, მეორე ეტაპის მიზანი - გამყიდველის

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის მყიდველის ჩამარადა ხელშე

გა-01 3270104

ხელშეწერა

ბ.ა

ხელშეწერა

ბ.ა

სურ.6.6. ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა

გასავლის ფაქტურა №

თარიღი

გაცემულია

ვისი მეშვეობით

საზომი ერთეული	რაოდენობა	დირექტულება	დასახელება	თანხა
სუმა:				სუმა:

ჩააბარა ————— მიიღო —————

სურ. 6.7. გასავლის ფაქტურა

6.2. ამოცანები: პირველადი დოკუმენტები

ამოცანა № 6.1.

საწარმოში მიმდინარე თვეში განხორციელდა შემდეგი ოპერაციები. განსაზღვრეთ, თუ რომელი პირველადი დოკუმენტი უნდა გაფორმდეს თითოეული მათგანის დროს.

1. მომწოდებლებისგან მიღებულია მასალა - 20 000ლ, თანხა უნდა დაიფაროს 1 თვეში
2. საბანკო ანგარიშიდან შემოტანილია სალაროში 12 000 ლ
3. წარმოებაში ჩაშვებულია მასალა – 8 000 ლ
4. ბანკიდან დაფარულია მოკლევადიანი დავალიანება მომწოდებელთან – 24 000 ლ
5. საწყობში გადაიცა მზა პროდუქცია – 6 000 ლ
6. მომწოდებლებისგან მიღებულია მასალა – 36 000ლ, 6 000 დაფარულია ნაღდი ფულით, დანარჩენი უნდა დაიფაროს 18 თვეში
7. დაფარულია მოკლევადიანი საბანკო კრედიტი მთლიანად, ხოლო გრძელვადიანი საბანკო კრედიტის ნაწილი 10 000ლ უნაღდო ანგარიშსწორებით

ამოცანა №6.2.

საწარმოში მიმდინარე თვეში განხორციელდა შემდეგი ოპერაციები. განსაზღვრეთ, თუ რომელი პირველადი დოკუმენტი უნდა გაფორმდეს თითოეული მათგანის დროს.

1. რეალიზებულია 8 700 ლარის პროდუქცია 15 700 ლარად. 2 700 ლ შემოსულია ნაღდი ფულით, 4 000 ლ დაიფარება 2 თვეში, დანარჩენით დაფარულია ფირმის საბანკო კრედიტის ნაწილი.
2. შეძენილია შენობა 50 000 ლარად, თანხა დაიფარება 2 წელიწადში.
3. ფირმამ შეიძინა 3 ავტომანქანა თითო 25 000 ლარად. თანხის ნახევარი დაფარულია უნაღდო ანგარიშსწორებით, დანარჩენის გაიცა თამასუქი.
4. ფირმამ დაფარა სარეკლამო ხარჯები 5 000 ლარი ნაღდი ფულით.
5. ფირმამ დაფარა ვალდებულება პერსონალის წინაშე უნაღდო ანგარიშსწორებით.
6. სალაროდან დაფარულია დაზღვევის ხარჯები 400 ლარი.

7. სააღრიცხვო რეგისტრები

მონაცემები პირველადი დოკუმენტებიდან რეგისტრირდება და ჯგუფდება სააღრიცხვო რეგისტრებში. ეს არის ქაღალდის ფურცლები, რომლებიც გამოიყენება სამეცნიერო ოპერაციებზე მონაცემების რეგისტრაციისა და დაჯგუფებისათვის.

სააღრიცხვო რეგისტრების კლასიფიკაცია შეიძლება სხვადასხვა მახასიათებლებით: ბუღალტრული ჩანაწერის ხასიათით (ქრონოლოგიური და სისტემატური), მინაარსის მოცულობით (ანალიტიკური და სინთეზური), აგების ფორმის მიხედვით (ერთმხრივი, ორმხრივი, ჭადრაკული).

გარეგნული სხვაობით არსებობს სამი ტიპის სააღრიცხვო რეგისტრი: საბუღალტრო წიგნები, ბარათები და უწყისები.

7.1. წიგნი

საბუღალტრო წიგნებში ყველა გვერდი უნდა იყოს დანომრილი, მთლიანად წიგნი კი – შეკერილი. ბოლო გვერდზე უნდა იყოს დარტყმული ბეჭედი და ხელმოწერები, რომელთაც სვამენ ორგანიზაციის ხელმძღვანელი და ბუღალტერი, რითაც ადასტურებენ საბუღალტრო წიგნში გვერდების რაოდენობას. საბუღალტრო წიგნის ტიპიური მაგალითი არის სალაროს წიგნი, სადაც დაფიქსირებულია თითოეული დღის შემოსავალ-გასავალი.

7.2. ბარათები

ბარათები, როგორც წესი დამზადებულია სქელი ქაღალდისაგან. ბარათებს აქვთ პატარა ფორმატი და ისინი ინახება სპეციალურ ყუთებში. ბარათები გამოიყენება, როგორც წესი, მატერიალური აღრიცხვის განყოფილებებში. მათი საშუალებით აღირიცხება მასალები, ძირითადი საშუალებები, სწრაფცვეთადი და მცირე ფასიანი საგნები.

7.3. თავისუფალი ფურცლები - უწყისები

უწყისები არის უფრო დიდი ფორმატის ვიდოვე, ჩვეულებრივი ფურცლები. ასეთი სახით შეიძლება იყოს წარმოდგენილი ანგარიშები, ხელფასის უწყისები. უწყისი ინახება დავთარში, საქაღალდეში.

ყველა რეგისტრს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე, მაგალითად, წიგნებში ყველა ფურცელი დაცულია და მნელად იკარგება, მაგრამ წიგნთან შეუძლია მუშაობა ერთდროულად მხოლოდ ერთ კაცს, ხოლო ბარათებთან და უწყისებთან მარტივად მუშაობს ერთდროულად რამდენიმე კაცი, თუმცა ისინი ნაკლებად დაცულია დაკარგისაგან და გაფუჭებისაგან.

სააღრიცხვო რეგისტრში შესაძლებელია მოხდეს შეცდომა. აქ დასაშვებია მათი შესწორება. შეცდომები შეიძლება იყოს ლოკალური თუ არასწორი ინფორმაცია ნაჩვენებია მხოლოდ ერთ რეგისტრში და ტრანზიტული, თუ შეცდომა გატარებულია რამდენიმე რეგისტრში.

შეცდომა შეიძლება იყოს ტექსტში და ციფრებში. არის შემთხვევები როცა ბუღალტრეს ავიწყდება ოპერაციის გატარება ამა თუ იმ დოკუმეტში. თუ ადგილი აქვს

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

ჩანაწერის გამოტოვებას, მაშინ იყენებენ სხვადასხვა საკონტროლო მეთოდებს, დაფუძნებულს ორმაგ ჩანაწერზე.

თუ შეცდომა გამოვლენილია, მაშინ შეცდომების გასასწორებლად გამოიყენებენ ორ მეთოდს: პირველი - არასწორ ჩანაწერს, როცა შეცდომა უქმდება, ხაზი გადაესმევა და ზევით იწერება სწორი მონეცემი. მეორე ხერხია - წითელი სტორნო, როცა არასწორი ჩანაწერი მეორდება წითელი მელნით, რაც ძველი მნიშვნელობის გაუქმებას ნიშნავს და შემდგომ წერენ სწორ მნიშვნელობას ჩვეულებრივი მელნით.

მუშაობის თვალსაზრისით უფრო მოსახერხებელია ბარათები და უწყისები. მათთან ერთდროულად შეიძლება იმუშაოს რამდენიმე კაცმა, რაც გამორიცხულია წიგნის შემთხვევაში. სამაგიეროდ წიგნში ფურცლები უკეთესად დაცულია და გამორიცხულია მათი დაკარგვა.

8. ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების სახეობები

არსებობს ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტაციის წარმოების ოამდენიმე ფორმა (ანუ პირველადი დოკუმენტებიდან სააღრიცხვო რეგისტრებში მონაცემების გადატანის ფორმა): მემორიალურ-ორგერული, ჟურნალ-მთავარი, ჟურნალ-ორდერული და კომპიუტერული.

სხვადასხვა ფორმებში სხვადასხვა ნაირად გამოიყენება სააღრიცხვო
რეგისტრები.

8.1. მემორიალურ-ორგერული ფორმა

მემორიალურ-ორგერული ფორმის შინაარსი შემდეგში მდგომარეობს:
პირველადი დოკუმენტების საფუძველზე ადგენენ ე.წ. დამაგროვებელ და
დამაჯგუფებელ უწყისებს - მათი მონაცემები იქნება მემორიალურ ორგერებში.

მემორიალურ ორდერში (სურ. 8.1) იწერება ფაქტიურად იგივე გატარება – ანუ ოპერაციის შინაარსი, სადებუტო ანგარიში, საკრედიტო ანგარიში, თანხა. ბუღალტრიიაში არსებობს რამდენიმე განყოფილება, ამასთან დაკავშირებით თითოეული განყოფილება აწარმოებს მასზე მიმაგრებულ მემორიალურ ორდერს. არსებობს შემდეგი სახის მემორიალური ორდერები: სალაროსი – 1, ბანკის – 2, ხელფასის – 3, მასალების – 4, ძირითადი საშუალებების – 6 და ა.შ.

მემორიალური ორდერის მონაცემები ტარდება ჯერ სარეგისტრაციო ქურნალში, შემდეგ კი - მთავარ წიგნში. ამის მერე მონაცემები გადააქვთ ანგარიშებზე. მემორიალურ-ორდერული ფორმა ითვლება ყვალიაზე რთულ ფორმად.

გივი გრიგორიანი №274

ମେମୋରିଆଲ୍ ପର୍ଟି ନଂ-----

ჩანაწერი თვე 19 წლის ვ.

20 ----- 3.

მთავარი ბუღალტერი

თარიღი

სურ. 8.1.მემორიალური ორდერი

8.2. სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვის წიგნი

მემორიალურ-ორდერული ფორმის გამარტივების მიზნით შემოღებულია მისი ერთ-ერთი ნაირსახეობა, სადაც არ იყენებენ მემორიალურ ორდერებს, ხოლო ოპერაციების რეგისტრაციის ჟურნალი და მთავარი წიგნი გაერთიანებულია ერთ რეგისტრში, რომელსაც უწოდებენ სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვის წიგნს (სურ.8.2).

№	თარიღი	ოპერაციის შინაარსი	ჯამი	“ძირითადი საშუალებები”		“მასალა”		“სალარო”		და ა.შ.
					პ	დ	პ	დ	პ	

სურ. 8.2. სამეურნეო ოპერაციების წიგნი

სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვის წიგნი არის ერთდროულად ქრონოლოგიური და სისტემატური ჩაწერის რეგისტრი: მასში ჩანაწერები წარმოების ქრონოლოგიურად და ამავე დროს სისტემატიზაციაც ხდება სინთეზურ ანგარიშებზე. თანხა ტარდება შესაბამისი ანგარიშების დებეტში და კრედიტში. ყოველთვიურად გამოყავთ ბრუნვები და ითვლიან ნაშთებს ყველა ანგარიშისათვის. დამატებით ამ ჟურნალთან ერთად აწარმოებენ სალაროს წიგნს (სალაროს ოპერაციებისათვის). ამით შეიძლება შემოიფარგლოს სხვა რეგისტრების გამოყენება, კიდევ შესაძლებელია ანალიტიკური აღრიცხვის რეგისტრების გამოყენება.

8.3. ჟურნალ-ორდერული ფორმა

სხვა ფართოდ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ჟურნალურ-ორდერული ფორმა. ჟურნალურ-ორდერულ ფორმაში ძირითად რეგისტრებს წარმოადგენენ ჟურნალ-ორდერები. ჟურნალ-ორდერები იხსნება ცალკე ანგარიშების მიხედვით და იქ ტარდება ყველა ოპერაცია. ხოლო მათი მონაცემები ბოლოს ტარდება ჟურნალ-მთავარში.

ჟურნალ-ორდერული აღრიცხვის ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს უწყისებიანი ფორმა, რომელიც გამოიყენება აგრეთვე მცირე საწარმოებებში. ამ შემთხვევაში, როგორც ჟურნალ-ორდერებში, უწყისებში გროვდება ინფორმაცია ოპერაციათა ჯგუფების მიხედვით, მხოლოდ უწყისების ფორმა უფრო მარტივია, ვიდრე ჟურნალ-ორდერების (სურ. 8.3.).

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

სალაროს ოპერაციები აღრიცხვის უწყისი -1

№	თარიღი	ოპერაცი-ის შინაარსი	ნაშთი თვის დასაწყისის- თვის	ბრუნვა საანგარიშო თვეში				ნაშთი თვის დასასრუ- ლისთვის
				მაკორეს- პონდირე- ბელი ანგარიში	ჯამური თანხა	მაკორეს- პონდირე- ბელი ანგარიში	ჯამური თანხა	

სურ. 8.3. ქურნალ-ორდერული ფორმა

აქაც საბოლოოდ ანგარიშების ნაშთები იწერება ქურნალ-მთავარში, რომელიც ძლიერ პგავს სამეურნეო ოპერაციების წიგნს (სურ. 8.4.).

ქურნალ-მთავარი

№	უწყისის №	ანგ. შიფრ.	ძირითადი საშუალებები		მასალა		სალარო		ა.შ.
		უწყისის ჯამი	ლ	ბ	ლ	ბ	ლ	ბ	
1	ნაშთი 01.01								
2	B-1								
3	B-2								

და ა.შ.

სულ თვეში

ნაშთი

სურ. 8.4. ქურნალ-მთავარი

9. ფულადი საშუალებების აღრიცხვა და ანგარიშსწორება

ნებისმიერ ორგანიზაციას გააჩნია სამეურნეო კავშირები სხვადასხვა ორგანიზაციებთან – მომწოდებლებთან, მყიდველებთან ან მომხმარებლებთან – რომლებთანაც იგი აწარმოებს ანგარიშსწორებას. საანგარიშსწორებო ურთიერთობები დაფუძნებულია მყიდველების ვალდებულებებზე გადაიხადონ ნაყიდი მატერიალური ფასეულობების, შესრულებული სამუშაოების და მომსახურების ღირებულება. წარმოიშვება ანგარიშსწორება აგრეთვე სახელმწიფოს ბიუჯეტთან, თვით ორგანიზაციის მუშა-მოსამსახურებთან და ა.შ.

ანგარიშსწორების ზუსტი და სწორი ორგანიზება ხელს უწყობს საწარმოს საქმიანობას.

შესაძლებელია ნადდი და უნაღდო ანგარიშსწორება. ამასთან დაკავშირებით განვიხილავთ ორგანიზაციის სალაროს ფუნქციონირებას და საბანკო ანგარიშის გამოყენებას.

პირველ რიგში განვიხილოთ ანგარიშსწორება მუშა-მოსამსახურებთან ხელფასის სახით.

9.1. ანგარიშსწორება ხელფასის სახით

მუშა-მოსამსახურის სამსახურში მიღების დროს ორგანიზაციაში მასზე უნდა გაფორმდეს ბრძანება. ამ ბრძანებაში მიუთითებენ მუშა-მოსამსახურის გვარს, სახელს, მამის სახელს, მოსვლის თარიღს, განყოფილებას, თანამდებობას, სამუშაოს ტიპს (საშტატო ერთეული თუ დროებითი ხელშეკრულება) და ანაზღაურების ტიპს.

ბრძანების საფუძველზე მუშა-მოსამსახურებზე ბუღალტერიაში ხელფასების განყოფილებაში უნდა გაიხსნას პირადი ბარათი. ამ პირად ბარათში უნდა იყოს შეტანილი თანამშრომლის პირადი მონაცემები და მთელი მონაცემები, დაკავშირებული ხელფასის დარიცხვასთან და დაკავებებთან. აქ აისახება ყოველი დარიცხული ხელფასი და მასთან დაკავშირებული დაკავება.

როგორც ცნობილია ყველა შემოსავლებიდან ფიზიკურ პირებს უკავდებათ საშემოსავლო. ამჟამად საშემოსავლო გადასახადი უდრის დარიცხული ხელფასის 20%-ს. გაანგარიშებული თანხა უნდა გამოაკლდეს დარიცხულ ხელფასს, და მხოლოდ ამის შემდეგ თანხა გაიცემა ხელზე.

აქედან გამომდინარე ხელზე გასაცემი თანხა უდრის:

ხელზე გასაცემი თანხა = დარიცხული ხელფასი - საშემოსავლო.

ხელფასის გატარებები

ხელფასის დარიცხვა ხდება ხელფასის ანგარიშის კრედიტში და ხარჯების ანგარიშის დებეტში გატარებით.

შემდეგ ხდება საშემოსავლო დაბეგვრის დარიცხული ხელფასის დებეტის მხარეს გატარება და შესაბამისი ანგარიშის (გადასახდელი საშემოსავლო ანგარიში) კრედიტში ჩეგნება.

როდესაც წარმოებს ხელფასის გაცემა, გაცემული თანხა ტარდება ხელფასის ანგარიშის დებეტში და სალაროს (ან ბანკის) ანგარიშის კრედიტში, მაგრამ ხელფასის გაცემას უნდა უსწრებდეს ხელფასთან დაკავშირებული დაბეგვრის გადარიცხვა. ამასთან დაკავშირებით თანხის გადარიცხვის დროს ეს თანხა ტარდება შესაბამისი ანგარიშის დებეტში და ბანკის ანგარიშის კრედიტში. დაბეგვრაში იგულისხმება საშემოსავლო გადასახადი.

9.2. სალაროს ოპერაციები

როგორც ჩვენ ვიცით, ნადირი ფულის შენახვისა და მისი ხარჯვისათვის საწარმოოს გააჩნია სალარო. სალაროს ფუნქციონირება მიმდინარეობს შესაბამისი დებულების საფუძველზე. ამ დებულებიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი მომენტები:

1. საწარმოს მთელი ფულადი სახსრები უნდა ინახებოდეს ბანკის ანგარიშზე,
2. ბანკიდან სალაროში მიღებული სახსრები უნდა დაიხსარჯოს მკაცრად მიზნობრივად,
3. სალაროში ფული უნდა ინახებოდეს ლიმიტის ფარგლებში.

მოლარე, სამსახურში მიღების დროს, უნდა გაეცნოს სალაროს ფუნქციონირების დებულებებს და უნდა დაიდოს მისი სალაროზე მატერიალური პასუხისმგებლობის ხელშეკრულება.

სალაროს ფუნქციონირებაში გამოიყენებენ შემდეგ დოკუმენტებს:

სალაროს შემოსავლის ორდერები,

სალაროს გასავლის ორდერები,

შემოსავლისა და გასავლის ორდერების რეგისტრაციის ჟურნალი,

სალაროს წიგნი.

სალაროში თანხის მიღება წარმოებს სალაროს შემოსავლის ორდერის საფუძველზე, ხოლო თანხის გაცემა – სალაროს გასავლის ორდერის საფუძველზე. მათთან მუშაობა ჩვენს მიერ უკვე განხილულია, ეხლა ვიმეორებთ მხოლოდ ძირითად მომენტებს. სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერებს თან ერთვის ის საბუთები, რომელთა საფუძველზედაც წარმოებს სალაროს ოპერაცია. სალაროს შემოსავლის ორდერის ყუა ოპერაციის ჩატარების შემდეგ მოეხევა და გადაეცემა იმ პირს, რომელმაც შემოიტანა ფული. გასავლის ორდერზე კი ხელს აწერს ორგანიზაციის ის თანამშრომელი, რომელიც პასუხს აგებს ფინანსებზე. ოპერაციის ჩატარების შემდეგ ორდერები უნდა “დაიფაროს” უკანა მხარეს სპეციალური შტამპით “გადახდილია”. სალაროს დოკუმენტებში არანაირი შესწორებები არ დაიშვება. სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერები რეგისტრირდება ორდერების რეგისტრაციის ჟურნალში.

სალაროს ოპერაციები ტარდება სალაროს წიგნში. სალაროს წიგნის ფურცლები უნდა იყოს დანომრილი, წიგნი შეკერილი, ხოლო გვერდების რაოდენობა უნდა იყოს დამოწმებული ორგანიზაციის ხელმძღვანელისა და ბუღალტრის ხელმოწერებითა და ბეჭდით. ჩანაწერები სალაროს წიგნში ხორციელდება გადასაყვანი ქაღალდის მეშვეობით ორ ეგზემპლარად. მეორე ეგზემპლარი მოიხევა და სხვა მასთან თანდართულ დოკუმენტებან ერთად წარმოადგენს მოლარის ანგარიშს.

სალაროს წიგნის ყოველ გვერდზე (იხ. სურ. 9.1.) უნდა იყოს მითითებული თარიღი, დღის საწყისი ნაშთი. ყოველი ოპერაცია ტარდება თავისი ნომრით, იწერება მისი მოკლე შინაარსი, მაკორესპონდირებელი ანგარიში და თანხა შესაბამის სვეტში. დღის ბოლოს უნდა დაჯამდეს შემოსული და გასული თანხა და დათვლილ იქნას დღის ბოლოს ნაშთი. ბოლოს იწერება შემოსავლის ორდერებისა და გასავლის ორდერების რაოდენობა. ხელს აწერს მოლარე და შემოწმების შემდეგ მთავარი ბუღალტრი.

როგორც ჩვენ უკვე ავღნიშნეთ, ფული ინახება სეიფში. მასში აგრეთვე შეიძლება ინახებოდეს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტები, მაგალითად: დიპლომები, შრომის წიგნაკები, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები.

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

სურ. 9.1. საღაროს წიგნი

9.3. ანგარიშსწორება ანგარიშვალდებულ პირებთან

ანგარიშვალდებულ პირად ითვლება ორგანიზაციის ის თანამშრომელი, რომელზეც ავანსის სახით გაიცემა სალაროდან ფული სამეურნეო ხარჯებისათვის, მასალებისა და საქონლის შესაძენად და მივლინებებისათვის.

სამსახურეობრივ მივლინებად ითვლება თანამშრომლის მგზავრობა სამსახურეობრივი დავალების შესასრულებლად საწარმოოს ხელმძღვანელის დავალებით სამსახურის ფარგლებს გარეთ. მივლინებისათვის გაცემული თანხები განისაზღვრება გზის ხარჯებისათვის, დღიური ხარჯებისათვის და ბინისათვის. თანხის გატანის დროს წარმოიშვება დავალიანება, რომელიც ნირმალურად მიიჩნევა მივლინების პერიოდში. ამის მერე იუნდა იყოს წარდგენილი ანგარიში ხარჯების შესახებ. თუ თანხა მთლიანად არ არის დახარჯული, ნაშთი უნდა იყოს დაბრუნებული სალაროში.

იგივე ეხება სამეურნეო ფასეულობების შეძენას. შეძენის მიზნით თანხის გატანის შემთხვევაში წარმოიშვება დავალიანება ორგანიზაციის წინაშე. თანხის ხარჯვასთან დაკავშირებით სამ დღეში ბუღალტერიაში უნდა იყოს წარდგენილი ანგარიში. თუ დახარჯული თანხა იმაზე ნაკლებია, რაც გატანილი იყო სალაროდან მაშინ სხვაობა უნდა იქნას შეტანილი სალაროში, და პირიქით, თუ წარმოდგენილი საბუთების საფუძველზე დახარჯულია უფრო დიდი თანხები, მაშინ ხდება დამატებითი თანხების გაცემა სალაროდან. ანგარიშის ჩაბარებისთანავე იფარება თანამშრომლის დავალიანება.

ცხრილი 9.1. სალაროს გატარებები სალაროს გატარებები ფულის მიღება სალაროში

ოპერაციის დასახელება	დებეტი	კრედიტი
პროდუქციის ღირებულება მიღებული მყიდველისაგან	1110	6110
საქონლის ავანსად მიღებული ღირებულება მყიდველისაგან	1110	1410
მექანიზმი საწარმოს მიერ შემოტანა	1110	1420
პარტნიორების მიერ კაპიტალის შესავსებად	1110	1460 2340
მოკლევადიანი სესხის მიღება	1110	3210
სესხის მიღება პარტნიორებისაგან	1110	3220
მიმწოდებლებზე გაცემული ავანსების უკან დაბრუნება	1110	1480
სალაროში აღმოჩენილი ზედმეტი თანხა	1110	8130
ბანკიდან ნაღდი ფულის გამოტანა	1110	1210
ანგარიშვალდებული პირის მიერ უკან დაბრუნებული თანხა	1110	1430
საქვეანგარიშოდ მიღებული თანხების უკან დაბრუნება ხელმძღვანელობის მიერ	1110	1440
პარტნიორების მიერ სესხების უკან დაბრუნება	1110	1450

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

ფულის გაცემა საღაროდან

ოპერაციის დასახელება	დებეტი	კრედიტი
მიღებული საქონლის, სამუსაშაოების, მომსახურების გადახდა	3110	1110
საწარმოს პერსონალზე ხელფასის გაცემა	3130	1110
მოკლევადიანი სესხების დაფარვა	3210	1110
საქონლის, მასალების, ნედლეულის შეძენა	1600	1110
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	2100 2500	1110
რეკლამის ხარჯების გაწევა	7310	1110
მიწოდების (ტრანსპორტის, შენახვის) ხარჯების გაწევა	7340	1110
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების გაწევა	7490	1110
საკომისიო ხარჯების გაწევა	3150	1110
შემდგომში გასაწევი მომსახურების წინასწარ ანაზღაურება	1710	1110
წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა	1720	1110
საგადასახადო ვალდებულებების დაფარვა	3300	1110
სხვდასხვა დარიცხული ვალდებულებების დაფარვა	3400	1110
მექანიზმი საწარმოებზე ფულის გაცემა	3170	1110
საქვეანგარიშოდ ხელმძღვანელებზე ფულის გაცემა	3160	1110
ანგარიშვალდებულ პირებზე ავანსის გაცემა	1430	1110
მოკლევადიანი ინვესტიციების შეძენა	1310 1320	1110
ნედლეულისა და მასალების შეძენა	1620	1110
საქონლის შეძენა	1610	1110
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენა	1690	1110
თანამშრომლებისათვის მივლინებისათვის გაცემული ავანსები	1430	1110
ბანკში ანგარიშსწორების ანგარიშზე შეტანილი თანხები	1210 1220	1110 1120
უცხოურ ვალუტაში ფულის ნაშთების გადაფასებიდან მიღებული უცხოური ვალუტის გაცვლის განსხვავები:		
ა) დადებითი განსხვავება	1110	8190
ბ) უარყოფითი განსხვავება	8290	1110

9.4. ორგანიზაციის ანგარიშსწორების ანგარიში

ანგარიშსწორების ანგარიშის გასახსნელად ორგანიზაციამ უნდა წარადგინოს ბანკში განცხადება, წესდების დედანი, ბარათები ორგანიზაციის ხელმძღვანელისა და მთავარი ბუღალტრის ხელმოწერებითა და ბეჭდით ნოტარიუსის მიერ დამოწმებული, მთავარი ბუღალტრის დანიშნვის ბრძანების ასლი.

ორგანიზაციის ანგარიშსწორების ანგარიშზე შემოდის თანხა რეალიზაციიდან, საავანსო გადასახადები, დებიტორული დავალიანება, თანხები სალაროდან. ანგარიშსწორების ანაგარიშიდან წარმოებს უნადდო ანგარიშსწორება, გაიცემა თანხები ხელფასის გასაცემად, მივლინების თანხების გასაცემად

თანხების ბანკიდან გაცემა და გადარიცხვები წარმოებს მფლობელების მოთხოვნით ან მისი თანხმობის შედეგად (აქცეპტი). იშვიათ შემთხვევაში ადგილი აქვს იძულებით გადარიცხვებს საფინანსო ორგანოების მოთხოვნის თანახმად. გარდა ამისა ბანკი საკუთარი ინიციატივით ხსნის თანხებს საკომისიო მომსახურების გადასახადის სახით.

პირველადი დოკუმენტები, რომელთა საფუძველზედაც ხდება საბანკო ოპერაციები არის - საგადასახადო დავალება, ჩეკები, ქვითრები და განაცხადები.

როგორც ჩვენ უკვე ვიცით, საგადასახადო დავალება გამოიყენება საბანკო ანგარიშიდან თანხის სხვა ორგანიზაციის ანგარიშზე გადასარიცხად.

ბანკიდან ნადდი ფულის სალაროში გამოსატანად საჭიროა ფულადი ჩეკი, რომელიც გამოიწერება მოლარის სახელზე. იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაცია პატარაა და მოლარის მოვალეობებს ასრულებს ბუღალტერი მაშინ მას ეკისრება ეს საბანკო ოპერაციაც. ჩეკები განთავსებულია სპეციალურ წიგნაკში. ამ წიგნაკის მისაღებად ორგანიზაციამ უნდა დაწეროს განცხადება, სადაც მიეთითება მოლარის სახელი და გვარი და მისი ხელმოწერა. განცხადებას ხელს აწერენ ხელმძღვანელი და მთავარი ბუღალტერი. იმისათვის რომ მოიხსნას ფული საბანკო ანგარიშიდან, ბუღალტერი ავსებს ფულად ჩეკს, აწერს ხელს ხელმძღვანელთან ერთად და აძლევს მას მოლარეს. მოლარე, როგორც წესი, წინასწარ 1-2 დღით ადრე აძლევს შეკვეთას ბანკს. ოპერაციის ჩატარებისას ჩეკი მოიხვა და რჩება ბანკში, ხოლო ჩეკის წიგნაკში რჩება ჩეკის ფუა. ჩეკის ფუა არის დოკუმენტი საკასო ოპერაციის ჩასატარებლად (სალაროსთვის ივსება სალაროს შემოსავლის ორდერი). ბანკიდან გამოტანილი და სალაროში შეტანილი თანხა უნდა დაიხარჯოს მკაცრად იმ მიზნებზე, რომლებიც მითითებულია ჩეკში მისი შეკვების დროს. გამოუყენებული თანხა უნდა იყოს დაბრუნებული ბანკში. საბანკო ანგარიშზე აგრეთვე ბარდება თანხები, მიღებული საწესდებო ფონდის შესავსებად, რეალიზაციიდან და ა.შ.

საბანკო ანგარიშზე თანხის შეტანა ფორმდება სალაროს გასავლის ორდერით. ბანკში თანხის შეტანის დროს მოლარე ავსებს დოკუმენტს, რომელიც გააჩნია ბანკის მოლარეს და ომელიც შედგება სამი ნაწილისაგან – განცხადება, ქვითარი და ორდერი (იხ. სურ. 9.2.). ზედა ნაწილი რჩება ბანკში, მეორე გადაეცემა მოლარეს, ხოლო მესამე – აგრეთვე გადაეცემა მოლარეს, ოფონდ ოპერაციის ჩატარების შემდეგ საბანკო ამონაწერთან ერთად. სამივე ნაწილზე უნდა იყოს მითითებული თარიღი, ვისგან მიიღება თანხა, მიმღები ბანკი, მიმღები და შენატანის დანიშნულება. მიეთითება საბანკო ანგარიში და თანხა ციფრებით და სიტყვიერად.

საბანკო საქმიანობაში გამოიყენება აგრეთვე საანგარიშსწორებო ჩეკი – ეს არის ბანკის წერილობითი დავალება რომ გასცეს ანგარიშიდან ჩეკის წარმდგენზე ჩეკში მითითებული თანხა. ვინაიდან ამ ჩეკებს იყენებენ ნაყიდი პროდუქციის დირექტულების გადახდის შემთხვევაში, ამით ჩეკდება გადახდის პროცესი. არსებობოს ლომიტირებული და არალიმიტირებული ჩეკები – სხვაობა მდგომარეობს ჩეკში მითითებული თანხის ლიმიტის არსებობაზე. ამ ტიპის წიგნაკის მისაღებად აგრეთვე უნდა დაიწეროს განცხადება. აგრეთვე გარკვეული თანხა უნდა იყოს გადატანილი საანგარიშსწორებო ჩეკის ანგარიშზე.

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

განაცხადი №

ვისგან

ანგარ.№
ჩასარიცხად

მიმღების ბანკი

მიმღები

თანხა
ციფრებით

თანხა სიტყვებით

ლარი

თეთრი

შენატანის დანიშნულება

შემონატანის ხელმოწერა

ბუღალტერი
ფული მიიღო მოლარემ

ვისგან

ქვითარი№

ანგარ.№
ჩასარიცხად

მიმღების ბანკი

მიმღები

თანხა ციფრებით

თანხა სიტყვებით

ლარი

თეთრი

შემონატანის დანიშნულება

ბ.ა

ბუღალტერი

ფული მიეიღო: მოლარე

ორდერი №

დებეტი
ანგ.№

თანხა

ვისგან

რედიტი

საერთო

მიმღები ბანკი

ქოდი

ქოდი

მიმღები

ანგ.№

შემოტანის დანიშნულება

ოპ.დას
ას

ბუღალტერი

მოლარე

გად.სა
ხ

ბანკის
№

სურ. 9.2. განცხადება, ქვითარი და ორდერი

ცნობილია, რომ ბანკების საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება არის მუშაობა თამასუქებთან. **თამასუქი** არის წერილობითი სავალო ვალდებულება. თამასუქი აძლევს უფლებას მის მფლობელს, რომ მოითხოვოს თამასუქში მითითებული თარიღის დადგომასთან ერთად იქვე მითითებული თანხის გადახდა. თანხა უნდა გადაიხადოს იმან, ვინც გასცა თამასუქი ან მისცა თანხმობა მის დაფარვაზე. კომერციული თამასუქები გამოიყენება სავაჭრო ოპერაციების დასაფარავად. თამასუქები არსებობს მარტივი და გადასაყვანი (ტრატა). მარტივ ტამსუქში არის მხოლოდ ერთის

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

ვალდებულება გადაუხადოს ფული მეორეს. გადასაყვან თამასუქებში არის ბრძანება, რომ მოვალემ გადაუხადოს თანხა მესამე პირს. მას შემდეგ, როცა ვალის მქონე პირი მოახდენს მის აქცეპტს (აქცეპტი- არის თანხმობა ფულის გადახდაზე) ანუ იძლევა თანხმობას მის გადახდაზე, თამასუქზე ისმევა გადასაცემი ხელმოწერა (ინდორსემენტი). ასეთი თამასუქები ცირკულირებენ საზოგაოებაში და ფულის როლს ასრულებენ. თუმცა თამასუქი ძალიან სახდო საბუთია, მაგრამ ის არ იძლევა ფულის მიღების სრულ გარანტიას, ვინაიდან შეიძლება ვალის მქონე ობიექტი გაკოტრდეს და არც დარჩეს მისი დასაფარავი თანხები. ამიტომ ყველაზე საიმედო თამასუქები არის ის თამასუქები, რომლის გარანტები არიან პირველხარისხოვანი ბანკები.

საბანკო ოპერაციების რეალიზაციის პროცესში საწარმო იდებს ბანკიდან პერიოდულად ამონაწერებს ჩატარებული ოპერაციების ანგარიშით. საბანკო ამონაწერში მითითებულია ყველა საბანკო ოპერაცია, ჩატარებული გარკვეულ პერიოდში. ეს ამონაწერი გაიცემა ყველა იმ დოკუმენტთან ერთად, რომელთა საფუძველზედაც მოხდა თანხების მოძრაობა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ვინაიდან იმ შემთხვევაში, როდესაც თანხები ინხება საბანკო ანგარიშზე ის ორგანიზაციის მოვალეა, ამიტომაც ჩვენი სადებეტო თანხები ბანკისათვის არის კრედიტი, და პირიქით ჩვენი საკრედიტო თანხები ბანკის - დებეტი.

ცრილი 9.2. საბანკო გატარებები

ფულადი შემოსავლების მიღება:

სამუშაო მიღები	დებეტი	კრედიტი
პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციიდან	1210	6110
	1230	6110
	1290	
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	1210	8190
	1230	8190
	1290	

საინვესტიციო ოპერაციებიდან

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან	1210 1230	8130 8130
ობლიგაციების გამოსყიდვა გამომშვების მიერ	1210 1230	1310 2400 1310 2400
დივიდენდები ინვესტიციებიდან, საპროცენტო შემოსავალი და პროცენტები საბანკო დეპოზიტებიდან	1210 1230	1400 1400

საანგარიშსწორებო ოპერაციებიდან

დებიტორული დავალიანების დაბრუნება (გადახდა)	1210 1230	1410 1490
გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანების გადახდა	1210 1230	2310 2390 2310 2390
მყიდველებისა და მომხმარებლების მიერ გადახდილი ავნები	1210 1230	3120 3120
პარტნიორთა მიერ საწესდებო კაპიტალში მიმდინარე შესატანის შეტანა	1210	2330
პარტნიორთა მიერ საწესდებო კაპიტალში მიმდინარე შესატანის შეტანა	1210	1460
პარტნიორთა მიერ მიღებული სესხების დაბრუნება	1210	1450

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

მოკლევადიანი სესხების მიღება	1210	3210
პარტნიორებისაგან სესხების მიღება	1210	3220
მექანიზმი საწარმოების მიერ თანხების ჩარიცხვა	1210	1420

ფინანსური საქმიანობიდან

კაპიტალის მფლობელთა აქციების გამოყოფა მათი ნომინალური ღირებულების ფარგლებში	1210 1230	5110 5110
კაპიტალის აქციების განაწილება რომელიც აღემატება მათ ნომინალურ ღირებულებას	1210 1230	5410 5410
განსაკუთრებული ამონაგები	1210 1230	9110 9110
ჯარიმების, საურავების და საპიგამტებლოების მიღება	1210	5330
სხვა საწარმოდან ავანსით მიღება	1210	3120
ნადიო ფულის შეტანა ბანკში ანგარიშსწორების ანგარიშზე	1210 1230	1110 1120

ფულადი გასავლები (გადახდები)

საქონლის შესაძენად	1610 1230	1210 1230
მასალების, ნედლეულის შესაძენად	1620	1210 1230
არამატერიალური აქტივების, მოკლევადიანი ინვესტიციების შესაძენად	1500 1310 1320	1210 1230 1210 1230
სხვა სასაქონლო–მატერიალური მარაგების შესაძენად	1690 2100	1210 1230
წინასწარ გადასახდელი ხარჯების გადახდა	1700	1210 1230
კრედიტორული დაგალიანების გადახდა	3110	1210 1230
მოკლევადიანი სასესხი ვალდებულების გადახდა	3210	1210 1230
საგადასახადო ვალდებულების დაფარვა	3300	1210 1230
დაგროვილი და სხვა მიმდინარე ვალდებულების გადახდა	3400	1210 1230
გრძელვადიანი ვალდებულებების დაფარვა	4100	1210 1230
აქციების გამოსყიდვა აქციონერებისგან	5130	1210 1230
პარტნიორთა სესხების დაფარვა	3220	1210
საკომისიო თანხების გადახდა	3150	1210
მექანიზმი საწარმოსათვის თანხების გადარიცხვა	3179	1210
რეკლამის ხარჯების გადახდა	7320	1210
მოწოდებასთან დაკავშირებული ტრანსპორტისა და შენახვის ხერჯების გადახდა	7340	1210

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

მომწოდებლებისათვის ავანსით გადარიცხვა	1480	1210
სხვადასხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების გადახდა	7490	1210
ჯარიმების, საურავების, საპირგამ- ტებლოების გადახდა	5330	1210
საჩეკო წიგნაკებით საწონლის დირექტულებისა და მიწოდების ხარჯების დაფარვა	3110	1290
უარყოფითი საკურსო სხვაობა	5330	1230
სალაროში ბანკიდან გამოტანილი ფული	1110 1210	1210 1230
ვალუტის გაცვლის განსხვავებები: - დადებითი - უარყოფითი	1230 8220	9110 1230

**9.5. ამოცანები: ხელფასის გატარებები,
ოპერაციები ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით**

ამოცანა №9.1.

ორგანიზაციაში მუშაობს 20 ადამიანი. მათგან: 10 ადამინის ხელფასია თოთოს 500 ლარი, 5-ის ხელფასია თოთოს 800 ლარი, 4-ის ხელფასია თოთოს 1000 ლარი და 1-ის ხელფასია 1500 ლარი.

შეასრულეთ ხელფასის დარიცხვისა და გაცემის გატარებები. ხელფასის გაცემა მოახდინეთ მთლიანად ნაღდი ფულით. (საწარმოს სალაროში გააჩნია 2 300 ლარი, ხოლო საბანკო ანგარიშზე 50 000 ლარი).

ამოცანა №9.2.

კომპანია "ალფა" არის მცირე საწარმო, რომელიც სთავაზობს მომხმარებლებს. იურიდიულ მომსახურეობას. კომპანიაში დღესდღეობით მუშობს 6 ადამიანი:

1. დადიანი ეკატერინე - დირექტორი
2. კაციტაძე გიორგი - მთ. ბუღალტრი
3. გორგაძე დავითი - იურისტი
4. ბენაშვილი ლევანი - იურისტი
5. შველიძე ნათია - იურისტი
6. შუბითიძე ლელა - დამლაგებელი

დირექტორის ხელფასი შეადგენს 1000 ლარს, მთ. ბუღალტრის - 800 ლარს, იურისტის - 700 ლარს, ხოლო დამლაგებელის - 300 ლარს. კომპანიას აქვს დადებული ხელშეკრულება სადაზღვევო კომპანიასთან და შესაბამისად ყველა თანამშრომელი იხდის დაზღვევის თანხას ყოველთვიურად 30 ლარის ოდენობით.

შეავსეთ ივნისის თვის ხელფასის უწყისი, იმის გათვალისწინებით, რომ დადიანს და ბენაშვილს აქვთ აღებული ივნისის თვის ავანსი 100-100 ლარი, ხოლო გიორგაძეს ამავე თვეში დაენიშნა პრემია ხელფასის 50%-ს ოდენობით რთული სარჩელის მოგებისათვის.

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	დარიცხ. ხელფასი	სხვა დარიცხულია	სულ დარიცხულია	საშემოსავლო გადასახ.	სხვა გამოქვითვები	სულ გამოქვითვები	ხელზე გასაცემი თანხა
	ჯამი								

10. მომარაგების, წარმოებისა და რეალიზაციის პროცესების აღრიცხვა

10.1. ძირითადი საშუალებები და მათი ცვეთა

ჩვენთვის უკვე ცნობილია, თუ რას წარმოადგენს ძირითადი საშუალებები. ეს არის შრომის საშუალებები, რომელთა გამოყენების ვადა ერთ წელზე მეტია. ამ ჯგუფში შედის მიწა, შენობები, ნაგებოები, დანადგარები, მანქანები, კომპიუტერები და ა.შ.

საბუღალტრო აღრიცხვის ერთ-ერთი პრინციპის თანახმად ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათი თვითდირებულებით. თვითდირებულებაში კი შედის ყველა ის დანახარჯი, რომელიც გაწეულია იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ძირითადი საშუალების გამოყენება. სხვა სიტყვებით, შეძენის თვითდირებულებას ემატება ტრანსპორტირების, მონტაჟის, აწყობის, გამართვის ხარჯები. თუ საწარმო თვითონ ამზადებს ძირითად საშუალებას, მის თვითდირებულებაში შედის ყველა დანახარჯი, რომელიც გაწეულია მისი დამზადებისათვის – მუშა-მოსამსახურების ხელფასი, მასალების დირებულება და ზედნადები დანახარჯები.

ჩვენ ვიცით, რომ საშუალება ითვლება საწარმოს საკუთრებად, თუ ის შეძენილია. მაგრამ შეიძლება საწარმო იუნებდეს არა საკუთარ ძირითად საშუალებას, არამედ იდებდეს მას იჯარით. ამ შემთხვევაში ეს ძირითადი საშუალება ეკუთვნის თავის მფლობელს. ამიტომაც იჯარით ადგებული საშუალებები იმყოფება იჯარის გამცემი საწარმოს საკუთრებაში და აისახება მის ბალანსში. მაგრამ თუ წარმოებს ძირითადი საშუალების იჯარა დიდი პერიოდის განმავლობაში, მაშინ სურათი იცვლება. ხანგრძლივ იჯარას უწოდებენ ისეთ იჯარას, როდესაც იჯარის პერიოდი თითქმის უდრის ამ საშუალების გამოყენების პერიოდს, ხოლო იჯარის გადასახადი უტოლდება საშუალების დირებულებას. ასეთ იჯარას უწოდებენ კაპიტალურ იჯარას ან ფინანსურ იჯარას. ამ შემთხვევებაში ძირითადი საშუალება პრაქტიკულად გადადის საწარმოს საკუთრებაში. ამიტომაც, ასეთი იჯარით ადგებული საშუალებები იწერება საშუალებების განაყოფში.

ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა, რომლის გამოყენების ვადა განუსაზღვრელია, განიცდიან ამორტიზაციას – ანუ შრომის შედეგად ისინი ხდებიან უვარგისი. სხვა სიტყვებით, მათ აქვთ შეზღუდული გამოყენების პერიოდი. ამორტიზაცია ხდება თანდათანობით – თანდათან ძირითად საშუალებას გადააქვს თავისი დირებულება გამოშვებულ პროდუქციაზე. ყოველწლიურად გამოიყენება საშუალების გარკვეული ნაწილი, სანამ ძირითადი საშუალება არ იქნება გამოყენებული მთლიანად.

დროის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც განსაზღვრულია ძირითადი საშუალების გამოყენება, უწოდებენ საშუალების სამსახურის ვადას. საშუალების შეძენის დროს, როგორც წესი, უცნობია, როგორი იქნება მათი გამოყენების ვადა. ამიტომაც საჭიროა ამ პერიოდის პროგნოზი.

ვინაიდან ყოველწლიურად გამოიყენება საშუალების პირვანდელი დირებულების გარკვეული ნაწილი, ამ ნაწილს მიაკუთვნებენ ამ წლის ხარჯებს.

საშუალების დირებულების იმ ნაწილის განსაზღვრას, რომელიც შედის ყოველწლიურად ხარჯებში, უწოდებენ ამორტიზაციას. ხარჯების ამ ნაწილს კი უწოდებენ ამორტიზაციის ხარჯებს.

საშუალება შეიძლება გახდეს უვარგისი ორი მიზეზით: ფიზიკური ან მორალური ცვეთის შედეგად. მორალურ ცვეთას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც საშუალება კარგავს თავის დირებულებას ტექნოლოგიის განვითარების, სტილის შეცვლის ან სხვა მიზეზის გამო, რომელიც არ არის დაკავშირებული ფიზიკურ მდგომარეობასთან. მუშაობის პერიოდის პროგნოზირების დროს მხედველობაში დებულობენ როგორც ფიზიკურ, ასევე მორალურ ცვეთას. ამ დროს

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

მუშაობის პერიოდად იღებენ უმცირეს მნიშვნელობას. კიდევ ერთხელ გავიმეოროთ ძირითადი მომენტები:

1. ამორტიზაცია არის საშუალების თვითდირებულების ტრსაფორმაციის პროცესი დანახარჯებში ამ საშუალების მუშაობის პერიოდში,
2. ამორტიზაციის კონცეპცია ეყრდნობა იმ დებულებას, რომ საშუალებები ექსპლუატაციის პროცესში კარგავენ თავის ვარგისიანობას,
3. საშუალებები კარგავენ თავის ვარგისიანობას ორი მიზეზით: მორალური ან ფიზიკური ცვეთის გამო,
4. მუშაობის პერიოდად იღებენ უმცირეს პერიოდს – ან მორალური ან ფიზიკური ცვეთის გამო.

საერთოდ, განიხილავენ სამი სახის დირებულებას: თვითდირებულებას, ნარჩენ ლირებულებას და აღდგენით ლირებულებას. თვითდირებულების შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი, ნარჩენი ლირებულება უდრის თვითდირებულებას ამორტიზაციის ლირებულების გამოკლებით ანუ ამორტიზაციის დანახარჯების გამოკლებით. ყოველწლიურად ძირითადი საშუალებები განიცდიან ამორტიზაციას, რომლის განსაზღვრა შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდით. ერთ შემთხვევაში თვლიან, რომ საშუალება განიცდის ამორტიზაციას, რომელიც განისაზრებება გარკვეული კოეფიციენტით - ამორტიზაციის ნორმით. ამორტიზაციის პროცესი წარმოადგენს წრფივ პროცესს ანუ ყოველწლიურად ძირითადი საშუალება განიცდის თანაბარ ამორტიზაციას.

მეორე შემთხვევაში, უნდა განისაზღვროს, რამდენ ხანს აპირებენ საშუალების გამოყენებას და რამდენ ხანში მოხდება მისი ამორტიზაცია, რა იქნება მისი ნარჩენი ლირებულება გარკვეული პერიოდის გავლის შემდგომ. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამორტიზაციაზე გავლენას ახდენს: პირვანდელი ლირებულება, ნარჩენი ლირებულება, სამსახურის ვადა. აქედან შეიძლება შემდეგი გაანგარიშებების ჩატარება. ამორტიზაციის ნორმის გაანგარიშება შესაძლებელია შემდეგ ნაირად:

1 / სამსახურის ვადა.

ამორტიზაციის დანახარჯების განსაზღვრისათვის საჭიროა პირვანდელი ლირებულებისა და ნარჩენი ლირებულების ცოდნა. ხოლო ამორტიზაციის დანახარჯების გასაანგარიშებლად საჭიროა პირვანდელი ლირებულების, ნარჩენი ლირებულებისა და სამსახურის ვადის ცოდნა.

ამორტიზაციის ჩვენება ანგარიშებზე წარმოებს შემდეგნაირად. ძირითადი საშუალებები, როგორც წესი, აისახება ბალანსში თავისი პირვანდელი ლირებულებით - თვითდირებულებით, ამიტომაც ამორტიზაცია აისახება არა ძირითადი საშუალებების ანგარიშზე, არამედ სპეციალურ ანგარიშზე, რომელსაც უწოდებენ ამორტიზაციის ანგარიშს. ვინაიდან ამორტიზაცია გროვდება წლების განმავლობაში ამ ანგარიშს კიდევ უწოდებენ აკუმულირებულ ამორტიზაციას. ამავე დროს ითვლება, რომ ამორტიზაცია წარმოადგენს დანახარჯებს, რომელიც ტარდება თავის შესაბამის ამორტიზაციის დანახარჯების ანგარიშზე.

ბუნებრივი რესურსები აგრეთვე განიცდიან ამორტიზაციას. თუ მცირდება ნავთობის ან ნახშირის მარაგი – მცირდება საბადოები, ანუ აქვს ადგილი ბუნებრივი რესურსების ამორტიზაციას. ბუნებრივი რესურსების ამორტიზაცია მიმდინარეობს სხვა ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის მსგავსად, იმ განსხავავებით, რომ აქ საბულალტრო ანგარიშებზე შემცირდება ხორციელდება უშუალოდ საშუალებების ანგარიშზე. ამიტომაც აკუმულირებული ამორტიზაციის ანგარიში აქ არ გამოიყენება. ამორტიზაცია გამოითვლება ბუნებრივი რესურსის ერთეულის ლირებულების გადამრავლებით გამოყენებული რესურსების რაოდენობაზე.

თვითდირებულების პრინციპის თანახმად არამატერიალური აქტივები არ შედის საშუალებებში იმ შემთხვევაში თუ ისინი არ არის შეძენილი გარკვეულ ფასად. მაგრამ თუ ისინი შეძენილია გარკვეულ ფასად, ისინი აისახება ისევე, როგორც სხვა

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

ძირითადი საშუალებები და აგრეთვე განიცდიან ამორტიზაციას – ანუ ხდება მათი ღირებულების ჩამოწერა.

ამორტიზაცია აგრეთვე უნდა იყოს განხილული ხარჯების კუთხით. ცნობილია, რომ ნებისმიერი ფირმა იბრძვის მოგების გაზრდის მიზნით, მაგრამ სულ არ არის დაინტერესებული დიდი მოგების გადასახადის გადახდაში. ეს შესაძლებელია დასაბეგრი მოგების მნიშვნელობის შემცირებით, მხოლოდ არსებული კანონმდებლობის თანახმად. ზოგ შემთხვევაში დაშვებულია, რომ მოგება მიღებული საფინანსო ანგარიშებში და დასაბეგრი მოგება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ამ მიზნით გამოიყენებენ დაჩქარებული ამორტიზაციის შეთოდს წრფივი ამორტიზაციის მეთოდისაგან განსხვავებით. პირველ რიგიში უნდა აღინიშნოს, რომ მოგება მიღებული წოდებული ნახევარწლიანი კონვენცია, რომელიც მდებარებს შემდეგ ში: იგულისხმება, რომ მიმდინარე წელს შეძენილი ძირითადი საშუალებები ჩადგა მწყობრში მიმდინარე წლის შეუძი. ესევი ამ წლის ამორტიზაცია უდრის წლიური ამორტიზაციის ნახევარს. ამ კონვენციასთან ერთად იყენებენ კიდევ დიფერენცირებულ ამორტიზაციის ნორმებს. ამ შემთხვევაში, როგორც წესი ამორტიზაციის ნორმა პირველ წლებში გაცილებით უფრო დიდია, შემდგომ კი ის თანდათანობით მცირდება. ამორტიზაციის საერთო მნიშვნელობა ორივე მეთოდისათვის ერთია, მაგრამ დაჩქარებული ამორტიზაციის შემთხვევაში პირველ წლებში ამორტიზაციის მნიშვნელობა უფრო დიდია. გაზრდილი ამორტიზაცია, ვინაიდან ის წარმოდგენს ხარჯს, ამცირებს დასაბეგრი მოგების მნიშვნელობას და, შესაბამისად, მოგების გადასახადის მნიშვნელობას. მართალია, შემგდომში ხდება ამორტიზაციის შემცირება და, შესაბამისად, მოგების გაზრდა, რაც კომპენსაციას უკეთებს აღრინდელ მოგების გადასახადის შემცირებას, მაგრამ ეს მაინც შედავათია ფირმებისათვის პირველ წლებში, როდესაც ისინი იწყებენ თავის საქმიანობას და სჭირდებად ფულის დაზოგვა.

ცხრილი 10.1 ძირითადი საშუალებების გატარებები

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

სამუშაო ოპერაციები	დებეტი	კრედიტი
ძირითადი საშუალებები შეძენილია ნადღ ფულზე ან გადარიცხვით	2100 2100	1100 1200
ძირითადი საშუალებების აგებაზე გაწეული ხარჯების აღრიცხვა	2120	1620 3130 3370 3110
ძირითადი საშუალებები აღებულია შემოსავალში	2100	2120
მიღებულია დამფუძნებლებისაგან როგორც კაპიტალში მიმდინარე შესატანი	2100	1460
მიღებულია ძირითადი საშუალებები უსასეიდლოდ	2100	5410
მიღებულია დამფუძნებლისაგან დასადგმელი მოწყობილობა	2121	2330
მიღებულია მიმწოდებლებისაგან დასადგმელი მოწყობილობა	2121	3110
დასადგმელი მოწყობილობა გადაცემულია დასამოწამებლად შეძენილია ძირითადი საშუალებები	2120 7200 7100 7400	2121 1210 2200
დარიცხულია ცვეთა ძირითად საშუალებებზე		

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

დარიცხულია ცვეთა ჩვეულებრივი იჯარით გაცემულ ძირითად საშუალებებზე	5330	2200
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია 8200 1400 2100 2200	2100 8200 8200 8200	
გაყიდულია ძირითადი საშუალებები (ლირებულება გასაყიდი ფასით ასახულია რეალიზაციაში)	1490	8200
მიღებულია გაყიდული ძირითადი საშუალებების ღირებულება	1100 1200	1400 1400
ჩამოწერილია გასული(რეალიზებული)ძირითადი საშუალებები (პირვანდელი ღირებულებით)	8230	2100
ჩამოწერილია გასული (რეალიზებული) ძირითადი საშუალებების ცვეთა	2200	8290
მიღებულია ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან ამონაგები	1110 1210	1490
ძირითადი საშუალებების ლიკვიდაცია	5300	2200
ძირითადი საშუალებების ლიკვიდაციის ხარჯები	2200 5300	2100 3100 3300
ლიკვიდაციით მიღებული ფასეულობების ღირებულება	1600	8130 5300
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული ხარჯების განაღდება	8290	1100 1200
მიღებული მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	8290	5330 (8130)
მიღებულია ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	5330 8220	8290
გაცემულია ძირითადი საშუალებები გრძელვადიანი იჯარით (სახელშეკრულებო ფასით)	2320	8290

10.2. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები – არის ისეთი აქტივები, რომელთა შეხება ფიზიკურად შეუძლებელია, მაგრამ ისინი წარმოადგენენ ფასეულობას საწარმოსათვის.

ბუღალტრულ აღრიცხვაში მათი გამოჩენა დაკავშირებულია იმ ფაქტოან, რომ საწარმო იხდის ფულს მათი შეძენისათვის ან აწარმოებს ხარჯებს მათ შესაქმნელად. ჩვენ განვიხილავთ ისეთ არამატერიალურ აქტივებს, როგორიც არის გუდვილი, სამეცნიერო კვლევები და დამუშავებები.

გუდვილი

როგორც წესი, როდესაც საწარმო გადადის ერთი მფლობელის ხელიდან მეორე მფლობელის ხელში, მისი გადახდილი ფასი უფრო დიდია, ვიდრე საწარმოს მატერიალური აქტივების ღირებულება. ეს სხვაობა არის არამატერიალური აქტივი, რომელსაც უწოდებენ გუდვილს, ანუ გუდვილი – არის არამატერიალური აქტივი, მომუშავე საწარმოს ფასეულობა. სხვა სიტყვებით, გუდვილი არის მყიდველის დაინტერესებით განპირობებული შეძენის დანამატი გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების ნამდვილ ფასთან შეფარდებაში შეძენის მომენტისათვის.

გუდვილის არსებობა შეიძლება იყოს განპირობებული შემდეგი ფაქტორებით:
საწარმოს რეპუტაცია,
საქონლის და მომსახურების მაღალი ხარისხი,
კარგი ადგილმდებარეობა,
“ნოუ-ჰინგ” ცოდნა და გამოცდილება,
კარგი კონტაქტების არსებობა,
კარგი ხელმძღვანელობა და/ან ტექნიკური პერსონალი.

შეძენილი გუდვილი წარმოიშვება ყიდვის შედეგად. შეძენილი გუდვილი აისახება ანგარიშებზე, ვინაიდან გარკვეულ მომენტში, შეძენის შედეგად, წარმოიშვება საწარმოს ღირებულების ციფრი, რომელიც შეიძლება იყოს შედარებული შეძენილი აქტივების ფასთან, და ეს ციფრი შეტანილი იქნება ანგარიშებში როგორც პირვანდელი ღირებულება.

არა-შეძენილი გუდვილი, რომლის გენერირება ხდება თვითონ საწარმოში, უმრავლეს შემთხვევაში არ აისახება ანგარიშებზე მანამ, სანამ არ მოხდება ისეთი მოვლენა, რომელიც გამოამჟღავნებს გუდვილის ღირებულებას.

შეძენის შედეგად გამოვლენილი გუდვილი, უნდა იყოს აღიარებული აქტივად, და მას ერიცხება ამორტიზაცია მისი მუშაობის პერიოდის განმავლობაში. ჩვეულებრივ, ეს პერიოდი უდრის 5 წელს, მაგრამ ზოგ შემთხვევაში შეიძლება იყოს მიღებული უფრო დიდი პერიოდი – 20 წლამდე.

სამეცნიერო სამუშაოები, კვლევა

როგორც ჩვენ უკვე ავღნიშნეთ, საწარმოში შეიძლება ტარდებოდეს მთელი რიგი სამეცნიერო სამუშაოები – კვლევები და ამ კვლევების შედეგად მიღებული აღმოჩენების გამოყენება-დამუშავება.

კვლევების ღირებულება უნდა იყოს აღიარებული როგორც მოცემული პერიოდის ხარჯი.

დამუშავების ღირებულება უნდა იყოს აღიარებული აგრეთვე როგორც ხარჯები სანამ არ დაკმაყოფილდება ყველა ქვევით მოყვანილი პირობა:

- არსებობს გარკვეული პროექტი ან დამუშავების პროცესი,
- ყველა ხარჯი, დაკავშირებული პროექტთან ან დამუშავების პროცესთან, შესაძლებელია იყოს იდენტიფიცირებული და გაანგარიშებული,
- დემონსტრაცია შეიძლება ჩატტარდეს პროდუქციის გამოშვების ტექნიკურ შესაძლებლობას ან პროცესს,
- საწარმო აპირებს აწარმოოს, გამოუშვას ბაზარზე ან გამოიყენოს ნაკეთობა ან პროცესი,
- არსებობს ნაკეთობის ან პროცესის გაყიდვის ბაზარი, ან შესაძლებელია მისი გამოყენება თვითონ საწარმოს შიგნით,
- არსებობს საკმარისი სახსრები დამუშავების ბოლომდე მისაყვანად.

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

ამ ყველა პირობის შესრულების შემთხვევაში, დამუშავების ყველა ხარჯი უნდა იყოს კაპიტალიზირებული და მათ სისტემატურად უნდა დაერიცხოს ამორტიზაცია ნაკეთობის ან პროცესის გამოყენებით მოგების შემოსვლის მიხედვით.

10.2. არამატერიალური აქტივების გატარებები აქტივების აღრიცხვა

სამუშაო ოპერაციები	დებეტი	კრედიტი
არამატერიალური აქტივების (ლიცენზია, კონცესია, ფრანშიზია, გუდვილი, პატენტები, სავაჭრო ნიშნები, საავტორო უფლება, სხვა აქტივები) მიღება:		
– შესყიდვა ფულზე ან კრედიტის საფუზველზე	2510 1590	1110 1200 1400
– დამფუძნებლების მიერ ჩადებული (შემოტანილი) საწესდებო კაპიტალის სახით	2510 2590	1460 1460
– უფასოდ მიღებული არამატერიალური აქტივები	2510 2590	9130 8130
– სხვა აქტივებზე გაცვლით მიღებული შემოსავლები ბარტერული გარიგებიდან	2510 2590	1400 1400
– არამატერიალური აქტივების მორტიზაციის აღრიცხვა	2600 2690	2500 2590
– დარიცხული ამორტიზაციის ჩამოწერა დანახარჯებიდან	8200	2610 2690
არამატერიალური აქტივების გასავალი:		
– არამატერიალური აქტივების გაყიდვა	1100 1200	2500 2500
– გაყიდული აქტივების საბალანსო ღირებულება	5430	2510 2590
– გაყიდული აქტივების ჩამოწერა	5430	2510 1590

10.3. იჯარა

იჯარად ითვლება - ოპერაცია, როდესაც მეიჯარე შემოსავლის მიღების მიზნით მოჯარეს გადასცემს აქტივის გამოყენების უფლებას გარკვეული ვადით. ამ გადაცემას აფორმებენ ხელშეკრულებით, სადაც მიეთითება აქტივის გადაცემის ყველა პირობა. საიჯარო შეთანხმება შეიძლება იყოს მრავალნაირი: ვადის, საკუთრების გადაცემის და სხვა მახსიათებლების მიხედვით. მაგრამ, ძირითად, იჯარის კლასიფიკაციას აწარმოებენ ორ ჯგუფად: 1. ფინანსური იჯარა და 2. ჩვეულებრივი იჯარა.

ფინანსური იჯარა არის ისეთი იჯარა, რომლის დროსაც აქტივებთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

მოიჯარეს. ამ დროს აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ის შეიძლება გადაეცეს ან არ გადაეცეს. რისკში იგულისხმება ზარალის მიღების ალბათობა სიმძლავრის მოცდენის ან ტექნიკურად მოძველების გამო. რაც შეეხება ეკონომიკურ სარგებელს – ეს არის შემოსავლების მიღების ალბათობა აქტივების სარგებლობიდან, მათი გაძვირებიდან ან რეალიზაციიდან.

ჩვეულებრივ იჯარად ითვლება ყველა ის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად.

იჯარა ითვლება ფინანსურ იჯარად, თუ სრულდება ერთერთი ქვევით მოყვანილი პირობა:

- ხელშეკრულების თანახმად მოიჯარეს გადაეცემა აქტივის საკუთრების უფლება იჯარის ვადის დამთავრების შემდეგ;
- ხელშეკრულების თანახმად მოიჯარეს აქვს უფლება შეიძინოს აქტივი მნიშვნელოვნად დაბალ ფასში (აქტივის რეალურ ღირებულებასთან შედარებით) და იჯარის ვადის დასაწყისში არსებობს საკმაოდ დიდი ალბათობა ამ უფლების გამოყენებისა;
- იჯარის ვადა მოიცავს აქტივის სასარგებლო მომსახურების მნიშვნელოვან ნაწილს;
- იჯარის ვადის დასაწყისში მინიმალური საიჯარო გადასახადის ღირებულება უკიდურეს შემთხვევაში შეადგენს იჯარით აღებული აქტივის პრაქტიკულად მთლიან რეალურ ღირებულებას;
- იჯარით აღებული აქტივი ხასიათდება ისეთი სპეციფიკით, რომ მხოლოდ მოიჯარეს შეუძლია მისი გამოყენება მოდიფიკაციის გარეშე,
- მოიჯარეს შეუძლია გააუქმოს იჯარის ხელშეკრულება და ამასთან დაკავშირებული ყველა ზარალი ეკისრება მას;
- აქტივის რეალური ნარჩენი ღირებულების ცვალებადობით გამოწვეული მოგება ან ზარალი მიეკუთვნება მოიჯარეს,
- მოიჯარეს უფლება აქვს გააგრძელოს იჯარა მეორე ვადით საბაზრო დონეზე მნიშვნელოვნად დაბალი საიჯარო გადასახადით. შორის.

მოიჯარე იჯარის დასაწყისში ფინანსურ იჯარას აღიარებს როგორც აქტივად, ასევე გალდებულებად. აღიარებული აქტივი და ვალდებულება ფასდება ერთი და იგივე ოდენობით და იგი არის უმცირესი თანხა იჯარით აღებულ ქონების რეალურ ღირებულებასა და მინიმალურ საიჯარო გადასახადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის.

იჯარის დასაწყისის შემდეგ იჯარით აღებული აქტივის ღირებულება და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ტოლი იყოს. ეს განპირობებულია იმით, რომ აქტივის ღირებულება დამოკიდებულია საწარმოში გამოყენებული ცვეთის პოლიტიკაზე, ხოლო ვალდებულება კი ფინანსური იჯარის ვადის ფარგლებში საიჯარო გადასახადის განაწილების მეთოდზე.

მეიჯარემ ფინანსურ იჯარაში მუოფი აქტივები თავის ბალანსში უნდა აღიაროს როგორც დებიტორული დავალიანება. დებიტორული დავალიანების აღიარება ხდება წმინდა საიჯარო ინვესტიციის ტოლი თანხით.

ჩვეულებრივი იჯარის შემთხვევაში მეიჯარეს მიერ მოიჯარეს არ გადაეცემა აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი. აქედან გამომდინარე, აქტივი აღირიცხება მეიჯარესთან და არა მოჯარესთან. მოიჯარესთან საიჯარო გადასახადები მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აისახება ხარჯის სახით, რომელიც თანაბრად ნაწილდება იჯარის პერიოდში. მეიჯარე შესაბამისად ასახავს აქტივის ცვეთას, ხოლო იჯარასთან დაკავშირებული თანხების შემოსვლას კი – შემოსავლად.

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

**ცხრილი 10.3. გრძელვადიანი იჯარით გაცემული ძირითადი
საშუალებების გატარებები
ძირითადი
საშუალებების აღრიცხვა**

ოპერაციის დასახელაბა	დებეტი	კრედიტი
ჩამოწერილია ბალანსიდან გრძელვადიანი იჯარით გაცემული ძირითადი საშუალებები (პირვანდელი დირექტულება)	8290 4200	2100 8290
ჩამოწერილია გრძელვადიანი იჯარით გაცემული ძირითადი საშუალებების (კვეთა)	2200	8290
მიღებულია მოიჯარისაგან საიჯარო გადასახადი	1210	2320
მიღებულია საიჯარო გადასახადი უერთდება მოგება-ზარალის ანგარიშს დარიცხულია საიჯარო პროცენტი	8190 2320	5330 5330 8130
მიღებულია მოიჯარებისაგან საიჯარო ქირის საპროცენტო გადასახადი	1110 1210	2320

**გრძელვადიანი იჯარით აღებული ძირითადი
საშუალებების აღრიცხვა**

ძირითადი საშუალებების ფინანსური იჯარა

ოპერაციის დასახელება	დებეტი	კრედიტი
ძირითადი საშუალებების მიღება	2100	4130
საიჯარო ვალდებულებების გადახდა	4130	1100 1200
ფინანსური იჯარის (პროცენტების) დარიცხვა	5330 5410	4130 4130
იჯარის პროცენტების დარიცხვა	4130	1100 1200
იჯარით აღებული მიწების გაუმჯობესება	2100	1100 1200
იჯარით აღებულ საშუალებებზე ამორტიზაციის დარიცხვა	7100 7200 7400	2200 2200 2200
ძირითადი საშუალებების გამოსყიდვა	2100	2190
იჯარი ქირის საპროცენტო გადასახადის მიღება	1100 1200	1820
კვეთის გადატანა საკუთარი ძირითადი საშუალებების კვეთის ანგარიშზე	2200	2200

10.4. მატერიალური საშუალებების – მასალის, პროდუქციის, საქონლის, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების აღრიცხვა

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს მიეკუთვნება მატერიალური რესურსები, რომელიც გამოიყენება წარმოებისათვის, მომსახურების გასაწევად და გასაყიდად. ამ რესურსების მრავალფეროვნება აუცილებელს ხდის მათ კლასიფიკაციას. განიხილავენ მატერიალური ფასეულობების შემდეგ ჯგუფებს:

მასალა და ნედლეული,
შესაფუთი მასალა,
ტექნიკური მასალები,
ინსტრუმენტები,
დანარჩენი არაპირდაპირი მასალები,
სათბობი,
საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები,
დაუმთავრებელი წარმოება,
მზა პროდუქცია,
საქონელი.

მატერიალური ფასეულობა ფასდება თვითღირებულებით და ნეტო-სარეალიზაციო ფასით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა შეიძლება იყოს შეძენილი და საკუთარი დამზადების. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შეძენის დანახელჯები მოიცავს: მათი შეძენის მიზნით მომწოდებლისათვის გადახდილ თანხას; იმპორტონ დაკავშირებულ საბაჟო გადასახადს; სხვა გადასახადებს, რომელიც არ ექვემდებარება დაბრუნებას; სატრანსპორტო და საექსპედიტორო ხარჯები და საერთოდ იმ დანახელჯები, რომელიც უშეალოდ დაკავშირებულია საქონლის, ნედლეულის, მასალების და მომსახურების შესაძენად.

მარაგების გაფუჭების, მოძველების, გასაყიდი ფასის დაცემის შემთხვევაში უნდა მოხდეს მათი შეფასება შესაძლო ნეტო-სარეალიზაციო ღირებულებით (ეს ის თანხაა, რომელიც შესაძლოა იყოს მიღებული მათი რაღიზაციით).

მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს რეალიზებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების განსაზღვრა. თუ საწარმო აწარმოებს სხვის მიერ გამოშვებული პროდუქციის რეალიზაციას, მისთვის ეს უფრო მარტივია, ვინაიდან პროდუქციას მოპევება ზედღებული, სადაც მითითებულია პროდუქციის ფასი, მაგრამ როდესაც საწარმო თვითონ უშვებს პროდუქციას, ეს უფრო რთული მომენტია.

ჯერ განვიხილოთ სავაჭრო საწარმო.

არსებობს რეალიზებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების - პროდუქციის თვითღირებულების აღრიცხვის ორი ხერხი: 1. მატერიალური - სასაქონლო საშუალებების უწყვეტი აღრიცხვა და 2. გამოკლების მეთოდი.

პირველი მეთოდი გამოიყენება როდესაც საქმე გვაქვს მსხვილ პროდუქციასთან და მუდმივად აღირიცხება მისი ნაშთი, მისი შემოსვლა და გაყიდვა-რეალიზაცია.

მაგალითად, თუ ჩვენ ვაწარმოებთ ვაჭრობას ავტომანქანებით, მაშინ ადვილად შეგვიძლია ავსახოთ ყოველდღიური ნაშთი, მაღაზიაში ახალი ავტომანქანების შემოსვლა და გაყიდვა.

როდესაც ჩვენ საქმე გვაქვს წვრილ პროდუქციასთან (მაგალითად, საკანცელარიო საქონელი), მაშინ უწყვეტად აღრიცხებულების (სალაროს საშეალებით), მაგრამ ძალიან ძნელია მუდმივად ხარჯების აღრიცხვა. ამ პრობლემის გადასაწყვეტად პერიოდულად ატარებენ ინვენტარიზაციას - ერთ ინვენტარიზაციას საანგარიშო პერიოდის დასაწყისში და მეორეს - საანგარიშო პერიოდის ბოლოს. იციან თუ პროდუქციის რა ნაშთი იყო პერიოდის დასაწყისისთვის, აღრიცხებული, რა ნაშთი არის პერიოდის დასასრულისათვის და გამოთვლიან რეალიზებული პროდუქციის ღირებულებას.

აქაც არსებობს გარკვეული პრობლემები ზოგიერთი სახეობის მატერიალური-სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშების დროს. მაგალითად,

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

ვაჭრობას ანხორციელებენ საწვავით და რეზერვუარში გვაქვს სხვადასხვა ღირებულების საწვავი. შეძენილია:

1. 400 ლ საწვავი, 1 ლ ღირებულება – 1 ლარი,
2. 300 ლ საწვავი, 1 ლ ღირებულება – 1,1 ლარი
3. 300 ლ საწვავი, 1 ლ ღირებულება – 1,2 ლარი

თუ ეს საწვავი შეძენილია ერთი თვის განმავლობაში, მოთავსებულია ერთ რეზერვუარში და ამ ერთი თვის განმავლობაში რეალიზაცია გაუკეთდა 600 ლ საწვავს, მაშინ ძალიან ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რა ღირებულების საწვავი იყო რეალიზებული.

ამ შემთხვევაში გამოიყენებენ შემდეგ სამ მეთოდს:

- ლიფო, ითვლება, რომ რეალიზებულია ის პროდუქცია, რომელიც შემოვიდა ბოლოს,

- ფიფო, ითვლება, რომ რეალიზებულია ის პროდუქცია, რომელიც შემოვიდა პირველი,

- საშუალო თვითღირებულების.

განვიხილოთ ჩვენი მაგალითი.

1. ფიფო მეთოდი. ამ შემთხვევაში გამოდის, რომ რეალიზებული იყო 400 ლიტრა საწვავი (1 ლიტრის ფასი – 1 ლარი) და 200 ლიტრა საწვავი (1 ლ ფასი – 1,1, ლარი). მაშინ:

$400 \times 1\text{ლარი} + 200 \times 1,1 \text{ ლარი} = 620 \text{ ლარი} - \text{რეალიზებული საწვავის ღირებულება}$

2. ლიფო მეთოდი. აქ გამოდის, რომ რეალიზებულია 300 ლიტრა (1 ლიტრის ფასი 1,2 ლარი) და 300 ლიტრა (1 ლიტრის ფასი – 1,1 ლარი), მაშინ:

$300 \times 1,2 + 300 \times 1,1 = 690 \text{ ლარი} - \text{რეალიზებული საწვავის ღირებულება}$

3. საშუალო თვითღირებულების მეთოდი. ჯერ უნდა გავითვალოთ 1 ლიტრის საშუალო ღირებულება: სულ გვაქვს 1000 ლიტრა საწვავი, დავაჯამოთ საერთო ღირებულებები: $400 \times 1 + 300 \times 1,1 + 300 \times 1,2 = 1090 \text{ ლარი.}$ ეს მთლიანი ღირებულება გაყოფილია 1000 ლიტრაზე – 1 ლიტრის საშუალო ღირებულება გამოდის 1,09 ლარი. ეს უნდა გავამრავლოთ 1,09 ლარი რეალიზებულ 600 ლიტრაზე. გამოდის: $600 \times 1,09 = 654 \text{ ლარი.}$

აქ შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები. სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით მივიღეთ რეალიზებული საწვავის სხვადასხვა ფასი. როგორც წესი, უმრავლესობა კომპანიებისა ცდილობს, რომ ჯერ გაუკეთოს რეალიზაცია ძველ პროდუქციას. ასეთ შემთხვევაში იყენებენ ფიფო მეთოდს. მაგრამ გაანგარიშებიდან ჩანს, რომ ლიფო მეთოდით გათვლილი თვითღირებულება უფრო დიდია, უფრო მეტიც, სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ინფლაციის პირობებში ეს შეფარდება რჩება მუდმივად. ამიტომაც ხშირ შემთხვევაში მიმართავენ ზუსტად მას, ვინაიდან ამ შემთხვევებაში ხარჯები უფრო იზრდება.

საწარმოსათვის, რომელიც თვითონ უშვებს პროდუქციას, მისი თვითღირებულება შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

1. იმ მასალისა და ნედლეულის თვითღირებულება, რომელიც უშუალოდ შედის გამოშვებულ პროდუქციაში,
2. შრომის ღირებულება, რომელიც დახარჯულია პროდუქციის გამოშვებაზე,
3. საწარმო პროცესთან დაკავშირებული ზედგებული დანახარჯები.

პირველ ორ კომპონენტებს უწოდებენ პირდაპირ დანახარჯებს.

იმისათვის, რომ განისაზღვროს გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება, უნდა დავითვალოდ ზემოხსენებული სამი კომპონენტი. რეალიზაციამდე ეს ღირებულება შედის საწარმოს საშუალებებში, ხოლო რეალიზაციის დროს გადადის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში ანუ ხარჯებში.

პროდუქციის გამოშვებაზე დანახარჯების განსაზღვრის მეთოდს უწოდებენ “საწარმო აღრიცხვას”. მომსახურების სფეროს საწარმოები აგრეთვე იყენებენ ამ მეთოდს გაწეული მომსახურების გათვლის მიზნით.

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

ზემოაღნიშნული მეთოდით დანახარჯებს ყოფენ ორ ძირითად ტიპად: საწარმოო დანახარჯები და პერიოდული დანახარჯები. საწარმოო დანახარჯებში შედის პირდაპირი დანახარჯები და ზედნადები დანახარჯები, რომელიც უკვე განვიხილეთ. პერიოდულ დანახარჯებში კი შედის აგრეთვე ზედნადები დანახარჯები, ოდონდ დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან და საწარმოს სიცოცხლისუნარიანობის საერთო უზრუნველყოფასთან. აქვე შეიძლება განვიხილოთ ადმინისტრაციული დანახარჯები.

გამოშვებული პროდუქციის თვითდირებულების გაანგარიშების მიზნით უნდა შეჯამდეს პირდაპირი დანახარჯები და ზედნადები დანახარჯები. მიღებული თანხა ტარდება საშუალებების – გამოშვებული პროდუქციის ანგარიშზე. ხოლო ამ პროდუქციის რეალიზაციის შემდეგ შესაბამისი თანხა ტარდება სარჯებში – როგორც რეალიზებული პროდუქციის თვითდირებულება.

საპირისპირო მდგომარეობა გვაქს პერიოდულ დანახარჯებთან დაკავშირებით. ამ ტიპის დანახარჯები განიხილება როგორც იმ პერიოდის ექსპლუატაციური დანახარჯები, როდესაც ისინი გაწეულია. ამიტომაც ისინი ტარდება სარჯებში პერიოდის შესაბამისად, და არა პროდუქციის რეალიზაციასთან, როგორც ეს ხდება საწარმოო დანახარჯებთან დაკავშირებით.

პრობლემა დაკავშირებულია ზედნადებ დანახარჯებთან, უფრო სწორედ, მის დანაწილებასთან გამოშვებულ პროდუქციაზე.

ცხრილი 10.4. მარაგების აღრიცხვა მარაგების აღრიცხვა პერიოდული სისტემის გამოყენებით

სამუშაო ოპერაციები	დებეტი	კრედიტი
- ნედლეულის, მასალების, საქონლის შეძენა	1600	1100 1200
- ნედლეულის, მასალების, საქონლის კრედიტი შეძენა	1600	3000 4000
- მატერიალური ფასეულობის მიღება დამფუძნებლებისაგან როგორც სააქციო კაპიტალში შესატანი	1600 2100	1400
- ბარტერული ოპერაციებიდან მიღება	1400	6100
- მიღებული ფასეულობის აღრიცხვა	1600 2100 2500	1400
პირდაპირი შრომისა და სოცდაზღვევისათვის დაგროვილი დანახარჯები	7120 7130	3130 3370
საწარმოო ზედნადებისათვის დაგროვილი დანახარჯები	7200 7400	3370 2200 3400 3130
მარაგების რეალიზაცია:		
- მარაგების რეალიზაცია ნაღდ ფულზე	1100	6110
- მარაგების რეალიზაცია კრედიტი	1400	6110
- მარაგების გაყიდვა ბარტერული ოპერაციებით	1400	6190
- მიღებული ფასეულობების აღრიცხვა	1300 1600 2400	1400 1400 1400

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

მარაგების ანგარიშების ნაშთების შესწორება ხდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჩატარებული ფიზიკური ინვენტარიზაციის შედეგებზე დაყრდნობით:		
ა) საქონელი: - მარაგების ზრდა	1620	7290
- მარაგების კლება	7290	1610
ბ) ძირითადი მარაგები: - მარაგების ზრდა	1620	7290
- მარაგების კლება	7290	1620
გ) დაუმთავრებელი სამუშაო: - დაუმთავრებელი სამუშაოს ზრდა	1630	7290
- დაუმთავრებელი სამუშაოს კლება	7290	1630
დ) მზა პროდუქცია: - მარაგების ზრდა	1640	7290
- მარაგების კლება	7290	1640
ე) სხვა მარაგები: - მარაგების ზრდა	1690	7290
- მარაგების კლება	7290	1690
გაყიდული მარაგების ღირებულება, რომელიც განისაზღვრება ფიზიკური ინვენტარიზაციის საფუზველები ჩამოიწერება შემოსავლისა და დანახარჯის ანგარიშზე საანგარიშო პერიოდის ბოლოს.	5330 1600	1600 5330
რეალიზაციიდან შემოსავლები ჩამოიწერება შემოსავლისა და დანახარჯის ანგარიშზე	1610 6190	5300

**მარაგების აღრიცხვა უწყვეტი სისტემების
გამოყენებით**

სამუშაო ოპერაციები	დებეტი	კრედიტი
მარაგების მიღება:		
- ნედლეულის, მასალების, საქონლის შეძენა	1610 1620 1690	1110 1120 1200
- წინასწარ გადახდილი ნედლეულის, მასალები საქონლის შეძენა	1610 1620 1690	3100
- მიღებულია მასალები ანგარიშვალდებული პირისაგან	1620	1430 1440
მიღებულია მასალები დამხმარე წარმოებიდან	1620	7100
მასალები გადაეცემა წარმოებას	7100	1620
ჩამოწერილი ტარა	7300	1620
რეალიზებულია მასალები	1410	8200
ჩამოწერილია რეალიზებული მასალები	8200	1620
მასალების გადაცემა სხვა საწარმოებისათვის დაფინანსების ანგარიშზე	1300 2400	1620

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

შეძენილია მცირე ფასიანი საგნები:		
ა) მიმწოდებლებისაგან	1690	1110
ბ) ანგარიშვალდებული პირისაგან	1690	1440
გ) სხვადასხვა კრედიტორებისაგან	1690	3190
მცირეფასიანი და სწრაფვეთადი საგნები საწყობიდან გადაცემულია ექსპლუატაციაში	7100 7300 7400	1690
დარიცეულია მცირეფასიანი და სწრაფვეთადი საგნების ცვეთა:		
ა) ძირითად წარმოებაში გადაცემულის	7100	2200
ბ) დამსმარე წარმოებაში გადაცემულის	7100	2200
გ) სამართველო აპარატში გადაცემულის	7460	2200
მცირეფასიანი და სწრაფვეთადი საგნების გადაცემა უსასყიდლოდ	5410	1690
მცირეფასიანი და სწრაფვეთადი საგნების შეძენასთან დაკავშირებული სატრანსპორტო დამზადების ხარჯები	1690	3370 7100 3130
დანაკლისი ან გაფუჭებული საგნების ჩამოწერა	7000 8000 9100	1690
არასაჭირო საგნების ჩამოწერა სარეალიზაციოდ	8200	1615
არასაჭირო საგნების რეალიზაციიდან ამონაგები	1110 1210	8200
ფინანსური შედეგი:		
ა) მოგება	8200	8130
ბ) ზარალი	8220	8200
მოზარდი და გასასუქებელი პირუტყვის აღრიცხვა		
პირუტყვის შეძენა სხვა საწარმოებიდან და სხვა პირებიდან	1630	3110
ძირითადი ლოგიდან დაწუნებული პირუტყვის მიღება აღრიცხვაში	1630	2100
ნამატის სახით მიღებული მოზარდებულის შემოსავალში აღება	1630	7100
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და გასუქებაზე მყოფი პირუტყვის წონამატის შემოსავალში აღება	1630	7100
მოზარდებული პირუტყვის ძირითად ჯოგში გადაყვანა	2120 2100	1630 2120
გამოსაზრდელი და გასასუქებელი პირუტყვის რეალიზაცია	1410 6110	6110 1630
დაცემული და იძულებით დაკლული პირუტყვის ჩამოწერა	9110	1630
სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით დაცემული და დაკლული პირუტყვის ჩამოწერა	5330	1630
- სააქციო კაპიტალში შენატანის სახით დამფუძნებლაბისაგან მატერიალური ფასეულობის მიღება	1610 1620 1690	1460

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

ნედლეულისა და მასალების შეძენა მოკლევადიანი და გრძელვადიანი ინგესტირებისა და სხვა მარაგების სანაცვლოდ:		
- შემოსავალი ბარტერული ოპერაციიდან	1490	6130
- მარაგების მიღება	1610 1620 1690	1490
- გაცემული მარაგების დირექტულება	7100	1300 1600 2400
პროდუქციის ხარჯები:		
-პირდაპირი მატერიალური ხარჯები	1630	7110
- პირდაპირი შრომითი დანახარჯები	1630	7120
- საწარმოო ზედნადები ხარჯები	1630	7130 3150 7160 7170 7180
მზა პროდუქციის აღრიცხვა მისი ფაქტიური დირექტულების (თვითღირებულების) მიხედვით	1640	1630
მზა პროდუქციის, მასალების რაღიზაცია:		
- მზა პროდუქციის რეალიზაციიდან შემოსავალი	1110 1400	6110 6110
- რეალიზებული საქონლის, მასალების დირექტულება	7100	1649 1610 1620 1690
- მზა პროდუქციის, მასალების რეალიზაცია ბარტერულ საფუძველზე	1400	6190
- მიღებული აქტივების აღრიცხვა	1300 1600 2400	1400
- რაღიზებული მასალების, საქონლის დირექტულება	7100	1610 1620 1640 1690
რეალიზაციიდან შემოსავლები და რეალიზებული საქონლის დირექტულება ამოიწერება შემოსავლისა და დანახარჯების ანგარიშზე საანგარიშო პერიოდის ბოლოს		
- რეალიზაციიდან შემოსავლები	6110	5300
- რეალიზებული საქონლის დირექტულება	5330	7100

10.5. შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვა

იმისათვის, რომ გავიგოთ მოგების მნიშვნელობა გარკვეულ პერიოდში ჩვენ უნდა განვსაზღვროთ შემოსავლები და გასავლები ამავე პერიოდში. ამასთან დაკავშირებით ჯერ განვიხილოთ თუ რას გულისხმობენ პერიოდში. პერიოდში იგულისხმება დროის მონაკვეთი, რომლისთვისაც აწარმოებენ მოგების გაანგარიშებას.

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

ასეთ პერიოდს უწოდებენ საანგარიშო პერიოდს და, როგორც წესი, იგი უდრის 1 წელს, მაგრამ საანგარიშო პერიოდი შეიძლება იყოს უფრო მოკლეც – მაგალითად, კვარტალი. შემოსავლების აღრიცხვისათვის იყენებენ დარიცხვის მეთოდს. უმრავლესი საწარმოებისათვის საანგარიშო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. მაგრამ არსებობს შემთხვევები, როდესაც საანგარიშო პერიოდს ამთხვევენ საწარმოს აქტივობის პერიოდს, მაგალითად სასწავლო დაწესებულებებში ხშირად საანგარიშო პერიოდის დასაწყისი ემთხვევა სასწავლო წლის დასაწყისს.

საწარმოში შესაძლებელია წარმოებდეს ორი სახის აღრიცხვა: ფულადი სახსრების მოძრაობის აღრიცხვა და დარიცხვის მეთოდი. ფულადი სახსრების მოძრაობის აღრიცხვის დროს აწარმოებენ მხოლოდ ფულის მოძრაობის აღრიცხვას, რომელიც მხოლოდ ფულადი სახსრების შემოსავლასა და გასვლას ასახავს და კიდევ საბანკო ანგარიშის კონტროლს მოიცავს. მაგრამ ეს მეთოდი არ იძლევა საშუალებას რომ გავაკონტროლოთ კომპანიის კაპიტალის შეცვლა, ვინაიდან არ აღირიცხება შემოსავლები და ხარჯები, რომელიც შესაბამისად ზრდიან და ამცირებენ კაპიტალს. სამაგიეროდ, ამის შესაძლებლობას იძლევა დარიცხვის მეთოდი, რომელიც ამავე დროს უფრო რთულია.

დარიცხვის მეთოდი ნიშნავს, რომ სამეურნეო ოპერაციების შედეგების და სხვა მოვლენების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე. ანუ სხვა სიტყვებით, შემოსავლები რეგისტრირდება მათი წარმოშობის დროს და არა ფულის მიღებისა და გაცემის დროს. ამ მეთოდს იმიტომ იყენებენ შემოსავლებისა და გასავლების-ხარჯების აღრიცხვის დროს, რომ ისინი ყოველთვის არ არიან დაკავშირებული ფულადი საშუალებების ზრდასა და შემცირებასთან. გარდა ამისა უნდა გავეცნოთ ბუღალტრული აღრიცხვის შემდეგ ორ პრინციპს: კონსერვატიზმისა და მატერიალურობის პრინციპებს.

კონსერვატიზმის პრინციპი - ამბობს, რომ კაპიტალის (ქონების) ზრდის აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს არის სრულიად განსაზღვრული მოვლენა, ხოლო კაპიტალის შემცირების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს არის სრულიად შესაძლებელი მოვლენა. (მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ კომპანია, რომელმაც ჯერ მიაღწია შეთანხმებას მყიდველთან, რომ ის იყიდის ავტომობილს იანვრის თვეში, რომლის მიწოდება მოხდა მარტში. კონსერვატიზმის პრინციპის თანახმად, შეთანხმების შედეგად ჩვენ არ შეგვიძლია ავსახოთ შემოსავალი, შემოსავალი უნდა აისახოს მხოლოდ მარტში). და პირიქით ხარჯის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენა ხდება სრულიად ალბათური.

მატერიალურობის პრინციპი - მდგომარეობს არამნიშვნელოვანი მოვლენების უარყოფაში და მხედველობაში დებულობს მხოლოდ მნიშვნელოვან მოვლენებს. (მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ფანქრების შემთხვევა, როდესაც უაზრობაა მათი გამოყენების დროს ხარჯის ყოველდღიური აღრიცხვა, ამიტომაც ითვლება, რომ ფანქრები გადადის ხარჯში მათი შექმნისთანავე. და პირიქით, ის მოვლენები, რომლებისც ცვლიან საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას აუცილებლად აისახებიან ბუღალტრულ დოკუმენტაციაში). მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო მოვლენების დაყოფა სუბიექტურია.

შემოსავლების აღრიცხვა

შემოსავლების აღრიცხვის დროს უნდა გამოვიყენოთ კიდევ ერთი პრინციპი – რეალიზაციის.

რეალიზაციის პრინციპი – მდგომარეობს იმაში, რომ შემოსავალი უნდა აღირიცხოს იმ მომენტში, როდესაც ხდება პროდუქციის მიწოდება ანუ რეალიზაცია. ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ ორი ტიპის კომპანიები – 1. რომელიც აწარმოებს

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

პროდუქციას და რეალიზაციას უკეთებს ამ პროდუქციას, 2. მომსახურების სფეროს კომპანია. მაგალითად, პირევლი ტიპის კომპანიამ იანვარში გამოუშვა პროდუქცია, რომელიც მიაწოდა მყიდველს თებერვალში, ხოლო თანხა შემოვიდა მარტში, - ამ შემთხვევაში რეალიზაციის პრინციპის თანახმად, შემოსავალი უნდა აისახოს თებერვლის თვეში.

შემოსავალი აღირიცხება მაშინ, როდესაც რეალიზაცია ითვლება განხორციელებულად. ეს შეესაბამება პროდუქციის მიწოდების მომენტს. ამიტომაც ტერმინს “რეალიზაცია” ხშირად იყენებენ “შემოსავლის” ტერმინთან ერთად, რითაც დებულობენ ახალ ტერმინს - რეალიზაციის შემოსავალი - რეალიზაციით მიღებული შემოსავალი.

შემოსავალი შეიძლება აღირიცხოს ფულის მიღებამდე, ფულის მიღებასთან ერთად და ფულის მიღების შემდეგ. განვიხილოთ თითოეული ეს შემთხვევა.

დავუშვათ, პროდუქციის მიწოდებასთან ერთად კომპანიაში შემოვიდა ფული, მაშინ ტრანსაქცია გატარდება შემდეგნაირად - ფულადი სახსრების ანგარიშის დებეტში და შემოსავლების კრედიტში.

მეორე მაგალითი - კომპანიამ გაუკეთა რეალიზაცია თავის პროდუქციას, ხოლო თანხა შემოვიდა ერთი თვის შემდეგ. ამ შემთხვევაში თანხა უნდა გატარდეს დებიტორული დავალიანების დებეტში და შემოსავლების კრედიტში. როდესაც მყიდველი შემოიტანს კომპანიაში თანხას, მაშინ ის გატარდება ფულადი სახსრების დებეტში და დებიტორული დავალიანების კრედიტში, რითაც მოხდება დებიტორული დავალიანების დახურვა.

მესამე შემთხვევა - მყიდველმა ჯერ გადაიხადა ფული, და შემდეგ მოხდა პროდუქციის მიწოდება. აქ ჯერ თანხა უნდა აისახოს ფულადი სახსრების დებეტში და მყიდველების ავანსებში (ვალდებულება). შემდეგ, როდესაც მოხდება საქონლის მიწოდება ანუ რეალიზაცია თანხა გატარდება მყიდველების ავანსების დებეტში და შემოსავლების კრედიტში.

იგივე შეიძლება ითქვას იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია აწარმოებს მომსახურების მიწოდებას.

ჩვენ შეგვიძლია დავამატოთ, რომ რეალიზაციის პრინციპი გვპასუხობს შეკითხვაზე, როდის უნდა აისახოს შემოსავალი, კონსერვატიზმის პრინციპი კი გვაძლევს პასუხს შეკითხვაზე, თუ რა თანხა უნდა აისახოს შემოსავლის სახით.

რა თქმა უნდა, ამ პრინციპების გამოყენებით შეიძლება შეიქმნას სიტუაცია, როდესაც ჩვენ ავსახეთ დოკუმენტაციაში შემოსავალი, ხოლო შემდგომ თანხა აღარ შემოვიდა, რაც სრულიად შესაძლებელია. ამ შემთხვევაში ამბობენ, რომ აღვილი აქვს უიმედო ვალს. თავისი შემოსავლების შეფასების დროს კომპანიამ უნდა მიიღოს მხედველობაში უიმედო ვალი. შემოსვლების სწორი მნიშვნელობის მისაღებად მთელი შემოსავლების მნიშვნელობას უნდა გამოაკლდეს უიმედო ვალის მნიშვნელობა. ამ თანხის მიღება კი არის სრულიად განსაზღვრული მოვლენა, რაც გამომდინარეობს კონსერვატიზმის პრინციპიდან. ვინაიდან შემოსავლების თანხას ჩვენ ვამცირებთ უიმედო ვალის მნიშვნელობაზე, იგივე ოპერაცია უნდა ჩავატაროთ დებიტორული დავალიანების მიმართ. მაგრამ წინასწარ ჩვენ არ შეგვიძლია ამის გაკეთება, ვინაიდან არ ვიცით, რომელი მყიდველი არ გადაიხდის ფულს. ამიტომაც იყენებენ ანგარიშს “საეჭო გადასახადების აღრიცხვა”. საეჭო თანხა კი შემდეგნაირად ტარდება - შემოსავლების

დებეტში და საეჭო გადასახადების კრედიტში. უიმედო ვალის ჩამოწერა კი ხდება შემდეგნაირად: საეჭო გადასახადების დებეტში და დებიტორული დავალიანების კრედიტში.

ჩვენ ადრე უკვე განვიხილეთ ერთი კოეფიციენტი - მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი. ესლა შეგვიძლია შემოვიდოთ შემდეგი სასარგებლო კოეფიციენტი - დებიტორული დავალიანების დაფარვის კოეფიციენტი. ის უდრის - დებიტორული დავალიანების ჯამი შეფარდებული კრედიტში რეალიზაციის ჯამთან გაყოფილი 365 დღეზე:

დებიტორული დავალიანება

----- = დებიტორული დავალიანების დაფარვის ვადა
კრედიტში რეალიზაცია : 365

ეს შეფარდება გვეუბნება, თუ რამდენად დროულად ხდება დებიტორული დავალიანების დაფარვა.

გასავლების აღრიცხვა

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ დასავლურ ბუღალტერიაში ცალ-ცალკე განიხილავენ ორ ტერმინს – ხარჯები და დანახარჯები. თუ ფირმა შეიძენს მასალას, მას აქვს – დანახარჯი, ვინაიდან ეს საშუალებები გადაღის მის საქუთრებაში. ხოლო როდესაც ფირმა გაყიდის ამ მასალას ან საქონელს – სწორედ მაშინ მას წარმოეშვება ხარჯები.

როდესაც ხდება საშუალებების შეძენა საწარმოს აქვს დანახარჯი, ხოლო როდესაც ხარჯავს ამ საშუალებებს, საწარმოს აქვს ხარჯი. სხვა სიტყვებით შეიძლება ითქვას, რომ როდესაც ადგილი აქვს საშუალებების გამოყენებას საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებით მაშინ საწარმოს გააჩნია ხარჯები. შეძენისა და გამოყენების მოქმედებს შორის რესურსები წარმოადგენს საწარმოს საქუთრებას.

საშუალების ღირებულება განისაზღვრება, როგორც მათი შეძენის დანახარჯების ჯამი. საშუალებების ღირებულებას, რომლებიც მთლიანად იყო გამოყენებული უწოდებენ გადატანილ ღირებულებას, ხოლო საშუალებების ღირებულებას, რომლებიც ჯერ-ჯერობით იმყოფებია საწარმოს განკარგულებაში უწოდებენ გადაუტანელ ღირებულებას.

როგორც ჩვენ უკვე ვიცით, ბუღალტრის ძირითად ამოცანას წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში მოგების მნიშვნელობის გაანგარიშება. მოგება წარმოადგენს სხვაობას შემოსავლებსა და ხარჯებს შორის. როგორც ჩვენ უკვე ვნახეთ, შემოსავლების აღრიცხვა წარმოებს რეალიზაციის პრინციპის თანახმად. იმ პრინციპს, რომელიც არეგულირებს საანგარიშო პერიოდის ხარჯის ანგარიშს, უწოდებენ **შესაბამისობის პრინციპს**.

შესაბამისობის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ხარჯები წარმოადგენ იმ დანახარჯებს, რომლებიც განაპირობებენ შემოსავლების მიღებას მოცემულ პერიოდში.

როდესაც პროდუქცია მიეწოდება მომხმარებელს, მაშინ მისი თვითდირებულება უნდა იყოს მოყვანილი შესაბამისობაში შემოსავლებთან იმ პერიოდში, როდესაც გაგვაჩნია რეალიზაცია. სხვანაირად, პროდუქციის თვითდირებულება არის მოცემული პერიოდის ხარჯები.

მაგრამ საწარმოს გარდა რეალიზებული პროდუქციის თვითდირებულებისა, გააჩნია სხვა სახის ხარჯებიც. ასეთებია: წინასწარ გაწეული ხარჯები, ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია, ვალდებულებები, მაგალითად - ვალდებულება ხერლფასის სახით, კრედიტორული დავალიანების სახით და აგრეთვე ზარალი. შესაძლებელია დანახარჯები იყოს გაწეული არამატერიალური საშუალებების შესაძნად, მაგალითდ დაზღვევა. დაზღვევა შეიძლება იყოს შეძენილი 2 წლით და მისი ღირებულება შეძენის დროს გადახდილი იქნება მთლიანად, ხოლო მისი გამოყენება იწარმოებს 2 წლის განმავლობაში. მაშინ მასზე გაწეული დანახარჯები არის წინასწარ გაწეული ხარჯები, ამიტომაც დაზღვევას უწოდებენ წინასწარგადახდილ დაზღვევას. მისი ღირებულება თანდაოთანობით გადავა ხარჯებში, იმის და მიხედვით, თუ რამდენწლიანია დაზღვევა (ღირებულებას თანაბრად, წლების მიხედვით აკლდება თანხა).

იგივე შეიძლება ითქვას რამდენიმე წლით იჯარით აღებული საშუალების შესახებ, თუ მისი იჯარის თანხა თავიდანვე იქნება გადახდილი მთლიანად. ადგილი

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

ექნება წინასწარ გადახდილ იჯარას. შემდგომში თანდათანობით წლების მიხედვით ეს თანხა გადავა იჯარის ხარჯებში.

როგორც ჩვენ უკვე განვიხილეთ, ძირითად საშუალებებს აგრეთვე გააჩნია გადატანილი და გადაუტანელი დირებულება. ძირითადი საშუალებების დირებულების გადატანა ხორციელდება უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ნარჩენი დირებულება წარმოადგენს გადაუტანელ დირებიულებას, ხოლო გადატანილი დირებულება არის ამორტიზაციის ანარიცხები. მათი გატარებები და ხარჯებად აღიარება ჩვენ უკვე განვიხილეთ.

ეხლა შეგვიძლია განვიხილოთ ხარჯები, რომლებიც გამოიხატება ვალდებულებების სახით. თუ ორგანიზაციამ დაარიცხა ხელფასი თავის თანამშრომლებს, მაგრამ არ გასცა ეს ხელფასი, მაშინ ადგილი აქვს ჯერ კიდევ გადაუხდელ ხარჯებს. ხელფასის დარიცხვა წარმოებს შემდეგი გატარებით: ხელფასის დანახარჯების დებეტში და გაუცემელი ხელფასის კრეიტში. შემდგომში, ხელფასის გაცემის დროს ტარდება შემდეგი ჩანაწერი: გაუცემელი ხელფასის დებეტში და ფულადი საშუალებების კრედიტში. იმ შემთხვევაში, თუ ხელფასი გაიცა საანგარიშო პერიოდში და არანაირი ვალდებულება არ დაფიქსირებულა, მაშინ გამოიყენება შემდეგი გატარება: ხელფასის ხარჯების დებეტში და ფულადი საშუალებების კრედიტში.

იგივე შეიძლება ითქვას საიჯარო გადასახადთან დაკავშირებით. თუ საწარმოს დაერიცხა საიჯარო ვალდებულება, მაშინ წარმოებს შემდეგი ჩანაწერები:

იჯარის ხარჯების დებეტში და გადაუხდელი იჯარის კრედიტში, ხოლო იჯარის დაგალინების გადახდის შემთხვევაში შემდეგი გატარება: გადაუხდელი იჯარის დებეტში და ფულადი საშუალებების კრედიტში. სხვა სურათი გვქონდა, როდესაც ჩვენ წინასწარ ვიხდიდთ იჯარის თანხას.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ წინასწარ გაწეული ხარჯები გადადის ხარჯებში თანდათანობით - ხარჯების ანგარიშის დებეტში და საშუალებების ანგარიშის კრედიტში ჩანაწერით, ხოლო დაგროვილი ვალდებულება (რომელიც თავიდან ტარდება ხარჯებში) ჩამოიწერება დაგროვილი ვალდებულების დებეტში და და ფულადი საშუალებების კრედიტში გატარებით.

გარკვეული ხარჯები დაკავშირებულია საწარმოს ზარალთან. მაგალითად, საწარმომ შეიძლება დაკარგოს საშუალებები ხანძრის გამო, თუ განადგურებული იქნება მისი საშუალებები. შესაძლებელია მოხდეს საშუალებების გატაცება და ა.შ. ის საშუალებები, რომელთა დანაკლისი განიცადა საწარმომ უნდა იყოს ჩამოწერილი. სხვა სიტყვებით, თუ საშუალებები არ უზრუნველყოფენ კომპანიის სარგებელს იმის გამო, რომ მათი დირებულება არის ჩამოწერილი, მათი ჩამოწერილი დირებულება უნდა გატარდეს როგორც ხარჯი. ასეთ ხარჯებს უწოდებენ ზარალს. ზარალი აღირიცხება როგორც ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც მათ ფაქტიურად ჰქონდა ადგილი. ზარალი აისახება მაშინ, როდესაც ის არის სრულიად ალბათური. ეს შესაბამება კონსერვატიზმის პრინციპს.

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებობს სამი სახის დირებულება, რომელიც შეიძლება იყოს განხილული როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯები. პირველს მიაკუთვნებენ იმ საქონლისა და მომსახურეობის დირებულებას, რომელიც მიწოდებულია კლიენტისათვის და რომელთა მიწოდებით მიღებულია შემოსავლები ამ პერიოდში. მეორე ტიპს მიაკუთვნებენ სამეურნეო საქმიანობის დირებულებას მოცემულ პერიოდში. დანახარჯები ამასთან დაკავშირებით შეიძლება იყოს გაწეული წინა პერიოდში ან მიმდინარე პერიოდში. მესამე სახეობას წარმოადგენს ზარალი.

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

**ცხრილი 10.5. შემოსავლები, ხარჯებისა და გადასხადების აღრიცხვა
წინასწარ გადახდილი ხარჯების და
გადავადებული გადასახადების აღრიცხვა**

სამეურნეო ოპერაციები	დებეტი	კრედიტი
წინასწარ გადახდილი ხარჯები:		
წინასწარ გადახდა	4210 4220	1100 1200
საანგარიშო პერიოდის შემოსავლები ჩამოიწერება ხარჯებში. მათ შორის:		
– განოვენებული საპანცელარიო საქონელი	7425	1710
– საკომუნიკაციო მომსახურება (ტელეფონი, ფაქსი და სხვა)	7430	1720
– საიჯარო გადასახადი საანგარიშო პერიოდისათვის	7420	1790
– სადაზღვევო გადახდები, რომელებიც დაკავშირებულია ამ საანგარიშო პერიოდთან	7435	1790
გადავადებული გადასახადები:		
წინასწარ გადახდა	4210 4220	1100 1200
საანგარიშო პერიოდთან დაკავშირებული დანახარჯები ჩამოიწერება ხარჯებად	7400	1700
გრძელვადიანი დაბიტორული დავალიანება:		
გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებები:		
ა) რეალიზებული საქონლისათვის გადახდის დოკუმენტების წარმოდგენით, თამასუქებით	2310	6100
ბ) საიჯარო გადასახადისათვის	2320	2100
გ) მომავალი პერიოდის ხარჯები(დაზღვევა, იჯარა), რომელიც ექვემდებარება ჩამოიწერას რამდენიმე საანგარიშო წლის განმავლობაში	2340	1100 1200
გადახდილი თანხების მიღება	1100 1200	2310 2390
მიმდინარე საანგარიშო პერიოდთან დაკავშირებული გრძელვადიანი გადავადებული გადასახადების ნაწილის ჩამოიწერა ხარჯებში	7425 7490	2340 2340

საოპერაციო შემოსავლები

სამეურნეო ოპერაციები	დებეტი	კრედიტი
პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები:		
– რალიზაციიდან ნაღდ ფულზე	1100	6110
– უნაღდო ანგარიშსწორებით	1200	6110
– კრადიტში რეალიზაციით	1400	6110
უკანდაბრუნებული საქონლის დირებულება:		
– კრედიტში რეალიზებული საქონლისა	6120	1400

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

- ფულად სახსრებში რეალიზებული საქონლისა	6120 6120	1100 1200
წინასწარ დაგეგმილ გადახდაზე რეალიზაციის დისკონტი:		
- რეალიზაცია	1400	6110
- მყიდველის მიერ წინასწარ გადახდა დისკონტით	1100 1200 6120	1400 1400 1400
საანგარიშო პერიოდის ბოლოს „შემოსავლის“ ანგარიშის დახურვა:		
- შემოსავალი პროდუქციის, საქონლის(სამუშაობის, მომსახურების)რეალიზაციიდან	6110	5330
- უკანდაბრუნებული საქონლის, პროდუქციის ღირებულება და დისკონტი (დათმობა)	5300	6120
- ბარტერული გაცვლით მიღებული შემოსავალი	6190	5330
- რეალიზებული საქონლის ჩამოწერა შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშზე	5300 7100 7200 7300	7100 7200 7300

საოპერაციო ხარჯები

სამეურნეო ოპერაციები	დებეტი	კრედიტი
რეალიზებული პროდუქციის დანახარჯების აღრიცხვა მარაგების შეძნა:		
ნედლეულის და მასალების შეძნა	7110	1100 1200
ნედლეულისა და მასალების კრედიტით შეძნა	7110	3100
დამფუძნებლების მიერ საწესდებო კაპიტალში შენატანების სახით მარაგების შეძნა	7110	1500
საქონლის შეძნა ფულით, დარიცხვით და კრადიტით	7110	11100 1200 3100
მარაგები მიღებულ იქნა ბარტერული ოპრაციებიდან	1400	6190
მისაღები ფასეულობების აღრიცხვა	7110	1400
პირდაპირი ხელფასის დარიცხვა	7120	3130
სოციალური დაზღვევის ანრიცხების დარიცხვა	7130	3390
წარმოების ზედნადები ხარჯები	7130 7200 7400	2200 3130 3190
დარიცხულია გრძელვადიანი იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების ცვეთა	7100 7300 7400	2200

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

დარიცხულია საკუთარი ძირითადი საშუალებების ცვეთა	7100	2200
დაეწერა ძირითად წარმოებას:		
ა) დამხმარე წარმოების ხარჯები	7100	7180
ბ) საერთო სამეურნეო ხარჯები	7100	7400
გ) საერთო საწარმოო ხარჯები	7100	7190
წარმოებაში გამოვლენილი წუნი დაეწერა ძირითად წარმოებას	7100	1600 7190
მარაგების ნაშთის შესწორება ინვენტარიზაციის საფუძველზე:		
-საანგარიშო წლის ბოლოს:	1620	7190
გაზრდა		
-შემცირება	7190	1620
-დაუმთავრებელი წარმოება:		
გაზრდა	1630	7160
შემცირება	7190	1630
-მზა პროდუქცია:		
გაზრდა	1640	7190
შემცირება	7190	1640
- სხვა მასალები:		
გაზრდა	1690	7190
შემცირება	7190	1690

**10.6. ამოცანები: ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა;
რეალიზებული საქონლის თვითდირებულების აღრიცხვა**

ამოცანა №10.1.

საწარმოს 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნდა შემდეგი ძირითადი საშუალებები:

- ავტომანქანა (შეძენილი 06.04.10) – 20 000 ლ (ცვეთის ნორმა 20%)
- კომპიუტერები (შეძენილი 06.04.10) – 20 000 ლ (ცვეთის ნორმა 20%)
- ძალოვანი დანადგარები (შეძენილი 19.08.10) – 30 000 ლ (ცვეთის ნორმა 8%)
 1. განახორციელეთ 2010 წლის ცვეთის დარიცხვის გატარებები;
 2. განახორციელეთ 2011 წლის ცვეთის დარიცხვის გატარებები იმის გათვალისწინებით, რომ 2011 წელს საწარმოს არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი საშუალება არ გაუსხვისებია და არ გადაუფასებია, ხოლო 2011 წლის 19 აგვისტოს შეიძინა და ექსპლოატაციაში ჩაუშვა შენობა 200 000 ლარად.

ამოცანა №10.2.

ორგანიზაციამ შეიძინა შემდეგი საქონელი სხვადასხვა ფასად:

- 1000 ცალი კალმისტარი თითო 2 ლარად
- 1400 ცალი კალმისტარი თითო 2,2 ლარად
- 2000 ცალი კალმისტარი თითო 2,1 ლარად
- 1000 ცალი კალმისტარი თითო 1,8 ლარად

შემდეგ განხორციელდა 2800 ცალი კალმისტარი რეალიზაცია თითო 3,00 ლარად, თანხა მიღებულია ნ/ფ-ით.

1. განსაზღვრეთ დარჩენილი საქონლის თვითდირებულება სამივე მეთოდის შემთხვევაში.

2. გაატარეთ ოპერაცია იმ მეთოდით რომლის გამოყენებითაც აღნიშნული ოპერაციის შდეგად მიღებული მოგება იქნება მინიმალური.

11. მოთხოვნების აღრიცხვა

მოთხოვნები ანუ დებიტორული დავალიანება წარმოიშვება სხვადასხვა მიზეზით. ეს შეიძლება იყოს: სავაჭრო მითხოვნა მოკავშირე საწარმოს მიმართ, მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ, მოთხოვნები პარტნიორებზე გაცემული სესხიდან, მოთხოვნები მიწოდებაზე და მომსახურებაზე წინასწარ გადახდილ ხარჯებზე. ვადის მიხედვით დებიტორული დავალიანება შეიძლება იყოს მოკლევადიანი (ერთ წლამდე ვადით) და გრძელვადიანი (ერთ წლზე მეტი ვადით).

განვიხილოთ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები. მათი წარმოქმნა აისახება შესაბამისი ანგარიშის დებეტში და შემოსავლების ანგარიშის კრედიტში თანხის დაფიქსირებით, ხოლო თანხის შემოსვლის შემთხვევაში, იგი აისახება ფულადი საშუალებების ანგარიშის დებეტში და დებიტორული დავალიანების კრედიტში. განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ვაწარმოებთ ვაჭრობას ფასდათმობით. მაგალითად, საქონლის რეალიზაციის დროს ჩვენ შეგვიძლია დავსვათ შემდეგი პირობები: თუ მყიდველი გადაიხდის თანხას ერთ თვემდე ვადაში, მაშინ ჩვენ ვუკეთებთ მას ფასდათმობას, მაგ. 3%, ხოლო თუ უფრო მეტ ვადაში, მაშინ ის გადაიხდის მთელ თანხას. ფასდათმობის ასახვა შესაძლებელია ორი მეთოდით: მთლიანი თანხის გატარებით და წმინდა თანხის გატარებით.

განვიხილოთ მთლიანი თანხის გატარების მეთოდი. საქონლის რეალიზაციასთან ერთად უნდა მოხდეს შემოსავლების აღიარება, ამიტომაც პირველ რიგში რეალიზებული საქონლის თვითდირებულება ტარდება დებიტორული დავალიანების დებეტში (ვინაიდან საუბარი გვაქვს დებიტორულ დავალიანებაზე) და რეალიზაციიდან შემოსავლების კრედიტში. თუ კლიენტმა არ ისარგებლა ფასდათმობით, ანუ გადაიხადა თანხა ერთ თვეზე უფრო მეტ ვადაში, მაშინ შემოსული თანხა უნდა გატარდეს ფულადი საშუალებების დებეტში და დებიტორული დავალიანების კრედიტში.

თუ კლიენტმა ისარგებლა ფასდათმობით, ანუ გადაიხადა თანხა ერთ თვემდე ვადაში, მაშინ ფულადი საშუალებების შემოსვლა (შემცირებული ფასდათმობის სიდიდით) ტარდება ფულადი საშუალებების ანგარიშზე – დებეტის მხარეს, ფასდათმობის ანგარიშზე – დებეტის მხარეს ფასდათმობის მნიშვნელობა, ხოლო დებიტორული დავალიანების ანგარიშზე – კრედიტის მხარეს მთლიანი თანხა. საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფასდათმობის ანგარიში იხურება შემოსავლების ანგარიშის შემცირებით - ანუ ფასდათმობის თანხა ტარდება ფასდათმობის ანგარიშის კრედიტში და შემოსავლების დებეტში – რითაც მცირდება შემოსავლები, ვინაიდან ჩვენ განვახორციელეთ ფასდათმობა.

ეხლა განვიხილოთ წმინდა თანხის გატარების მეთოდი. ამ შემთხვევაში დებიტორული დავალიანების წარმოშობის დროს მოთხოვნების ანგარიშის დებეტში და შემოსავლების კრედიტში ატარებენ ფასდათმობის თანხაზე შემცირებულ მნიშვნელობას. შემდგომ შესაძლებელია ისევ ორი ვარიანტი – ან მყიდველი გადაიხდის ერთი თვის ვადაში ფასდათმობით თანხას, ან მოგვიანებით ფასდათმობის გარეშე. ამ შემთხვევების ასახვა მიმდინარეობს შემდეგნაირად: 1. თუ გადახდა წარმოებს ფასდათმობით მაშინ გატარება მარტივია – დებიტორული დავალიანების კრედიტში და ფულადი საშუალებების დებეტში; 2. თუ გადახდა წარმოებს დაგვიანებით და ფასდათმობა აღარ მოქმედებს, მაშინ ჯერ ფასდათმობის თანხა უნდა გატარდეს დებიტორული დავალიანების ანგარიშის დებეტში და გამოუყენებელი ფასდათმობის კრედიტში, რითაც იზრდება დებიტორული დავალიანება, შემდეგ უნდა გატარდეს ფულის შემოსვლა ფულადი საშუალებების დებეტში და დებიტორული დავალიანების კრედიტში სრული თანხის გატარებით, მერე კი უნდა გაიზარდოს შემოსავლის მნიშვნელობა გამოუყენებელი ფასდათმობის მნიშვნელობით, რისთვისაც გამოუყენებელი ფასდათმობის თანხა გადაიწერება გამოუყენებელი ფასდათმობის ანგარიშის დებეტში და რეალიზაციის შემოსავლის კრედიტში.

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

როგორც ჩვენ უკვე ავღნიშნეთ არსებობს სხვა სახის მოთხოვნებიც. მაგალითად, საწარმო ხშირად წინასწარ იხდის სხვადასხვა სახის მომსახურების და საქონლის დირექულებას – საიჯარო ქირას, სატელეფონო და ელექტროენერგიის გადასახადს და ა.შ. ასეთი ხარჯი წარმოადგენს მოთხოვნას და აისახება მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების ანგარიშის დებეტში და ფულადი საშუალებების კრედიტში. თუ საწარმოს გააჩნია მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ, ეს აისახება შესაბამისი დებიტორული დავალიანების დებეტში და ფულადი საშუალების კრედიტში.

უნდა ავღნიშნოთ, რომ დებიტორული დავალიანების წარმოშობა რეალიზაციიდან (და საერთოდ დებიტორული დავალიანება) დაკავშირებულია გარკვეულ პრობლემებთან, ვალის გადაუხდელობის საშიშროების გამო. დებიტორული დავალიანება გადახდის თვალსაზრისით შეიძლება იყოს სამი სახის: ვალი, რომლის დაფარვა არ იწვევს ეჭვს, უიმედო ვალი და საეჭვო ვალი.

უიმედო ვალი ისეთი ვალია, რომლის დაფარვის პირობები აღარ არსებობს. ასეთი დავალიანება განიხილება როგორც ზარალი და მისი ჩამოწერა ხდება მოგება/ზარალის ანგარიშის დებეტში და დებიტორული დავალიანების კრედიტში შესაბამისი თანხის გატარებით.

იმ შემთხვევაში, თუ კიდევ მოსალოდნელია ვალის დაფარვა, მაგრამ ის უკვე საეჭვოა, მაშინ უნდა მოხდეს ამ საეჭვო თანხის გატარება საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯების დებეტში და საეჭვო მოთხოვნების კორექტირების ანგარიშის კრედიტში. ხოლო ვალის ჩამოწერა წარმოებს საეჭვო მოთხოვნების კორექტირების ანგარიშის დებეტში და დებიტორული დავალიანების კრედიტში გატარებით. თუ შემდგომში მოხდა ჩამოწერილი დავალიანების გადახდა, მაშინ ჯერ უნდა მოვახდინოთ მისი აღდგენა დებიტორული დავალიანების დებეტში და საეჭვო მოთხოვნების კორექციის ანგარიშის კრედიტში გატარებით, ხოლო შემდეგ კი უნდა აისახოს ფულის შემოსვლა – ფულადი საშუალებების დებეტში და დებიტორული დავალიანების კრედიტში. გარდა ამისა უნდა მოხდეს საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა.

ცხრილი 11.1.

მოკლევადიანი მოთხოვნების აღრიცხვა

სამეურნეო ოპერაციები	დებეტი	კრედიტი
მიეყიდა მყიდველებს პროდუქცია, საქონელი, მომსახურება	1410	6110
მიეყიდა ძირითადი საშუალებები	1410	8200
მიეყიდა სხვა ფასეულობანი და არამატერიალური აქტივები	1410	8200
ჩამოწერა გაყიდული მატერიალური და არამატერიალური საშუალებები	6110 8200 8200	1600 2100 2500
მყიდველმა ჩარიცხა თანხა ანგარიშსწორების ანგარიშზე	1210 1230	1410 1410
მოსალოდნელი საეჭვო ანგარიშების შეფასება	7190	1415
საეჭვო ვალების ჩამოწერა	1415	1410
ჩამოწერილი საეჭვო ვალის აღდგენა	1410	1415
საეჭვო ვალის გადახდა	1110 1120 1210 1220	1410 1410
პერსონალის თანამშრომლებზე გაცემული ავანსები	1430 1440	1110 1120
ავანსის ხარჯვის ანგარიშის წარმოდგენა	1610 1620	1430 1440

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

დაერიცხა პროცენტები ობლიგაციებზე, დივიდენდი აქციებზე	1810 1820	8110 8120
დარიცხული პროცენტების და დივიდენდების მიღება	1110 1120	8110 8120
დარიცხული დავალიანება დამფუნქნებლებისადმი კაპიტალში შენაგანებით	2340	5100
გამოცხადებული აქციების გამოშვებაზე ხელმოწერა	1460	5110 5120

დამფუნქნებლებისაგან დეპოზიტების მიღება:

– ნაღდი ფულით	1110 1120	1460 1460
– უნაღდო ანგარიშსწორებით	1210 1220	1460 1460
– საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებით	1310 1320 2410	2430 1460
– მასალებით, საქონლით	1610	1460
– არამატერიალური საშუალებებით	2590	1460
– ძირითადი საშუალებებით	2100	1460
მყიდველებისათვის გაგზავნილი საქონლის სამუშაოების, მომსახურების დაწერა	1410	6110
სხვა საწარმოებზე მოკლე ვადით გაცემული სესხი	1390	1110 1120
სესხის გაცემიდან მიღებული სარგებელი	1110 1210	8190
ფასიანი ქაღალდების გასხვისების ჩამოწერა შეძენის ღირებულებით	8200	1310 1320
ფასიანი ქაღალდების გასხვისებიდან მიღებული შემოსაგალი	1110 1120 1210 1220	8190 8190

ანგარიშსწორება გაცემული ავანსებით:

გაცემულია ავანსი მისაღები სასაქონლო-	1440	1110 1210 1230
მატერიალური ფასეულობებისათვის, სამუშაოებისა და მომსახურეობისათვის		
მიმღებლებთან საბოლოო ანგარიშსწორებისას ჩათვლილია წინასწარ გაცემული ავანსი	3130	1480
დაბრუნებულია ავანსი გადარიცხული თანხა	1210 1230	1480

ანგარიშსწორებიანი პრეტენზიებით:

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღების დროს აღმოჩენილია უხარისხო საქონელი	1490	3110
---	------	------

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

სატრანსპორტო ტარიფების შეუსაბამობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულთან შედარებით	1490	3110
გამოვლენილია წუნი წარმოებაში მიმწოდებლისა და მოიჯარის მიზეზით რომელიც აღიარებულია მათ მიერ	1490	7100
ანგარიშსწორების ანგარიშიდან შეცდომით ჩამოწერილია თანხა	1420	1210
ანგარიშსწორების ანგარიშზე შეცდომით ჩარიცხულია თანხა	1210	1490
დაბრუნებულია შეცდომით ჩარიცხული თანხა	1490	1210
მიღებულია ანგარიშსწორების ანგარიშზე თანხები წაყენებული პრეტენზიების მიხედვით	1210	1490
ანგარიშსწორება პერსონალთან დანარჩენი ოპერაციებით:		
მიეცა მუშაქს კრედიტი საქონლის შესაძენად ბანკის კრედიტის ხარჯზე	1430 1440	3210
დაუკავდა მუშაქს კრედიტის დასაფარად მორიგი გადასახდელი თანხა	3130	1430 1340
გადარიცხულია ბანკის კრედიტის დასაფარად	3210	1210 1230
მიეცა მუშაქს სესხი საწარმოს სახსრების ხარჯზე	1430 1440	1110 1210
შეტანილია მუშაქის მიერ მორიგი გადასახდელი	1110	1430 1440
დაკავებულია მუშაქის ხელფასიდან მორიგი გადასახდელი	3130	1430 1440
დაეწერა მუშაქს დანაკლისი და გაფუჭებული საქონლის ღირებულება	1430 1440	7000 8000 9100
პერსონალისთვის ინდივიდუალურ მოწყობაზე ან სხვა კანონიერ საჭიროებაზე სესხების მიღება	1430 1440	3210 4140
ამავე სესხებზე ბანკის სარგებლის დარიცხვა	1430 1440	3410 3490
ამ სესხებისა და სარგებლის დაბრუნება სალაროში	1110	1400

მოკლევადიანი სათამასუქო მოთხოვნების აღრიცხვა

სამეურნეო ოპერაციები	დებუტი	კრედიტი
პროდუქციის სამუშაოსების, მომსახურების რეალიზაცია მიღებული თამასუქებით	1510	6110
მიღებულია ვალის გადახდით თანხა დებიტორული თამასუქებით	1110 1120 1210 1230	1510
თამასუქზე დარიცხული პროცენტები	1830	1510

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

თამასუქზე დარიცხული პროცენტების თანხის მიღება	1110 1120 1210 1230	1830 1830
გრძელვადიანი თამასუქების მიმდინარე ნაწილის გადმოტანა მოკლევადიან თამასუქებში	1520	4120
მოკლევადიანი თამასუქით მიმდინარე ნაწილს დაერიცხა პროცენტი	1830	1520
გრძელვადიანი თამასუქით მიმდინარე ნაწილზე დარიცხული პროცენტებით მიღებული თანხა	1110 1120 1210 1230	1830 1830
მიღებული გრძელვადიანი თამასუქები	2310	3410

12. ინგესტიციების აღრიცხვა

12.1. ინგესტიციების ზოგადი დახასიათება

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ინგესტიცია არის აქტივი, რომელსაც ფლობს საწარმო საკუთარი სიმდიდრის გასახრდელად შემოსავლების (პროცენტების, როალტების, დივიდენდებისა და ა.შ.) განაწილების საშუალებით კაპიტალის ან სხვა სახის სარგებლის გასაღიდებლად.

ინგესტიციას ანხორციელებენ სხვადასხვა მიზნით. ეს შეიძლება იყოს:

- საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის მნიშვნელოვანი ელემენტი,
- დამატებითი ფულადი სახსრების წყარო,
- კომერციული ურთიერთობების გაძლიერების ან კომერციული უპირატესობის მოპოვების გზა.

შესაძლებელია ინგესტიციების კლასიფიკაცია სხვადასხვა მაჩვენებლების მიხედვით. პირველ რიგში, კლასიფიკაცია შეიძლება ჩატარდეს ინგესტიციების მოცულობის მიხედვით. ამ შემთხვევაში განიხილავენ შემდეგ კატეგორიებს:

- ინგესტორი აკონტროლებს სხვა საწარმოს. კონტროლი ნიშნავს საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას ამ საქმიანობიდან გაონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. სიტყვა „აკონტროლებს“ გულისხმობს, რომ ძირითადი საწარმო პირდაპირ თუ არაპირდაპირ ფლობს ხმის უფლების ნახევარზე მეტს (ძირითადი საწარმო არის ისეთი საწარმო, რომელსაც გააჩნია ერთი ან რამდენიმე შვილობილი საწარმო. შვილობილი საწარმო ისეთი საწარმოა, რომელსაც კონტროლს უწევს სხვა საწარმო - ძირითადი საწარმო);

- ინგესტორი სარგებლობს მნიშვნელოვანი გავლენით. მნიშვნელოვანი გავლენის უფლება ნიშნავს ინგესტორის მიერ საწარმოს ფინანსური და საწარმოო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს ინგესტორის მიერ ამ პოლიტიკაზე კონტროლის უფლებას;

- ინგესტორი ვერ სარგებლობს მნიშვნელოვანი გავლენითა და ვერ აკონტროლებს სხვა საწარმოს;

- ადგილი აქვს ერთობლივი მიზნით ინგესტირებას.

შესაძლებელია აგრეთვე ინგესტიციების კლასიფიკაცია ვადების მიხედვით: მიმდინარე (ანუ მოკლევადიანი) და გრძელვადიანი ინგესტიციები.

ინგესტიცია შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა სახით: მას შეიძლება გააჩნდეს ფიზიკური სახე და შეიძლება იყოს მის გარეშე. ინგესტიცია შეიძლება იყოს წარმოდგენილი სერტიფიკატის, ან სხვა დოკუმენტის სახით, ან იყოს მათ გარეშე.

მოკლევადიანი ინგესტიცია უნდა აისახოს:

- თვითდირებულებით ან
- საბაზრო დირებულებასა და თვითირებულებას შორის უმცირესი თანხით.

ინგესტიციის თვითდირებულება შედგება მისი შეძენის ფასისა და შეძენასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯებისაგან – ბროკერის მომსახურების თანხა, ბაჟი, საკომისიო გადასახადები და საბაზკო მომსახურების ხარჯები. საბაზრო დირებულება არის ის თანხა, რომელიც შეიძლება იყოს მიღებული ინგესტიციის ბაზარზე გაყიდვის შედეგად.

ინგესტიცია ტარდება შემოსავალში თავისი თვითდირებულებით. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაში როდესაც ინგესტიციას შეძენის მომენტისათვის უკეთ გამომუშავებული აქვს პროცენტი ან დივიდენდი მოგებიდან, ინგესტიციის თვითდირებულება მცირდება მისაღები პროცენტებისა და დივიდენდების თანხით.

იმ შემთხვევაში, როდესაც ინგესტიცია აისახება საბაზრო დირებულებასა და თვითდირებულებას შორის უმცირესი თანხით, მაშინ საანგარიშო პერიოდის ბოლოს აუცილებლად უნდა მოხდეს საბაზროს დირებულების შედარება საბაზრო დირებულებასთან. ახალი საბაზროს დირებულება უნდა განისაზღვროს ხელნებული მნიშვნელობების შედარებით და მათ შორის მინიმალურის არჩევით, და თან ახალი

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

საბალანსო დირექტულება განისაზღვრება ფასიანი ქაღალდების მთლიანი პორტფელის საფუძველზე, ინვესტიციის კატეგორიისა ან ინვესტიციის საერთო თანხის მიხედვით. ცხადია, ასეთი მიდგომის შემთხვევაში, ადგილი ექნება საბალანსო დირექტულების ზრდას ან შემცირებას. სხვაობის თანხის ასახვის მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ორი მეთოდი: 1. შემოსავლის ან ხარჯის ჩვენება; 2. გადაფასების რეზერვის შექმნა.

რაც შეეხება გრძელვადიან ინვესტიციას – ის შეიძლება აისახოს:

- თვითდირექტულებით,
- გადაფასებული თანხით ან
- თვითდირექტულებისა და საბაზრო დირექტულების შორის უმცირესი დირექტულებით.

გრძელვადიან ინვესტიციების თვითდირექტულება განისაზღვრება იმავე წესით, როგორც მოკლევადიანის.

მსგავსად მოკლევადიანი ინვესტიციებისა იგივე მიდგომა ხორცილებება თვითდირექტულებისა და საბაზრო დირექტულების შორის უმცირესი დირექტულების განსაზღვრისას.

რაც შეეხება გადაფასებულ დირექტულების, მას ასახავენ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ინვესტიციის ფასის ცვლას და ეს არ ატარებს დროებით ხასიათს. როდესაც საწარმოში გამოიყენება გადაფასებული დირექტულებით ასახვა, მაშინ აუცილებლად უნდა იყოს დამტკიცებული რეგულარული გადაფასების პოლიტიკა და ყველა გრძელვადიანი ინვესტიცია გადაფასდეს ერთდროულად.

გრძელვადიანი ინვესტიციის გადაფასებული დირექტულების ასახვისას საწარმო ატარებს შემდეგ ოპერაციებს: გრძელვადიანი ინვესტიციების გადაფასების შედეგად საბალანსო დირექტულების გადიდება უნდა აისახოს საკუთარი კაპიტალის ანგარიშში გადაფასების რეზერვის სახით. საბალანსო დირექტულების შემცირება აისახება ხარჯის სახით.

საერთოდ, საწარმოს გააჩნია არჩევანის უფლება, მას შეუძლია აწარმოოს გრძელვადიანი ინვესტიციების აღრიცხვა როგორც ძირითადი საშუალების. ამ შემთხვევაში ინვესტიციებს ერიცხებათ ცვეთა, როგორც ძირითადი საშუალებების შემთხვევაში.

12.2 ინვესტიციების რეკლასიფიკაცია

ინვესტიციების ვადის მიმართ დამოკიდებულება შეიძლება შეიცვალოს სხვადასხვა გარემოებების გამო. მაგალითად, შეიძლება მოკლევადიანი ინვესტიცია დარჩეს საწარმოს განკარგულებაში ერთ წელზე მეტი ვადით, ხოლო გრძლევადიანი ინვესტიციის გასხვისება განხორციელდეს შეძენიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში. ამასთან დაკავშირებით, ყოველი წლის ბოლოს საწარმოში უნდა ჩატარდეს გარკვეული ცვლილებები ინვესტიციების კლასიფიკაციაში, ანუ განხორციელდეს რეკლასიფიკაცია.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ინვესტიციების რეკლასიფიკაციას აქვს ადგილი ორ შემთხვევაში:

1. გრძელვადიანი ინვესტიცია გადადის მიმდინარე ინვესტიციების ჯგუფში,
2. მოკლევადიანი ინვესტიცია გადადის გრძელვადიანი ინვესტიციების ჯგუფში.

13. ვალდებულებები და კაპიტალი. რეზერვები

13.1. ზოგადი დახსიათება

როგორც ჩვენ ვიცით, კომპანიის პასივს წარმოადგენს ვალდებულებები და კაპიტალი, ხოლო აქტივს – მოკლევადიანი (საბრუნავი) და გრძელვადიანი საშუალებები.

პირველ რიგში განვიხილოთ, თუ როგორი შეფარდება არის შესაძლებელი ბალანსის ამ კომპონენტებს შორის: – საშუალებები, ვალდებულებები და კაპიტალი. როგორც ჩვენ უკვე ვიცით, საბრუნავი საშუალებები არის ისეთი საშუალებები, რომელთა ფულად გარდაქმნა განსაზღვრულია ერთი წლის განმავლობაში. მოკლევადიანი ვალდებულებები არის ვალდებულებები, რომელიც უნდა დაიფაროს ერთი წლის განმავლობაში. როგორც წესი მოკლევადიანი ვალდებულებები გამოიყენება საბრუნავი საშუალებების შესაძენად. საბრუნავი საშუალებების ის ნაწილი, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი მოკლევადიანი კრედიტებით, წარმოადგენს საკუთარ საბრუნავ საშუალებებს.

ასე რომ, საკუთარი საბრუნავი საშუალებები წარმოადგენს სხვაობას საბრუნავი საშუალებებსა და მოკლევადიან ვალდებულებებს შორის.

გრძელვადიანი ვალდებულებები და კაპიტალი წარმოადგენს გრძელვადიან კაპიტალს. გრძელვადიან ვალდებულებებს ასევე უწოდებენ მოზიდულ კაპიტალს.

სხვაგვარად შეიძლება ითქვას, რომ არსებობს მოზიდული კაპიტალი (გრძელვადიანი ვალდებულებები) და საკუთარი კაპიტალი. ანუ, კომპანიას შეუძლია მიიღოს გრძელვადიანი კაპიტალი ორი წყაროდან - მოზიდული კაპიტალიდან და საკუთარი კაპიტალიდან.

კომპანია იყენებს კაპიტალს საბრუნავი საშუალებების შესაძენად და ძირითადი საშუალებების შესაძენად.

მოზიდული კაპიტალის უდიდეს ნაწილს კომპანია იძენს ობლიგაციების გამოშვებით.

ობლიგაციები, როგორც წესი, არის გრძელვადიანი, მაგრამ მის დაფარვამდე ერთი წლით ადრე ის გადადის მოკლევადიანის რანგში.

ობლიგაცია ავალდებულებს კომპანიას, რომ გადაიხადოს პროცენტი და ნომინალი დადგენილ ვადაში. ესე იგი, ობლიგაციის გამოშვებით, კომპანია იღებს თავის თავზე ორ ვალდებულებას: გადაიხადოს ობლიგაციის ნომინალი და გადაიხადოს პროცენტი ამ ობლიგაციის მიხედვით.

პროცენტის გადახდა, როგორც წესი, წარმოებს წელიწადში 2-ჯერ. ობლიგაციის ნომინალური ღირებულების გადახდის ვალდებულება შეიძლება იქოს გრძელვადიანი (ან მოკლევადიანი), ხოლო პროცენტის გადახდა არის მოკლევადიანი ვალდებულება. ობლიგაციის პროცენტი მიეკუთვნება ხარჯების კატეგორიას და ეკუთვნის იმ პერიოდს, როდესაც უნდა მოხდეს ამ პროცენტის გადახდა.

საკუთარ კაპიტალს კომპანია იძენს ორი გზით: 1. აქციების გამოშვებითა და რეალიზაციით (სააქციო კაპიტალი) და 2. გაუნაწილებელი მოგების გამოყენებით. ეს, რა თქმა უნდა, ეხება სააქციო საზოგადოებებს. ჩვენ ვიცით, რომ სააქციო საზოგადოების გარდა არსებობს კიდევ ინდივიდუალური მეწარმე და ამხანაგობა. ამ შემთხვევაში კაპიტალის სახით აისახება უველა ის თანხა, რომელიც შეტანილია მფლობელების მიერ.

ესე იგი, კომპანიის საკუთარი კაპიტალი არის ინვესტიციის შედეგი. კომპანია არ იღებს თავის თავზე არანაირ ვალდებულებას ინვესტორების წინაშე თანხების გადახდაზე. ამიტომაც, საკუთარი კაპიტალი არ შედის კომპანიის ვალდებულებებში.

სააქციო კაპიტალი ფაქტიურად წარმოადგენს იმ თანხას, რომელსაც იხდიან აქციონერები პრივილიგირებული და ჩვეულებრივი აქციების შეძენისას.

13.2. ჩვეულებრივი აქციები

არსებობს ორი სახის აქციები: ნომინალური ფასით და მის გარეშე. ზოგჯერ უშვებენ აქციებს, რომლებსაც აწერია ფასი, ამ ფასს უწოდებენ - ნომინალურ ფასს.

ჯამში, აქციონების მიერ აქციებში გადახდილი თანხა წარმოადგენს სააქციო კაპიტალს. სხვაობას აქციების ჯამურ ნომინალურ ღირებალებასა და სააქციო კაპიტალს შორის უწოდებენ სხვა გადახდილ სააქციო კაპიტალს.

არსებობს აქციები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური ღირებულება. ასეთი აქციების ღირებულება დგინდება ღირებულებით საბჭოს მიერ და ამ ღირებულებას უწოდებენ დადგენილ ღირებულებას. ასეთი აქციების აღრიცხვა წარმოებს მათი დადგენილი ღირებულებით. აქაც, სხვაობას საერთო ღირებულებასა და საერთოდ შემოსულ თანხებს შორის უწოდებენ სხვა გადახდილ სააქციო კაპიტალს.

კორპორაციის ფორმირების დროს მისი ღირებულებით საბჭო კენჭის ყრის გზით ადგენს: გამოსაშვები აქციების რაოდენობას და მათგან გასაყიდი აქციების რაოდენობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ყოველთვის გამოშვებული აქციების რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე გაყიდულების.

კორპორაციას შეუძლია შეიძინოს თავისივე გამოშვებული და გაყიდული აქციები. ასეთ აქციებს უწოდებენ - საკუთარი აქციები პორტფელში.

აქციები ბრუნვაში – არის სხვაობა გამოშვებულსა და საკუთარ აქციებს შორის პორტფელში.

აქციონერებს შეუძლიათ გაყიდონ მათ საკუთრებაში მყოფი აქციები. ასეთი გაყიდვა არანაირ გავლენას არ ახდენს სააქციო კაპიტალზე. როდესაც აქციონერები ყიდიან თავის აქციებს, აქციის ფასი განისაზღვრება ბაზრის პირობებით, ამიტომაც ასეთ გაყიდულ აქციას გააჩნია უკვე საბაზრო ფასი.

13.3. პრივილეგირებული აქციები

ასეთი ტიპის აქციები აძლევენ გარკვეულ პრივილეგიებს მათ ფლობელებს. ესენია: 1. ორპორაციის ღირებულების დროს პრივილიგირებული აქციების მფლობელებს აქვთ უფლება პირველ რიგში მიიღონ მათი აქციების ნომინალური ღირებულების შესაბამისი თანხები, 2. პრივილიგირებული აქციების მფლობლებს გააჩნიათ გარკვეული უპირატესობა წლიური დივიდენდების გადახდის დროს.

13.4. გაუნაწილებელი მოგება და დივიდენდები

თუ კომპანიას გააჩნია სუფთა მოგება, მაშინ ადგილი აქვს კაპიტალის ზრდას. ღირებულებით საბჭოს დადგენილებით ხდება მოგების წილის გაცემა დივიდენდების სახით. დივიდენდების გადახდა იწვევს საკუთარი კაპიტალის შემცირებას. ხოლო მოგება, რომელიც რჩება კომპანიის განკარგულებაში, არის გაუნაწილებელი მოგება.

უნდა ითქვას, რომ სუფთა მოგება არის კაპიტალის მატება ერთი წლის განმავლობაში. ხოლო გაუნაწილებელი მოგება არის კაპიტალის მატება კორპორაციის არსებობის მანძილზე, ვინაიდან ხდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს მიღებული გაუნაწილებელი მოგების აჯამვა წინა წლების გაუნაწილებელ მოგებასთან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიის ღირებულება – ეს არის თანხა, რომელიც მზად არიან გადაიხადონ მასში, ანუ აქციების საბაზრო ფასი. ეს თანხა ფაქტიურად არ არის ასახული ბალანში.

13.5. დივიდენდების სახეობები

სააქციო საზოგადოების დირექტორთა საბჭოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება მიღებული მოგების დივიდენდების გადახდის შესახებ. ცხადია, რომ ეს გადახდა იწვევს კაპიტალის შემცირებას. ჩვეულებრივ, დივიდენდების გადახდა წარმოებს ფულის სახით, ამ შემთხვევაში ტრანსაქცია ტარდება ორ ანგარიშზე: ფულადი სახსრების კრედიტში და გაუნაწილებელი მოგების დებეტში.

მაგრამ ზოგჯერ დივიდენდებს იხდიან აქციების სახით, ასეთ აქციებს უწოდებენ აქცია-დივიდენდებს. აუცილებლად უნდა ადინიშნოს, რომ დამატებითი აქციების მიღება აქციონერების მიერ დივიდენდების მაგივრად წარმოებს იმ აქციების პროპორციულად, რომლებიც უკვე გააჩნიათ აქციონერებს, ამიტომაც ამ აქციონერების საკუთრებაში მყოფი კაპიტალის წილი არ იცვლება.

დივიდენდების გადახდა ფაქტიურად ამცირებს საკუთარ კაპიტალს. ამ დროს დივიდენდი-აქციების გადახდა (ან აქციების დანაწილება) არ ახდენს გავლენას საკუთარი კაპიტალზე. ის იწვევს შემდეგ მოვლენებს: გაუნაწილებელი მოგების შემცირებას და სხვა გადახდილი კაპიტალის ზრდას.

ზოგ შემთხვევაში, კორპორაციამ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება აქციების დანაწევრების თაობაზე. ამ პროცესს უწოდებენ აქციების დაყოფას. ეს პროცესი იწვევს აქციების რაოდენობის ზრდას, მაგრამ არ ახდენს გავლენას კაპიტალის წილზე ერთ აქციაზე.

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ კაპიტალში შედის:

სააქციო კაპიტალი პრივილიგირებული აქციების საფუძველზე,

სააქციო კაპიტალი ჩვეულებრივი აქციების საფუძველზე (ნომინალური ღირებულებით და დადგენილი ღირებულებით), რომლებიც არის ბრუნვაში,

დამატებითი სახსრები, მიღებული აქციების რეალიზაციის შემთხვევაში, რომლებსაც უწოდებენ სხვა გადახდილი კაპიტალს,

გაუნაწილებელი მოგება, რომელიც წარმოადგენს დაგროვებულ სხვაობას სუფთა მოგებასა და დივიდენდებს შორის.

სააქციო კაპიტალის სიდიდე ხშირად არ ასახავს კაპიტალის რეალურ ფასს.

13.6. შეფარდება მოზიდულ და საკუთარ კაპიტალს შორის

კორპორაცია ღებულობს საკუთარ კაპიტალს თავისი აქციების გამოშვებისა და რეალიზაციის შედეგად, გაუნაწილებელი მოგების მიღების შედეგად და, როგორც წესი, ობიგაციების გამოშვებისა და რეალიზაციის შედეგად.

უნდა ითქვას, რომ ობლიგაცია – ეს არის აღებული პასუხისმგებლობა, ხოლო აქცია არ წარმოადგენს პასუხისმგებლობას.

ობლიგაციის გაყიდვის დროს კომპანია იღებს თავის თავზე პასუხისმგებლობას: გადაიხადოს ნომინალი და პროცენტი. ხოლო აქციის გაყიდვის დროს კომპანია არ იღებს არანაირ ვალდებულებას გადაიხადოს დივიდენდები და გადაიხადოს ინვესტიცია. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ობლიგაცია – უფრო სარისკოა, ხოლო აქცია უფრო ძვირადიღირებულია, ვინაიდან აქციონერებს არ გააჩნიათ არანაირი გარანტიები, და ამიტომაც ელოდებიან უფრო მაღალ დივიდენდებს.

ესეიგი, ობლიგაცია ნაკლებად ღირებულია და უფრო სარისკოა, ვინაიდან მისი არ გადაუხდელობის შემთხვევაში კომპანია შეიძლება გამოცხადდეს ბანკროტად. აქცია ამ დროს ნაკლებად სარისკოა, მაგრამ ძვირადიღირებული.

იმ კორპორაციაზე, რომელსაც გააჩნია უფრო დიდი წილი მოზიდული კაპიტალისა, ამბობენ, რომ ის არის ძლიერ ფინანსურ დამოკიდებულებაში.

გრძელვადიანი კაპიტალის სტრუქტურის შემუშავების დროს კომპანია ცდილობს, რომ დაადგინოს ოპტიმალური პროპორცია მაღალ რისკიან და შედარებით დაბალ ფასიან მოზიდულ კაპიტალსა და დაბალი რისკის მაგრამ უფრო მაღალ ფასიან საკუთარ კაპიტალს შორის. ეს შეფარდება ხასიათდება შემდეგი

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

კოეფიციენტით – მოზიდული კაპიტალის ხვედრითი წონა, რომელიც უდრის მოზიდული კაპიტალის სიდიდის და გრძელვადიანი კაპიტალის საერთო სიდიდის შეფარდებას.

13.7. კონსოლიდირებული ბალანსი

თუ ერთი კორპორაცია ფლობს მეორე კორპორაციის აქციების 50%-ზე მეტს, მაშინ მას შეუძლია კონტროლი გაუწიოს “შვილობილი” კომპანიის საქმიანობას. უცხოეთის მრავალი კომპანია შედგება რამდენიმე კომპანიისაგან, რომლებიც იურიდიულად ითვლებიან დამოუკიდებლებად, მაგრამ ამავე დროს ექვემდებარებიან კონტროლს ერთი კორპორაციის მხრივ.

კორპორაცია, რომელიც აკონტროლებს სხვა კორპორაციებს, არის სათაო კორპორაცია, ხოლო იმ კორპორაციებს, რომლებსაც იგი აკონტროლებს, უწოდებენ შვილობილ კომპანიებს ან ფილიალებს.

იმ შემთხვევაში, როდესაც სათაო კომპანია მთლიანად აკონტროლებს სხვა კომპანიების საქმიანობას, მაშინ საწარმოს ავტონომურობის პრინციპის თანახმად საანგარიშგებო დოკუმენტაციია უნდა შემუშავდეს მათვის, როგორც ერთიანი კომპანიისათვის. მართალია თითოეული ამ კომპანიებიდან არის იურიდიული პირი და გააჩნია საკუთარი ფინანსური ანგარიშგება, მათი ფინანსური ანგარიშგება განიხილება კომპლექტში, კონსოლიდირებულად, და ამიტომაც, მათ საანგარიშგებო დოკუმენტაციას უწოდებენ კონსოლიდირებულს.

კომპანიას აქვს მოგება, როდესაც ის ახდენს პროდუქციის რეალიზაციას სხვა კლიენტებზე. მაგრამ მას არ შეუძლია მიიღოს მოგება, როდესაც მას აქვს საქმე საკუთარ თავთან. იმ კორპორაციებს, რომლებიც შედიან კონსოლიდირებლ ოჯახში, შეუძლიათ აწარმოონ ერთმანეთში ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები, მაგრამ ასეთი ოპერაციები არ იძლევიან მოგების მიღებას კონსოლიდირებული კომპანიისათვის. ამიტომაც ასეთი ტრანსაქციების შედეგები არ უნდა იყოს ნაჩვენები კოსოლიდირებულ ანაგარიშგებაში.

შიდასამეურნეო ტრანსაქციები აგრეთვე უნდა იყოს ნაჩვენები კოსოლიდირებული ბალანსიდან.

13.8. რეზერვები

როგორც ცნობილია, რეზერვი წარმოადგენს საკუთარი კაპიტალის ნაწილს. რეზერვის შექმნა შეიძლება იყოს განპირობებული კანონმდებლობით ან საწარმოს წესდებით. როგორც წესი, რეზერვის დანიშნულებაა საწარმოს დამფუძნებელთა და კრედიტოთა ზარალისაგან დაცვა. რეზერვი შეიძლება შეიქმნას მოგებიდან მის დაბეგრამდე. ეს მეთოდი გამოიყენება ბანკებში და სხვა სადაზღვევო კომპანიებში. არსებობს რეზერვის შექმნის აგრეთვე სხვა გზა – ის შეიძლება უკავშირდებოდეს საწარმოს აქტივების გადაფასებას - აფასებას (მათი დირებულების ზრდა).

რეზერვს გააჩნია თავისი დანიშნულება და მისი ხარჯვა შესაძლებელია ამ დანიშნულებისათვის, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია მისი არამიზნობრივი ხარჯვა, მაგალითად, დივიდენდების სახით გაცემა. მაგრამ ეს დაუშვებელია თუ რეზერვი შექმნილია აქტივების გადაფასებით.

14. საანგარიშგებო დოკუმენტაცია: ბალანსი, ანგარიში მოგება-ზარალის შესახებ, ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

ძირითად საანგარიშგებო დოკუმენტებად ითვლება: ბალანსი, ანგარიში მოგება-ზარალის შესახებ და ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი.

ბალანსი ასახავს ფინანსურ მდგომარეობას დროის მოცემულ მომენტში, ანგარიში მოგების შესახებ ახასიათებს ფინანსური საშუალებების ბრუნვას გარკვეულ პერიოდში ხოლო ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი კი ასახავს ფულადი სახსრების შემოსვლასა და გასვლას.

14.1. ბალანსი

როგორც უკვე ავდნიშნეთ, ბალანსი – ეს არის ანგარიში საწარმოს მდგომარეობის შესახებ.

ფინანსური ანგარიშების შესადგენად უნდა დავითვალოთ ნაშთები თითოეული ანგარიშისათვის განაუმჯებიდან – საშუალებები, ვალდებულებები, კაპიტალი. შემდეგ ეს ნაშთები გადაქვთ ბალანსში.

ფიზიკურად ბალანსი წარმოადგენს უწყისს, რომელიც წარმოდგენილია სურ.14.1-ზე.

14.2. ანგარიში მოგება-ზარალის შესახებ

ანგარიში მოგების შესახებ – ეს არის ანგარიში ბრუნვის შესახებ. ანგარიშს მოგების შესახებ სხვანაირად აგრეთვე უწოდებენ მოგება-ზარალის ანგარიშს.

ანგარიში მოგების-ზარალის შესახებ მოიცავს ინფორმაციას შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ, რომელთა სხვაობა წარმოადგენს მოგებას. გაუნაწილებელი მოგება კი წარმოადგენს მიმდინარე პერიოდის გაუნაწილებელი მოგებისა და საწარმოს საქმიანობის დაწყებიდან გაუნაწილებელი მოგების ჯამს.

ანგარიშში მოგების შესახებ უნდა იყოს მითითებული ყველა შემოსავალი და ყველა ხარჯი, გაწეული გარკვეულ პერიოდში. იმ პერიოდს, რომლისთვისაც უნდა შევადგინოთ ანგარიში მოგების შესახებ, უწოდებენ საანგარიშო პერიოდს. უმრავლესობა საწარმოებისათვის საანგარიშო პერიოდი წარმოდგენს ერთ წელს. მაგრამ ანგარიში მოგების შესახებ შეიძლება იყოს შედგენილი უფრო მოკლე პერიოდისთვისაც. ასეთ ანგარიშებს უწოდებენ შეალებურ ანგარიშებს. უმრავლესობა ორგანიზაციებისათვის საანგარიშო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს, მაგრამ ზოგ შემთხვევაში შეიძლება რომ საანგარიშო პერიოდის დასასრული ემთხვევოდეს საქმიანი აქტივობის დასასრულს, მაგალითად უმაღლეს სასწავლებლებში. შეიძლება ითქვას, რომ ბუღალტრულ აღრიცხვაში ოპერაციების უწყვეტი ნაკადი ხელოვნურად იყოფა ცალკეულ საანგარიშო პერიოდებზე.

ყველაზე აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს შემოსავლებისა და ხარჯების განსაზღვრა საანგარიშო პერიოდში. ჩვენ უკვე განვიხილეთ ეს საკითხები.

ანგარიშის მოგების შესახებ სტანდარტული ფორმა არ არსებობს. მას შეიძლება ჰქონდეს შემდეგი ფორმა.

პირველ სტრიქონში აისახება რეალიზაციით მიღებული შემოსავლები საანგარიშო პერიოდში. მეორე სტრიქონში მიუთითებენ რეალიზებული პროდუქციის თვითდირებულებას. აქ მიუთითებენ იმ საქონლის თვითდირებულებას, რომლის რეალიზაციით მიღებულია ზედა სტრიქონში მითითებული შემოსავლები. სხვაობას შემოსავლებსა და თვითდირებულებას შორის უწოდებენ მთლიან მოგებას. შემდეგ

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

მთლიან მოგებას უნდა გამოვაკლოთ ექსპლუატაციის ხარჯები, შესაბამისობის პრინციპის თანახმად ექსპლუატაციის ხარჯებში შეაქვთ მიმდინარე პერიოდის ხარჯები და აგრეთვე ის ხარჯები, რომელიც არ უზრუნველყოფენ საწარმოს მომავალ მოგებას. მთლიანი მოგებიდან ექსპლუატაციის ხარჯების გამოკლებით ღებულობენ მოგებას, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას. შემდეგ სტრიქონში უნდა იყოს მითითებული მოგების გადასახადის რეზერვი. მოგების ანგარიშის ბოლო სტრიქონს უწოდებენ სუფთა მოგებას. თუ კომპანიის მიერ მიღებულია მისთვის არადამახასიათებელი მოგება ან ზარალი, ის ცალკე სტრიქონში უნდა აისახოს დასახელებით “გაუთვალისწინებელი მოგება ან ზარალი”.

დივიდენდები არ მიეკუთვნება ხარჯებს, ისინი წარმოადგენენ მოგების განაწილების ხერხს კომპანიის თანამფლობელებს შორის.

სურ. 14.2-ზე მოცემულია მოგება-ზარალის უწყისის შესაძლო ფორმა

არსებობს კიდევ მოგების ანგარიშის მონაცემების პროცენტული გამოსახულება. მაგალითად:

1. მთლიანი მოგების პროცენტული გამოსახულება, რომელიც უდრის – მთლიანი მოგება გაყოფილი რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალზე,

2. სუფთა მოგება პროცენტული გამოსახულებით, რომელიც უდრის სუფთა მოგება გაყოფილი რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებზე.

გაუნაწილებელი მოგების ანგარიში

მოგება-ზარალი ანგარიშთან მჭიდროდ არის დაკავშირებული გაუნაწილებელი მოგების ანგარიში. გაუნაწილებელი მოგების ანგარიშში უნდა შედიოდეს შემდგარი მონაცემები:

წინა პერიოდის გაუნაწილებელი მოგება,

მიმდინარე პერიოდის სუფთა მოგება,

გაცემული დივიდენდები

და საანგარიშო პერიოდის ჯამური გაუნაწილებელი მოგება, რომელიც უდრის:

წინა პერიოდის გაუნაწილებელი მოგება + საანგარიშო პერიოდის სუფთა მოგება – დივიდენდები.

14.3. ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი იძლევა საშუალებას მივიღოთ დამატებითი ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ. ზოგადად ის ასახავს საწარმოოში ფულადი სახსრების შემოსვლისა და გასვლის ნაკადებს და მას შეიღება გააჩნდეს სხვადასხვა ფორმატი (სურ.14.3). ზოგ შემთხვევაში, ეს სულადაც შეიძლება იყოს სალაროს წიგნი.

საერთოდ ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისში თანხები შედის ბალანსიდან და მოგება-ზარალის უწყისიდან.

ქვემოთ მოყვანილია ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისის ფორმატი. ის შეიძლება შედგებოდეს სამი ძირითადი განაყოფისაგან.

პირველ განაყოფს უწოდებენ - “მიმდინარე (საოპერაციო ან სამეცნიერო) საქმიანობის ფულადი სახსრების ნაკადები”. საოპერაციო საქმიანობა არის ისეთი საწარმოს ძირითადი შემოსავლების მომტანი და სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობა. აქ ძირითადი ამოცანა არის ფულადი

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

სახსრების ნაკადების განსაზღვრა მიმდინარე საქმიანობიდან. არსებობს ამ ნაკადის განსაზღვრის ორი მეთოდი: პირდაპირი და ირიბი.

პირდაპირი მეთოდის შემთხვევაში ამ განაყოფში უნდა აისახოს: საქონლის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები და როიალტიდან, პონორარებიდან, საკომისიო გადასახადებიდან და სხვა შემოსავლებიდან მიღებული ფულადი სახსრები. შემდეგ ამ მნიშვნელობას აკლდება – საქონლისა და მომსახურებისათვის მომწოდებლისათვის გადახდილი ფულადი სახსრები; თანამშრომლებისათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები; მოგების გადასახადთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გადახდა და სხვა გადახდები, დაკავშირებული საოპერაციო საქმიანობასთან.

ირიბი მეთოდის გამოყენების შემთხვევაში აღნიშნული განაყოფი მოიცავს რამდენიმე ქვეგანაყოფს. პირველ რიგში, აქ უნდა აისახოს წმინდა მოგება. წმინდა მოგების მნიშვნელობას ემატება ისეთი არა ფულადი პოზიციები, რომლებიც ახდენენ გავლენას წმინდა მოგებაზე, როგორიც არის: ამორტიზაცია, გადავადებული მოგების გადასახადი, საპროცენტო გადახდები. ეს მნიშვნელობები ერთად იძლევიან მიმდინარე საქმიანობის მოგებას საბრუნავი კაპიტალის შეცვლამდე. ამ მნიშვნელობას შემდეგ, რა თქმა უნდა თუ აქვს ადგილი, უნდა გამოაკლდეს მატერიალური მარაგების და დებიტორული დაგალიანების ზრდა და კრედიტორული დაგალიანების შემცირება. ამით ვიღებთ მიმდინარე საქმიანობის ფულად სახსრებს. უგვევ ამ მნიშვნელობას აკლებენ გადახდილ პროცენტებს, გადახდილ დივიდენდებს, გადახდილ საშემოსავლოს და ღებულობებს პირველი განაყოფის მნიშვნელობას – მიმდინარე საქმიანობის სუფთა ფულადი სახსრები.

მეორე განაყოფს უწიდებენ – “ფინანსური საქმიანობის ფულადი სახსრების ნაკადები”. აქ აისახება ფულადი ნაკადები, მიღებული ფუნანსური საქმიანობის შედეგად. ფინანსურ საქმიანობას უწოდებენ ისეთ საქმიანობას, რომლის შედეგადაც რაოდენობრივად და სტრუქტურულად იცვლება საწარმოოს საკუთარი კაპიტალი და ნახევსხები საშუალებები. პირველ რიგში, ეს არის აქციების გამოშვების შედეგად მიღებული თანხები. აქვე ემატება მიღებული სესხები. შემდეგ აკლდება ეგველა ფულადი სახსრები, გადახდილი დივიდენდებისა და სესხების დასაფარავად. შედეგად ვიღებთ ფილადი სახსრების მოძრაობას ფინანსური საქმიანობის შედეგად.

მესამე განაყოფი – “საინვესტიციო საქმიანობის ფულადი სახსრების ნაკადები”. საინვესტიციო საქმიანობას უწოდებენ ისეთ საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია გრძელვადიანი აქტივებისა და სხვა ინვესტიციების შეძენა-რეალიზაციასთან. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების ნაკადების მაგალითებია:

ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები; ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სხვა გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები; სხვა საწარმოებების საკუთარი კაპიტალის წილის შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები; სხვა საწარმოს საკუთარი კაპიტალის წილის რეალიზაციით მიღებული ფული და ა.შ.

შემდეგ მოყვანილია ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისის მაგალითი.

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

ფულადი სახსრების მოძრაობა სამეურნეო საქმიანობის შედეგად

სუფთა მოგება	6122
არა-ფულადი სახსრები, რომელებიც ახდენენ გავლენას სუფთა მოგებაზე:	
ამორტიზაცია	864
გადავადებული მოგების გადასახადი	226
გადასახადების თანხების ცვლილება	1174
სულ	2264
ფულადი სახსრების მოძრაობა სამეურნეო საქმიანობის შედეგად	8385

ფინანსური საქმიანობის შედეგად ფულადი სახსერბის მოძრაობა

გრძელვადიანი დავალიანების გადახდა	(500)
საბანკო სესხი	1000
გადახდილი დივიდენდები	(4390)
სხვა	(223)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობის შედეგად	(4113)

ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობის შედეგად

ძირითადი საშუალებების შეძენა	(2433)
ინვესტიციები	(731)
სხვა	(300)
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობის შედეგად	(3464)

ფულადი სახსრების საერთო ზრდა	809
------------------------------	-----

0 მოყვანილი ის მნიშვნელობები, რომლებიც უნდა იყოს გამოკლებული

ძირითადი საანგარიშგებო დოკუმენტაციის კომპლექტი

მრავალი მცირე კომპანია აწარმოებს მხოლოდ ფულადი სახსრების შემოსვლისა და გასავლის აღრიცხვას. ბუღალტრული აღრიცხვის ასეთ მეთოდს უწოდებენ “ფაქტიური ფულადი სახსრების ბუღალტრული აღრიცხვას” (ანუ ბუღალტრული აღრიცხვა ფულადი საშუალებების მოძრაობის თანახმად). თუ თქვენ აღრიცხავთ ფულადი საშუალებების შემოსავალსა და გასავალს და აბალანსებო საბანკო ანგარიშს, მაშინ თქვენ იყენებთ ზემოთ ხსენებულ მეთოდს. მაგრამ ეს მეთოდი არ იძლევა საშუალებას განისაზღვროს კაპიტალის ცვლილება. ხშირად გვხდება შემთხვევები, როდესაც შემოსავლებს და ხარჯებს არ მოყვება ფულადი სახსრების ზრდა ან კლება, და პირიქით, ფულადი სახსრების მომატება ან მოკლება სულადაც არ ნიშნავს შემოსავლებსა და ხარჯებს.

კომპანიების უმრავლესობა აწარმოებს როგორც ფულადი სახსრების მოძრაობის აღრიცხვას, აგრეთვე შემოსავლებისა და გასავლების აღრიცხვას. ამ მეთოდს უწოდებენ “დარიცხვის მეთოდს”. ეს მეთოდი უფრო რთულია, მაგრამ ამავე დროს ის ასახავს კაპიტალის ცვლილებას.

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

ყოველივე ზემოდ თქმულს შეგვიძლია დავამატოთ, რომ ბუღალტრული ანგარიშგებისათვის საჭიროა შემდეგი დოკუმენტები:

ბალანსი საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის,

ანგარიში მოგების შესახებ მოცემული საანგარიშო პერიოდისათვის,

ბალანსი საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის,

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი.

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვება

პ ა ს ი ვ ი		პ ა ს ი ვ ი		პ ა ს ი ვ ი	
მიმდინარე გალავანულებულები		მიმდინარე გალავანულებულები		მიმდინარე გალავანულებულები	
კ რ ი ტ ი კ ი ტ ი	ს ა ნ დ გ ა რ ი კ ი ტ ი	კ რ ი ტ ი კ ი ტ ი	ს ა ნ დ გ ა რ ი კ ი ტ ი	კ რ ი ტ ი კ ი ტ ი	ს ა ნ დ გ ა რ ი კ ი ტ ი
ნაკუთ ფრენი სალანისძინი —	(1100)	010	ნაკუთ ფრენი და მარიანისძინი ვალევალება (3110)	310	ნაკუთ ფრენი და მარიანისძინი ვალევალება (3110)
ფრენი საბანქა ანგარიშგრენი —	(1200)	020	მიკუტენი ტური არანები	(3120)	320
მარკუვალინი ინვესტიციები —	(1300)	030	გადასახლები სულულები	(3130)	330
მართონები მინიჭებოლუა მარშალურებან —	(1410)	040	ვალეტურები მესამეორ სანამირიანს წინავე	(3170)	331
მართონები შესაცილენი სანამირიანის მინიაზა	(1420)	041	მიკუტენი სუსტები	(3210)	340
საკუთ მოთხოვნების კონცენტრისა —	(1415)	050	ზალევალინი სუსტების მიმიაზა ნანილი	(3220)	350
მართონები სანირმანის პრესონილის მიმიაზა	(1430)	060	კადასახლები მიკუტენი გადასახლი	(3310)	360
მართონები კაიოტლის შესებაზე —	(1460)	070	კადასახლები საუზებისავლო გადასახლი	(3320)	370
კადასახლები დავა —	(3340)	071	კადასახლები დავა	(3330)	380
მართონები გადასახლო ავასებაზე —	(1480)	080	საკუთალენი გადასახლი	(3350)	390
სხვა მარკულებისადან მოთხოვნები —	(1490)	090	საკუთალენი გადასახლი	(3370)	400
სულ მიმდინარე აქტივები			სხვა საგადასახლი გადასახლები	(3390)	410
სასამარტინო მიმდინარე მინიაზა			გადასახლები არაკენტინი	(3410)	420
საკუთალენი		110	გადასახლები დავა	(3420)	430
რეილური და მასალები		120	სხვა მარკულებისადან გადასახლები	(3190)	440
დავამთხოვნები ნანიაზამა		130	სულ მიმდინარე ვალევალებები	450	
მას პრილეპივი		140	ზალევალინი სუსტები ვალევალებები	(4100)	460
სხვა სასამარტინო-მარტინოლური მარაზა —	(1640)	150	კადასახლები მიკუტენი გადასახლი	(4210)	470
სანირმან განვულო ხარჯები —	(1690)	160	მარიკუტინი	(4300)	480
სხვა მართონები აქტივები —	(1700)	170	კადასახლები შემისავლი	(4410)	481
სულ სასამარტინო მარტინოლური კარგი			სხვა გადასახლები გადასახლები	(4220)	490
მინიაზი ნაკუთები		190	საკუთალენი კარგი	500	
მინიაზი ნაკუთები		200	საკუთალენი კარგი	(5100)	510
მინიაზი ნაკუთები		210	საკუთალენი კარგი	(5410)	520
მინიაზი დანიზგარები —		220	საკუთალენი კარგი	(5490)	530
მინიაზი დანიზგარები		230	კანინი გალებული და მინირიანი დაფინანსება	(5310)	540
მინიაზი დანიზგარები		240	ლაუფარი ზანიალი	(5320)	550
სატრანსპორტო სამუშაოები		250	სულ საკუთალი კარგი	560	
სატრანსპორტო სამუშაოები		260	სულ კადასახლები გადასახლები	570	
სატრანსპორტო სამუშაოები		270			
სატრანსპორტო სამუშაოები		280			
სატრანსპორტო სამუშაოები		290			
სულ კარტერისალური აქტივები					
სულ აქტივები					
სულ კარტერისალური აქტივები					

• აღნიშვნული სტრიქონის მონაცემები განლანის პასუხისმგებელი განვითარების ფაქტორის შემა, აუტობა.

ღირებულების მიმდინარე გალავანულები:

მთავარი გალავანულები:

სურ. 14.1.

კ რ ი ტ ი კ ი ტ ი	ს ა ნ დ გ ა რ ი კ ი ტ ი	კ რ ი ტ ი კ ი ტ ი	ს ა ნ დ გ ა რ ი კ ი ტ ი	კ რ ი ტ ი კ ი ტ ი	ს ა ნ დ გ ა რ ი კ ი ტ ი
ნაკუთ ფრენი სალანისძინი —	(1100)	010	ნაკუთ ფრენი და მარიანისძინი ვალევალება (3110)	310	ნაკუთ ფრენი და მარიანისძინი ვალევალება (3110)
ფრენი საბანქა ანგარიშგრენი —	(1200)	020	მიკუტენი ტური არანები	(3120)	320
მარკუვალინი ინვესტიციები —	(1300)	030	გადასახლები სულულები	(3130)	330
მართონები მინიჭებოლუა მარშალურებან —	(1410)	040	ვალეტურები მესამეორ სანამირიანს წინავე	(3170)	331
მართონები შესაცილენი სანამირიანის მინიაზა	(1420)	041	მიკუტენი სუსტები	(3210)	340
საკუთ მოთხოვნების კონცენტრისა —	(1415)	050	ზალევალინი სუსტების მიმიაზა ნანილი	(3220)	350
მართონები სანირმანის პრესონილის მიმიაზა	(1430)	060	კადასახლები მიკუტენი გადასახლი	(3310)	360
მართონები კაიოტლის შესებაზე —	(1460)	070	კადასახლები საუზებისავლო გადასახლი	(3320)	370
კადასახლები დავა	(3340)	071	კადასახლები დავა	(3330)	380
საკუთალენი გადასახლი	(3350)	080	საკუთალენი გადასახლი	(3370)	400
სხვა საგადასახლი გადასახლები	(3390)	090	სხვა საგადასახლი გადასახლები	(3410)	410
სულ მიმდინარე აქტივები			გადასახლები არაკენტინი	(3420)	420
17.1. ხელითა და კომპიუტერით ჩანაწერების ტიპიური წარმოება

პირველ რიგში დავახასიათოთ საბუღალტრო ჩანაწერების წარმოება ხელით. ასეთ სისტემაში შედის:

- ა) სხვადასხვა სახის საბუღალტრო წიგნები, რომელშიც აისახება პირველადი საბუღალტრო ჩანაწერები,
- ბ) მთავარი წიგნი, რომელშიც თითოეული ანგარიშისათვის გახსნილია ცალკე გვერდი,
- გ) სხვა საბუღალტრო წიგნები, რომელთა შორის შეიძლება ჩამოვთვალოთ დებიტორული დავალიანებების წიგნი, კრედიტორული დავალიანების წიგნი, სალაროს წიგნი და ა.შ.

როგორც ჩვენ უკეთ ვიცით, ჩანაწერები შეიძლება წარმოებდეს როგორც წიგნებში, აგრეთვე ცალკეულ ბარათებზე და ცალკეულ უწყისებში.

ეხლა კი დავახასიათოთ საბუღალტრო პროგრამები. აქ ძალიან ძნელია ტიპიური სისტემის დახასიათება, ვინაიდან, შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ არ არსებობოს ტიპიური კომპიუტერული საბუღალტრო სისტემა. შესაძლებელია, გაუკეთდეს კომპიუტერიზაცია ყველა ანგარიშს; ზოგიერთი ორგანიზაცია უკეთეს კომპიუტერიზაციას მხოლოდ ზოგიერთ ანგარიშს. მთლიანად კომპიუტერული სისტემა მუშაობს იგივე პრინციპებით, რაც ხელით, მაგრამ ყველა ჩანაწერი ინხება ერთ ადგილზე – დისკზე. თუმცა, ეს სულადაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ბუღალტერს აქვს მათთან მუშაობის საშუალება. ეს სისტემა შეიძლება იყოს დაყოფილი სექციებად.

კომპიუტერიზირებული სისტემის სხვა განსხვავებულ თვისებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ყველა დაბეჭდილი ფორმა ძლიერ განსხვავდება ხელით მიღებული და წარმოებული ფორმებისაგან. თუ მთავარი წიგნი ხელით წარმოებულ ბუღალტერიაში წარმოადგენს “T” ტიპის ანგარიშების ნაკრებს, კომპიუტერიზებულ სისტემაში ეს არის მხოლოდ დებეტებისა და კრედიტების ჩამონათვალი, მაგრამ ეს სულადაც არ ნიშნავს, რომ კომპიუტერი არ აწარმოებს ორმაგ ჩანაწერს.

ეხლა განვიხილოთ ხელითა და კომპიუტერით ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

კომპიუტერს გააჩნია შემდეგი უპირატესობები:

სიჩქარე – კომპიუტერი მუშაობს გაცილებით უფრო სწრაფად და შესაბამისად მას შეუძლია შეასრულოს გაცილებით უფრო მეტი სამუშაო,

პროგრამები მეხსიერებაში - როგორც კი პროგრამა დაიწერება და შემოწმდება, შესაძლებელია მისი შეასრულება მინიმალური დანახარჯებით,

გადაწყვეტილებების მიღება – შესაძლებელია კომპიუტერის დაპროგრამება უფრო რთული გადაწყვეტილებების მისაღებად, და მას შეიძლება დაეკისროს უფრო რთული სამუშაოების შეასრულება,

ფაილების შენახვა და დამუშავება - დიდი ფაილების შენახვა შესაძლებელია მაგნიტურ მაგარებლებზე. შესაძლებელია დამახსოვრებული ფაილების ხელახლა გადახედვა, განახლება და ამ ფაილებიდან ინფორმაციის მიღება.

სიზუსტე და საიმედობა – კომპიუტერი ყოველთვის მუშაობს ძალიან ზუსტად და საიმედოდ.

ყოველივე ზემოხსენებულის მიუხედავად, კომპიუტერსაც გააჩნია თავისი უარყოფითი მხარეები:

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

აზროვნების არ არსებობა – კომპიუტერი არის მანქანა, მას არ შეუძლია განსაზღვროს პროგრამის მიერ დაშვებული შეცდომები, ან ის, რომ მონაცემები არ არის სრული. ამიტომაც კომპიუტერიზირებული სისტემის შემუშავებას უნდა დაეთმოს გაცილებით უფრო მეტი დრო, რომ გათვალისწინებულ იქნას ყველა გაუთვალისწინებელი მომენტი და შემოწმებულ იქნას ყველა ბრძანება. ამიტომაც, კომპიუტერული სისტემის შემუშავება არის ძვირად ღირებული და ხანგრძლივი პროცესი.

რაოდენობრივად განსაზღვრული გადაწყვიტელებები – პროგრამას შეუძლია მიიღოს მხოლოდ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოიხატება რაოდენორივად. მას არ შეუძლია ჩაატაროს შეფასებითი მსჯელობები, როგორიც არის თანამშრომლის შერჩევა ან იურიდიული გადაწყვეტილებების მიღება ვალების გადაგადებული გადასახადების შემთხვევაში.

საწყისი ხარჯები – აქ გვაქვს ისეთი საწყისი ხარჯები, როგორიც არის აპარატურის შეძენა, პროგრამული უზრნველყოფის შეძენა, ადგილის მომზადება, სწავლება, რაც საქმაოდ დიდ თანხებს წარმოადგნს, და რაც მთავარია, დღეს პროგრამული უზრუნველყოფა ხშირად უფრო ძვირია ვიდრე აპარატურული.

არასაკმარისი მოქნილობა – ჩვეულებრივ, კომპიუტერული სისტემები არის არასაკმარისად მოქნილი - კომპიუტერულ სისტემაში ცვლილებების შეტანა მოითხოვს გაცილებით უფრო მეტ დროსა და თანხებს, ვიდრე ხელით მუშაობის დროს.

სუსტი მხარე – რაც უფრო მეტი სამუშაო გადაეცემა კომპიუტერს, მით უფრო დამოკიდებული ხდება მისგან საწარმო. კომპიუტერის დაზიანებისა ან მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში.

კომპიუტერული სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებით შეიძლება კიდევ აღინიშნოს შემდეგი დადებითი მხარეები:

მონაცემთა დამუშავების დანახარჯების შემცირება – კომპიუტერი გვთავაზობს ასეთი ამოცანის შესრულების უფრო იაფ ხერხს,

სხვა დანახარჯების შემცირება – იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მონაცემთა დამუშავების ხარჯები არ მცირდება, მაინც ადგილი აქვს ხარჯების შემცირებას, მაგალითად, ხელმძღვანელობა დაუშვებს გაცილებით უფრო ნაკლებ შეცდომას, თუ მას გააჩნია სწორი ინფორმაცია,

მაღალი მწარმოებლურობა – კომპიუტერი შესანიშნავად ერევა სამუშაოების მოცულობის ზრდას,

სწრაფი დამუშავება – სამეურნეო ოპერაციები ფორმდება გაცილებით უფრო სწრაფად,

უფრო მაღალი სიზუსტე – დაიშვება გაცილებით უფრო ნაკლები შეცდომა, ვიდრე ხელით მუშაობის დროს,

პერსონალის არასაკმარისობა – კომპიუტერი ამცირებს ისეთ პრობლემებს, როგორიც არის ოფისის თანამშრომლების არასაკმარისობა,

გაუმჯობესებული კონტროლი – ფაილებზე მუდმივი კონტროლი აუმჯობესებს საერთო კონტროლს,

კავშირის სისტემები – ტერმინალებისა და მონაცემთა გადაცემის მოწყობილობების გამოყენება გაცილებით აუმჯობესებს კავშირის სისტემებს,

რაოდენობრივი მეთოდები – ხელმისაწვდომი ხდება გაცილებით უფრო მეტი რაოდენობრივი მეთოდი ხელმძღვანელობისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით,

კომპიუტერული საშუალებები – პერსონალი მუშაობა შეიძლება გაცილებით იფრო შემსუბუქდეს.

17.2. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება ფინანსური ინფორმაციის დამუშავებაში

ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების ერთ-ერთ ძირითად სახეობებად შეგვიძლია დავასახელოთ:

ბუღალტრული აღრიცხვის სისტემები,
ტექსტური რედაქტორება,
ელექტრონული ცხრილები,
მონაცემთა ბაზების სიტემები.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ბუღალტრული აღრიცხვის სისტემები

ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერიზაცია შეიძლება მოხდეს სხვადასხვა დონეზე:

- შრომატევადი სფეროების კომპიუტერიზაცია, აქ შიძლება აწარმოონ ისეთი სამუშაოების კომპიუტერიზაცია, როგორიც არის დებიტორული დავალიანების აღრიცხვა, კრედიტორული დავალიანების აღრიცხვა, ხელფასის უწყისი;

- ბუღალტრული აღრიცხვის ინტეგრირებული სისტემები – ასეთი სისტემები მოიცავს პროცესის ყველა ნაწილს და საბოლოო ჯამში იძლევა ფინანსურ ანგარიშებს. პაკეტები გამოირჩევიან ერთმანეთისაგან. შეგვიძლია განვიხილოთ შემდეგი სახის პაკეტები: სალაროს წიგნის სისტემები (ასეთი ტიპის სისტემები გამოიყენება უფრო მცირე საწარმოებში, რომლებიც აწარმოებენ შეზღუდულ ვაჭრობას ან მომსახურებას, აწარმოებენ შესყიდვებს მცირე რაოდენობის მომწოდებლებისგან), ბუღალტრული წიგნების წარმოების სისტემები (აგრეთვე გამოიყენება მცირე საწარმოებში, რომლებიც აწარმოებენ გაყიდვებს ნაღდ ფულზე, სადაც შესაძლებელია ვაჭრობა კრედიტში, ტარდება საბანკო ოპერაციები) და ბუღალტრული ჩანაწერებისა და აღრიცხვის სისტემები (ასეთი სისტემები საჭიროა დიდი რაოდენობის კლიენტებისა და მომწოდებლების არსებობის შემთხვევაში. ასეთი ტიპის სისტემები იძლევიან საშუალებას შევადგინოთ ანგარიშ-ფაქტურები, დებიტორული დავალიანებების ანგარიშები, ვაწარმოოთ მატერიალური-სასაქონლო მარაგების კონტროლი და ა.შ.)

- ბუღალტრული აღრიცხვის მიკროკომპიუტერული სისტემები – ასეთი სისტემების მომხმარებლები არიან, როგორც წესი, ბუღალტრები და ბუღალტერიის თანამშრომლები. ასეთი პროგრამები და მონაცემები უნდა იყოს დამახსოვრებული დისკებზე. პროგრამა, როგორც წესი, მუშაობს მენიუს სისტემაში, ანუ მომხმარებელს შეუძლია ამოირჩიოს საჭირო გარიანტები შემოთავაზებული მენიუდან. ტიპიურ მენიუში შეიძლება შედიოდეს შემდეგი ოფციები:

1. ახალი ანგარიშის გახსნა,
2. ანგარიშის რედაქტირება,
3. ოპერაციების გატარებები
4. საანგარიშგებო ფორმების სქემის შექმნა
5. საანგარიშგებო ფორმების ბეჭდვა
6. სამუშაოს დასრულება

ერთი ოფციის ამორჩევის შემთხვევაში, როგორც წესი ეკრანზე გამოდის ქვემენიუ, რომელიც აგრეთვე შედგება სხვადასხვა პუნქტებისაგან. მაგალითად, თუ ამორჩეულია პუნქტი “ახალი ანგარიშის გახსნა”, ქვე-მენიუშ შეიძლება იყოს შემდეგი ქვეპუნქტები:

1. ახალი კლიენტის ანგარიში
2. ახალი მომწოდებლის ანგარიში
3. ახალი შემოსავლის ანგარიში
4. ახალი ხარჯების ანგარიში
5. ახალი ბალანსის ანგარიში
6. დაბრუნება მთავრ მენიუში

შეიძლება ითქვას, რომ კომპიუტერული სისტემის სტრუქტურა იგივეა, რაც ხელით წარმოების შემთხვევაში, ანუ იქმნება სხვადასხვა წიგნების სტრუქტურა და აგრეთვე მთავარი წიგნის სტრუქტურა, თითოეულ ანგარიშს ენიჭება ანგარიშის კოდი.

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

როგორც წესი კოპმპიუტერული პროგრამა ისე მუშავდება, რომ ის უნდა ანსხვავებდეს ოპერაციებს:

1. ანგარიშ-ფატურები – გასაყიდად
2. კრედიტული ავიზო (რელიზაციისათვის)
3. შეძენის ანგარიშ-ფაქტურები
4. კრედიტული ავიზო (შეძენისათვის)
5. ხელწერილები
6. გადასახადები
7. უერნალები

წიგნში გატარებების შესატანად მომხმარებელი აჯგუფებს პირველად დოკუმენტებს, მაგალითად, ანგარიშ-ფაქტურებს შეძენისათვის და დებულობს შედეგს. შემდეგ ირჩევს ოფციას “ოპერაციის შესრულება წიგნში” შესაბამისი ქვემენიუდან და შეაქვს თითოეული ანგარიშ-ფაქტურისათვის შემდეგი მონაცემები:

კლიენტის ანგარიშის ნომერი

თარიღი

ანგარიშ-ფაქტურის ნომერი

გაყიდული საქონლის საერთო დირექტულება.

გამოიყენება ანგარიშების ნამდვილი კოდები, მოწმდება შედეგები და გატარება სრულდება. ამის შემდეგ წარმოებს გატარება მთავარ წიგნში. უსაფთხოების ზომებად შეიძლება ჩაითვალოს პაროლები – სისტემის საწყისი ჩატვირთვისათვის და სხვადასხვა წიგნთან სამუშაოდ.

ტექსტური რედაქტორები

ტექსტურმა რედაქტორებმა მიიღეს თავისი დასახელება ტექსტების დამუშავების შესაძლებლობიდან გამომდინარე. ეს შესაძლებლობები მდგრმარეობს ტექსტის შენახვის და მასთან მუშაობის უნარში კომპიუტერის ეკრანის მეშვეობით. კომპიუტერს უნდა გააჩნდეს შემდეგი მინიმალური კონფიგურაცია: მონიტორი და კლავიატურა, პროცესორი, დისკური მეხსიერება, პრინტერი.

ტექსტური რედაქტორები შემუშავდა იმ პრობლემების დასაძლევად, რომლებსაც ჰქონდათ ადგილი საბეჭდი მანქანების გამოყენებისას:

განმეორება – ერთი და იგივე დოკუმენტის სხვადასხვა პროექტების შექმნისას საჭირო იყო ამ დოკუმენტის მრავალჯერადი გადატექსტდება,

შესწორება - ტექსტის შესწორების პროცესი მოითხოვდა ბევრ დროს და შესწორებული ტექსტი ცუდად გამოიყერებოდა,

შემოწმება – ყოველთვის, დოკუმენტის გადაბეჭდვისას საჭირო იყო მისი ხელმეორედ შემოწმება.

ყველა ეს პრობლემა გადაიჭრა ტექსტური რედაქტორების მეშვეობით.

ტექსტური რედაქტორი შეიძლება იყოს ორი ტიპის:

1. გამოიყენება მხოლოდ ტექსტური რედაქტორის სახით,
2. მიკროკომპიუტერის ტექსტური რედაქტორის პროგრამული პაკეტი.

გავრცელებული მეორე ტიპის რედაქტორები.

ტექსტური რედაქტორები ხასიათდება შემდეგი თვისებებით:

ტექსტის შეყვანა – ტექსტი იბეჭდება კლავიატურის საშუალებით და ჩანს მონიტორის ეკრანზე. თითოეულ დოკუმენტს აქვს თავისი სახელი და შენახვის ადგილი. შემდგომში ამ სახელის საშუალებით შესაძლებელია მისი მონახვა, მისი გამოძახება და ცვლილებების შეტანა. შეცდომების აღმოჩენის შემთხვევაში მათი შესწორება მარტივია, კურსორის გადაადგილებით და შესწორების შეტანით. უნდა გვახსოვდეს, რომ საბოლოო ტექსტი ყოველთვის ისე არ გამოიყერება, როგორც ეკრანზე.

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

ტექსტის შენახვა – მას მერე, რაც ტექსტი ჩანს ეკრანზე, ის ინახება დისკზე თავისი სახელით, ტექსტის შენახვის გარდა შესაძლებელია მისი დაბეჭდვა და გადამოწმება.

დამახსოვრებული ტექსტის გამოძახება – თუ საჭიროა რაიმე მიზეზის გამო ტექსტში ცვლილებების შეტანა, ის გამოიძახება ტექსტური რედაქტორის საშუალებით და ჩნდება მონიტორის ეკრანზე.

ტექსტის რედაქტირება – ეს ის სტადიაა, როდესაც ტექსტი მზადდება დასაბეჭდად. აქ არსებობს ორი ასპექტი: პირველ რიგში ეს არის შესწორებების შეტანა, რომელსაც უშუალოდ უწოდებენ რედაქტირებას, მეორე ასპექტი კი მდგრმარეობს ტექსტის ფორმატირებაში. ეს ნიშნავს ტექსტის ისეთ ფორმაში მოყვანას, რომელიც სასურველია ავტორისათვის. აქ იგულისხმება შემდეგი მაჩვენებლების შერჩევა: გვერდის ფორმატი, ტექსტის სიმჭიდროვე, ველების სიდიდე, ინტერვალი სტრიქონებს შორის. ტექსტური რედაქტირებისა და ფორმატირების ინსტრუქცია გამოყვანილია ეკრანზე, სადაც შესაძლებელია შედეგის ნახვა. შესაძლებელია ფორმატირების ჩატარება ეკანზე.

ელექტრონული ცხრილები

ელექტრონული ცხრილი აისახება ეკრანზე რიგებისა და სვეტების სერიების სახით. რიგებისა და სვეტების რაოდენობა დამოკიდებულია პაკეტის ტიპზე. თანამედროვე ელექტრონულ ცხრილებს გააჩნიათ 16 000 რიგამდე და 254 სვეტამდე. სვეტებისა და რიგების კვეთაზე განთავსებულია უჯრედები, სადაც მომხმარებელს შეუძლია ჩაწეროს სხვადასხვა ინფორმაცია. შესაძლებელია სამი ტიპის ინფორმაციის შეტანა: ტექსტები, რიცხვები და ფორმულები.

როდესაც ერთი რომელიმე უჯრედის მნიშვნელობა იცვლება, მაშინ ამ ცვლილების შედეგი იმ წამსვე აისახება ყვალა იმ უჯრედში, რომელიც დაკავშირებულია ამ უჯრედთან.

როგორც კი ელექტრონული ცხრილის გამოყენების მოდელი შეყვანილია კომპიუტერში, შესაძლებელია მისი შენახვა დისკზე. შემდგომში შესაძლებელია მისი გამოძახება, შეცვლა და გამოყენება ახალი მონაცემებისათვის. შედეგები შეიძლება იყოს დაბეჭდილი ცხრილის სახით. ზოგიერთი ელექტრონული ცხრილი იძლევა საშუალებას შედეგი იყოს ნაჩვენები და დაბეჭდილი გრაფიკული სახით.

თუ ელექტრონული ცხრილის მოდელი იმდენად დიდია, რომ შეუძლებელია მისი მთლიანად ნახვა ეკრანზე, მაშინ ეკრანი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც ფანჯარა, რომელიც შეგვიძლია გადავაადგილოთ ელექტრონული ცხრილის სხვადასხვა ადგილებში.

ელექტრონილი ცხრილის დახასიათება მდგომარეობს შემდეგში:

- ა) ანალიზი “თუ” – ელექტრონული ცხრილის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებად შეიძლება ჩაითვალოს შესაძლებლობა ჩატარდეს გადაანგარიშება მოდელში გამოყენებული მონაცემებისა და ფორმულების შეცვლის დროს. ხანდახან ამას აღწერენ როგორც “თუ” შესაძლებლობას, მაგალითად, რა მნიშვნელობა ექნება მოგებას, თუ რეალიზაცია გაიზრდება 20%-ით;
- ბ) პირობითი ანგარიშები – შესაძლებელია გაანგარიშების ჩატარება სხვა უჯრედებიდან აღებული მნიშვნელობების საფუძველზე, მაგალითად, შესაძლებელია შემდეგი პირობის შემოღება: თუ რეალიზაცია შეადგენს 500000 ლარზე მეტს, მაშინ დანახარჯები შეადგენს 10% რეალიზაციიდან, ყვალა დანარჩენ შემთხვევაში დანახარჯები შეადგენს 50000 ლარს;
- ც) ცნობარი ცხრილები – მნიშვნელობა, რომელიც უნდა იყოს შეტანილი უჯრედში, შეიძლება იყოს ამორჩული ცხრილიდან, მაგალითად, საგადასახადო განაკვეთი სხვადასხვა შემთხვევაში დროს;

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

- დ) ამონაკრების ბეჭდვა – მომხმარებელს შეუძლია განსაზღვროს მოდელის ის ნაწილი, რომლიც ბეჭდვაც სასურველია, როდესაც არ არის საჭირო მოველი მოდელის დაბეჭდვა;
- ე) გრაფიკა – ზოგერთი ელექტრონული ცხრილი იძლევა საშუალებას შეიქმნას სვეტური დიაგრამები, სექტორული დიაგრამები, ფერადი დიაგრამები და ა.შ.
- ვ) საჭირო შედეგის მიღწევის ფუნქცია – ზოგიერთი ელექტრონული ცხრილი იძლევა საშუალებას, მოხდეს შესაძლო საწყისი მნიშვნელობების განსაზღვრა, რომლებიც მოგვცემენ სასურველ საბოლოო შედეგს.
- გ) სტატისტიკური ფუნქცია – უმრავლესობა ცხრილებისა იძლევა საშუალებას, რომ ჩატარდეს სტატისტიკური ანალიზი, ანუ შესაძლებელია ისეთი სიდიდეების გაანგარიშება, როგორიც არის საშუალო არითმეტიკული, ჯამი, სტანდარტული გადახრა და ა.შ.
- პ) მოქნილობა – ელექტრონული ცხრილი იძლევა საშუალებას, რომ მომხმარებელმა თვითონ დაპროექტოს მოდელი: დაამატოს სვეტები და რიგები, ამოშალის სვეტები და რიგები, გადაადგილოს ისინი,
- ი) მონაცემთა ბაზები - ელექტორნული ცხრილი შეიძლება იყოს გამოყენებული როგორც უმარტივესი მონაცემთა ბაზები.

ელექტრონული ცხრილები იძლევიან საშუალებას, რომ ბიზნესის გადაწყდეს შემდეგი ტიპის ამოცანები:

ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზი
ბიუჯეტის შედგენა და კონტროლი
შემოსაველების ანგარიში
მოგების პროგნოზი
ინვენტარიზაციის შედეგების ჩაწერა
მარკეტინგული ანალიზი
რეალიზაციის პროგნოზი
საგადასახადო სმეტის შედგენა
ამ ამოცანებიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ელექტრონული ცხრილი არის კომპიუტერული პაკეტი, რომელიც შეიძლება იყოს გამოყენებული ბიზნესში მოდელების ასაგებად.

მონაცემთა ბაზების სისტემები

მონაცემთა ბაზა წარმოადგენს ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც შეიძლება იყოს გამოყენებული სხვადასხვა მიზნებისათვის. მონაცემთა ბაზა იდენტურია ელექტრონული საბარათო მაჩვენებლისა. თითოეულ ბარათში შედის გარკვეული ინფორმაცია, მაგალითად, კლიენტის შესახებ – ეს ინფორმაცია არის ჩანაწერი. ინფორმაციის ერთეულები (მაგ., სახელები, მისამართები და ა.შ.) - არის ვალები.

მონაცემთა ბაზების უპირატესობა საბარათოსთან შედარებით მდგომარეობს შემდეგში:

გაფართოების შესაძლებლობა,

ინფორმაციის მოცულობა თითოეულ ჩანაწერში შეიძლება იყოს გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე საბარათო მაჩვენებელში;

გაანგარიშვები შეიძლება ჩატარდეს ავტომატურად, მაგალითად მოგება ინვესტიციებული კაპიტალიდან,

ჩანაწერები შეიძლება იყოს სორტირებული, ის ჩანაწერები კი, რომელიც პასუხობს გარკვეულ კრიტერიუმებს, შეიძლება იყოს ამორჩეული ნებისმიერი თანმიმდევრობით,

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

შეიძლება მომზადდეს და დაიბეჭდოს ანგარიშები, დაფუძნებული ინფორმაციაზე.

არსებობს მონაცემთა ბაზის შექმნის სხვადასხვა ხერხები:

ბრტყელი ფაილის მონაცემთა ბაზა – წარმოადგენს ერთეული ფაილის მონაცემთა ბაზას. ყველა ჩანაწერს ასეთ მონაცემთა ბაზაში გააჩნია სტანდარტული ფორმატი. მონაცემები შეიძლება იყოს გამოძახებული, სორტირებული და განახლებული,

ნათესაობრივი მონაცემთა ბაზა – ეს ისეთი მონაცემთა ბაზა, რომელშიც ფაილები შეიძლება იყოს დაკავშირებული ერთმანეთთან და შესაძლებელია მონაცემებთან დაკავშირება ნებისმიერი ფაილიდან,

პროგრამიორებადი მონაცემთა ბაზა – ეს ისეთი მონაცემთა ბაზაა, რომელსაც გააჩნია თავისი პროგრამიორების ენა, რომელიც იძლევა საშუალებას მონაცემთა ბაზა მოერგოს ინდივიდუალური მოხმარებისათვის.

მონაცემთა ბაზებს გააჩნიათ დიდი შესაძლებლობები კომპიუტერების გამოყენების სფეროს გაფართოებისათვის.

მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა – იმ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომლის საშუალებითაც მუშაობს მონაცემთა ბაზა, უწოდებენ მონაცემთა ბაზის მართვის სისტემას. მონაცემთა მართვის სისტემა ორგანიზაციას უკეთებს მონაცემთა შეყვანას მონაცემთა ბაზაში და იძლევა საშუალებას სხვადასხვა პროგრამებმა გამოიყენონ მონაცემთა ბაზა.

მონაცემთა ბაზა – ეს არის საინფორმაციო ფაილების ან მონაცემთა ფაილების ერთობლიობა, რომელიც იძლევა საშუალებას რომ მრავალმა მომხამარებელმა იმუშაოს მონაცემებთან სხვადასხვა მოთხოვნებით.


18. ბუღალტრული ინფორმაციული სისტემების ადგილის და როლის დახასიათება

თანამედროვე საწარმო წარმოუდგენელია ინფორმაციული სისტემების გამოყენების გარეშე. ეს სისტემები ხასიათდება მნიშვნელოვანი სირთულით, რაც განპირობებულია საწარმოს ინფორმაციული ნაკადების დიდი მოცულობით და სირთულით.

შეიძლება ითქვას, რომ საწარმოს ინფორმაციულ სისტემებში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია ბუღალტრულ ინფორმაციულ სისტემებს, რაც გამოწვეულია იმ მონაცემებით, რომლებსაც ამჟავებს ეს სისტემები. თანამედროვე ბუღალტრის საქმიანობა წარმოუდგენელია კომპიუტერის და შესაბამისი ინფორმაციული სისტემების გამოყენების გარეშე. ბუღალტრულ ინფორმაციაში დაინტერესებულია მომხმარებლების ფართო სპექტრი (სურ. 18.1). აქ შეგვიძლია გამოვყოთ ბუღალტრული ინფორმაციის შიდა და გარე მომხმარებლები. შიდა მომხმარებლებში შეგვიძლია გამოვყოთ ორი კატეგორია – საწარმოს ორგანიზაციის მფლობელები და ადმინისტრაცია. ადმინისტრაციაში შეიძლება ჩამოვთვალოთ ზედა დონის ხელმძღვანელები ანუ დირექტორთა საბჭო, სხვადასხვა დონის მენეჯერები და უშუალოდ წარმოებაში მომსახურე პერსონალი.

გარე მომხმარებლებში შეგვიძლია ჩამოვთვალოთ მომხმარებლების სამი კატეგორია, ესენია: პირდაპირი ფინანსური დაინტერესებით, ირიბი ფინანსური დაინტერესებით და ფინანსური დაინტერესების გარეშე.

პირდაპირი ფინანსური დაინტერესების მქონე მომხმარებლებში შეგვიძლია ჩამოვთვალოთ არსებული ინვესტორები, პოტენციალური ინვესტორები და ბანკები, რომლებიც გასცემენ სესხებს მოცემულ საწარმოზე.



სურ. 18.1. ბუღალტრული ინფორმაციის მომხმარებლების კლასიფიკაცია

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

ირიბი ანუ არაპირდაპირი ინტერესების მქონე ორგანიზაციებში შეგვიძლია დავასახელოთ: სხვადასხვა ფინანსური ორგანიზაციები, სადაზღვევო ორგანიზაციები, მომსახურე ბანკები, სამთავრობო ორგანიზაციები.

ფინანსური დაინტერესების გარეშე საწარმოების რიგს შეიძლება მივაკუთვნოთ სტატისტიკის ორგანოები, არბიტრაჟი და სხვადასხვა აუდიტორული ფირმები.

შეიძლება ითქვას, რომ ბუღალტრული ინფორმაცია მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საწარმოს ინფორმაციის სხადასხვა სახეობებს შორის, ვინაიდან ის არის მატარებელი ისეთი მონაცემების, რომელთა საფუძველებელი შესაძლებელია ანალიზი გაუკეთდეს საწარმოს საქმიანობას და შედგენილ იქნას მისი სამომავლო გეგმები. იმისდა მიხედვით, ვისთვის არის განკუთვნილი ბუღალტრული ინფორმაცია ის შეიძლება ატერებდეს ინფორმაციულ (მაგ. სტატისტიკის ორგანოები), საკონტროლო (საგადასახადო ორგანოები), და ანალიტიკურ (ხელმძღვანელობა) ხასიათს.

შეიძლება ითქვას, რომ ბუღალტრული ინფორმაციული სისტემა იკავებს აგრეთვე წამყვან ადგილს იმ ინფორმაციულ სისტემებს შორის, რომელიც გამოიყენება საწარმოო ორგანიზაციის მართვაში. ბუღალტრული ინფორმაციული სისტემების წამყვანი ადგილ განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:


ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების ორგანიზება;

საწარმოს მიერ ინფორმაციის მომზადება და წარდგინება მაკონტროლებელი საგადასახადო ორგანოების წინაშე;

ბუღალტრული აღრიცხვის ამოცანების ადვილი ფორმალიზაცია;

იმ ალგორითმების სიმარტივე, რომელთა თანახმად მუშავდება ბუღალტრული ინფორმაცია;

უკვე აღვნიშნეთ, რომ საწარმოში გამოიყენება მრავალი სახის ინფორმაციული სისტემა. აქ შეგვიძლია ჩამოვთვლოთ – საკადრო, საქმეთა წარმოების და დოკუმენტბრუნვის სისტემები, ფინანსური და სამუშაოების ანალიზის სისტემა, საწარმოს ოპერატორული მართვის, ფინანსური დაგეგმვის, მარკეტინგის, კალენდარულ-ქსელური დაგეგმვის სისტემა და საცნობარო საკანონმდებლო სისტემა. ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა არის მჭიდრო კავშირში აღნიშნულ სისტემებთან (სურ. 18.2.)




სურ. 18.2.ბუღალტრული ინფორმაციული სისტემა საწარმოს კომპლექსური მართვის სისტემაში

პომპიუტერული ბუღალტრული ალრიცხვა

ბუღალტრული იფნორმაციული სისტემებისათვის და სხვა ინფორმაციული სისტემების ურთიერთკავშირის დემონსტრაციისათვის შეგვიძლია განვიხილოთ საკადრო სისტემა, რომელიც უძრუნველყოფს საწარმოში კადრების მოძრაობის, საშტატო განრიგების კონტროლს. ბუღალტრული ალრიცხვის ინფორმაციულ სისტემას სჭირდება ის მონაცემები, რომლებიც გროვდება საკადრო სისტემაში.

მეორე მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ საქმეთა წარმოების და დოკუმენტბრუნვის სისტემა, რომელიც ემსახურება საწარმოო ორგანიზაციის მოქმედი დოკუმენტაციის მომზადების, მიწოდების და შენახვის სამუშაოებს. ბუღალტრული ალრიცხვის მეთოდის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს დოკუმენტირება, რაც ნიშნავს, რომ ყველა ოპერაცია ბუღალტერიაში მკაცრად დოკუმენტირებადია.



სურ.18.3. ბუღალტრული სისტემას ინფორმაციული კავშირი გარე მომხმარებლების ინფორმაციულ სისტემებთან

შემდეგ მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ საცნობარო ან საკანონმდებლო სისტემა, რომელშიც კონცენტრირებულია მოქმედი საკანონმდებლო ბაზა, რომლის საფუძველზეც ფუნქციონირებს საწარმოო ორგანიზაცია და მათ შორის ბუღალტერია.

აგრეთვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ბუღალტრული იფორმაციული სისტემის კავშირი გარე სისტემებთან. აქ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ შემდეგი სახის გარე ინფორმაციული სისტემები, რომლებიც გამოიყენება სტატისტიკის ორგანოებში, სადაზღვევო ორგანოებში, საპენსიო ფონდში, ბანკებში, ხაზინაში, აუდიტორულ ფირმებში და საბაჟო სამსახურებში.

19. ბუღალტრული ინფორმაციული სისტემების კლასიფიკაცია

19.1. ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაციული სისტემების სახეობები

მსოფლიოში შექმნილია მრავალი სახის ბუღალტრული იფორმაციული სისტემა, რომლებიც ასე თუ ისე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია ჩავატაროთ ბუღალტრული სისტემების კლასიფიკაცია ამა თუ იმ პარამეტრის მიხედვით (სურ.19.1.).

პირველ რიგში ატარებენ ბუღალტრული სისტემების კლასიფიკაციას იმ საწარმოს ზომის და მასშტაბების მიხედვით, სადაც გამოიყენება ეს სისტემა. აქ განიხილავენ – მცირე, საშუალო და დიდი ზომის საწარმოს ინფორმაციულ სისტემებს.

მეორე პარამეტრის სახით შეგვიძლია დავასახელოთ ბუღალტერიის ამოცანების შესრულების სისრულე. აქ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ – მინი ბუღალტერია, ინტეგრირებული ბუღალტრული სისტემა და ბუღალტრული ავტომატიზირებული სამუშაო ადგილები.

მინი ბუღალტერიის ტიპის სისტემაში სრულდება შეზღუდული რაოდენობის ოპერაციები და ფუნქციები.

ინტეგრირებულ ბუღალტრულ სისტემაში სრულდება ბუღალტრული ოპერაციების მთელი სპექტრი, ამასთან ერთად ფუნქციონალური თვალსაზრისით ინტეგრირებული ბუღალტრული სისტემა ასრულებს ყველა ამოცანას და ის შეიძლება იყოს გამოიყენებული არა მარტო ერთ კომპიუტერზე, არამედ ლოპალურ ქსელში. ძირითადი მონაცემთა ბაზა ამ შემთხვევაში თავსდება მთავარი ბუღალტრის კომპიუტერში, ხოლო ბუღალტერიის დანარჩენ თანამშრომლებს შეუძლიათ მისი გამოიყენება ლოპალურ ქსელის საშუალებით. ინტეგრირებული ბუღალტრული სისტემები გამოიყენება საშუალო ზომის საწარმოში, სადაც ბუღალტერიის თანამშრომელთა რაოდენობა შეიძლება იყოს 3-დან 5 კაცამდე.


ბუღალტერიის ავტომატიზირებული სამუშაო ადგილის შემთხვევაში ინფორმაციული სისტემა ფაქტიურად დაყოფილია დამოუკიდებელ ამოცანებად და ეს ამოცანები სრულდება ცალ-ცალკე კომპიუტერებში, რომლებიც გაერთიანებულია ერთმანეთთან ქსელის საშუალებით. ავტომატიზირებული სამუშაო ადგილის მიდგომა გამოიყენება მსხვილ საწარმოში და დიდ ბუღალტერიაში.

მესამე განმასხვავებელ ნიშნად შეგვიძლია ჩავთვალოთ საწარმოს მართვის ავტომატიზაციის დონე. ამ ნიშანთვისების მიხედვით განიხილავენ შემდეგ სისტემებს – უბრალო ბუღალტერია, ბუღალტრული სისტემა, როგორც მთელი საწარმოს ავტომატიზაციის ქვესისტემა, და ბუღალტრული სისტემა როგორც კორპორაციული სისტემის ქვესისტემა.

უბრალო ბუღალტერიის შემთხვევაში შეიძლება ჩავთვალოთ, რომ საწარმოში ავტომატიზაცია ეხება მხოლოდ ბუღალტერიას. კომპლექსური ავტომატიზაციის შემთხვევაში საწარმოში ინფორმაციული სისტემები გამოიყენება აგრეთვე სხვადასხვა ამოცანების გადასაჭრელად. ამ შემთხვევაში ბუღალტრული ინფორმაციული სისტემა არის მთელი საწარმოს ინფორმატიზაციის სისტემის ქვესისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მას სააღრიცხვო ინფორმაციით.

90-იანი წლების დასასრულს გამოჩნდა ე.წ. კორპორაციული სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფებ საწარმოს ევალა დონის, ყველა ამოცანის ავტომატიზაციას. კორპორაციული სისტემა არის მრავალმომხმარებლიანი და ფუნქციონირებს კომპიუტერების განაწილებულ სივრცეში.

შემდეგი პარამეტრი ბუღალტრული სისტემების კლასიფიკირებისათვის არის ის ტექნიკური საშუალებები, რომელიც აუცილებელია მათი ფუნქციონორებისათვის. აქ გამოყოფენ – ლოპალურ და ქსელურ ბუღალტრულ სისტემებს.



სურ.19.1. ბუღალტრული ინფორმაციული სისტემების კლასიფიკაცია

ლოკალური ბუღალტრული სისტემა მუშაობს მხოლოდ ერთ კომპიუტერზე, ხოლო ქსელური არქიტექტურის მქონე ბუღალტრული სისტემა იძლევა საშუალებას, რომ ოპერაციები ჩატარდეს ტერიტორიულად დაცილებულ კომპიუტერებზე.

არსებობს ორი მიდგომა ქსელური არქიტექტურისადმი. პირველი მიდგომის დროს ძირითადად უზრუნველყოფილია საკანონმდებლო, საწესდებო ინორმაციის გამოყენება ქსელში. ხოლო მეორე მიდგომის დროს ბუღალტრულ სისტემაში იქმნება

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

ერთიანი მონაცემთა ბაზა, რომელთანაც შეიძლება მუშაობა დაცილებული კომპიუტერიდან.

და ბოლო კლასიფიკაციის პარამეტრია სისტემის აწყობადობა. აქ განიხილავენ – სრულად, ნაწილობრივ და მინიმალურად აწყობად ბუღალტრულ სისტემებს.

სრულად აწყობადი სისტემის შემთხვევაში მომხმარებელს შეუძლია მასში გათვალისწინებული ინსტრუმენტების საშუალებით ისე ააწყოს ბუღალტრული სისტემა, რომ ის გამოსადეგი იყოს ბუღალტრული აღრიცხვის სხვადასხვა მეთოდის რეალიზაციისათვის.

ნაწილობრივ აწყობადი სისტემის შემთხვევაში მომხმარებელს შეუძლია შეცვალოს ანგარიშთა გეგმა, ააგოს ახალი დოკუმენტები.

მინიმალურად აწყობადი სისტემის შემთხვევაში მომხმარებელს შეუძლია შეცვალოს მხოლოდ დაბეგვრის განაკვეთები და პირველადი დოკუმენტები.

19.2. მცირე საწარმოს ბუღალტრული სისტემის დახასიათება

აღნიშნული ტიპის ბუღალტრულ ინფორმაციულ სისტემებს, როგორც წესი, გამოიყენებენ საანგარიშგებო დოკუმენტაციის მისაღებად.

მცირე საწარმოში ბუღალტრულ ინფორმაციული სისტემის შექმნის დროს შეიძლება იქნას გამოყენებული სამი მიღებობა.

პირველი მიღებობის დროს იქმნება მინი ბუღალტერიის ტიპის სისტემა. მისი ძილითადი დანიშნულება არის საანგარიშგებო ინფორმაციული მონაცემების დროული მომზადება.

მეორე მიღებობის დროს ბუღალტრულ სისტემაში ფართოვდება ფუნქციონალური ამოცანების რაოდენობა აღრიცხვის სექტორების გამოყოფის ხარჯზე. ასეთი ტიპის მიღებობის დროს ბუღალტერიაში თანამშრომელთა რაოდენობა აღწევს 3-დან 5-მდე. და უპირატესობა ენიჭება ინტეგრირებულ ბუღალტრულ სისტემას.

მესამე მიღებობის დროს წარმოებს ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის ავტომატიზაცია. დიდი მოცულობის ინფორმაციის შემთხვევაში აქ შემოაქვთ მრავალმომხმარებლიანი რეჟიმი. რამდენიმე კომპიუტერი ერთიანდება ლოკალურ ქსელში, და თითოეულ მათგანზე იქმნება ცალკეული ბუღალტრიის სამუშაო ადგილი.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ მცირე საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ მოდულებს: ფინანსური და ოპერატიული დაგეგმვის მოდულები, ფინანსების, გეგმის შესრულების, კონტროლის, ქონების, ხელფასის, კადრების, ურთიერთანგარიშსწორების, დაბეგვრის და უშუალოდ ბუღალტერიის მოდულებს.


19.3. დიდი და საშუალო ზომის საწარმოების ბუღალტრული სისტემების დახასიათება

თანამედროვე წარმოება და მისი მართვა ხასიათდება გარკვეული სირთულით, რაც განპირობებულია ინფორმაციული ნაკადების სიჭარბით, რომელიც უნდა დამუშავდეს, რათა მიღებულ იქნას სწორი მმართველობითი გადაწყვეტილება.

არასწორი მართვა ძვირად უჯდება მსხვილ საწარმოს, რადგან აქ სულ მცირე შეცდომაც კი მრავლდება დიდ ფინანსურ და სასაქონლო ბრუნვებზე და იძენს საკმაოდ ფართო ხასიათს.

თანამედროვე დიდი და საშუალო ზომის წარმოებისათვის დამახასიათებელია ავტომატიზაციის კომპლექსური სისტემებისა და კორპორაციული სისტემების დანერგვა.

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა



სურ. 19.2. მსხვილი და საშუალო ზომის საწარმოს ბუღალტრული ინფორმაციული სისტემის ფუნქციონალური ქვესისტემების შემადგენლობა

საშუალო და დიდი ზომის საწარმოს ინფორმაციული სისტემა დაფუძნებული უნდა იყოს შემდეგ პრინციპებზე:

სისტემა დამოუკიდებელი უნდა იყოს საკანონმდებლო ცვლილებებისაგან;
ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან მიმართებაში ის სტაბილური უნდა იყოს საშუალოდ ათი წლის განმავლობაში;

ინფორმაციული სისტემა საშუალებას უნდა იძლეოდეს სხვა პროგრამებთან ინტეგრირებისა;

სისტემა უნდა მუშაობდეს რეალურ დროში;

მაქსიმალურად უნდა იყენებდეს საწარმოში არსებულ ტექნიკურ საშუალებებს;
უნდა იძლეოდეს ეტაპობრივი დანერგვის საშუალებას.

ინფორმაციული სისტემების გამოყენების შედეგად ადმინისტრაციას ექმნება შემდეგი შესაძლებლობები:

ის დროულად დეტალობს მისთვის საჭირო ჭეშმარიტ ინფორმაციას;

რეალიზებულია საწარმოს ფინანსების, მატერიალური და შრომითი რესურსების ოპერატორიული კონტროლი და მართვა;

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

შესაძლებელია ჩამოყალიბდეს სწორი სამომავლო გეგმები;

შესაძლებელია საწარმოს გეგმის შესრულების კონტროლი;

შესაძლებელია ჩატარდეს საწარმოს საქმიანობის ანალიზი.

მსხვილი და საშუალო ზომის საწარმოების ბუღალტრული აღრიცხვა ხასიათდება შემდეგი განმასხვავებელი ნიშან-თვისებებით:

თანამშრომლების შტატების სიმრავლე;

თითოეული თანამშრომლის ვიწრო სპეციალიზაცია;

დოკუმენტბრუნვის ნაირსახეობის სიმრავლე.

ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაციული სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს მოცანების დამუშავების კომპლექსურ ავტორიზაციას და ამოცანების გადაწყვეტას, მართვისათვის საჭირო ფინანსური ანგარიშების მიღებას.

ბუღალტრული აღრიცხვა მსხვილ საწარმოში, როგორც წესი, წარმოებს სამ დონეზე: პირველადი აღრიცხვა, ფინანსური აღრიცხვა და მმართველობითი აღრიცხვა (სურ.19.2).

19.4. სავაჭრო ქსელის კომპიუტერული ინფორმაციული სისტემების დახასიათება

ინფორმაციულ სისტემებს, მათ შორის ბუღალტრულ სისტემებს ახასიათებს გარკვეული თავისებურებანი, რომლებიც გამოწვეულია იმ დარგით, რომელშიც გამოიყენება ინფორმაციული და ბუღალტრული სისტემები.

ინფორმაციული სისტემების ერთ-ერთ მსხვილ ჯგუფს წარმოადგენს სისტემები, რომლებიც გამოიყენება სავაჭრო ქსელში. აქ შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი თავისებურებები, რომლებიც უნდა გააჩნდეს სავაჭრო ქსელში გამოყენებულ ინფორმაციულ სისტემებს:

ის უნდა იძლეოდეს სავაჭრო შესყიდვითი ოპერაციების ანალიზის შესაძლებლობას;


უნდა უზრუნველყოფდეს მართვას სრული ციკლით, როგორიც არის შეკვეთა, შესყიდვა, რეალიზაცია;

უნდა იძლეოდეს საშუალებას, რომ გადაწყვეტილი იყოს სამომავლო დაგეგმვის ამოცანები.

სავაჭრო ქსელის ინფორმაციული სისტემა უნდა წარმოადგენდეს პროგრამების კომპლექსს, რომელიც მუშაობს კომპიუტერულ ქსელში. აღნიშნული ქსელი უნდა მოიცავდეს შემდეგ სამუშაო აღგილებს: დირექტორი, მენეჯერები, საწყობი და სავაჭრო დარბაზი.

სავაჭრო დარბაზში განთავსებულ აპარატურაში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული აპარატურა, რომელიც უზრუნველყოფს შტრიხ-კოდების წაკითხვას და სალაროს აპარატს. ეს ყველაფერი დაკავშირებული უნდა იყოს შესაბამის კომპიუტერთან.

საწყობში აუცილებლად უნდა იყოს სასწორი, ეტიკეტ-პისტოლეტი და სპეციალური პრინტერი, რომელიც ბეჭდავს ეტიკეტებს.



სურ.19.3. გამორობის ავტომატიზაციის სისტემას გამოყენების ზოგადი სქემა

საწყობი, როგორც წესი, განთავსებულია სავაჭრო დარბაზის უშუალო სიახლოვეს, მაგრამ ამასთან ერთად მაღაზიას შეიძლება გააჩნდეს დაცილებული საწყობი, ამ შემთხვევაში სავაჭრო ობიექტის ქსელში უნდა იყოს გაოვალისწინებული ამ დაცილებული საწყობის გაერთიანება. მთელ ამ სისტემას მართავს სერვერი.

აღნიშნული ტაბის ინფორმაციული სისტემები უზრუნველყოფებ არა მარტო შესყიდვების და რეალიზაციის ოპერაციების აღრიცხვას, არამედ მთელ ბუღალტრულ ოპერაციებს.

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

საგაჭრო ქსელის კომპიუტერების ქსელში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ბუღალტრული სამუშაო ადგილები. აქედან გამომდინარე სავაჭრო ობიექტის კომპიუტერული ქსელის და ინფორმაციული სისტემის ზოგადი სტრუქტურა შეიძლება იყოს წარმოდგენილი შემდეგნაირად (სურ.19.3).


საგაჭრო სისტემის ორგანიზაციის მიმართ არსებობს 3 მიღებობა:

მაღაზიის ყველა სექციაში განთავსებულია კომპიუტერი სპეციალური აპარატურით, როგორიც არის შტრიხ-კოდების სკანერი და სალაროს აპარატი (დახლის სისტემა). გამყიდველი საქონლის გაცემასთან ერთად ამოარტყავს სალაროს ქვითარს;

საგაჭრო დარბაზის გასასვლელში დგას კომპიუტერები სათანადო აპარატურით, სადაც მუშაობენ მოლარეები, მყიდველები დააგროვებენ საქონელს და გასვლის დროს მოლარეები ატარებენ ამ საქონელს კომპიუტერში და გასცემენ ქვითრებს;

მყიდველი შეარჩევს მისთვის სასურველ საქონელს, მიღის სპეციალურ (ცენტრალურ) სალაროში, სადაც მოლარეები ამოარტყავენ ქვითრებს და შემდეგ მყიდველი მიიღებს სასურველ საქონელს.

პირველი მეთოდის დროს კომპიუტერული ქსელის სისტემა გამოიყურება შემდეგნაირად (სურ.19.4).




სურ. 19.4. დახლის სისტემა

მეორე მიდგომის დროს გვაქვს შემდეგი სქემა (სურ.19.5).

დირექტორი
დირექტორი, მენეჯერი

ბუღალტერია
მთაგარი ბუღალტერი, ბუღალტერი



სურ.19.5. სუპერმარკეტის სისტემა

- სავაჭრო ინფორმაციული სისტემა უნდა ასრულებდეს შემდეგ ოპერაციებს:
 - უნდა ანხორციელებდეს გაყიდული საქონლის ნომენკლატურის რეგისტრაციას;
 - უნდა ითვლიდეს საქონლის დირექტულებას მისი რაოდენობის და წონის მიხედვით;
 - უნდა ყზრუნველყოფდეს გასაყიდი საქონლის ჯამური დირექტულების თანხას და ხურდის დაანგარიშებას;
 - უნდა აფიქსირებდეს დაბრუნებული საქონლის დირექტულებას და ანულირებდეს მას;
 - უნდა უზრუნველყოფდეს პროცენტების, ფასდათმობის და ფასის გაზრდის გაანგარიშებას;
 - უნდა იძლეოდეს ოპერატორის შეცდომის გასწორების საშუალებას;
 - უნდა ითვლიდეს ნაწილობრივ ჯამებს;
 - უნდა უზრუნველყოფდეს მუშაობას შტრიხ-კოდებთან და პლასტიკურ ბარათებთან.

20. ელექტრონული კომერცია და ინტერნეტ-ტექნოლოგია

თანამედროვე ტექნოლოგიები, რომლებიც გამოიყენება გლობალურ ქსელებში საშუალებას იძლევა ვაწარმოოთ გარკვეული კომერციული ოპერაციები ამ გლობალურ ქსელებში. გლობალური ქსელების ყველაზე გავრცელებული სახეობა არის ინტერნეტი. აქ შესაძლებელია ინტერნეტ-ვაჭრობის წარმოება, რომელიც წარმოადგენს საქონლის, მომსახურების შესყიდვის და გაყიდვის პროცესს მთლიანად ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ინტერნეტ-ვაჭრობა წარმოადგენს ელექტრონული კომერციის საშუალებას.

ელექტრონული კომერცია არის ბიზნეს პროცესის სახეობა, რომელშიც სუბიექტები ურთიერთობენ ელექტრონული საშუალებით.

საწარმოო ორგანიზაცია ინტერნეტში შეიძლება წარმოადგენილი იქნეს რამდენიმე სახით – სავიზიტო ბარათი, ვებ-ვიტრინა, ინტერნეტ-მაღაზია და სავაჭრო ინტერნეტ-სისტემა.

სავიზიტო ბარათის ძირითადი დანიშნულება არის პოტენციური კლიენტისათვის საშუალების მიცემა გაეცნოს საწარმოს საქმიანობას და ატარებს რეკლამის ხასიათს.

სავიზიტო ბარათის უფრო განვითარებული ფორმაა ვებ-ვიტრინა, სადაც განთავსებულია დაწვრილებითი ინფორმაცია საქონლის და მომსახურების შესახებ. ვებ-ვიტრინა საშუალებას აძლევს მომხმარებელს მხოლოდ და მხოლოდ დაათვალიეროს საწარმოო ორგანიზაციის მიერ ნაჩვენები საქონელი და მომსახურება.

იმ შემთხვევაში, როდესაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს არა მარტო საქონლის და პროდუქციის დათვალიერება, არამედ ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები, გამოიყენება ინტერნეტ-მაღაზიები, რომლებიც საშუალებას იძლევა კლიენტებმა დაათვალიერონ საქონელი, მომსახურება, შეარჩიონ სასურველი, მომზადონ შეკვეთა, აწარმოონ გადახდა და შედეგად მიიღონ სასურველი პროდუქცია და მომსახურება.

ვებ ვიტრინის მომზადება და განთავსება ჯდება უფრო იაფი, ვიდრე ინტერნეტ-მაღაზიის შექმნა, მაგრამ ვებ-ვიტრინა არამომგებიანია, რადგანაც ის იძლევა მხოლოდ შეკვეთით ვაჭრობის საშუალებას, და არ იძლევა საშუალებას ჩატარდეს ვაჭრობა რეალურ დროში. ვებ-ვიტრინებს იყენებენ მხოლოდ მცირე ბიზნესის კომპანიები, რომლებსაც ცირკ დანახარჯებით სურთ გახსნან ან იქირავონ ვებ-ვიტრინა.

ინტერნეტ-მაღაზია გაცილებით უფრო მომგებიანია სავაჭრო კომპანიისათვის, რომელსაც სურს რეალურად მართოს ინტერნეტ-ვაჭრობის პროცესი, სხვადასხვა მარკეტინგული აქციები, ივაჭროს შეკვეთით და საწყობიდან, შემაციროს გაყიდვების მენეჯერების რაოდენობა და სხვა. ინტერნეტ-მაღაზიას იყენებენ საშუალო ზომის სავაჭრო კომპანიები, რაც მათთვის გაცილებთ უფრო რენტაბელურია და სტრატეგიულად მომგებიანია.

კიდევ ერთი ელექტრონული კომერციის მაგალითია სავაჭრო ინტერნეტ-სისტემა. პრაქტიკულად ეს არის იგივე ინტერნეტ-მაღაზია, რომელიც ინტეგრირებულია (ჩაშენებულია) საწარმოს ინფორმაციულ სისიტემაში. ასეთი ტიპის სისტემების შემთხვევაში შესაძლებელია არა მარტო ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების ჩატარება, არამედ მათი შესაბამისი ანალიზის ჩატარება. მაგ: ბუღალტრიაში, მენეჯერებთან და ა.შ. აქ ყველაზე დიდი სირთულეს წარმოადგენს ინტერნეტ-ვაჭრობის და კომპანიის შიდა ბიზნეს-პროცესების შეპირაპირება. ამ ტიპის სისტემებს იყენებენ მსხვილი სავაჭრო კომპანები.

ინტერნეტ-ვაჭრობა შეიძლება იყოს გამოყენებული როგორც ურთიერთობისათვის ჩვეულებრივ მყიდვებით (business to consumer – B2C სექტორი), ასევე შიდა კორპორაციული ურთიერთობისათვის (business B2B სექტორი)

21. ბუღალტრების ავტომატიზირებული სამუშაო ადგილები
და კორპორაციული სისტემები

21.1. ბუღალტრების ავტომატიზირებული სამუშაო ადგილების
შექმნა


ბუღალტერიის მუშაობაში ავტომატიზირებული სამუშაო ადგილების გამოყენება
იძლევა შემდეგ შედეგებს:

იზრდება ოპერატიულობა, ანალიტიკურობა და ჰემიარიტობა მონაცემთა აღრიცხვაში;

იზრდება ბუღალტრული აღრიცხვის მაკონტროლებელი ფუნქცია;

სრულყოფილი ხდება ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების ორგანიზება და მეთოდოლოგურა;

ჩნდება საწარმოს ინფორმაციული სისტემის კავშირი ქვეყნის ისეთ ინფორმაციულ სისტემებთან, როგორიც არის ხაზინა, საგადასახადო ორგანიები, სადაზრევო ორგანოები და ა.შ.



სურ. 21.1. . ფუნაციონალური ქვესისტემების ზოგადი ნაკრები ბუღალტრული სამუშაო
ადგილების შემთხვევაში

21.2. კორპორაციული ინფორმაციული სისტემები

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაძლიერდა ინტერესი კორპორაციული ინფორმაციული სისტემების მიმართ.

აღნიშნული ტიპის სისტემები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან თავისი წინაპრებისაგან ინტელექტურალური ტექნოლოგიების გამოყენებით, რომლებიც ამჟამავებენ ინფორმაციის უმაღლეს ფორმას – ცოდნას. ინტელექტუალური ტექნოლოგიების დანიშნულება მდგომარეობს მართვის ფუნქციონალური ქვესისტემების შექმნაში, რომლებიც მხარს უჭერენ მონაცემთა მრავალასპექტიან ანალიზს, გადაწყვეტილებების მიღებას რთულ სიტუაციებში, კორპორაციული ცოდნის მართვას, ექსპერტულ სისტემებს და პერსონალის სწავლებას.

მსოფლიოში ცნობილია კონცეფციები და სტანდარტები წარმოების მართვის სისტემის აგებისათვის. მათ მიაკუთვნებენ PR, MPRII და ERP.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე განვითარებული კონცეპცია გულისხმობს სისტემის შექმნას, რომელიც ორგანიზაციას გაუკეთებს ყველა საწარმოო რესურსის ეფექტურ მართვას და ამასთან ერთად შესაძლებელი უნდა იყოს ბიზნეს-დაგეგმვა, წარმოების დაგეგმვა, გაყიდვების, მოთხოვნის, მატერიალური რესურსების მოთხოვნისა და საწარმოო სიმძლავრეების დაგეგმვა. აღნიშნული ტიპის სისტემა გულისხმობს ფინანსური ანალიზის, პროგნოზირების, მოთხოვნის მართვის ფუნქციების რეალიზაციას.

მსოფლიოში ცნობილია შემდეგი კომპანიები და მათი კორპორაციული სისტემები: SAP AG (სისტემა R/3), Oracle-კორპორაცია (სისტემა Oracle Application), Baan Company (სისტემა Baan IV), Microsoft (NAVISON AXAPTA) და ა.შ.

კორპორაციული სისტემები გამოიყენება სხვადასხვა ტიპის საწარმო-ორგანიზაციებში (მაგალითად, ცხრილი 21.1) და ასრულებებნ სხვადსხვა ფუნქციებს (მაგალითად, ცხრილი 21.2).

ცხრილი 21.1.. კორპორაციული სისტემების გამოყენების სფეროების მაგალითები

R/3	Oracle Application	BAANIV
საავტომობილო მრეწველობა	საქონელი საცალო შეფუთვით	აეროკოსმიური და ტავდაცვის მრეწველობა
ქიმიური პრეპარატები	ენერგ ტიცა	საავტომობილო მრეწველობა
სახალხო გამოყენების საქონელი	ფინანსური მომსახურება	ელექტრონუკა
კონსტრუირება შეკვეთით	მრეველობა	მანქანადმშენებლობა
მაღალი ტექნოლოგიები და ელექტრონიკა	ჯანდაცვა და ფარმაცეფტული პრეპარატები	კვების პროდუქტები და სასმელები
ფარმაცეფტული პრეპარატები	სახელმწიფო სექტორი და მთავრობა	მშენებლობა
მეტალურგია	ტელეკომუნიკაცია	მეტალურგია

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

ცხრილი 21.2. კორპორაციული სისტემების ფუნქციონალური მოდულების მაგალითები

R/3	Oracle Application	BAANIV
ფინანსური ბუღალტერია და კონტროლინგი	ფინანსები და ფინანსური ანალიზი	ფინანსები
წარმოები დაგეგმვა და მატერიალური ნაკადების მართვა	წარმოება	წარმოება
პერსონალის მართვა	პადრები	
პროექტების სისტემა	პროექტები	პროექტები
რეალიზაცია	მომარაგება და რეალიზაცია	რეალიზაცია, მომარაგება, საწყობები
ტექნიკური და სელსაწყოების მომსახურება	მარკეტინგი	სერვისი
		პროცესი
		ტრანსპორტი
Business Engineer ASAP	Designer 2000	ორგანიზატორი (ORGWARE)

ზოგადად, კორპორაციული სისტემა შეიძლება შედგებოდეს შემდეგი მოდულებისაგან, რომლებიც გამოსახულია სურ. 212.-ზე.

ფინანსურ ექონომიკური მართვა

მარკეტინგი

ტექნიკურ-
ექონომიკური
დაგეგმვა

ხელშეკრულებები და
ურთიერთ-
ანგარიშეწორება

ფინანსური
მენეჯმენტი

ლოგისტიკა

გასაღება და
ვაჭრობა

სასაწყობო
აღრიცხვა

მომარაგება და
შესყიდვები

წარმოების მართვა

წარმოების
ტექნიკური
მომზადება

პროექტების
მართვა

კალენდალური
დაბეგმება

ცენტ მართვა

ლოგისტიკა

მომსახურება და
სერვისი

დარგობრივი
გადაწყვეტილებები

პერსონალის მართვა

პერსონალი

ხელფასი

დაბეგვრა

ბუღალტრული აღრიცხვა

თანამომავალი

ბუღალტრული
აღრიცხვა

ფინანსური
ანალიზი

კონტროლი

დანახარჯების მართვა

ბიზნესის მონიტორინგი

ინფორმაციული რესურსების მართვა

ადმინისტრირება

დოკუმენტბრუნვა

ინსტრუმენტალური
საშუალებები


სურ.21.2.. კორპორაციული სისტემის ზოგადი მოდულური სტრუქტურა

22. ეკონომიკური ინფორმაციული სისტემების სტრუქტურა

22.1. ეკონომიკური ინფორმაციული სისტემის შემადგენელი ნაწილები

როგორც ცნობილია, ინფორმაციული სისტემა არის სისტემა, რომელიც განკუთვნილია ნებისმიერი ტიპის საწარმოში არსებული ინფორმაციული ნაკადების დასამუშავებლად მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების გაუმჯობესების მიზნით. ეკონომიკურ-ინფორმაციული სისტემა ეს არის ეკონომიკური ინფორმაციის ნაკადების და მათი დაგროვების, დამუშავებისა და გადაცემის მეთოდების და ხერხების ერთობლიობა, რომლებიც მონაწილეობენ ინფორმაციის დამუშავებისა და მართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაში. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური ინფორმაციული სისტემის განმარტებაში ხდება ბუღალტრული ინფორმაციული სისტემა.

ინფორმაციული სისტემის სტრუქტურის ქვეშ იგულისხმება მისი ცალკეული ელემენტების ორგანიზაცია მათი კავშირებისა და ამოცანების გათვალისწინებით.




სურ. 22.1. ინფორმაციული სისტემის სტრუქტურა

ნებისმიერი ტიპის ინფორმაციული სისტემა შედგება 2 ძირითადი ნაწილისაგან: ფუნქციონალური და მხარდამჭერი ქვესისტემებისაგან (სურ.22.1).

ფუნქციონალური სისტემა არის ის ნაწილი, სადაც სრულდება ძირითადი ფუნქციები. ფუნქციონალური ნაწილი დამოკიდებულია იმ ამოცანებზე, საწარმოზე და დარგზე, რომელშიც გამოიყენება ინფორმაციული სისტემა.

თავის მხრივ ფუნქციონალური ქვესისტემა იყოფა ქვენაწილებად, რომელიც შეიძლება იყოს გამოყოფილი ორი ნიშან-თვისების საფუძველზე: მართვის ფუნქციისა და მართვის რესურსის მიხედვით.

რაც შეეხება მხარდამჭერ ქვესისტემას, ის აუცილებელია ფუნქციონალური ქვესისტემების მუშაობისთვის და ის არ არის დამოკიდებული იმ ამოცანებზე, რომელსაც წყვეტს ინფორმაციული სისტემა. განვიხილოთ მხარდამჭერი ქვესისტემის შემადგენლობა (სურ.22.2.). მხარდამჭერი ქვესისტემა იყოფა ორ ნაწილად: ზოგადი და ინფორმაციული.



სურ. 22.2. მხარდაჭერი ქვესისტემის სტრუქტურა

განვიხილოთ ზოგადი მხარდაჭერი ქვესისტემა:

ნებისმიერ სისტემაში უნდა იყოს გათვალისწინებული არსებული საკანონმდებლო ნორმები და აქტები. წინააღმდეგ შემთხვევაში სისტემის ფუნქციონირება არ შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას – ეს ყველაფერი აისახება ორგანიზაციულ-უფლებრივ ნაწილში;

საკადრო ნიშნავს შემდეგს – იმისათვის, რომ სისტემამ გამართულად იმუშაოს, აუცილებელია სათანადო დონის სპეციალისტების მომზადება. მაღალკვალიფიციური კადრები აგრეთვე საჭიროა ინფორმაციული სისტემების შექმნის ეტაპზე;

სამეცნიერო – ინფორმაციულ სისტემაში უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა თანამედროვე სამეცნიერო მიღწევა, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება არაეფექტურ, მოძველებულ სისტემასთან;

ერგონომიკური – ინფორმაციული სისტემა აგებული უნდა იყოს ერგონომიკის თეორიის პრინციპების თანახმად, ანუ ადამიანის ნორმალური შრომის პირობების უქუნველყოფით, რაც ნიშნავს, რომ სისტემასთან მუშაობა არ უნდა ახდენდეს უარყოფით გავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე;

ეკონომიკური – სისტემის გამოყენება უნდა აუმჯობესებდეს ადამიანის შრომას და ამაღლებდეს ეკონომიკურ მაჩვენებლებს საწარმოში;

განვიხილოთ ინფორმაციული სისტემების ინფორმაციული მხარდაჭერა. შეგვიძლია ჩამოვთვალოთ შემდეგი ასპექტები:

1. ინფორმაციული უზრუნველყოფა – აქ განიხილავთ საწარმოში არსებულ ინფორმაციულ ნაკადებს და მათი დამუშავების მეთოდებს,

2. ტექნიკური უზრუნველყოფა – აქ შედის მთელი იმ მოწყობილობების კომპლექსი, რომელიც საჭიროა ინფორმაციის მოძიების, დაგროვების, გადამუშავების და გადაცემისთვის. რა თქმა უნდა ცენტრალური მოწყობილობა არის კომპიუტერი,

3. მათემატიკური უზრუნველყოფა – წარმოადგენს მათემატიკური მეთოდების ერთობლიობას, რომელიც გამოიყენება ინფორმაციის დასამუშავებლად,


4. პროგრამული უზრუნველყოფა – წარმოადგენს ყველა იმ პროგრამის ერთობლიობას, რომლებიც შედიან ინფორმაციულ სისტემაში,

5. ტექნოლოგიური უზრუნველყოფა – წარმოადგენს იმ ტექნოლოგიების ნაკრებს, რომლებიც გამოიყენება ინფორმაციის დაგროვების, შენახვის, დამუშავების და გადაცემისთვის,

6. ლინგვისტური უზრუნველყოფა – წარმოადგენს იმ ტერმინების და ცნებების ერთობლიობას, რომელიც გამოიყენება ინფორმაციულ სისტემაში.

22.2. ინფორმაციული უზრუნველყოფა

ინფორმაციული სისტემის ერთ-ერთი მხარდამჭერი ნაწილი არის ინფორმაციული უზრუნველყოფა. ინფორმაციული უზრუნველყოფა იყოფა ორ ნაწილად: შიდა და გარე სამანქანო (სურ. 22.3).



სურ. 22.3. ინფორმაციული უზრუნველყოფა

შიდა სამანქანო უზრუნველყოფა განსაზღვრავს ინფორმაციის ორგანიზაციის კომპიუტერში. კომპიუტერში მონაცემები შეიძლება წარმოდგენილი იყოს ფაილების, მონაცემთა ბაზებისა და ბანკების და ცოდნის ბაზების სახით.

როგორც ვიცით ფაილი არის ინფორმაციის ნაკრები გაერთიანებული გარეკვეული შინაარსით, რომელსაც აქვს თავისი სახელი და ადგილმდებარეობა მაგნიტურ მეხსიერებაში. სახელის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია მოვქებნოთ ფაილი და ჩავატაროთ სხვადასხვა რეკრაცია. ფაილებში შეიძლება იყოს განთავსებული ინფორმაცია საწარმოს თანამშრომლების, მასალის შესახებ და ა.შ.

როდესაც ინფორმაციულ სისტემას სჭირდება დიდი მოცულობის მონაცემები, ამ შემთხვევაში ინფორმაციის დამახსოვრებისა და დამუშავებისათვის გამოიყენება მონაცემთა ბაზები და ბანკები.

მონაცემთა ბაზები და ბანკები იძლევან საშუალებას რომ ზღვა მასალიდან სწრაფად და ეფექტურად ამოკრეფილი და დაჯგუფებული იყოს ის ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ამ მომენტისათვის.

როგორც სიტუაციაში, საჭიროა მაღალი დონის სპეციალისტების ანუ ექსპერტების კონსულტაცია გადაწყვეტილებების მისაღებად. თანამედროვე საზოგადოებაში ასეთ

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

შემთხვევებში გამოიყენებენ ე.წ. ექსპერტულ სისტემებს, რომლებშიც მოთავსებულია უზარმაზარი ცოდნა. ასეთ ინფორმაციას უწოდებენ ცოდნის ბაზებს.

გარე სამანქანო უზრუნველყოფაში წამყვანი ადგილი უკავია ორგანიზაციის ფუნქციონირების, მახვენებლების სისტემის შემუშავებას. ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი პარამეტრების შერჩევა, რომლებიც სრულად და ზუსტად დაახასიათებენ ორგანიზაციის ფუნქციონირებას. ამ პარამეტრების შესწავლის გზით უფრო გასაგები ხდება ორგანიზაცია, მისი ფუნქციონირების წესები და კანონები.


იმისათვის, რომ გამარტივდეს ინფორმაციის დამუშავება ჯერ უნდა ჩატარდეს მისი კლასიფიკაცია ანუ გაერთიანება გარკვეული მახასიათებლების მიხედვით და შემდეგ – მისი კოდირება ანუ გარკვეული რიცხვების შესაბამისობაში მოყვანა.

დოკუმენტრიტუნვა მოიცავს მთელ დოკუმენტაციას, რომელიც გამოიყენება ორგანიზაციაში და იმ განყოფილებებსა და ეტაპებს, რომლებსაც გაივლის დოკუმენტები საწარმოში. ეს ინფორმაცია ძალიან მნიშვნელოვანია ინფორმაციული სისტემის სტრუქტურის შემუშავებისათვის.

რაც შეეხება შიდა და გარე ინფორმაციულ ნაკადებს აქ უნდა ავლინიშნოთ შემდეგი. საწარმოო ორგანიზაციას ახასიათებს შიდა ინფორმაციული ნაკადები, რომლებიც წარმოადგენენ მმართველობითი გადაწყვეტილებებისა და საწარმოს ფუნქციონირების შესახებ ინფორმაციის ერთობლიობას. გარე ინფორმაციული ნაკადები კი აუცილებელია საწარმოო ორგანიზაციის სწორი ფუნქციონირებისათვის საზოგადოებაში, ამიტომაც ინფორმაციული სისტემა უნდა ასახავდეს ამ ინფორმაციულ ნაკადებს.

22.3. პროგრამული უზრუნველყოფა

როგორც არის ცნობილი, პროგრამების მთელს კომპლექსს უწოდებენ პროგრამულ უზრუნველყოფას.



სურ. 22.4. პროგრამების კლასიფიკაცია

განიხილავენ პროგრამების ორ ძირითად ტიპს: სისტემური და გამოყენებითი (სურ.22.4).

სისტემური პროგრამები საჭიროა უშუალოდ კომპიუტერის ფუნქციონირებისათვის. აქ გამოყოფენ ოპერაციულ სისტემებს, ქსელურ პროგრამულ უზრუნველყოფას და პროგრამირების სისტემებს.

რაც შეეხება გამოყენებით პროგრამებს – ისინი განკუთვნილია მომხმარებლის ამოცანების გადასაჭრელად ადამიანის საქმიანობის ნებისმიერი სფეროდან. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი პროგრამები: WORD – ტექსტების დამუშავების პროგრამა, EXCEL – ცხრილური მონაცემების დამუშავების პროგრამა, PHOTOSHOP – სურათების დამუშავების პროგრამა, ORIS–ბუღალტერია – საბუღალტრო პროგრამა და ა.შ.

გამოყენებითი პროგრამები

ზოგადი დანიშნულების პორგრამულ უზრუნველყოფას მიაკუთვნებენ:

- ტექსტურ რედაქტორებს, ანუ პროგრამებს, რომლებიც გამოიყენება ტექსტური ინფორმაციის მომზადებისათვის და დაბეჭდვისათვის,
- ელექტრონულ ცხრილებს, რომელიც განკუთვნილია მონაცემების დასამუშავებლად, რომლებიც თავის მხრივ წარმოდგენილია ცხრილების სახით,
- მონაცემთა ბაზების მართვის სისტემებს, რომლებიც გამოიყენება მომხმარებლის მოთხოვნის მიხედვით სწრაფ და მოხერხებულ ფორმაში ინფორმაციის შენახვის, დაგროვების, სწრაფი მოძებნისა და გაცემისათვის. არსებობს აგრეთვე ქსელური მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები,
- გრაფიკულ სისტემებს, რომელიც ემსახურებიან ინფორმაციის ასახვას გრაფიკულ ფორმაში. ისინი ფართოდ გამოიყენება როული ინჟინერული ამოცანების გადასაჭრელად, და მათ საფუძველზე იქნება ნახაზების შექმნის ავტომატიზირებული სისტემები. ეკონომიკურ სისტემებში აგრეთვე ფართოდ გამოიყენება გრაფიკული სისტემები მონაცემების გრაფიკების, დიაგრამების, ნახაზების და ნახატების წარმოდგენისათვის. ამასთან ერთად გრაფიკული პროგრამული უზრუნველყოფა ფართოდ გამოიყენება მულტიპლიკაციაში, ტელევიზიაში რეკლამების, ვიდეო-რეკლამების შესაქმნელად, ტანსაცმლის მოდელირებებსათვის და ა.შ.

პრობლემურად ორიენტირებულ პროგრამულ უზრუნველყოფას მიაკუთვნებენ იმ პროგრამებს, რომელიც ავტომატიზაციას უკეთებენ კონკრეტულ გამოყენებით სფეროს. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ბუღალტრის, ეკონომისტის, მეცნიერის, კადრების მუშაკის ავტომატიზირებული სამუშაო ადგილის პროგრამული პაკეტები. ავტომატიზირებულ სამუშაო ადგილი შეგვიძლია განვსაზღვროთ როგორც ინფორმაციული, პროგრამული და ტექნიკური საშუალებების ერთობლიბა, რომელიც უზრუნველყოფს საბოლოო მომხმარებლისათვის მონაცემთა დამუშავებისა და მმართველობითი ფუნქცების შესრულებას კონკრეტულ გამოყენებით სფეროში.

ინტეგრირებულ გამოყენებით სისტემებს მიაკუთვნებენ მდლავრ გამოყენებით პროგრამულ პაკეტებს, რომლებიც მოიცავენ თავის თავში ყველა ან ზოგიერთ ზოგადი დანიშნულების გამოყენებით პროგრამებს. ისინი გამოიყენება სპეციალისტების მიერ გამოყენებით პროგრამების პროექტირების სფეროში როგორც დამუშავების ინსტრუმენტალურ საშუალებებს. ამასთან ერთად ინტეგრირებული გამოყენებითი სისტემები გამოიყენება დიდი საწარმოების მონაცემთა კოორდინირებული დამუშავებისათვის.

23. ეკონომიკური ინფორმაციული სისტემების დაპროექტება

23.1. ინფორმაციული სისტემების დაპროექტების ძირითადი პრინციპები

ინფორმაციული სისტემის შექმნის პროცესში გამოიყენება სისტემური მიღგომის პრინციპი, რომელიც გულისხმობს ეკონომიკური ობიექტის ფუნქციების კომპლექსურ ასახვას და რომელიც განიხილავს მას როგორც ერთიან და მთელ სისტემას, რაც იძლევა დასმული მიზნების მიღწევის საშუალებას – მომხმარებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც საჭიროა მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად.

დაპროექტებისადმი სისტემური მიღგომის დროს ჯერ ფორმულირდება დასაპროექტებელი სისტემის მიზნები, შემდეგ კი დასმული მიზნების თანახმად წარმოებს მართვის პროცესის სტრუქტურიზაცია, რომელიც დაფუძნებულია მართვის სტრუქტურისა და ფუნქციების ერთიანობაზე, რის შედეგადაც მუშავდება ყველაზე რაციონალური მართვის აპარატის სტრუქტურა, რომელიც ორიენტირებულია მომხმარებლის მოთხოვნებზე დასმული მიზნების თანახმად. მხოლოდ ამის მერე წარმოებს ისეთი უზრუნველყოფების დამუშავება, როგორიც არის ტექნიკური, ინფორმაციული და პროგრამული. აქ საპროექტო გადაწყვეტილებებს მთლიანად განსაზღვრავს მოთხოვნა – მართვის ფუნქციების ეფექტური რეალიზაცია და, შესაბამისად, ზოგადად სისტემის ეფექტური ფუნქციონირება. მაშასადამე, ნათელია, რომ მართვის სისტემის აგება წარმოუდგენელია ობიექტის პარამეტრული მოდელის დამუშავების გარეშე, რომელიც მოიცავს ორგანიზაციულ-ეკონომიკურ, ფუნქციონალურ და ინფორმაციულ მახასიათებლებს.

სისტემური მიღგომის საფუძველში აგრეთვე დევს დაპროექტების ისეთი პრინციპები, როგორიც არის დაღმავალი, სტრუქტურული დაპროექტების, მოდულური პრინციპი და სისტემის უწყვეტი განვითარების პრინციპი.

დადმავალი დაპროექტების პრინციპი, რომელსაც კიდევ უწოდებენ “ზემოდან ქვევით” დაპროექტების პრინციპს, გამომდინარეობს სისტემური მიღგომის არსიდან და მდგომარეობს იმაში, რომ დაგეგმვის სტრატეგია განისაზღვრება სისტემის პოზიციიდან მთლიანობაში. ეს ნიშნავს, რომ თავდაპირველად, დასმული მიზნების თანახმად შეირჩევა სისტემის დაპროექტების ზოგადი კონცეფცია, რომელიც განსაზღვრავს მოთხოვნებს სისტემის სტრუქტურისადმი, ამოცანათა სისრულისადმი და მართვის ფუნქციისადმი, საჭირო ტექნიკური საშუალებების კომპელქსისადმი, ინფორმაციული და ტექნიკური უზრუნველყოფის სტრუქტურისადმი. შემდეგ შემუშავებული სტრატეგიის ფარგლებში ფუნქციონალური ქვესისტემების და ამოცანების კომპლექსის დონეზე მუშავდება შეტანა/გამოტანის რეჟიმები და ფორმები, განსაზღვრავენ მონაცემთა მასივების დამუშავების სტრუქტურასა და ტექნოლოგიას, კომპიუტერის გამოთვლით რესურსებსა და ანხორციელებენ ამოცანების დაპროგრამებას.

სტრუქტურული დაპროექტების პრინციპი მდგომარებს იმაში, რომ დასაპროექტებელი სისტემა იყოფა შედარებით დამოუკიდებელ ნაწილებად. სტრუქტურული დაპროექტების იდეა გამოიყენება მთლიანობაში სისტემის დამუშავებისადმი. ამ დროს სისტემის დამუშავება ხორციელდება ნაწილ-ნაწილ ფუნქციონალური ქვესისტემებად. უფრო მეტიც, თითოეული ფუნქციონალური ნაწილისათვის გამოიყოფა შედარებით დამოუკიდებელი ამოცანების კომპლექსები, რომელთა შემუშავება შეიძლება დაევალოს ცალკეულ შემსრულებლებს. ასე და ამ რიგად, სტრუქტურული დაპროექტება, ერთის მხრივ, იძლევა საშაულებას, რომ დაპროექტების პროცესში ჩაერთოს დამპროექტებლების საჭირო რაოდენობა ისეთ ნაირად, რომ სისტემა შექმნას დადგენილ გადებში, ხოლო მეორეს მხრივ –

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

უზრუნველყოფს დამპროექტებლებს შორის სამუშაოების რაციონალურ დანაწილებას მათი საქმიანობის საერთო კოორდინაციის პირობებში.

გარდა ამისა, საინფორმაციო სისტემების დაპროექტების სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ აქ ადგილი აქვს ეგრეთ წოდებულ ჯაჭვურ კავშირებს, რაც მდგომარეობს იმაში, რომ სისტემის ერთი ნაწილის ცვლილებები იწვევს ცვლილებებს სისტემას სხვა ნაწილში. სტრუქტურული დაპროექტების პრინციპი იძლევა საშუალებას, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი მსგავსი კავშირები, საპროექტო სამუშაოების შრომატევადობის მინიმუმამდე დაყვანით.

მოდულური პრინციპის დროს დასაპროექტებელი სისტემა განიხილება როგორც ელექტრების ერთობლიობა, რომელთაგან მრავალი ერთი კლასის სისტემებისათვის არის ერთგავროვანი და იმდენად მსგავსი, რომ გარკვეული დაშვების შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ერთნაირებად. სისტემის ასეთ ელექტრების უწოდებენ მოდულებს. მოდული – არის სისტემის ტიპიური ელემენტი, რომელსაც აქვს სტანდარტული კავშირები სისტემის სხვა ელემენტებთან და რომელიც გამოიყენება გარკვეული კლასის სისტემების დაპროექტისათვის.

მოდულური პრინციპი ფართოდ გამოიყენება საპროექტო გადაწყვეტილებების შემუშავების დროს ძირითადი უზრუნველყოფი ქვესისტემების – საინფორმაციო, პროგრამული და ტექნოლოგიური, შესაქმნელად.

ინფორმაციულ უზრუნველყოფაში მოდულებს წარმოადგენს შემომავალი და გამავალი ინფორმაცია, მასივები და ამოცანების გადაჭრის ალგორითმები. ინფორმაციული უზრუნველყოფის ამ ელემენტებისათვის ერთგვაროვანი ამოცანებისათვის დგინდება მზა საპროექტო გადაწყვეტილებები.

პროგრამულ უზრუნველყოფაში მოდული არის ამოცანის გადაჭრის პროგრამის ნაწილი, მაგალითად, მონაცემთა სორტირების, მასივების დაკორექტირების, მონაცემთა შეტანისა და რედაქტირების მოდულები. ტექნოლოგიურ უზრუნველყოფაში მოდულის სახით განიხილება მონაცემთა დამუშავების ტიპიური ოპერაცია, რომელიც წარმოადგენს მონაცემთა დამუშავების ტექნოლოგიური პროცესის ელემენტალური ნაწილს.

მოდულურ პრინციპზე დაფუძნებულია ინფორმაციული სისტემების ტიპიური დაპროექტება. გარდა ამისა ის იძლევა საპროექტო დოკუმენტაციის მიღების საშუალებას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს დაპროექტების დანახარჯებს.

გარდა ზემოაღნიშნული პრინციპებისა, სისტემური მიღვომის საფუძველში დევს აგრეთვე სისტემის უწყვეტი განვითარების და ახალი ამოცანების დასმის პრინციპი. ამ პრინციპის აუცილებლობა გამომდინარეობს მართვის პროცესების უწყვეტობიდან და მარალი დინამიურობიდან. თუმცა დაპროექტების ეტაპზე შეუძლებელია ყველა იმ ამოცანის გათვალისწინება, რომელიც შემდგომში ჩნდება სისტემის ფუნქციონირების დროს. ამიტომაც, ინფორმაციული სისტემა უნდა ფლობდეს ადაპტურობის თვისებას, რომელიც აძლევს მას საშუალებას მოქნილად შეიცვალოს თავისი ქვესისტემების სტრუქტურა და ფუნქციები ყველა იმ ცვლილებაზე საპასუხოდ, რომლებსაც შეიძლება ქონდეს ადგილი სისტემაში.

23.2. დაპროექტების ტექნოლოგია

ინფორმაციული თვალსაზრისით ტექნოლოგიური პროცესის საფუძველში დევს პროცესი, რომელიც წარმოადგენს დაპროექტების ოპერაციების გარკვეულ თანმიმდევრობას, რომელიც მიმართულია ეპონომიკური ინფორმაციული სისტემის პროექტის დამუშავებაზე.

ეპონომიკური ინფორმაციული სისტემის დაპროექტების პრაქტიკაში გამოიყენებენ სხვადსხვა ტექნოლოგიებს, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან

კომპიუტერული ბუღალტრული ალრიცხვა

მეთოდების, დაპროექტების საშუალებების, ორგანიზაციული ხერხების და ტექნიკური საშუალებების ერთობლიობით.

არსებობს გარკვეული განსხვავება ინფორმაციულ ტექნოლოგიისა და დაპროექტების ტექნოლოგიის მიზნებში.

ინფორმაციული ტექნოლოგიის მიზანს წარმოადგენს ადამიანის მიერ ინფორმაციის მიღება მისი ანლიზისა და მის საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღების მიზნით გარკვეული მოქმედების შესასრულებლად.

დაპროექტების ტექნოლოგიის მიზანს კი წარმოადგენს ინფორმაციული სისტემის პროექტის შექმნა მოთხოვნილი სამომხმარებლო თვისებებით, რომლებიც სისტემის ფუნქციონირების პროცესში აკმაყოფილებენ მომხმარებლის ინფორმაციულ მოთხოვნებს.


დაპროექტების მეთოდებისა და საშუალებების სიმრავლე, სხვაობა დამპროექტებლების კოლექტივის სტრუქტურაში, შემადგენლობაში და პროფესიულ დონეში, განაპირობებს ინფორმაციული სისტემის დაპროექტების პროცესის სირთულეს.

ინფორმაციული სისტემის დაპროექტება ხასიათდება მაღალი ღირებულებით, სხვადასხვა პროფილის სპეციალისტების მოზიდვით, რაც აისახება დაპროექტების ტექნიკოლოგიის სტრუქტურაზე. ზემოთქმულიდან გამომდინარე წარმოიშვება ინფორმაციული სისტემას დაპროექტების პროცესების ფორმალიზებული აღწერის აუცილებლობა, რომლის საფუძველში დგვს დაპროექტების ტექნოლოგიური ოპერაციის ცნება.

დაპროექტების ტექნოლოგიური ოპერაცია (დტო) არის პროცესის შედარებით დამოუკიდებელი ნაწილი, რომლისთვინაც განსაზღვრულია შესასვლელი – V, გამოსასვლელი – W, გარდამქნელი – T, საშუალებები – S, რესურსები – R, რომელიც საჭიროა გარდაქმნელის შესასრულებლად. დაპროექტების ტექნოლოგიური ოპერაცია შეიძლება იყოს წარმოდგენილი როგორც ვექტორული კორტექ:

დტო: $\langle V, T, W, S, R \rangle$.

დტო-ს გრაფიკული ინტერპრეტაცია წარმოდგენილია სურ.23.1.-ზე




სურ.23.1. დტო-ს გრაფიკული წარმოდგენა

დაპროექტების ტექნოლოგიური ოპერაცია წარმოადგენს შესასვლელის V გარდაქმნის პროცესს მოთხოვნილ გამოსასვლელში W აუცილებელი R რესურსების მოზიდვით და სათანადო საშუალებების S გამოყენებით. გარდაქმნელის T შესასვლელისა და W გამოსასვლელის კომპონენტები შეიძლება იყოს დოკუმენტები, პარამეტრები, პროგრამები. დაპროექტების ტექნოლოგიური ოპერაციის შესასვლელი შეიძლება იყოს წარმოდგენილი შემდგენ კომპონენტებით:

$$V = \{D_1, \dots, D_i, P_1, \dots, P_p, U_1, \dots, U_n, PR_1, \dots, PR_m\}$$

დაპროექტების ტექნოლოგიური ოპერაცია შეიძლება იყოს დეტალიზებული, როგორც ეს არის ნაჩვენები სურ. 23.2.



სურ. 23.2. დგტ-ს დეტალური წარმოდგენა


დოკუმენტი (D) – ფაქტების, მოვლენების, პირობების, მოთხოვნების აღმწერია. პარამეტრი (P) – დახასიათება, გარკვეული პირობა, შეზღუდვა დასაპროექტებელ სისტემაზე, მოცემული მყაფიო სახით. მაგალითად, ობიექტზე მომუშავეთა რაოდენობა, საპროექტო სამუშაოების დაფინანსების თანხა. უნივერსუმი (U) – დგტ-ის რომელიმე კომპონენტის მნიშვნელობების სრული ჩამონათვალი, მაგალითად, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემების სრული ჩამონათვალი, გამოყენებული კლასიფიკაციის სისტემები და კოდირების სისტემები. პროგრამა (PR) – მართვის ფუნქციის ან მონაცემთა დამუშავების სამანქანო რეალიზაციის საპროექტო გადაწყვეტა. გარდამქმნელი (T) – შესავლელის გამოსასვლელად გარდაქმნის ზოგიერთი მეთოდიკა ან(და) ფორმალიზებული ალგორითმი. დაპროექტების საშუალებები (S) – დაპროექტების ინსტრუმენტალური საშუალებები, ტიპიური საპროექტო გადაწყვეტები, გამოყენებითი პროგრამების პაკეტები.

ინსტრუმენტალური საშუალებები გამოიყენება დამპროექტებლების შრომის მწარმოებლურობის ამაღლების მიზნით და არ არის გათვალისწინებული კონკრეტული საპროექტო გადაწყვეტილებების მისაღებად. დანარჩენი დაპროექტების საშუალებები, ზრდიან რა დამპროექტებლების შრომის მწარმოებლურობას, იძლევიან კონკრეტულ საპროექტო გადაწყვეტებს.

დაპროექტების რესურსები - შრომითი, მატერიალური, ტექნიკური, გამოთვლითი რესურსები, რომლებიც მოიზიდება დგტ-ის გარდაქმნელის რეალიზაციისათვის (მაგალითად, პროგრამების ტრანსლიაციაზე და გამართვაზე ღირებულებითი დანახარჯები, ტექნიკური საშუალებების შეძენის დანახარჯები).

ინფორმაციული სისტემის დაპროექტების პროცესი არის დინამიური, მრავალბიჯიანი, რთული პროცესი. დაპროექტების პროცესის მართვის საკითხები შეიძლება იყოს ეფექტურად გადაჭრილი მისი ფორმალიზებული აღწერის შედეგად, რომლის საფუძველში დევს დაპროექტების ტექნოლოგიური ქსელის ცნება.

დაპროექტების ტექნოლოგიური ქსელი (დტს) – ეს არის შესავლელებისა და გამოსასვლელების მიხედვით ურთიერთდაკავშირებული დაპროექტების ტექნოლოგიური ოპერაციების თანმიმდევრობა, რომელსაც მივყევართ ინფორმაციული სისტემის მოთხოვნილი პროექტის დამუშავებამდე. სურ. 23.3.-ზე წარმოდგენილია დაპროექტების ტექნოლოგიური ქსელის აბსტრაქტული მაგალითი.



სურ. 23.3. დაპროექტების ტექნოლოგიური ქსელი

დგს-ს სირთულე, რომელიც განისაზღვრება გარდაქმნელების და მათ შორის კავშირების რაოდენობით, დამოკიდებულია დაპროექტების მეთოდებზე და საშუალებებზე.

23.3. ეკონ.ინფორმაციული სისტემის სასიცოცხლო ციკლი

თანამედროვე ტექნოლოგიები, რომლებიც გამოიყენება ეკონ.ინფორმაციული სისტემების დაპროექტების პროცესში გულისხმობენ სისტემის ეტაპობრივ დამუშავებას. მიზნების მიხედვით ეს ეტაპები შეიძლება იყოს გაერთიანებული სტადიების მიხედვით. იმ ეტაპებისა და სტადიების თანმიმდევრობას, რომელსაც გადის ეკონ.ინფორმაციული სისტემა თავისის განვითარების პროცესში დაწყებული გადაწყვეტილების მიღებიდან მისი შექმნის შესახებ და დამთავრებული მისი ფუნქციონირების შეწყვეტით, უწოდებენ ეკ.ინფორმაციული სისტემის სასიცოცხლო ციკლს.

ეკონ.ინფორმაციული სისტემის სასიცოცხლო ციკლის მოდელები, რომლებიც განსაზღვრავენ დაპროექტების პროცესში მისი სტადიებისა და ეტაპების შესრულების მიმდევრობას განიცდიდნენ მნიშვნელოვან ცვლილებებს. განვიხილოთ სასიცოცხლო ცილის ყველაზე ცნობილი მოდელები.

კასკადური მოდელი – ხასიათდება თანმიმდევრობითი გადასვლით შემდგომ ეტაპზე წინა ეტაპის დასრულების შემდეგ. ამ მოდელისათვის დამახასიათებელია ცალკეული არადაკავშირებული ამოცანების ავტომატიზაცია, რომელიც არ მოითხოვს ინფორმაციულ ინტეგრაციას და შეთავსებადობას, პროგრამულ, ტექნიკურ და ორგანიზაციულ შეპირაპირებას.

იტერაციული მოდელი – გულისხმობების წინა ეტაპებთან იტერაციულ დაბრუნებას შემდეგი ეტაპის დასრულების მერე. კომპლექსური ეკ.ინფორმაციული სისტემების შექმნა გულისხმობების დამყარებას საპროექტო გადაწყვეტილებებს შორის, რომლებიც მიღება ცალკეული ამოცანების რეალიზაციის დროს. დაპროექტებისადმი მიღვოდა “ქვევით” ზევით” იწვევს ასეთი იტერაციული დაბრუნებების აუცილებლობას, როდესაც საპროექტო გადაწყვეტილებები ცალკეული ამოცანების მიხედვით ერთიანდებიან საერთო სისტემურ გადაწყვეტილებებად. ასეთი მოდელის უარყოფითი თვისება არის ეკ.ინფორმაციული სისტემის ფუნქციონალური და სისტემური არქიტექტურის არეულობა.


სპირალური მოდელი – წარმოადგენს პროტოტიპულ მოდელს, რომელიც გულისხმობებს პროტოტიპის ნელ-ნელა გაფართოვებას. ამ მოდელში გამოყენება ეკ.ინფორმაციული სისტემის დაპროექტებისადმი მიღვოდა – “ზემოდან ქვევით”, როდესაც პირველ რიგში განისაზღვრება ფუნქციონალური ქვესისტემების შემადგენლობა, მერე კი დგინდება ცალკეული ამოცანები. შესაბამისად, ჯერ მუშავდება ისეთი ზოგად სისტემური ამოცანები, როგორიც არის ინტეგრირებული მონაცემთა ბაზის ორგანიზება, ინფორმაციის დაგროვების, გადაცემისა და შენახვის ტექნოლოგიები, შემდეგ კი კონკრეტული ამოცანების გადაჭრის ტექნოლოგია. სპირალური მოდელის საფუველში დევს ისეთი პროტოტიპული ტექნოლოგია, როგორიც არის RAD (Rapid Application Development). ამ ტექნოლოგიის თანახმად ეკონ.ინფორმაციული სისტემა მუშავდება პროგრამული პროტოტიპების გაფართოვების გზით, როდესაც მეორდება გზა მოთხოვნების დეტალიზაციიდან პროგრამული კოდის დეტალიზაციამდე. პროტოტიპული ტექნოლოგიის დროს მცირდება იტერაციების რაოდენობა, წარმოიშვება ნაკლები შეცდომა და შეუსაბამობა, მარტივდება საპროექტო დოკუმენტაციის შექმნა, სწარვდება დაპროექტების პროცესი. სასიცოცხლო ციკლი

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

RAD-ტექნოლოგიის გამოყენების დროს გულისხმობს საბოლოო მომხმარებლის აქტიურ მონაწილეობას დამუშავების ყველა ეტაპზე.

დღეისათვის ეკინფორმაციული სისტემის სასიცოცხლო ციკლში გამოყოფენ შემდეგ სტადიებს (სურ. 23.4):

წინასაპროექტო
ტექნიკური პროექტი,
სამუშაო პროექტი
დანერგვა.



სურ. 23.4. ეკინფორმაციული სისტემის სასიცოცხლო ციკლის სტადიები

23.4. სასიცოცხლო ციკლის სტადიებზე სამუშაოების შემადგენლობა და შინაარსი

თითოეული ობიექტისათვის სამუშაოების სტადიებისა და ეტაპების დაგენარალობის წინასაპროექტო სტადიაზე და მათი ამოირჩევა ხდება ობიექტის სირთულიდან და საპროტექტო გადაყვეტილებებიდან გამომდინარე.

წინასაპროექტო სტადია გულისხმობს საწარმოს არსებული მართვის სისტემას ღრმა და გულმოდგინე შესწავლას ეკინფორმაციული სისტემის შექმნის და ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის დასაბუთების, სრულყოფილი ინფორმაციული სისტემის გადაწყვეტილებების და ახალი სისტემისადმი ძირითადი მოთხოვნების გამომუშავების მიზნით. ამისათვის დეტალურად შეისწავლება ავტომატიზაციის ობიექტი. წინასარპროექტო სტადიაზე სამუშაოების კომპლექსი სრულდება რამდენიმე ეტაპად:

დაპორეექტების ობიექტის შესახებ მასალის დაგროვება;

კვლევის მასალების დამუშავება და ანალიზი;

დასაპროექტებელი სისტემისადმი მოთხოვნების ფორმირება.

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

მასალების დაგროვების ეტაპზე კვლევები ტარდება სამი მიმართულებით.

პირველი მიმართულება მოიცავს ინფორმაციის მიღებას ობიექტის ეკონომიკის, მისი საწარმოო საქმიანობის, საქმიანობის მაჩვენებლების შესახებ. შესწავლის შედეგები წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი აღწერების სახით.

მეორე მიმართულება გულისხმობს სისტემის მართვის აპარატის ორგანიზაციულ-ფუნქციონალური სტრუქტურის შესწავლას და მდგომარეობს მართვის ფუნქციების შესწავლაში. კვლევას ექვემდებარება მართვის ყველა ფუნქცია. ამ დროს დგინდება იმ ამოცანების კომპექსი, რომელთა შესრულება განპირობებულია შესაბამისი მართვის ფუნქციის რეალიზაციით, და მიეთითება შემავალი და გამომავალი ინფორმაცია თითოეული ამოცანის მიხედვით. კვლევის შედეგები წარმოდგენილი უნდა იყოს მართვის აპარატის სტრუქტურული სქემის სახით, რეალიზებული ფუნქციების და ამოცანების მატრიცის, ამოცანების დახასიათებით შესასვლელ/გამოსასვლელების და ინფორმაციის მომხმარებლის მითითებით.

მესამე მიმართულება დაკავშირებულია ინფორმაციული ნაკადების შესწავლასთან. ამ დროს განისაზრვრება ნაკადების მოძრაობის მიმართულებები, მისი სტრუქტურული კომპონენტები, წარმოშვის სისტემები და დამუშავების პროცედურები. კვლევის შედეგები უნდა იყოს წარმოდგენილი კვლევის დოკუმენტების სახით, რომლებშიც ასახულია ინფორმაციის მატრებლების ზოგადი დახასიათება.

კვლევის მასალების დამუშავებისა და ანალიზის ეტაპზე წარმოებს სამი სახის ანალიზი: სისტემური, ფუნქციონალური და ინფორმაციული ნაკადების ანალიზი.

სისტემური ანალიზის შედეგად ფორმირდება მართვის სისტემის სრულყოფის მიზნები და მუშავდება სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობის კრიტერიუმები. მიზნები ფორმირდება ეკონომიკური, ტექნიკური და სოციალური განვითარების გეგმების საფუძველზე, ასევე ორგანიზაციის სარამოო-სამეცურნეო საქმიანობის ანალიზის საფუძველზე და შედეგებს წარმოადგენენ იერარქიული, მრავალსაფეხურიანი ხის სახით, რომლის თითოეული დონე დაახლოვებით შეესაბამება მართვის სისტემის გარკვეულ დონეს. დამუშავებული მიზნების ხის საფუძველზე განისაზრვრება დასაკროექტებელი სისტემის ფუნქციონირების კრიტერიუმები, რომლებიც წარმოადგენენ ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების სისტემას, რომელთა დონე უნდა იყოს მიღწეული ეკინფორმაციული სისტემის შექმნისა და ფუნქციონირების შედეგად.

ფუნქციონალური ანალიზი გულისხმობს მართვის ფუნქციების ანალიზს, რომლებთა რეალიზაცია ხდება სისტემაში. ამ ანალიზისთვის გამოიყენება გამოკვლევის მასალები, რომლებიც აღწერენ ობიექტის ორგანიზაციულ-ფუნქციონალურ სტრუქტურას, და დამუშავებულ მიზნების ხეს. მიზნებიდან სტრუქტურაზე გადასასვლელად გამოიყენებენ რეალიზებული ფუნქციების მატრიცას, რომელსაც დადებენ მიზნების ხეს და აფორმირებენ ფუნქციებს, რომლებიც შეესბამებიან განსხვავდებულ მიზნებს. ამის შედეგად მიიღება მართვის ფუნქციების სრული ჩამონათვალი, რომელიც უზრუნველყოფს დახმული მიზნების მიღწევას. მართვის ფუნქციების სისტემა იშლება ამოცანების კომპლექსის სახით, რომელიც უნდა დაიდოს მართვის სისტემის ცალკეული რგოლების თანამშრომლების ვალდებულებების ჩამოყალიბების საფუძვლად.

ინფორმაციის ნაკადების ანალიზი გულისხმობს ნაკადის სტრუქტურული კომპონენტების და მოძრაობის მარშრუტების შესწავლას. ანალიზის შედეგად გამოითვლება ნაკადის პარამეტრები, რომლებიც ახასიათებენ მაგალითად, ინფორმაციის სტაბილურობას, ერთი ქვეანუროფილებიდან მეორეში გადაცემის მიმართულობას, ინფორმაციულ ურთიერთდაკავშირებას თითოეული ქვეგანუროფილებისა სისტემასთან, შემოსასვლელი და გამოსასვლელი ინფორმაციის შეფარდებას აგადასაწყვეტი ამოცანების კომპლექსების მიხედვით და ა.შ. ინფორმაციის ნაკადების ეს პარამეტრები იძლევა საშუალებას შეირჩეს ტექნიკური საშუალებების კომპლექსი და ჩამოყალიბდეს მოთხოვნები ინფორმაციული და პროგრამული უზრუნველყოფისადმი.

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

მესამე დასკვნითი ანალიზის ეტაპზე დასაპროექტებელი სისტემისადმი მოთხვების ფორმირების ეტაპზე დგინდება მართვის აპარატის ფუნქციონალური სტრუქტურის და გადასაჭრელი ამოცანების კომპელქსების აღწერა, მიმდინარეობს ობიექტის მართვისათვის მომხმარებლისთვის საჭირო ინფორმაციის გაცემის რეჟიმების ჩამოყალიბება, ფორმირდება მოთხოვნები ტექნიკური საშუალებების შემადგენლობისადმი, სისტემის ინფორმაციული ბაზის ორგანიზაციისა და სტრუქტურისადმი, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემებისადმი და აქედან გამომდინარე მოთხოვნები სისტემის პროგრამული უზრუნველყოფისადმი.

წინასაპროექტო სტადიაზე მუშავდება ორი ძირითადი დოკუმენტი: ტექნიკურ-გონიმიკური დასაბუთება (ტედ) და ტექნიკური დავალება (ტდ), რომლებიც განკუთვნილია ეკონომიკური ინფორმაციული სისტემის შექმნის საწარმოო-სამუშავეო აუცილებლობის და ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის დასაბუთებისათვის. ტედ-ში იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც ახასიათებენ ორგანიზაციის საწარმოო შესაძლებლობებს გამოშვებული პროდუქციის მოცულობის და ხარისხის ზრდას, მატერიალური და შრომით დანახარჯების შემცირებას ეკონომიკური ინფორმაციული სისტემის შექმნის ხარჯზე, კეთდება ავტომატიზაციის ფუნქციების შერჩევის დასაბუთება მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტის მიღების გათვალისწინებით.

ტედ-ის გათვალისწინებით მუშავდება ტექნიკური დავალება ინფორმაციული სისტემის შექმნისათვის, რომელიც ადგენს პროექტის დაპრევექტებისა და დანერგვის თანმიმდევრობას ტიპიური საპროექტო გადაწყვეტების და გამოყენებითი პროგრამების პაკეტების გამოყენების შესაძლებლობების გათვალისწინებით. ტექნიკური დავალების შინაარსი განიხილება დირექციის მიერ მართვის აპარატის წამყვანი სპეციალისტების მონაწილეობით და მტკიცდება დადგენილი წესით.

ტექნიკური პროექტი მოიცავს ძირითად საპროექტო გადაწყვეტილებებს ეკინფორმაციული სისტემას შექნასთან დაკავშირებით, სისტემის შექმნის დაზუსტებულ დანახარჯებს და ძირითად ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს. ტექნიკური პროექტის დამუშავების პროცესში შესაძლებელია სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო და ექსპერიმენტალური სამუშაოების ჩატარება უფრო ეფექტური გადაწყვეტილებების მისაღებად. ტექნიკური დაპროექტება ტარდება სისტემის დამუშავების ზოგადი გრაფიკის თანახმად და რეგლამენტირდება დამკვეთსა და შემსრულებელს შორის ხელშეკრულების მიხედვით. დამუშავებული ტექნიკური პროექტი გადაეცემა დამკვეთს განხილვისა და დამტკიცებისათვის.

ინფორმაციული სისტემის სამუშაო პროექტი დგინდება დამტკიცებული ტექნიკური პროექტის საფუძვლზე და მოიცავს აუცილებელი დოკუმენტაციის დამუშავებას, რომელიც საჭიროა ინფორმაციული სისტემის გამართვისათვის, დანერგვისათვის და ნორმალური ფუნქციონირებისათვის. სამუშაო პროექტი აგრეთვე შედგება სხვადასხვა სახის თანამდებობრივი ინსტრუქციებისაგან, რომლებიც განსაზღვრავს მუშაკების უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც დაკავშირებულია ეკინფორმაციულ სისტემაში ინფორმაციის დაგროვებასთან, რეგისატრაციასთან, გადაცემასტან და დამუშავებასთან.

დანერგვის სტადიაზე იგულისხმება მთელი რიგი ლონიძიებების ჩატარება, რომლებსაც მიაკუთვნება:

მატერიალურ-ტექნიკური და ნორმატიული ბაზის მომზადება;
პერსონალის მომზადება სამუშაოდ ინფორმაციული სისტემის ფუნქციონირების პირობებში;

საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური დოკუმენტაციის მოწესრიგება კომპიუტერული დამუშავების მოთხოვნების თანახმად;

საწარმო და მმართველობითი სტრუქტურის სრულყოფა;

მეტარიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაცია და ა.შ.

ეკონიფორმაციული სისტემის დანერგივსათვის საწარმოს მომზადება სრულდება აქტით, რომელიც წარმოადგენს საფუძველს სისტემის საცდელი ექსპლუატაციის დაწყებისათვის. საცდელი ექსპლუატაცია მდგომარეობს სისტემის

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

ფუნქციონირების შემოწმებაში საწარმოო პირობებში შესაბამისი ტექნიკური და პროგრამული საშუალებების გამოყენებით, როლებიც გათვალისწინებულია ტექნიკური პროექტით. საცდელი ექსპლუატაციის პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს:

იმ ობიექტების ჩამონათვალს, როლებიც გადიან საცდელ ექსპლუატაციას;

ამოცანების შემოწმების მეთოდებს და თანმიმდევრობას ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე;

ამოცანების გადაჭრის სისტორის შემოწმების მეტოდები და თანმიმდევრობა;

ინფორმაციული სისტემის ტექნიკური საშუალებების შემოწმების თანმიმდევრობა და ა.შ.

საცდელი ექსპლუატაციის დადებითი შედეგების შემთხვევაში დგება ორმხრივი აქტი სისტემის ჩაბარების შესახებ საწარმოო ექსპლუატაციაში. კონინფორმაციული სისტემის საწარმოო ექსლუატაციში მიღების შემდეგ პროექტის ფუნქციონირებაზე და მის მხარდაჭერაზე პასუხისმგებლობას იღებს თავის თავზე დამკვეთი.

23.5. ეკ.ინფორმაციული სისტემის მომხმარებლებისა და დაპროექტებლების ურთიერთქმედება

ეკ.ინფორმაციული სისტემის დაპროექტების პროცესში დამპროექტებელი და მომხმარებელი მუდმივად არიან ურთიერ თანამშრომლობის მდგომარეობაში. მომხმარებელის როლში როგორც წესი არიან იმ ორგანიზაციის თანამშრომლები, რომლისთვინაც მუშავდება ეკ.ინფორმაციული სისტემის პროექტი. პროექტის შექმნაში მონაწილეობას იღებენ სისტემის დამპროექტებილი და დამკვეთი ორგანიზაციის სპეციალისტები.

დაპროექტების პირველ სტადიაზე დამკვეთის- ორგანიზაციის სპეციალისტების აზრი, რომლებიც კარგად იცნობენ ორგანიზაციის ეკონომიკასა და ტეცნოლოგიას, არის ძირითადი და გადამწყვეტი ეკ.ინფორმაციული სისტემის შექმნისა და მის მიმართ მოთხოვნების ფორმულირების საკითხებში. ისეთი მნიშვნელოვანი საბუთი, როგორიც არის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება ფორმირდება ძირითადად დამკვეთის მიერ. შემდგომ ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების საფუძველზე სისტემის დამპროექტებელი სპეციალისტების მიერ დამკვეთონ ერთად დგინდება ტექნიკური დავალება სისტემის შექმნაზე.

ტექნიკური და სამუშაო პროექტის სტადიებზე მომხმარებლები იღებენ თავის თავზე კონსულტანტების როლს ეკონომიკურ საკითხებში, ხოლო დანერგვის სტადიაზე - ყველა სამუშაოს ობიექტის დანერგივსათვის მოსამზადებლად.

განვიხილოთ სისტემის დაპროექტების დროს სპეციალისტების ზოგიერთი მახასიათებელი და მათი კომპეტენტურობის დონე.

დაპროექტების პროცესის ყველა მონაწილის საქმინობის კოორდინაციას აწარმოებს პროექტის მთავარი კონსტრუქტორი, რომელიც უნდა იყოს ძალიან მაღალი კლასის სპეციალისტი პრაქტიკული მუშაობის დიდი გამოცდილებით ინფორმაციული სისტემების დაპროექტების საკითხებში. ის აწარმოებს დაპროექტების ზოგად ხელმძღვანელობას, უზრუნველყოფს ყველა მონაწილეს მუშაობის შეთანხმებულობას დაპროექტების სხვადასხვა სტადიაზე და ზოგადად პასუხისმგებელია პროექტზე.

გამოთვლითი ტექნიკის სისტემური გამოყენების სპეციალისტები უნდა იცნობდნენ ეკონომიკური ობიექტის ფუნქციონირების ზოგად მიმართულებებს, სწორად უნდა იყენებდნენ მართვაში ეკონომიკურ-მათემატიკურ მეთოდებს და გამოთვლით ტექნიკას. ამ ჯგუფში შედიან ინჟინერ-სისტემოლოგექნიკოსები, ეკონომისტ-ანალიტიკოსები, ინჟინერ-ეკონომისტები ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების ავტომატიზაციაში. ამ ჯგუფის სპეციალისტების საშუალებით ტარდება მართვის არსებული სისტემის კვლევა, ფორმირდება მოთხოვნები სხვადასხვა სახის სისტემურ

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

უზრუნველყოფებისადმი, ტარდება მართვის ფუნქციების ფორმალიზებული აღწერა და მიმდინარეობს ამოცანების დასმის შემუშავება, დაპრექტდება ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგიები.

მათემატიკური უზრუნველყოფის სპეციალისტები, რომლებსაც მიაკუთვნებენ ინჟინერ-პროგრამისტებს, მათემატიკოს-პროგრამისტებს, პროგრამისტებს, სისტემურ-პროგრამისტებს, ამუშავებენ პროგრამებს და აწარმოებენ მათ გამართვას, ანალიზს უკეთებენ და ირჩევენ საჭირო პროგრამულ საშუალებებს, იღებენ აქტიურ მონაწილეობას ინფორმაციული სისტემის დანერგვაში და მის შემდგომ ფუნქციონირებაში.

ინფორმაციული უზრუნველყოფის და მონაცემთა დამუშავების ტექნოლოგიების სპეციალისტები განსაზღვრავენ მოთხოვნებს ინფორმაციული და ტექნიკური უზრუნველყოფის მიმართ, ადგენენ ობიექტის ინფორმაციული ბაზის შემადგენლობასა და შიგთავს, აწარმოებენ ამოცანების დასმას, აპროექტებენ შეგროვების, გადაცემისა და ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგიას, ადგენენ საჭირო ინსტრუქციებს სამუშაო პროექტის სტადიაზე.

ორგანიზაციულ-ეკონომიკური უზრუნველყოფის და შრომის სამეცნიერო ორგანიზაციის სპეციალისტები მონაწილეობას იღებენ ქსელური გრაფიკების შედგენაში დაპროექტების ყველა სტადიაზე, მონაცემთა დამუშავების სისტემების ეკონომიკური ეფექტურობის გაანგარიშებაში, ინფორმაციული სისტემის მუშავების შრომის სამეცნიერო ორგანიზაციაში.

დამკვეთი ორგანიზაციის სპეციალისტების შემადგენლობაში შედიან სხვადასხვა სპეციალისტების ჯგუფები, კერძოდ წარმოების ორგანიზაციის ინჟინერები, ეკონომისტები, დაგეგმვის სპეციალისტები, აღრიცხვის სპეციალისტები, ცენტრის უფროსები და ა.შ. მათი საშუალებით დგინდება ობიექტის საწარმოო და მმართველობითი საქმიანობის დახასიათება, ობიექტის განვითარების პერსპექტივები, მართვის სისტემის სრულყოფის მიზნები, ინფორმაციული სისტემის ეფექტურობის კრიტერიუმები. დამკვეთი ორგანიზაციის სპეციალისტები აწარმოებენ კონსულტაციებს ტექნიკურ-ეკონომიკურ საკითხებში და იღებენ აქტიურ მონაწილეობას სამუშაოებში დანერგვის სტადიაზე.

ეკინფორმაციული სისტემის უზრუნველყოფა მაღალკვალიფიციური კადრებით ხელს უწყობს მის ეფექტურ ფუნქციონირებას.

23.6. ინფორმაციული სისტემების დაპროექტების მეთოდები

ინფორმაციული სისტემის დაპროექტების დროს გამოიყენება დაპროექტების განსხვავებული მეთოდები. ეკინფ.სისტემის დაპროექტების მეთოდი – არის სისტემის პროექტის შექმნის ხერხი, რომლის მხარდაჭერა ხდება დაპროექტების სხვადასხვა საშუალებებით.

განიხილავთ დაპროექტების შემდეგ მეთოდებს:
ორიგინალური (ინდივიდუალური) დაპროექტება,
ტიპიური დაპროექტება,
ავტომატიზირებული დაპროექტება.

ორიგინალური დაპროექტების მეთოდება პპოვეს დიდი გავცელება ეკიფორმაციული სისტემების დაპროექტებაში. მათ ძირითად მიზანს წარმოადგენს პროექტის შემუშავება, რომელიც მიმართულია ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი ამოცანების გადასაჭრელად მომხმარებლების მოთხოვნების თანახმად. ინდივიდუალური მეთოდის დროს პროექტის შემუშავება წარმოებს თითოეული წარმოებისათვის ან ორგანიზაციისთვის ცალ-ცალკე, რაც მოითხოვს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დიდი რაოდენობის მოზიდვას. ძირითადი

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

დადებითი თვისება ასეთი მეთოდისა რის ის, რომ ამ შემთხვევაში პროექტი მაქსიმალურად ასახავენ მართვის ობიექტის ყველა თვისებურებას, რომლისთვისაც იქმნება ინფორმაციული სისტემა. უარყოფით თვისებად ამ მეთოდისა შეგვიძლია მიუთუთოთ:

შედარებით მაღალი ღირებულებითი და შრომითი დანახარჯები,
პროექტის შემუშავების ხანგრძლივი ვადები,

აღრიცხვის, დაგეგმვის და ობიექტის საქმიანობის ანალიზის ამოცანების კომპლექსური დაკავშირების პრობლემები,

საპროექტო გადაწყვეტილებების ადაპტურობის დაბალი ხარისხი და შესაბამისად მათი ფუნქციონალური არამდგრადობა.

ტიპიური დაპროექტება ითვალისწინებს დაგეგმვის, აღრიცხვის და საქმიანობის ანალიზის ზოგად მეთოდებს, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშების საერთო მეთოდებს, ეკონომიკური ამოცანების გადაჭრის ერთ-ტიპიანობას და მათი კომპიუტერული რეალიზაციის მეთოდებს, ასევე ყველა საწარმოსათვის სავალდებულო საკანონმდებლო, მეთოდოლოგიურ და ინსტრუქციულ დებულებებს.

ტიპიური დაპროექტების მიზანია ტიპიური პროექტების შემუშავება, რომლებიც განკუთვნილია ერთი ტიპის ორგანიზაციებისათვის და საწარმოებებისათვის. ტიპიური დაპროექტების საფუძველში დავს ეკონომიკური ობიექტების ტიპიზაცია მთავარი პარამეტრების მიხედვით. ტიპიზაციია მიიღწევა სისტემის დეკომპოზიციის საშუალებით შემადგენელ კომპონენტებად, მათი მსგავსებისა და განსხვავების მოქებით, გამოვლენილი ელემენტების თვისებებისა და შეფარდებების აღწერით.

ტიპიზაცია იძლევა საშუალებას მრავალი ელემენტისაგან გამოირჩეს მოცემული ობიექტისათვის (საწარმო, ფირმა, დარგი, ტერიტორიული ერთეული) საერთო ელემენტები, ჩატარდეს სტანდარტული ბლოკების აგრეგაცია (გაერთიანება) და შეიქმნას ტიპიური პროექტი.

ტიპიური პროექტი გამოიყენება როგორც ეტალონი, რომელიც იძლევა საშუალებას შეფასდეს საპროექტო სამუშაოების მოცულობა და შემადგენლობა, განისაზღვროს დასმული ამოცანების გადაჭრის პრონციპები და გამოყენებულ იქნას ტიპიური საპროექტო მასალები სხვა ობიექტებისათვოს.

დარგობრივი ტიპიური პროექტები გამოიყენება ერთგვაროვანი საწარმეოებისათვის და ორგანიზაციებისათვის ერთი დარგიდან. დარგთაშორისო ტიპიური პროექტები შემუშავდება საწარმოებების ჯგუფისათვის განსხვავებული დარგებიდან, მაგრამ რომლებსაც გააჩნიათ ამოცანების გადაჭრის ერთგავროვანი სერხები, მაგალითად ტიპიური პროექტები მასალების არსებობისა და მოძრაობის აღრიცხვისას, ძირითადი საშუალებების აღრიცხვისას, ფულადი და ფინანსური საშუალებების აღრიცხვაში.

ტიპიზაცია იძლევა ერთიანი ორგანიაციული, ტექნიკური და ტექნოლოგიური, ინფორმაციული და პორგრამული გადაწყვეტილებების გამოყენების საშუალებას ერთნაირი მართვის ობიექტებისათვის.

ტიპიური პროექტების გამოყენება იძლევა საშუალებას შემცირდეს ეკონომიკური ინფორმაციული სისტემის შემქნის ვადები და დანახარჯები საშუალო 20-30%-ით და მკვეთრად გაიზარდოს დაპროექტებლების შრომის მწარმოებლურობა, შეიქმნას შრომის ავტომარტიზაციის პირობები. უარყოფით თვისებად შეიძლება ჩავთვალოთ ტიპიური პროექტის კონკრეტულ ობიექტთან მიბმის აუციებლობა.

ავტომატიზირებული დაპროექტების მეთოდი იძლევა საშუალებას ახლინდებურად გადაიჭრას რთული სისტემების დაპროექტების საკითხები და ამოცანები. ავტომატიზირებული დაპროექტების მეთოდი ეკრანობა მოდელურ მეთოდს.

ინფორმაციული სისტემის მოდელს უწოდებენ მისი თვისებების ასახვას სისტემის კომპონენტების და მათ შორის კავშირების ფორმალიზებული აღწერის საშუალებით გარკვეული ენის გამოყენებით (ბუნებრივი, ალგორითმული, მათემატიკური, გრაფიკული). მოდელის აგების მთავარ მიზანს წარმოადგენს არსებული სისტემიდან ახალ სისტემაზე ავტომატიზირებული გადასვლის უზრუნველყოფა.

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

ძირითადი საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოდელური დაპროექტების მეთოდს, წარმოადგენენ ავტომატიზირებული დაპროექტების სისტემებს. ამ დაპროექტების დროს წარმოებს ინფორმაციული სისტემის პიპოტეტური მოდელის დაპროექტება, რომლის ბაზაზედაც ფორმირდება კონკრეტულუ მართვის ობიექტის ორგანიზაციულ-ეკონომიკური მოდელი. მასში უნდა იყოს დეტალიზებული ყველა კაშირი ინფორმაციულ კომპონენტებს შორის, რომლებიც დამახასიათებელია ობიექტისათვის, და ინფორმაციის გარდაქმნის ალგორითმები.

პიპოტეტური მოდელის საშუალებით შეიძლება თბიექტის შესახებ ინფორმაციის დაგროვება და შენახვა გარევეული ობიექტების კლასისათვის, და კონკრეტული ობიექტებისათვის ინფორმაციული სისტემის მოდელის შემუშავება მიმდინარეობს ამ ობიექტის პარამეტრებზე აწყობის საშუალებით. ეს მოდელი საშუალებას იძლევა შეიქმნას ახალი ინფორმაციული სისტემის პროექტი.

მოცემული ტექნოლოგია იძლევა საშუალებას შეიქმნას სისტემა-პროტოტიპი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ვაწარმოოთ დაკვირვება მომავალი სისტემის ქცევაზე, შესაძლებელია დაზუსტდეს მისი მოთხოვნები, ოპერატორულად დამუშავდეს (მოდიფიცირდეს) მენიუები, გამოსასვლელი დოკუმენტები, დიალოგები, ფუნქციები, მონაცემთა დამუშავება და ა.შ. სისტემა-პროტოტიპი წარმოადგენს ინფორმაციული სისტემის სპეციფიკაციას. სისტემა-პროტოტიპის პროექტი მოიცავს:

ობიექტის ორგანიზაციულ-ფუნქციონალურ სტრუქტურას;

სხვა სისტემებთან კავშირების ხასიათს;

მართვის ფუნქნიცების ჩამონათვალს და მათი რეალიზაციის პრინციპებს;

იმ ამოცანების ჩამონათვალს, რომელთა გადაჭრა აუცილებელია მოცემული მართვის ფუნქციების გადასაჭრელად;

ფაილების შემადგენლობასა და სტრუქტურას;

შემავალი დოკუმენტების ფორმებს;

ინფორმაციის შეტანა-გამოტანის ეკრანულ ფორმებს;

გამოსასვლელი დოკუმენტების მაკეტებს;

ეკრანის მენიუებს;

მონაცემთა დამუშავების ტიპიურ ტექნოლოგიურ პროცესებს;

დიალოგის მართვის პროგრამებს;

ამოცანების გადაჭრის პროგრამებს.

ავტომატიზირებული დაპროექტების პროცესი ატარებს იტერაციულ ხასიათს, და მოითხოვს არაერთჯერად და ოპერატორულ მიმართვას კომპიუტერთან.

ავტომატიზირებული დაპროექტების მეთოდი იძლევა საშუალებას გაუმჯობესდეს ინფორმაციული სისტემის პროექტის ხარისხი, შემცირდეს დანახარჯები, იზრდება სისტემის ფუნქციონალური საიმედობა და უნივერსალურობა. დაპროექტების ვადები მნიშვნელოვნად მცირდება.

23.7. ინფორმაციული სისტემების დაპროექტების საშუალებები (ინსტრუმენტები)

დაპროექტების საშუალებაში გულისხმობენ გარკვეულ ზოგად გარდაქმნელს, რომელიც კომპიუტერის საშუალებით უკეთებს რეალიზაციას რამდენიმე ურთიერთ დაკავშირებულ ტექნოლოგიურ ოპერაციას, სხვადასხვა სამუშაოს ქვესისტემებისა და მთლიანად სისტემის დასაპროექტებლად.

დაპროექტების საშუალებებს მიაკუთვნებენ გამოყენებით პროგრამულ პაკეტებს (გპპ), ავტომატიზირებული დაპროექტების სისტემებს, დაპროექტების კომპლექსურ საშუალებებს. დღეისათვის არსებობს დაპროექტების საკმაოდ მდიდარი საშუალებების ნაკრებები, ამიტომ ინფორმაციული სისტემის შექმნის დროს მნიშვნელოვან ამოცანას

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

წარმოადგენს ამ საშუალებების შერჩევა. თანამედროვე დაპროექტების საშუალებები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

უნდა იყვნენ უნივერსალურები და გამოიყენებოდნენ განსხვავებული ობიექტებისათვის;

უნდა გააჩნდეთ ფუნქციონალური შესაძლებლობების ტიპიზაციისა და მათი მაქსიმალური ავტომატიზაციის თვისება;

უნდა იყვნენ ადაპტური ობიექტის კონკრეტული პარამეტრებისადმი და მოქნილები;

უნდა იყვენენ ადვილად ასათვისებელი და მარტივად გამოსაყენებელი;

დაპროექტების პროცესში უნდა გააჩნდეთ დამპროექტებლის კომპიუტერთან ინტერაქტიული ურთიერთობის შესაძლებლობა;

უნდა იყვნენ ეკონომიურად ეფექტურები.

დაპროექტების საშუალებებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ გამოყენებითი პროგრამების პაკეტებს (გპპ). მათში გამოყოფენ:

ზოგადი დანიშნულების გპპ, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული ნებისმიერი ტიპის ინფორმაციული სისტემის შექმნის დროს;

გპპ, რომლებიც გამოიყენება ინფორმაციული სისტემების შესაქმნელად სხვადასხვა საგნობრივი სფეროდან.

ზოგადი დანიშნულების პროგრამულ პაკეტებში შეგვილია გამოვყოთ პაკეტები, რომლებიც რეალიზაციას უკეთებენ ინფორმაციის დამუშავების ტიპიურ პროცედურებს, რომლებიც შეიძლება იყოს წარმოდგენილი ტიპიური ოპერატორების ნაკრებებით და რომლებიც შედის სტანდარტულ პროგრამებში. სტანდარტული პროგრამები მნიშვნელოვნად ამცირებენ დანახარჯებს ინფორმაციის დამუშავების პროცესების დაპროექტებაზე. ინფორმაციული სისტემების დაპროექტების პროცესში გამოიყენებენ შემდეგ ზოგად გპპ-ებს: ტექსტურ რედქტორებს, ელექტრონულ ცხრილებს, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემებს, გრაფიკულ პაკეტებს და პროგრამებს.

სხვადასხვა საგნობრივი სფეროს ინფორმაციული სისტემების შესაქმნელად გამოიყენებენ შემდეგ გპპ-ებს:

მეთოდ-ორიენტირებული გპპ,

პრობლემურ-ორიენტირებული გპპ,

გამოთვლითი პროცესების ორგანიზაციის გპპ;

დაპროექტების ავტომატიზაციის;

საოფისე

საკანონმდებლო სისტემების და ა.შ.

მეთოდ-ორიენტირებული გპპ მოიცავს შემდეგ ქვეპლასებს:

გპპ, რომელიც რეალიზაციას უკეთებენ ქსელური დაგეგმვისა და მართვის მეთოდებს;

გპპ, რომლებიც ახდენენ დისკრეტული პროგრამირების ამოცანების გადაჭრას;

გპპ, რომლებიც რეალიზაციას უკეთებებს არაწრფივი პროგრამირების ამოცანების გადაჭრას;

იმიტაციური მოდელირების გპპ;

მათემატიკური სტატისტიკის გპპ.

პრობლემურ-ორიენტირებული გპპ-ის კლასები მოიცავს შემდეგ ქვეპლასებს:

ავტომატიზირებული ბუღალტრული აღრიცხვის გპპ;

ფინანსური საქმიანობის გპპ;

პერსონალის მართვის გპპ;

წარმოების მართვის გპპ და სხვა.

პრობლემურ-ორიენტირებული გპპ-ის სფეროს განვითარების ძირითადი ტენდენციები არის:

პროგრამული კომპლექსების შექმნა პერსონალის ავტომატიზირებული სამუშაო აღგილის სახით;

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

საგნობრივი სფეროს მართვის ინტეგრირებული სისტემის შექმნა კომპიუტერული ქსელების საფუძველზე; დიდი ინფორმაციული სისტემების მონაცემთა ორგანიზაცია.

გამოთვლითი პროცესების ორგანიზაციის გპპ-ს კლასი გამოიყენება ოპერაციული სისტემის ფუნქციების გაფართოვების მიზნით მონაცემთა, ამოცანების და დაგალებების მართვის საკითხში, აგრეთვე ინტერაქტიული ურთიერთობისათვის საბოლოო მომხმარებელსა და გამოთვლით პროცესს შორის.

ავტომატიზირებული დაპროექტების გპპ-ს კლასი მოიცავს პროგრამებს, რომლებიც განკუთვნილია ინსტრუქტორების, ტექნოლოგების და დამპროექტებლების სამუშაოების შესასრულებლად.

საოფისე გპპ-ს კლასი მოიცავს პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ოფისის საქმიანობის ორგანიზაციულ მართვას. ეს კლასი შედგება შემდეგი ქვეპლასებისაგანა:

- ორგანიზერები – პროგრამები სამუშაო დროის დაგეგმვისათვის, შეხვედრების პროტოკოლების შესაქმნელად, ჩანაწერებისა და სატელეფონო წიგნაკის წარმოებისათვის;
- მთარგმნელი პროგრამები;
- დოკუმენტბრუნივის უზრუნველყოფი პროგრამები და ა.შ.

23.8 დაპროექტების CASE-ტექნოლოგია

გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩამოყალიბდა ახალი მიმართულება კაინფორმაციული სისტემების დაპროტექტაში და დაპროგრამების ავტომატიზაციაში – CASE-ტექნოლოგია (Computer Added System Engineering). CASE-ტექნოლოგია წარმოადგენს ანალიზის, დაპროექტების და რთული ინფორმაციული სისტემების მხარდაჭერის მეთოდოლოგიების კომპლექსს, რომელიც უზრუნველყოფილია (მხარდაჭერილია) ურთიერთდაკავშირებული ავტომატიზაციის საშუალებების კომპლექსით.

CASE- არის ინსტრუმენტი, რომელიც იძლევა საშუალებას ჩატარდეს კაინფორმაციულ სისტემის დაპროექტების მთელი პროცესის ავტომატიზაცია. უმრავლეს თანამედროვე CASE-ტექნოლოგიაში გამოიყენება სტრუქტურული ანალიზის და დაპროექტების მეთოდები, რომელიც დაფუძნებულია თვალსაჩინო დიაგრამებზე. დასაპროექტებელი სისტემის აღწერისათვის გამოიყენება გრაფები, დიაგარამები, ცხრილები, სქემები, რაც უზრუნველყოფს დასაპროექტებელი სისტემის მკაცრ და თვალსაჩინო აღწერას, რომელიც იწყება მისი ზოგადი მიმოხილვიდან, შემდეგ ტარდება მისი დეტალიზაცია, რითაც ის იქნება იერარქიულ სტრუქტურას დონეების რაოდენობის ზრდით.

CASE-ტექნოლოგია მოიცავს შემდეგ ძირიტად ეტაპებს:

- მოთხოვნების ანალიზი;
- დაპროექტება;
- პროგრამირება;
- ტესტირება და გამართვა;
- ექსპლუატაცია და მხარდაჭერა.

მოთხოვნების ანალიზის ეტაპზე ზუსტდება დამკვეთის მოთხოვნები, რომლებსაც ურატდება ფორმალიზაცია და დოკუმენტირება. მოთხოვნებში უნდა იყოს განსაზღვრული პირობები, რომლებშიც უნდა ჩატარდეს სისტემის ექსპლუატაცია, აღიწერება სისტემის ფუნქციები და მიეთითება შეზღუდვები დაპროექტების პროცესზე (ვადები, ინფორმაციის დაცვა და ა.შ.). ამ ეტაპზე განისაზღვრება:

სისტემის არქიტექტურა, მისი ფუნქციები, გარე პირობები, ადამიანსა და სისტემას შორის ფუნქციების დანაწილება;

კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა

მოთხოვნები სისტემის პროგრამულ და ინფორმაციული კომპონენტების, მონაცემზე ბაზის მიმართ.

დაპროექტების ეტაპზე შემუშავდება ინფორმაციული სისტემის და მისი პროგრამული უზრუნველყოფის არქიტექტურა, ტარდება სისტემის ფუნქციებისა და ტექნიკური კომპონენტების შეთანხმება, ასევე დეტალური დაპროექტება.

დანარჩენი ეტაპზე კი ასახავენ პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავებისა და ექსპლუატაციის სპეციფიკურ თავისებურებებს.

CASE-ტექნოლოგიის ინსტრუმენტალურ საშუალებებს წარმოადგენენ სპეციალური პროგრამები, რომლებიც მხარს უჭერენ ერთ ან რამდენიმე ანალიზისა და დაპროექტების მეთოდოლოგიას.

CASE-ტექნოლოგიის ძირითად დებულებებს წარმოადგენენ:

მთელი სისტემების დეკომპოზიცია კომპონენტების გარკვეულ სიმრავლეზე; სისტემის იერარქია;

მთელი ინფორმაციის წარმოდგენა გრაფიკული ნოტაციების სახით;

მონაცემთა ნაკადების დიაგრამა;

ფუნქციების დიაგრამა.

მონაცემთა ნაკადის დიაგრამა მკაცრად არის ორიენტირებული დამუშავების გარკვეულ ტექნოლოგიაზე. ზოგიერთი CASE-ტექნოლოგია წარმოადგენს სპეციფიკურ გრაფიკულ საშუალებებს სხვადსხვა სახის მოდელების ასახვისათვის:

DFD (Data Flow Diagrams) – მონაცემთა ნაკადების დიაგრამები და პროცესების სპეციფიკაციები;

ERD (Entity Relationship Diagrams) – დიაგრამები “არსი-კავშირი”, რომლებიც წარმოადგენენ საგნობრივი სფეროს მოდელს;

STD (State Transition Diagrams) – დიაგრამები, რომლებიც ითვალისწინებენ მოვლენებს და მათზე მონაცემთა დამუშავების სისტემის რეაქციას.

CASE-ტექნოლოგიას გააჩნია შემდეგი დადებითი თვისებები:

შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის ხარისხის გაუმჯობესება პროექტის ავტომატიზირებული კონტროლის ხარჯზე;

დამუშავებული კომპონენტების განმეორებითი გამოყენების შესაძლებლობა;

მომავალი ეკინფორმაციული სისტემის პროტოტიპოს შექმნის მოკლე ვადები;

დაპროექტების პროცესის დაჩქარების შესაძლებლობა;

სისტემის განვითარებისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

დამპროექტებლების განთავისუფლება რუტინული სამუშაოსაგან პროექტის დოკუმენტების შექმნასთან დაკავშირებით.

მაშასადამე, CASE-ტექნოლოგიები ანგითარებენ სტრუქტურულ მეტოდოლოგიებს და ხდიან მათ გამოყენებას უფრო ეფექტურს ავტომატიზაციის ხარჯზე. CASE-ტექნოლოგიები წარმატებულად გამოიყენება პრაქტიკულად ყველა ტიპის ინფორმაციული სისტემას შესაქმნელად. მაგრამ, განსაკუთრებულად მდგრადი პოზიცია უკავიათ მათ საქმიანი და კომერციული ინფორმაციული სისტემების შექმნაში.

CASE-ტექნოლოგიის საშუალებით იქმნება სისტემების მოდელები, რომლებიც ეხმარებიან კომერციულ სტრუქტურებს გადაწყვიტონ სტრატეგიული დაგეგმვის, ფინანსების მართვის, ფირმის პოლიტიკის განსაზღვრის, პერსონალის სწავლების და სხვა ამოცანები. ამ მიმართულებამ მიიღო საქუთარი დასახლება – ბიზნეს-ანალიზი.

დღეისათვის CASE-ტექნოლოგია ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი მიმართულება, რომელმაც გამოიწვია მძლავრი CASE-ინდუსტრიის შექმნა, რომელიც აერთიანებს მრავალ ფირმასა და კომპანიას. მათ შორის გამოყოფება:

- კომპანიები – ინფორმაციული სისტემების ანალიზისა და დაპროექტების საშუალებების და ტექნოლოგიების დამზუშავებლები დისტრიბუტორული და დილერული ფირმების ფართო ქსელით;

- ფირმები – ვიწრო საგნობრივი სფეროებისათვის ან ინფორმაციული სისტემის ცალკეული სასიცოცხლო ციკლებისათვის სპეციალური საშუალებების დამზუშავებლები;

კომპიუტერული ბუღალტრული ალიგიცხვა

- სასწავლო ფირმები, რომლებიც ატარებენ სპეციალისტების მომზადების სემინარებსა და კურსებს, კონსალტინგური ფირმები, რომლებიც სთავაზობენ პრაქტიკულ დახმარებას CASE-პაკეტების გამოყენებაში კონკრეტული ეკინფორმაციული სისტემების შესაქმნელად;
- ფირმები, რომლებიც სპეციალიზირდებიან CASE-ტექნოლოგიებში პერიოდული უურნალებისა და ბიულეტენების გამოშვებაზე.

ყველაზე ფართოდ გავრცელებულ და ცნობილ CASE-საშუალებებში შეგვიძლია ჩამოვთვალოთ: Silverrun, Oracle Designer, Edwin, BRwin, Racional Rose.

Silverrun-ის CASE-საშუალება (ამერიკული ფირმა Silverrun Technologies Inc.) გამოყენება ეკინფორმაციული სისტემის ანალიზისათვის და დაპროექტებისათვის. ის ორიენტირებულია ეკინფორმაციული სისტემის სასიცოცხლო ციკლის სპირალურ მოდელზე და მისი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი დაპროექტების მეთოდისათვის, რომელიც დაფუძნებულია პროგრამული უზრუნველყოფის დაპროექტების სტრუქტურულ მიდგომაზე.

Oracle Designer-ის CASE-საშუალება ((ფირმა Oracle) არის ინტეგრირებული CASE-საშუალება, რომელიც Oracle Developer-თან და Oracle Application Server-თან ერთად უზრუნველყოფს პროგრამული უზრუნველყოფის სრული სასიცოცხლო ციკლის მხარდაჭერას იმ სისტემებისათვის, რომლებიც იყენებენ Oracle-ს მონაცემთა ბაზას.

Edwin-ის და BPwin-ის CASE-საშუალებები გამოდის ლოგოტიპით PLATINIUM technology და შედიან პროგრამული უზრუნველყოფის PLATINIUM Advantage-ის პროდუქტებისა და ტექნოლოგიების ნაკრებში. Edwin-ი წარმოადგენს მონაცემთა კონცეპტუალური მოდელირების საშუალებების ნაკრებს, რომელიც გამოიყენებს მეთოდს IDEFIX. BPwin-ი კი არის ბიზნეს-პროცესების მოდელირების საშუალება, რომელიც რეალიზებას უკეთებს მეთოდს IDEFO.

Rational Rose – არის ობიექტზე-ორიენტირებული CASE-საშუალებების ნაკრები (ფირმა Rational Software Corporation), რომელიც განკუთვნილია პროგრამული უზრუნველყოფის ანალიზისა და დაპროექტების პროცესების ავტომატიზაციისათვის, და გარეთვე კოდების გენერაციისათვის სხვადასხვა ენებზე და საპროექტო დოკუმენტაციის გამოსაშვებად. Rational Rose გამოიყენებს ანალიზისა და დაპროექტების ობიექტზე-ორიენტირებულ მეთოდს, რომელიც დაფუძნებულია UML-მოდელირების ენაზე. დღეისათვის Rational Rose დომინირებს ობიექტზე-ორიენტირებული ანალიზის, მოდელირებისა და დაპროექტებისათვის განკუთვნილი პროდუქტების ბაზარზე.